საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
# საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
№26 (117)
20 - 26 ივლისი, 2011
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

4 ნინო ბურჯანაძე და პანდორას საარჩევნო ყუთი

# შავი და თეთრი

## კონკორდატი სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს! 10



**თეა თუთბერიძე:**

ეს ადამიანები ქრისტეზე მაღლა პატრიარქს აყენებენ. მე ვაკრიტიკებ იმას, რაც ხდება საპატრიარქოში და რაზეც პასუხისმგებელი, პირველ რიგში, პატრიარქია. ისინი მართლმადიდებლები კი არა, ილია მეორეს სექტის წევრები არიან.

## სახელმწიფოს მართავს გიჟი! ეკლესიას მართავს შიში! 12



**მამა ელიზბარი:**

გვსურდა, მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ ყოველთვის მზად ვართ დედაეკლესიის დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი საპატრიარქოდან დაიბლოკა. მოძღვრებმა არ დარეკეს ზარები, საპატრიარქოდან კურთხევა არ გვაქვსო

9 საქართველო არის ტერიტორია, რომელიც დასახლებულია ხელისუფლების მომსახურე, მორჩილი ადამიანებით...

19 მასხარაშვილის უხეში «მასხრობა»

15 მამათმავლების ისტორიას სკოლებში შეასწავლიან

## ასე ამბობდა ფიურერი:

7



## აკეთეთ, რასაც გეუბნებით, პასუხს მე ვაგებ!

ჰიტლერის პირადი მდივანი ციხისა და ბანაკების გამოვლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე: „მე მგონი, მივხვდი, როგორ შეძლო ჰიტლერმა ამდენი ადამიანის აყოლიება. ის ამბობდა: „აკეთეთ, რასაც გეუბნებით, პასუხს მე ვაგებ“... პოლიციელებო! გაითვალისწინეთ, არც სააკაშვილს და არც მერაბიშვილს არ უთქვამთ, რომ პასუხს აგებენ!

## «შპიონომანია» ანუ ფსიქოპათების უკანასკნელი ლაშქრობა 2

# პროტესტი

აქ უნდა იყოს ფოტო, მაგრამ ფოტორეპორტიორები დაპატიმრებულები არიან!

**დიტო ჩუბინიძე:** 6

ვანო მერაბიშვილთან შეხვედრაზე ისეთი ხალხი მივიდა, პირადად მე, დიტო ჩუბინიძე, არც ერთ მათგანს პატივს არ ვცემ. ამ ჟურნალისტების მოტივია გრანტების მოზიდვა და ფულის შოვნა



8 კაცი, რომელსაც ძალიან სტკიოდა სამშობლო



ენა უდრის ერს — ამბობს ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი 16

ჟურნალისტი მანიფეს-ტაციაში მონაწილისგან კანონით გაიმიჯნა 14



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილი თავისი მხარდამჭერების დარაზმვას, ალბათ, გარე საფრთხის მოგერიების დროშის ქვეშ შეეცდება. პირველები ხსენებული დროშის ქვეშ, სავარაუდოდ, სწორედ ფარული შიზოფრენიკები დამწკრივდებიან, რადგან „შპიონომანიისა“ და „კუდიანებზე ნადირობის“ ატმოსფერო შესაძლებლობას მისცემს, საკუთარი მენტალური აშლილობა მედგარ პატრიოტულ პოზიციად წარმოაჩინონ.**

# «შპიონომანია», ანუ ფსიქოპათების უკანასკნელი ლაშქრობა



**უწყობს თუ არა სააკაშვილის ხელისუფლება ხელს „შპიონომანიის“ გავრცელებას? თუ ასეა, რა მოტივები შეიძლება ამოძრავებდეს მას?**

სამყაროს სურათში, რომელსაც ხელისუფლების პირველი პირები სახავენ, ისეთი მუქი ფერები დომინირებს, ალენ დალესს კოშმარულ სიზმარშიც რომ არ მოელანდებოდა. **„ვფიქრობ, არავის ეპარება ეჭვი, რომ ჩვენ პირველი სამიზნე ვართ ქვეყნისთვის, რომელსაც სუკ-ის თანამშრომლები მართავენ.** — განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა „Эхо Москвы“-ს, — **მე ბევრჯერ მინახავს და გამიგია პირადად პუტინისგან, თუ როგორ გეგმავს სადაზვერვო ოპერაციებს და რამდენად დეტალურად იცნობს ოპერმუშაკების გვარებს. დავუშვათ, მახსოვს, თუ როგორ დამირეკა ბათუმის თაობაზე და დამისახელა ზუსტი ადგილები, ქუჩები, გზაჯვარედინები და ასე შემდეგ; და კონკრეტულად იმ ოფიცრების გვარები დამისახელა, რომლებიც იქ მოძრაობდნენ.**

ის უდიდეს სიამოვნებას იღებს იმისგან, რომ ამას გეგმავს“. იმავე რადიოსადგურთან საუბარში ვანო მერაბიშვილმა თქვა: **„რუსეთის ყველა აგენტი და ჯაშუში დაკავებული არ არის, რადგან დარჩა ზოგიერთი, რომლებსაც თვალყურს ვადევნებთ“.**

როდესაც სააკაშვილის ინტერვიუს თარგმანი პირველად ვნახე, კერძოდ კი სიტყვები **„მე ბევრჯერ მინახავს“,** თავიდან თვალებს არ დავუჯერე, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი რამ — **„Я много раз видел“** — მართლაც თქვა, თანაც აუდიოჩანაწერიდან ირკვევა, რომ სიტყვა „видел“ ორჯერ გაიმეორა, რაც მის შეცდომით გამოყენებას ფაქტობრივად გამორიცხავს. ერთი მეორეს მიყოლებით იბადებოდა კითხვები: **„სად უნახავს?“, „რა უნახავს?“.** სადღაც ქვეცნობიერის სიღრმეში ჩუმად უკრავდა მუსიკა კინოფილმიდან „The World Is Not Enough“ (ძველი ჯეიმს ბონდი, პირს ბროსნანი ამ ახალს ათი თავით სჯობდა, არ მეთანხმებით?), აფორიაქებულ წარმოსახვაში სულისშემძვრელი სურათები იშლებოდა. მაგალითად, ასეთი:

ციმბირის შუაგული, ტაიგა. 20-მეტრიანი თოვლის საფარი, 100-მეტრიანი ნაძვები, რომელთა შორის გარჭობილია დაჟანგული რაკეტები „P-36M“, მოფერებითი მეტსახელით „სატანა“. მთვრალი დათვები ბალალაიკებით სევდიანად უყურებენ სავსე მთვარეს, სადღაც შორიახლოს მშიერი მგლები ყმუიან. უცებ 200 მეტრის სიღრმეზე მდებარე საიდუმლო ბუნკერიდან კმაყოფილი ხარხარი გაისმის. ეს პუტინი ხარხარებს, მან ახლახან დაგეგმა სადაზვერვო ოპერაცია და ამისგან ენით აუწერელ სიამოვნებას იღებს. პუტინმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ მას სააკაშვილი უყურებს.

— **Ай да Чингачкук! Ай да Зоркий Глаз! — იყო „ბონდიანაში“ ასეთი (მეჩვიდმეტე) ფილმი „GoldenEye“ (ოქროს თვალი), თუმცა იქ აღწერილი კოსმოსური სადგურის მოკრძალებული შესაძლებლობები არაფერია სააკაშვილის ზებუნებრივ შესაძლებლობებთან შედარებით, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთის პრემიერს ორბიტიდან აკვირდება.**

ისე, ვლადიმერ პუტინის მოსისხლე მტრებიც კი ყოველთვის აფიქსირებენ, რომ იგი უაღრესად რაციონალური ადამიანია. აქედან გამომდინარე, სიტუაცია, როდესაც პუტინი სააკაშვილის თანდასწრებით სადაზვერვო ოპერაციებს გეგმავს, ან მათი დეტალების შესახებ ინფორმაციას უზიარებს, აბსოლუტურად წარმოუდგენელი ჩანს. **სააკაშვილმა აშკარად უნდა დააზუსტოს, რას ნიშნავდა ეს მისი „ბევრჯერ მინახავს“, წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრესული კაცობრიობა, ალბათ, ჩათვლის, რომ მას უცაბედად „მესამე თვალი“ აეხილა.**

„The World Is Not Enough“... მახსოვს ეპიკური სცენა ერთ-ერთ რესტორანში, სადაც ვიღაც ტიპები დაჟინებით მოუწოდებდნენ ძლიერ ანერვიულებულ დამკვრელებს, ეს მელოდია შეესრულებინათ. ალბათ, მზვერავები იყვნენ ან კონტრმზვერავები, რომელთაც აღნიშნული სიმღერა თავის პროფესიულ ჰიმნად მიაჩნდათ. თუმცა იმასაც ვერ გამოვრიცხავ, რომ ისინი „შპიონები“ და დივერსანტები გახლდნენ, ბატონი ვანო ხომ ცალსახად ამბობს: **„ყველა ჯაშუში და აგენტი დაკავებული არ არის“.** აბა, სხვა ვინ მოაწყობდა ასეთ ცინიკურ თავდასხმას დამკვრელებზე ორაზროვანი ღიღინით „ზი ვოლდ იზ ნოტ ინაფ“? **თუმცა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, თუ რა დგას სააკაშვილისა და მერაბიშვილის ამ განცხადებებისა და ჯაშუშების თემაზე ყურადღების კონცენტრირების მიღმა. ისინი სიტუაციას ისე დრამატულად აღწერენ, რომ ზოგიერთ მსმენელს შეიძლება შეექმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ დედა-სამშობლოს ჯაშუშების უთვალავი ლეგიონები უტევენ.**

გასულ კვირას არაერთმა ექსპერტმა და ჟურნალისტმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ „ფოტოგრაფების საქმე“ და ჯაშუშების თემაზე საუბრის ზოგადი გააქტიურება ხელისუფლებას იმისთვის დასჭირდა, რომ არასასურველი თემების (26 მაისი, საპატრიარქოსთან დაკავშირებული კონფლიქტი) გადაფარვა და საინფორმაციო სივრციდან ამოგდება მოეხდინა. ეს ვერსია ლოგიკას მოკლებული ნამდვილად არ არის, თუმცა ეს ტაქტიკური ასპექტია, გამორიცხული არაა, რომ სხვა, უფრო შორსმიმავალი გეგმებიც არსებობს.

„შპიონომანია“, თუ მას პოლიტიკურ ასპექტში განვიხილავთ, ფსიქოპათების მობილიზების შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს. ცნობილი ფსიქიატრი ფეოდორ კონდრატიევი წერს: **„30-იან წლებში მოქალაქეებისგან დაჟინებით მოითხოვდნენ, მუდამ ფხიზლად ყოფილიყვნენ და „ხალხის მტრების“ იატაკქვეშა ბანდები ემხილებინათ. ასეთ სოციალურ გარემოში მცხოვრებ, შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს არ შეიძლებოდა ეს ტოტალიტარული ინდუქცია არ ეგრძნოთ“.** შემდეგ კონდრატიევი ყვება, თუ როგორ იწვევდა რეაბილიტაციის პერიოდში მას პროკურატურა იმისთვის, რომ დოკუმენტების ექსპერტიზა მოეხდინა და დაედგინა, იყო თუ არა ესა თუ ის დამსმენი ფსიქიკურად ჯანმრთელი. **„თითქმის ყველა შემთხვევაში ისინი შიზოფრენიით დაავადებულები იყვნენ,“** — წერს კონდრატიევი და ერთ-ერთი დასმენის ტექსტი მოჰყავს: **„ლექტორი ფორმალურად სწორად საუბრობდა დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაზე, თუმცა ინტონაციით, სახის გამომეტყველებითა და წინადადებების წყობით თუ ვიმსჯელებთ, ის ლექციის შინაარსს ცვლიდა და მსმენელებს მოუწოდებდა, პარტიისა და მთავრობის განადგურების მიზნით, გაერთიანებულიყვნენ“.** ზოგადად, კონდრატიევის ნაშრომს შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: **„შპიონომანიის“ გავრცელება ხელს უწყობს შიზოფრენიის ერთგვარ პოლიტიკურ ლეგიტიმაციას.**

საინტერესოა, რომ ომის წლებში სსრკ-ში მსგავსი დასმენების მკაცრი ფილტრაცია დაიწყო; იგივე ბრიტანეთშიც ხდებოდა. 1940-ში, როდესაც გერმანელები ლა-მანშთან იდგნენ, უინსტონ ჩერჩილი წერდა: **„ისტერია, „მეხუთე კოლონასთან“ დაკავშირებით, საშიშ მასშტაბებს იღებს“ და მის აღსაკვეთად „უმკაცრესი ზომების გატარებისკენ“ მოუწოდებდა.** ჩერჩილს, სავარაუდოდ, ახსოვდა, რომ I მსოფლიო ომის დროს ჯაშუშებთან დაკავშირებულმა ფსიქოზმა ბრიტანული კონტრდაზვერვის ნაწილობრივი პარალიზება მოახდინა; ის მოზღვავებული ინფორმაციის დამუშავებას, უბრალოდ, ვერ ახერხებდა. იმ დროის მაღალჩინოსანი ბრიტანელი მზვერავის — ბეზილ ტომპსონის თქმით: **„შპიონომანიამ“ საშინელი ეპიდემიის ხასიათი მიიღო, რომელსაც თან სდევდა განუკურნებელი, საშიში ჰალუცინაციები“.** ფაქტია, რეალური საფრთხის წინაშე მდგომი სახელმწიფოები მაქსიმალურად ცდილობდნენ, „შპიონომანია“ შეეზღუდათ.

რისთვის შეიძლება იყოს საჭირო „ფსიქოპათების მობილიზაცია“, რომლის ჰიპოთეტურ შესაძლებლობაზე ვსაუბრობთ? დღეს სააკაშვილის ხელისუფლებას პოზიტიური ლოზუნგების აქტიური გამოყენება, სავარაუდოდ, აღარ შეუძლია; თუ ის ძირითად აქცენტს ისევ იმაზე გააკეთებს, რომ მალე ქვეყანას გაამთლიანებს და ააყვავებს, ძნელი დასაჯერებელია, ვინმემ (ბოლო წლებში მიღებული უმძიმესი გამოცდილებიდან გამომდინარე) ეს სერიოზულად აღიქვას. ამიტომ მხარდამჭერების დარაზმვას ის, ალბათ, გარე საფრთხის მოგერიების დროშის ქვეშ შეეცდება. **პირველები ხსენებული დროშის ქვეშ, სავარაუდოდ, სწორედ ფარული შიზოფრენიკები დამწკრივდებიან, რადგან „შპიონომანიისა“ და „კუდიანებზე ნადირობის“ ატმოსფერო შესაძლებლობას მისცემს, საკუთარი მენტალური აშლილობა მედგარ პატრიოტულ პოზიციად წარმოაჩინონ.** ისტერიით გაჟღენთილ ამ ბირთვს კი, თეორიულად, ძალიან ბევრი, ერთი შეხედვით, საღად მოაზროვნე ადამიანის აყოლიება შეუძლია; ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი გვხვდება.

თქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გარე საფრთხე ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ერთია, როდესაც მას ზედმეტი აღელვების გარეშე მიზანმიმართულად ანეიტრალებენ, ხოლო სულ სხვა, როდესაც მას ისტერიული მობილიზაციისთვის იყენებენ.

**საინტერესოა, რომ ბოლო დროს ხელისუფლება ხაზს უსვამს გარე საფრთხის არა სამხედრო, არამედ ჯაშუშურ ასპექტს — პირველი ვარიანტი წამგებიანია, რადგან ამომრჩეველს მყისვე გაახსენდება, თუ როგორ ვერ დაიცვა სააკაშვილმა ქვეყანა 2008 წლის აგვისტოში, ცნობილი გარბენა გორში და სხვა მსგავსი ჰალსტუხები. მეორე ვარიანტი კი შედარებით „უწყინარი“ ჩანს, ჯაშუშის ბუნდოვანი ფიგურა ტანკზე გაცილებით აბსტრაქტული რამ არის და უშუალო სასიკვდილო საფრთხის განცდას ნაკლებად უკავშირდება, თანაც ხელისუფლება დაჟინებით ირწმუნება, რომ ამ საფრთხესთან გამკლავებას ასე თუ ისე ახერხებს, თუმცა „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს“.**

კაცმა რომ თქვას, არც ისაა გამორიცხული, რომ ადამიანებმა, რომლებიც დღეს თავიანთ დავთრებში ამა თუ იმ კორპუსში მცხოვრებ (ან ორგანიზაციაში მომუშავე) ოპოზიციონერებს საგულდაგულოდ აღნუსხავენ, ხვალ სავარაუდო ჯაშუშების სიების შედგენა დაიწყონ. მით უმეტეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის ერთ-ერთი ფორმულირება **„საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნების დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა“** ძალიან ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა; ჯაშუშობისთვის, ფაქტობრივად, ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება გაასამართლონ.

ჟურნალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები 314-ე მუხლის ბუნდოვან ფორმულირებასთან დაკავშირებით ახლო მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ეტაპზე წარმატებას მიაღწიონ. **„სხვა ინფორმაცია“ და „საქართველოს ინტერესების საზიანოდ“ გაუგებარი ტერმინებია და შეიძლება მოერგოს ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერ საქმიანობას. რანაირად უნდა დაესიზმროს ადამიანს, რომ ინფორმაცია ხელისუფლებამ სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანად შეიძლება ჩათვალოს? ეს შეფასებითია.**

შეიძლება ის, რაც თქვენ ზიანის მომტანად მიგაჩნიათ, მე სასარგებლოდ მივიჩნიო,“ — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტმა ვახტანგ ხმალაძემ. ისე, ურიგო არ იქნება, თუ ყურადღებას კოდექსის 319-ე მუხლსაც მივაქცევთ: **„უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის დახმარება ისეთ საქმიანობაში, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის ხელყოფა“.** სახიფათო ვარიაციების შესაძლებლობას, ალბათ, ეს მუხლიც იძლევა.

არავინ ამბობს, რომ უცხო ქვეყნები საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობას არ აწარმოებენ და სახელმწიფომ ამასთან დაკავშირებით ზომები არ უნდა მიიღოს, თუმცა ერთია კონკრეტულ საქმეზე და მტკიცებულებებზე მსჯელობა (სადაა ეს მტკიცებულებები?!) და სულ სხვაა საუბარი **„ნომერ პირველ სამიზნე ქვეყანაზე“,** რომლის ქუჩებში თურმე ჯერაც თავისუფალი ჯაშუშები დადიან. **ძნელია, ამას რაიმე სხვა უწოდო, „შპიონომანიის“ მიზანმიმართული გავრცელების გარდა, რომელიც, პროფესორ კონდრატიევის ნაშრომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უბიძგებს ფსიქიურად არამდგრად ადამიანებს, თავიანთი აშლილობების პოლიტიკური „ლეგიტიმაცია“ მოახდინონ და „კუდიანებზე ნადირობა“ დაიწყონ. ის, რომ ამ პროცესში ისინი, დიდი ალბათობით, სააკაშვილის გარშემო დაირაზმებიან, მათი პირადი პრობლემაა, მაგრამ მთლიანობაში ეს პროცესი ქვეყნისთვის კარგს არაფერს მოასწავებს.**

ბოლოს კი ტრადიციული აღიარებითი ჩვენება; მათ აწი ხშირ-ხშირად მივცემ. დიდი ხნის წინანდელი ამბავია. იმ წელს უჩვეულოდ ცხელი ნოემბერი იყო. ისე, რომ იცოდეთ, ოპტიკურ სამიზნეში ქალის სახე განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი ჩანს. **„ნახე, უბრალოდ ნახე, რა ქალია,** — ემოციურად ჩურჩულებდა ჩემი მეწყვილე, — **ფრთხილად, შემთხვევით არ მოარტყა“. „ასეთი ქალისთვის,** — მივუგე ჩუმად, — **მთელი მსოფლიო არ კმარა“** (The World Is Not Enough). და რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ქალი მშვენიერ თეთრ პეპელას ჰგავს, რომლის სიცოცხლე და ბედნიერება მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება. ეს მომენტი არასოდეს დამავიწყდება. ორიოდე წამში კი პრეზიდენტ კენედის პირველი ტყვია მოხვდა, შემდეგ მეორე... თუმცა დანარჩენი ისედაც იცით. შემდგომ, „ცივი ომის“ ხიფათიან გზებზე არაერთი კილომეტრის გავლა მომიწია. **იმაზე, თუ როგორ შევიპყარი ვიეტნამში მფრინავი ჯონ მაკკეინი, ძალიან მალე მოგითხრობთ, თუმცა ის დღე მაინც გამორჩეული იყო; მე მუდამ მემახსოვრება ჟაკლინის სახე, რომელსაც ოპტიკური სამიზნით ვუცქერდი ღვთისაგან მივიწყებულ ქალაქ დალასში, დაუვიწყარი 1963 წლის სევდიან 22 ნოემბერს.**

**მათ, ვინც მხოლოდ ახლა „მიხვდა“, რომ ძალაუფლების უზურპაცია ცუდი რამ ყოფილა, უნდა შევახსენო, რომ 2003-ში ხალისიანად დააბიჯეს კონსტიტუციას და დღესაც ამაყობენ იმით, რომ რევოლუციაში მიიღეს მონაწილეობა... არჩევნების გაყალბების გამო „აღშფოთებულებმა“ სწორედ იმ ბანაკში ამოყვეს თავი, რომელიც 1995-დან 2002 წლამდე თავად აყალბებდა ყველა დონის არჩევნებს.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიბრძნე სიყალბისა, ანუ Show must go on!

**ამბობენ, ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ ლაპარაკობენო. რაკი არჩევნების თემას უნდა შევეხო, მავანი ამ ანდაზას ავტორისთვის განკუთვნილად აღიქვამს (რაკი 2003 წელს მთელი ორი თვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახლდით), მაგრამ აქვე უნდა გავაფრთხილო: 2003 წლის ე. წ. ვარდების რევოლუციით თავი სწორედ იმ პოლიტიკოსებმა ჩამოიხრჩვეს, რომლებმაც ბოლო წლებში ყველა ხერხი სცადეს, და ისევ იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ხელისუფლება არჩევნებით უნდა შეიცვალოს. სიტყვამ მოიტანა და, ზოგიერთი ამას ხმამაღლა არ ამბობს, — რადიკალური გზის მომხრეა, მაგრამ მანაც იცის, რომ არჩევნებს იქით გზა არ აქვთ.**



„რვიანის“ შემდეგ დარჩენილმა ექვსეულმა სამოქალაქო მოძრაობა დააფუძნა და კოალიციური უმრავლესობისკენ მსვლელობის სტარტი აიღო. ახალი, საგანგებოდ ვადაგასული სააკაშვილისთვის მორგებული საპარლამენტო მოდელის მიხედვით, კოალიციური უმრავლესობა კოალიციურ მთავრობას შექმნის და პრემიერ-მინისტრიც თავისი ეყოლება. ამას რა სჯობსო, იტყვის ოპოზიციურად განწყობილი მკითხველი, მაგრამ მას კითხვა უნდა შევუბრუნო: რატომ დააკარგვინეთ საქართველოს რვა წელიწადი?

2003 წლის რევოლუციური არჩევნების შედეგად პარლამენტში მოხვდა ექვსი პარტია შემდეგი პროცენტული განაწილებით:

**სახელისუფლო ბლოკი – 21,32%;**

**„დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ – 18,84%**

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 18,08%;**

**ლეიბორისტული პარტია – 12,04%;**

**„ბურჯანაძე — დემოკრატები“ – 8,79%;**

**„ახალი მემარჯვენეები“ – 7,35%.**

ამ მონაცემებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ექვსეულიდან (ისევ ექვსეული!) ვერც ერთი ვერ ფლობდა გადამწყვეტ უმრავლესობას და მეტიც, ერთ რომელიმე სუბიექტთან გაერთიანების შემთხვევაშიც კი ვერავის მოახვევდა თავს საკუთარ გადაწყვეტილებებს. ერთი სიტყვით, ისინი განწირულნი იყვნენ კოალიციური უმრავლესობისთვის, რომლისთვისაც ახლა ხანგრძლივი მარათონის დაწყება უწევთ. შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე წელიწადნახევარი რჩებოდა და ყველაფერზე შეიძლებოდა ამ დარჩენილ დროში შეთანხმება. მაგრამ ეს არ შედიოდა რევოლუციონერთა გეგმებში, რომელთაც მთლიანად მიტაცებული ხელისუფლება უნდოდათ და დასავლეთის მხარდაჭერით კიდეც მიაღწიეს ამას.

**მათ, ვინც მხოლოდ ახლა „მიხვდა“, რომ ძალაუფლების უზურპაცია ცუდი რამ ყოფილა, უნდა შევახსენო, რომ 2003-ში ხალისიანად დააბიჯეს კონსტიტუციას და დღესაც ამაყობენ იმით, რომ რევოლუციაში მიიღეს მონაწილეობა.**

არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ არჩევნების გაყალბების გამო „აღშფოთებულებმა“ სწორედ იმ ბანაკში ამოყვეს თავი, რომელიც 1995-დან 2002 წლამდე თავად აყალბებდა ყველა დონის არჩევნებს. ისე მოხდა, რომ 2003 წელს მათ შედეგები არავინ დაათვლევინა და რევოლუციაც სწორედ მაშინ მოხდა.

„მოქალაქეთა კავშირი“, რომლიდანაც მიიღო დასაბამი დღევანდელმა მმართველმა პარტიამ და ოპოზიციის კარგა გვარიანმა ნაწილმა, მშვენივრად ფლობდა არა მარტო გაყალბების მექანიზმს, არამედ დასავლელი მეგობრების დარწმუნების უნარსაც, რომ მორიგი მტერი არჩევნების გზით აპირებდა ქვეყნის რუსეთისთვის დაბრუნებას. **დასავლეთს არწმუნებდნენ, რომ არჩევნებში ჩარევისა და მისი შედეგების კორექტირების გარეშე ქვეყანა დაიღუპებოდა. დასავლეთიც თვალს ხუჭავდა ამ მანიპულაციებსა და გაყალბებულ არჩევნებზე.** გამოჩენილმა ბრიტანელმა პოლიტიკოსმა და პოლიტოლოგმა ჰაროლდ ლასკიმ ერთხელ სიმწრით თქვა: **„კაპიტალისტური დემოკრატია არასოდეს მისცემს საშუალებას თავის ამომრჩეველთა კორპუსს, გადავარდეს სოციალიზმში საარჩევნო ურნების შემთხვევითი განაჩენით“!**

ამ „შემთხვევით“ განაჩენზე საუბრისას ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ისე გაერთო, რომ მისი უნებლიე აღიარებითი ჩვენება გაცილებით უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ჯაშუშობაში ექვმიტანილი ფოტორეპორტიორების გამოქვეყნებული აღიარებანი:

**„2004 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩემი „თავის ტკივილი“ გახდა ის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა საარჩევნო ბარიერის გადასალახავად ხმათა საკმარისი რაოდენობა ვერ მიიღეს. მაშინ ცხარე კამათი მქონდა სააკაშვილთან, რომლისგანაც კატეგორიულად მოვითხოვდი, ყველაფერი ეღონა იმისათვის, რომ „ახალ მემარჯვენეებს“ (რომლებსაც მაშინ სხვა ოპოზიციონერებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ), აუცილებლად გადაელახათ საჭირო პროცენტული ბარიერი და პარლამენტში შესულიყვნენ! მახსოვს სააკაშვილის სიტყვები, რომელსაც არ სურდა „ახალი მემარჯვენეების“ მოხვედრა „მრეწველთა პარტიის“ წარმომადგენლებთან ერთად: „შენ რა, არჩევნების გაყალბებას მთავაზობ?! „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხომ ბარიერის გადასალახავად ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვეს“?! და მაშინ, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ვთქვი: „დიახ, თუკი საჭიროა! ამ შემთხვევაში არჩევნების ფალსიფიკაცია და ხმების, პროცენტების მომატება ოპოზიციური პარტიებისათვის ცოდვა არ არის, რადგან ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიზაციის პროცესს“! კიდევ დავძინე, რომ გადაჭრით უარს ვამბობდი ერთპარტიული პარლამენტის თავმჯდომარეობაზე“.**

ეს ციტატა მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ ნუ დავწვრილმანდებით და მხოლოდ იმას მივაქციოთ ყურადღება, რომ არჩევნების ფალსიფიკაცია „დემოკრატიის ხათრით“ დასაშვები ყოფილა. იბადება კითხვა: მაინც ვინ უნდა გადაწყვიტოს, ვის მოემატოს პროცენტები? ნიშნავს თუ არა ბურჯანაძის სიტყვები იმას, რომ დღევანდელ პარლამენტში „შეშვებული“ პარტიები სწორედ ამ გზით აღმოჩნდნენ იქ? და, რაც მთავარია, ნინო ბურჯანაძის ჩასატარებელი რომ იქნეს არჩევნები, ამ სქემით „აზეიმებდა“ დემოკრატიას საქართველოში?

**ყურადღება მიაქციეთ, რომ ბურჯანაძე ხმას არ იღებს 2004 წლის არჩევნების მონაწილე სხვა პარტიაზე, რომლის 12%-იანი სტაბილური რეიტინგი 1998 წლიდან პოლიტიკაში ჩახედულმა ყველა პიროვნებამ იცის. მათი უფლებების დარღვევა სტრასბურგის სასამართლომ უკვე დაადასტურა, თუმცა 2003 წლის არჩევნებში ბოლო ადგილზე გასულ „ახალ მემარჯვენეებზე“ მზრუნველ მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარეს ლეიბორისტები არც გახსენებია.** მათ ხომ შესაშური თანმიმდევრულობით ხან ხელისუფლება არ უშვებს პარლამენტში და ხან — ოპოზიცია! არც იმას ამბობს, რომ „ახალ მემარჯვენეებს“ მაშინ ხელისუფლებასთან ჩინებულ ურთიერთობაში მყოფი ბადრი პატარკაციშვილი ლობირებდა. მისი ერთი და მაჟორიტარული წესით გახდა პარლამენტის წევრი (2003 წლის 2 ნოემბერს), ხოლო მეორე და „ახალი მემარჯვენეების“ სიით გავიდა 2004 წლის „გზაში დაწეულ“ პარლამენტის არჩევნებში.

**ნურავინ მოტყუვდება სააკაშვილის შეცხადებით: „შენ რა, არჩევნების გაყალბებას მთავაზობო?!“ ის, რაც ვაკის რაიონში მაჟორიტარული წესით კენჭისყრისას იკადრა „მოქალაქეთა კავშირმა“ სხვა კანდიდატის — დავით სალარიძის მიმართ, არავის დავიწყებია. სააკაშვილის შტაბის წევრებმა „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში მაგიდაზე დაუყარეს სალარიძეს საარჩევნო ბიულეტენების დასტები — შენი იყოს, არ გვჭირდება!**

**სააკაშვილი რომ არც 2012 წელს აპირებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რელიგიური გაერთიანებებისთვის სტატუსის მიმნიჭებელი ცვლილებების სიმარდითაც დაამტკიცა. მან საქვეყნოდ აჩვენა ამომრჩეველთა 80%-ზე მეტს, რომ მათი ნება არ აინტერესებს. შესაბამისად, არც მათი ხმების ამარა აპირებს არჩევნებზე გასვლას.**

იქნებ ჩვენს დასავლელ მეგობრებს უნდათ, 2012 და 2013-ში სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს საქართველოში? მაშინ რატომ დახუჭეს თვალი 26 მაისზეც და იმ „უხამს წინადადებებზეც“, რომლებიც ხელისუფლებამ ულტიმატუმის ფორმით მიუგდო ოპოზიციურ „რვიანს“? რატომ არ ჩანს იმგვარი თუნდაც ფინანსური მხარდაჭერა, როგორიც რევოლუციონერებსა და მათ „შტატიან“ არასამთავრობო სექტორს გაუწიეს 2002-2003 წლებში? რატომ ხდება, რომ „ახალგაზრდა იურისტები“ 2003 წელს თითქმის ყველა სარჩელს იგებენ, ახლა კი ისე „დაკარგეს“ კვალიფიკაცია, რომ მათ სარჩელს „დამოუკიდებელი“ სასამართლო არც კი იღებს ხოლმე?

იქნებ ხალხს უნდა სამართლიანი არჩევნები? ზოგადად, ალბათ, უნდა, მაგრამ 2003 წლის მაგალითიც კარგად ახსოვს, როცა მის მიერ მიცემული ხმები გაყალბებულად ჩათვალეს და მისივე სახელით „რევოლუციური შოუ“ მოაწყვეს ქვეყანაში. Show must go on! იგი გრძელდება და მასში მონაწილეობა სხვისი თანამდებობისთვის ვერაფერი ბედენაა.

და კიდევ ერთი ფრაგმენტი ბურჯანაძის ინტერვიუდან: **„რაც შეეხება 2008 წლის არჩევნებს — დიდი ეჭვი არსებობს მის სამართლიანობასთან დაკავშირებით, თუმცა მაშინ, სამწუხაროდ, ოპოზიციამ უკან დაიხია. მაშინ ვიცოდი, რომ მეორე ტური უნდა შემდგარიყო, მაგრამ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ელემენტარულად ვერ შეძლეს თავიანთი ბიულეტენების დაცვა ადგილებზე და ფორმალურად მე დამიდეს სასამართლოებისა და ცესკოს დასკვნები, რომელთა ანულირებაც, ცხადია, არ შემეძლო. რა დასამალია, მაშინ მსოფლიო თანამეგობრობაც გვიჭერდა მხარს და, ალბათ, გახსოვთ ჩემი არაერთი განცხადება, რომ პირადად მე და მსოფლიო თანამეგობრობამაც დიდი შეცდომა დავუშვით – როცა ჩვენ, ყველამ ვიცოდით, სამართლიანობა მეორე ტურის გამართვას მოითხოვდა, მაგრამ არჩევანი სტაბილურობის სასარგებლოდ გაკეთდა! ეს დიდი შეცდომა იყო იმიტომ, რომ არ არსებობს რეალური სტაბილურობა დემოკრატიის გარეშე. დემოკრატიის გარეშე სტაბილურობა ავტორიტარიზმს წააგავს, სადამდეც, სამწუხაროდ, მოვედით კიდეც. და ყველა ჩვენგანი, მათ შორის მეც, ამის საფასურს ვიხდით“.**

სამწუხაროდ, ავტორიტარიზმამდე ჯერ კიდევ 2003 წლის 22 ნოემბერს მივედით და არა 2008 ან 2011 წელს. თუმცა ყველას თავისი კალენდარი აქვს! 2004 წელს პანაშვიდზე ერთ-ერთი მაჟორიტარი შემხვდა. ყველას გასაგონად ხმამაღლა დავუძახე: **„გაყალბებულ არჩევნებში სამართლიანად გამარჯვებულ მაჟორიტარ დეპუტატს ვახლავარ-მეთქი“! „ჩუ, არავინ გაიგოსო“! –** გამოწია ყელი. **„ჩუმად შენ იყავი, მე გასაჩუმებელი არაფერი მაქვს-მეთქი,“** — მივუგე. ნინო ბურჯანაძეც იმ „გაყალბებული“ არჩევნების წყალობით ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

**სააკაშვილმა საქვეყნოდ აჩვენა ამომრჩეველთა 80%-ზე მეტს, რომ მათი ნება არ აინტერესებს. შესაბამისად, არც მათი ხმების ამარა აპირებს არჩევნებზე გასვლას**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილი საკუთარი ძალებით ქვეყნის რამდენადმე მასშტაბურ არევას, ალბათ, ვერ მოახერხებდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასავლელი პარტნიორები მკაცრად გააფრთხილებდნენ, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. თუმცა პრობლემის არსი, სავარაუდოდ, ისაა, რომ უცხოელ ,,მეგობრებს" იმ მომენტში არა სტაბილურობა, არამედ სააკაშვილი სჭირდებოდათ.**

# ნინო ბურჯანაძე და პანდორას საარჩევნო ყუთი

**„ის ჩემი პრეზიდენტი არ არის" — საქართველოს ბევრი მოქალაქე ამ ფრაზას 2008 წლიდან ჯიუტად იმეორებს. თუ მათი თანამოსაუბრე სააკაშვილს „ჩვენს პრეზიდენტს" უწოდებს, მას აუცილებლად შეუსწორებენ, გამეორების შემთხვევაში კი შეიძლება დატუქსონ კიდეც; მსგავსი სცენები თითოეულ ჩვენგანს, ალბათ, არაერთხელ უნახავს. საინტერესოა, რომ ამ ადამიანების არგუმენტაციაში მთავარი ადგილი იურიდიულ საკითხებს უჭირავს; მათთვის ამოსავალი წერტილია 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაყალბება და ხელისუფლების უზურპაცია, ხოლო სააკაშვილის მორალური უფლება — პრეზიდენტად იწოდებოდეს, უფრო სწორად კი მისი არარსებობა, მათთვის მეორეხარისხოვანი თემაა. ახლახან ამ ადამიანებმა მნიშვნელოვანი დამატებითი არგუმენტი მიიღეს, ნინო ბურჯანაძის სენსაციური განცხადების სახით, რომელიც „Эхо Москвы"-ს ეთერში გააკეთა.**





## ვინ გააყალბა არჩევნები?

**„მე ვთვლი, რომ 2008 წლის იანვარში ჩვენ დასავლელ მეგობრებთან ერთად საბედისწერო შეცდომა დავუშვით. ჩვენ, ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო, მაგრამ ამაზე თვალი დავხუჭეთ. მშვენივრად მახსოვს, ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი... დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემი მისამართით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური,"** — თქვა ნინო ბურჯანაძემ „Эхо Москвы"-ს კორესპონდენტთან საუბარში.

**თუ ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამება, მისგან, ფაქტობრივად, გამომდინარეობს ის, რომ 2008 წლის იანვარში საქართველოში უცხო სახელმწიფოების მონაწილეობით სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, ხოლო მიხეილ სააკაშვილი არალეგიტიმური უზურპატორია, რომლის გაჩერება ხელისუფლების სათავეში ერთი წამითაც არ შეიძლება.**

ნინო ბურჯანაძის ინტერვიუს ეს მონაკვეთი აშკარად დეტალურ განხილვას საჭიროებს.

სიტყვები **„ჩვენ ყველამ ვიცოდით",** ზოგადად, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე **„ჩვენ ვფიქრობდით"** ან **„ჩვენ ვგრძნობდით",** ძალიან დიდი ალბათობით, ეს გულისხმობს იმას, რომ **არსებობდა** (არსებობს?), **რაღაც კონკრეტული დოკუმენტები** (საარჩევო კომისიის ოქმები და სხვ.), **რომლიდანაც ნათლად გამომდინარეობს, რომ სააკაშვილს პირველ ტურში არ გაუმარჯვია.** როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი იყენებს ზმნას „ვიცოდი" (ვიცი), ნინო ბურჯანაძე კი მაშინ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო და ინტერვიუში სწორედ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდზე საუბრობს, ეს, როგორც წესი, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ის არა ჭორებს და ხილვებს, არამედ გაცილებით სერიოზულ წყაროებს ეყრდნობა. **კითხვა: „თუ იცოდი, საიდან იცოდი?" და მისი თანმდევი „სად არის დოკუმენტები, რა წერია იქ?" ამ კონტექსტში სავსებით ლეგიტიმური ხდება.**

საკმაოდ საინტერესო ფორმულირებაა „დაჟინებული რჩევები" (რუსულად ეს ჟღერდა როგორც „навязчивые советы"). ეს ერთგვარი შუალედია უბრალო „რჩევებსა" და „ზეწოლას" შორის, თუმცა არსებითად ეს არაფერს ცვლის, თუ „დასავლელმა მეგობრებმა" **(აქ, ალბათ, ლუქსემბურგისა და ლიხტენშტეინის წარმომადგენლებს არ გულისხმობდა)** „იცოდნენ", რომ სააკაშვილს პირველი ტური არ მოუგია და ამის მიუხედავად, ეწინააღმდეგებოდნენ მეორე ტურის გამართვას, მათი მოხსენიება „მეგობრებად" ფრიად უადგილოდ გამოიყურება, მიუხედავად იმისა, თუ რა მოტივები ამოძრავებდა მათ (სტაბილურობის შენარჩუნება და სხვ.). **ნაკლებად სავარაუდოა, ნინო ბურჯანაძემ კონკრეტული „მეგობრების" გვარები ან თანამდებობები დაასახელოს, თუმცა სიტუაცია, ნების-**

**მორალური და, შესაძლოა, სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, თავად ნინო ბურჯანაძეს ეკისრება, რომელიც იმ დროს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა**

**მიერ შემთხვევაში, ამაზრზენი ჩანს. ბურჯანაძის განცხადების მიხედვით, დასავლური ქვეყნების წარმომადგენლები, ფაქტობრივად, აქტიურად უჭერდნენ მხარს არჩევნების შედეგების გაყალბებას და საქართველოს კანომდებლობის დარღვევას, ძნელია ამას, საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის გარდა, რაიმე სხვა უწოდო.**

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა ქცევას ამ კონტაქტების დროს, მას ყველაზე კარგად, ალბათ, სისხლის სამართლის 309-ე მუხლის 1 პუნქტი აღწერს: **„უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე".** ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვნია, თუ რა სახე ჰქონდა ამ სავარაუდო კონტაქტებს დასავლელ პარტნიორებთან: იყო ეს უბრალოდ აზრთა თავისუფალი გაცვლა ლანჩის დროს თუ საუბრები უფრო სერიოზულ ფორმატში, შესაბამისი სტენოგრამებითა და ჩანაწერებით? თუ ბურჯანაძე სიმართლეს ამბობს, გამოდის, რომ საქმე ნამდვილ შეთქმულებასთან გვაქვს, რომლის შედეგად თავზე არალეგიტიმური მმართველი დაგვასვეს.

**ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მორალური და, შესაძლოა, სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, თავად ნინო ბურჯანაძეს ეკისრება, რომელიც იმ დროს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. ამ ინტერვიუში ის საკუთარი თავის წინააღმდეგ ერთგვარ „ჩვენებას" აძლევს და გამორიცხულია, ეს არ ესმოდეს. თუმცა, ამავე დროს, ის სააკაშვილსაც „ძირავს" და ეს შეიძლება კამიკაძის ტაქტიკას შევადაროთ: აფეთქდე, რათა მოწინააღმდეგე გაიყოლო.**

**საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი რადიკალურადაა განწყობილი, მაგრამ მათ შორის სტრატეგიული ალიანსის ჩამოყალიბება ვერა და ვერ მოხერხდა**

## რა მოხდებოდა, თუ...

**მთელ ამ ისტორიას, პოლიტიკურის გარდა, ადამიანური განზომილებაც აქვს. ცხინვალთან დაღუპული ასობით ჯარისკაცი, ათი ათასობით დევნილი, ბავშვები, რომლებიც მშივრები იძინებენ; ავადმყოფები, რომლებიც კვდებიან იმის გამო, რომ მკურნალობის ფული არ აქვთ — მთელი ამ კოშმარის მიღმა, რომელიც ქვეყანაში ბოლო სამწელიწად-ნახევარია სუფევს, კონკრეტული ადამიანების ტრაგედია დგას.**

2008 წლის იანვარში ნინო ბურჯანაძეს პრინციპულობა რომ გამოევლინა და კანონისთვის ეერთგულა, მთელი ეს უბედურება, ძალიან დიდი ალბათობით, არ მოხდებოდა. სამხედროებიც ცოცხლები იქნებოდნენ, სამაჩაბლოს მკვიდრნიც იცხოვრებდნენ თავიანთ სახლებში და, სავარაუდოდ, ამდენი დამშეული და უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანიც არ ივლიდა ქუჩაში; ალბათ, ძნელია იმის გაცნობიერება, რომ შეგეძლო ქვეყნისთვის ყოველივე ეს აგერიდებინა, მაგრამ ვერ მოახერხე. ეს, იდეაში, იმდენად მძიმე ჯვარია, რომ მის ზიდვას მტერსაც კი არ ვუსურვებ.

ყოველივე ეს რაღაცით მაგონებს ერთ ძველ ისტორიას: როდესაც პანდორას (საარჩევნო?) ყუთი გახსნეს, ადამიანებს თავს უამრავი უბედურება დაატყდა, როდესაც დახურეს, მასში მხოლოდ იმედი დარჩა.

**„სამწუხაროდ, მეც** (იგულისხმება „დასავლელ მეგობრებთან" ერთად. — რედ.) **მაშინ არჩევანი სტაბილურობის სასარგებლოდ გავაკეთე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საბედისწერო შეცდომა იყო, რადგან ამ მოჩვენებითმა სტაბილურობამ 2008 წლის აგვისტომდე მიგვიყვანა,"** — თქვა ნინო ბურჯანაძემ ამავე ინტერვიუში. საინტერესოა, მართლაც იდგა თუ არა მაშინ ე.წ. სტაბილურობა რეალური საფრთხის წინაშე?

**ალტერნატიული ისტორია ცოტა მსუბუქი ჟანრი კი არის, მაგრამ, ალბათ, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბურჯანაძე პრინციპულად დაუჭერდა მხარს მეორე ტურის გამართვას, ასი ათასობით ადამიანი, რომელიც მაშინ ქუჩაში იყო გამოსული, დემოკრატიას კბილებით დაიცავდა და იმ მომენტში სავსებით ლეგიტიმურ (ბურჯანაძის) ხელისუფლებას გვერდით დაუდგებოდა.**

**რას გააკეთებდა სააკაშვილი, თუ ნახავდა, რომ ხელისუფლებას კარგავს? თავის მომხრეებს ქუჩაში გამოიყვანდა? საინტერესოა, რამდენი გაჰყვებოდა. შეიარაღებულ ამბოხს მოაწყობდა? მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მისგან ისეთივე სამხედრო ლიდერი გამოვიდოდა, როგორც ნუგზარ წიკლაურისგან — დალაი-ლამა, თანაც ამ შემთხვევაში ის ყოვლად არალეგიტიმური, საზოგადოებისგან მოკვეთილი ფიგურა გახდებოდა.** ცხადია, სავარაუდო დესტაბილიზაციის გამომწვევი ყველა ფაქტორის ჩამოთვლა ასეთ მოკრძალებულ ფორმატში არ გამოგვივა, თუმცა შეიძლება გაჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დესტაბილიზაციის საფრთხობელას იმ მომენტში აქტიურად სწორედ „დასავლელი მეგობრები" იყენებდნენ და გადამწყვეტი ბურჯანაძისთვის სწორედ მათი პოზიცია გახდა.

**სააკაშვილი საკუთარი ძალებით ქვეყნის რამდენადმე მასშტაბურ არევას, ალბათ, ვერ მოახერხებდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დასავლელი პარტნიორები მკაცრად გააფრთხილებდნენ, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. თუმცა პრობლემის არსი, სა-** ▶

**საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულად ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლის ძალითაც აღიარებითი ჩვენება ადამიანის გასამართლების საფუძველი უნდა გახდეს. ეს, მართალია, არ არის სააკაშვილის რეჟიმის „ნოუ-ჰაუ“, რადგან მსგავსი პრაქტიკა ყველა ტოტალიტარული და დიქტატორული რეჟიმისთვის არის დამახასიათებელი.**



www.geworld.net
ტელ: 234-32-95

**ვარაუდოდ, ისაა, რომ უცხოელ „მეგობრებს“ იმ მომენტში არა სტაბილურობა, არამედ სააკაშვილი სჭირდებოდათ.**

ამ მოვლენებიდან შვიდ თვეში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო.

დემოკრატიის პრინციპების უზენაესობაზე მაღალფარდოვან საუბარს თავი რომც დავანებოთ და სიტუაციას პოლიტიკური პრაგმატიზმის გადასახედიდან შევხედოთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ 2008 წლის იანვარში ნინო ბურჯანაძე, ალბათ, მშვენივრად აცნობიერებდა, რომ შეუძლია სააკაშვილი ხელისუფლებას ჩამოაცილოს, თანაც ისე, რომ კანონიც და უამრავი ადამიანის მხარდაჭერაც მის მხარეზე იქნება. პრინციპში, ეს იყო ღია გზა ხელისუფლების მწვერვალისკენ, ჯეკპოტის მოხსნის შანსი, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ გვიღიმის. თუმცა იყო „დაჟინებული რჩევებიც“ დასავლეთიდან. იქნებ ზეწოლაც? ან სულაც მუქარა? შეიძლება ათწლეულები გავიდეს ისე, რომ ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მივიღოთ.

**ფაქტი კი ისაა, რომ თავისი განცხადებით ნინო ბურჯანაძემ აღიარა ის, რომ დიდი ვალი მართებს ქართული საზოგადოების იმ ნაწილის, რომელიც სააკაშვილს საქართველოს პრეზიდენტად არ თვლის.**

ლოგიკას თუ მივყვებით, როგორც მოიყვანა სააკაშვილი მეორე ტურის გვერდის ავლით ხელისუფლების სათავეში, ალბათ, ისევე ლამაზად უნდა წაიყვანოს. საინტერესოა, რას აკეთებს ბურჯანაძე ამ მიმართულებით ბოლო დროს და რა რესურსებს ფლობს.

## И ВНОВЬ ПРОДОЛЖАЕТСЯ БОЙ

ნელი და ერთობ მოუქნელი საინფორმაციო კამპანია, რომელსაც ბურჯანაძე სააკაშვილის წინააღმდეგ 26 მაისის შემდეგ აწარმოებს, მისი ყველა ხარვეზის მიუხედავად, მიზანს გარკვეულწილად მაინც აღწევს. ამას თავად სააკაშვილიც აღიარებს: **„მათ მოაწყვეს ეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, მასკარადი სავალალო შედეგებით თბილისის ცენტრში. მათ მიზანს მიაღწიეს. ჩვენ გარკვეული დროით ნეგატიური ახალი ამბების ზოლში მოვხვდით, რამაც, ალბათ, მორალური კმაყოფილება მოუტანა მათ, ვინც ეს ყველაფერი დაგეგმა“** („Эхо Москвы“). მართალია, სააკაშვილი მეტწილად საუბრობდა (მისი თქმით) **„ადგილობრივი ოპოზიციის რუს სპონსორებზე“** და არა — კონკრეტულად ბურჯანაძეზე, თუმცა მთავარი ისაა, აღიარა, რომ უცხოური მედიის ტონალობა მის რეჟიმზე საუბრის დროს აშკარად უარესობისკენ შეიცვალა. სააკაშვილის ძველი მეგობრები კი იძულებული არიან, რთული სქემები გამოიგონონ იმისთვის, რომ მის ბოლოდროინდელ ქცევას ახსნა მოუძებნონ (ყველაზე სახასიათო ამ მხრივ, ცნობილი ექსპერტის — თომას დე ვაალის ბოლოდროინდელი ვირაჟებია).

ამასთანავე, ბურჯანაძე ასე თუ ისე ახერხებს ძველი კონტაქტების გამოყენებას და ევროპელ პოლიტიკოსებს აქტიურად ხვდება. მათი გაღიზიანება სააკაშვილის ქმედებით კი იზრდება. როგორც ჩანს, სწორედ ევროპელების დაჟინებულმა მოთხოვნამ, 26 მაისის მოვლენების გამოძიება ჩაეტარებინა, უბიძგა სააკაშვილის ხელისუფლებას მიტინგის დარბევის მონაწილე 16 პოლიციელი დისციპლინარული წესით დაესაჯა. ამან 26 მაისის სადისტური დარბევით შეძრწუნებული საზოგადოება, ცხადია, ვერ დაამშვიდა, ხოლო სახალხო დამცველმა ეს სანქციები არასაკმარისად მიიჩნია. თუმცა მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ ყინული დაიძრა და სააკაშვილმა თუნდაც ერთი, მცირე ნაბიჯით უკან დაიხია. რამდენად დიდია ნინო ბურჯანაძის წვლილი სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ მზარდი ნეგატიური განწყობის დამკვიდრებაში, ძნელი სათქმელია, თუმცა მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში ის ნამდვილად ასრულებს.

**ეს „ცვლილებები დასავლეთის ფრონტზე“, რა თქმა უნდა, საინტერესოა, თუმცა მთავარი მაინც შიდაქართული სიტუაციაა; ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ გარე ზეწოლით და ევროპული გაზეთების ნეგატიური სათაურებით, ცხადია, შეუძლებელია. შინ კი საკმაოდ უცნაური სიტუაცია გვაქვს: ნინო ბურჯანაძემ და მისმა მომხრეებმა 26 მაისის შემდეგ სააკაშვილის ყველაზე შეურიგებელი ოპონენტების მანტია მოირგეს, ხოლო ოპოზიციური საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი რადიკალურადაა განწყობილი, მაგრამ მათ შორის სტრატეგიული ალიანსის ჩამოყალიბება ვერა და ვერ მოხერხდა.**

მთავარი პრობლემა, ალბათ, ნდობის დეფიციტია, ხოლო მისი გადაჭრის გზები საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მდებარეობს. თუ პროპაგანდის მთავარი მიზანი ადამიანის დარწმუნებაა, ხოლო რეკლამა მიზნად მასში ამა თუ იმ სურვილის გაღვივებას ისახავს, ნდობის გაძლიერებისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტარს იყენებენ. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რა სტრატეგიას აირჩევს ბურჯანაძე ამ მიმართულებით, მისი პერსპექტივების შეფასება შესაძლებელი მხოლოდ ამის შემდეგ გახდება.

**შესაძლოა, რებუსის გასაღები გულწრფელობაშია; არა კომპრომატების ფრიალში ან ტოტალური სააგიტაციო კამპანიების ჩატარებაში, არამედ ჩვეულებრივ ადამიანურ გულწრფელობაში, რომლის აჩრდილმა „Эхо Москвы“-სთვის მიცემულ ინტერვიუში გაიელვა. თუ ბურჯანაძე მოახერხებს, ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ქვაკუთხედად აქციოს (ეს, სხვათა შორის, არც ისე იოლი ამოცანაა), მისი წარმატების შანსები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაიზრდება.**

**დიმიტრი მონიავა**

# TOP SECRET

## ანუ გამჭვირვალე კანონდარღვევა

**ფოტოაპარატები გადამალეთ, პრეზიდენტი მოდის!.. თუ ვინმეს გაქვთ ფოტოაპარატი და გაგიჩნდათ სურვილი, ფირზე ასახოთ ლამაზი პეიზაჟი, რომელიმე შენობის ინტერიერი ან ექსტერიერი, სიფრთხილე გამოიჩინეთ, რადგან ამას შეიძლება თქვენი „რუსეთუმეობასა და ჯაშუშობაში“ ბრალდება მოჰყვეს და ფოტოაპარატიდან გამოფრენილი „ჩიტის“ საპასუხოდ შსს-ს „ქორებმა“ მოდულის გალიისკენ გაგაქანონ.**

„გამჭვირვალობა“ — ეს არის სიტყვა, რომელსაც ყოველდღე ვისმენთ ტელეეკრანებიდან: ერთის მხრივ, ხელისუფლება თავს იწონებს თავისი „გამჭვირვალე საქმიანობით“, მეორეს მხრივ კი, საზოგადოება მოითხოვს ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობას. სამწუხაროდ, ასეთია თანამედროვე საქართველოს კონტრასტული რეალობა, რომლის ნორმალიზებას წინ ბარიკადად ელობება ხელისუფლების მიერ კანონის უგულებელყოფა და ქვეყანაში არსებული სამართლიანობის დეფიციტი. ამის მიზეზი სააკაშვილის რეჟიმის ავტორიტარული ბუნებაა, რომელიც ძალაუფლებას საზოგადოების დასათრგუნად იყენებს.

**გასული ორი კვირის ყველაზე რეზონანსულ და იდუმალ საქმედ ფოტორეპორტიორების — გიორგი აბდალაძის, ზურაბ ქურციკიძისა და ირაკლი გედენიძის ჯაშუშობის ბრალდებით დაკავება და შემდეგ „აღიარებითი ჩვენება“ იქცა. როგორც იქნა, სააკაშვილის რეჟიმმა სასურველ შედეგს მიაღწია — დაკავებულებმა „დანაშაული“ აღიარეს. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ასევე დაკავებულთა აღიარებითი ჩვენება დასაბუთებული არგუმენტებით არ არის გამყარებული და ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს. უფრო მეტიც, აღრმავებს ეჭვს იმის შესახებ, რომ დაკავებულმა ფოტორეპორტიორებმა ისეთი რამ გადაიღეს, რომლის გავრცელება არა ქვეყნის ინტერესებს, არამედ პირადად სააკაშვილის იმიჯს ზიანს მიაყენებს.**

მაშინ, როცა ხელისუფლების პროპაგანდის იარაღად ქცეული ნაციონალური ტელეარხებით მუდმივად ტირაჟირდება არაფრისმთქმელი ფარული ჩანაწერები და ამავე დროს დაკავებულთა საქმეს ჟურნალისტებისა და დაინტერესებულ პირთათვის გრიფი „საიდუმლო“ დაედო, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **რატომ ცდილობს ხელისუფლება ასეთ რეზონანსულ და სენსიტიურ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციული ვაკუუმის შექმნას?** — გრიფი „საიდუმლოს“ დადებით ხელისუფლება ცდილობს, ხელი შეუშალოს საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

**„თუ იტყვით ყველაზე დიდ ტყუილს და ხშირად გაიმეორებთ, ბოლოს და ბოლოს ხალხი მას ირწმუნებს. ირწმუნებს მანამ, სანამ ხელისუფლება შეძლებს დაფაროს ამგვარი სიცრუის პოლიტიკური, ეკონომიკური და/ან სამხედრო შედეგები... სიმართლე სიცრუის დაუძინებელი მტერია და, მაშასადამე, სიმართლე სახელმწიფოს უდიდესი მტერია,“** — ეს სიტყვები ფაშიზმის იდეოლოგ-პროპაგანდისტ გებელსს ეკუთვნის. როგორც ჩანს, სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი თავისი სულიერი მოძღვრის — გებელსის პროპაგანდისტული თეორიის გამოყენებით ცდილობს, საზოგადოება სიცრუის ტყვეობაში ამყოფოს და დიქტატურის შირმად ქცეული გამჭვირვალე შუშის მიღმა არსებული ბნელი სარკოფაგი უკანონობის ლაბორატორიად აქციოს.

**საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართულად ამკვიდრებს პრაქტიკას, რომლის ძალითაც აღიარებითი ჩვენება ადამიანის გასამართლების საფუძველი უნდა გახდეს.** ეს, მართალია, არ არის სააკაშვილის რეჟიმის „ნოუ-ჰაუ“, რადგან მსგავსი პრაქტიკა ყველა ტოტალიტარული და დიქტატორული რეჟიმისთვის არის დამახასიათებელი, ამიტომ დაკავებული ფოტორეპორტიორების „აღიარებით ჩვენებას“ ზეწოლის, ტერორისა და მუქარის სუნი ასდის, რაც არამც და არამც არ უნდა იქცეს განაჩენის გამოტანის საფუძვლად.

გარდა ამისა, ძნელი დასაჯერებელია იმ ადამიანის ჯაშუშობა და სამშობლოს საზიანოდ მოქმედება, რომელმაც საქართველოსთვის ყველაზე ტრაგიკული წუთები ფირზე ასახა. **გიორგი აბდალაძის მიერ 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს სიცოცხლის რისკის ფასად გადაღებულმა ფოტოებმა შეძრა მსოფლიო და აჩვენა ყველას ის საშინელი ტრაგედია, რაც ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა.**

### „შიში შეიქმს სიყვარულსა“, ანუ მარადიული დუმილი!

ფოტორეპორტიორების დაპატიმრებით „დემოკრატიის შუქურამ“ მორიგი ანტიდემოკრატიული ნაბიჯი გადადგა, რომელიც სიმართლის „შეპყრობას“ ისახავს მიზნად. ასევე, ეს არის გამაფრთხილებელი სიგნალი საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი, „ნაციონალურ“ ცენზურას არდაქვემდებარებული ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ქვეყანაში არსებული ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევასა და საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას, სახელისუფლო ტერორის მიუხედავად, მაინც ახერხებენ.

**ამ სიტუაციაში ყველაზე შემაშფოთებელი მაინც საზოგადოების რეაქციაა, უფრო სწორად — ურეაქციობა, რადგან ხვალ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდეს.**

საქართველოს ხელისუფლება „ჯაშუშომანიითა“ და „სახელმწიფო გადამტრიალებლების“ აღმოჩენისას გადაღებული ფარული ჩანაწერების გავრცელებით იმდენად გაერთო, რომ, თუ ასე გააგრძელა, მალე მძაფრსიუჟეტიანი ფილმების წარმოებით ჰოლივუდის ვეტერან კინოსტუდია „COLUMBIA PICTURES“-საც უკან ჩამოიტოვებს. **როგორც ჩანს, საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება და სანამდე შეიძლება მიიყვანოს ამ მდგომარეობამ. მაშინ, როცა ცივილიზებული ერების მთავარი საზრუნავი კეთილდღეობისთვის და ბედნიერებისთვის ბრძოლაა, ჩვენი, ქართველების, უპირველესი ორიენტირი პირველყოფილ ინსტინქტამდე — გადარჩენამდე არის დაყვანილი, რაც, ერთის მხრივ, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკით, მეორეს მხრივ კი, პოლიტიკური პროცესებისადმი საზოგადოების ინდიფერენტულობითა და კონფორმისტული დამოკიდებულებით არის განპირობებული.**

მიუხედავად ამისა, ქართული საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე ვერ გაუცნობიერებია, რომ კონფორმიზმი და ინდიფერენტულობა კეთილდღეობის გარანტიას არ იძლევა, რადგან ავტორიტარიზმი კერპთაყვანისმცემლობის მსგავსად მუდმივად მსხვერპლს ითხოვს და მსხვერპლთა რიგებში შეიძლება აღმოჩნდეს არა მარტო სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგე, არამედ „ნაციონალურ ძალისუფლებას“ შეგუებული ადამიანები, რომლებისთვისაც „სხვისი ჭირი ღობის ჩხირია“ და რომლებიც უსინდისოდ თვალს ხუჭავენ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ უკანონობაზე. დადგება დრო, როცა ასეთი ადამიანები სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პირისპირ დაუცველნი დარჩებიან და მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. მხოლოდ მაშინ გააცნობიერებენ თავიანთ შეცდომას ჰიტლერის ყოფილ მხარდამჭერ პასტორ მარტინ ნიმიოლერივით, რომელსაც პირადი კეთილდღეობის გამო თავის დროზე ფაშისტებისთვის და მათ მიერ ჩადენილი უსამართლობისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ, როცა მისი ჯერი დადგა, მერე გააცნობიერა ტირანული რეჟიმისადმი შემგუებლობით და სხვის მიმართ ჩადენილი უსამართლობის წაყრუებით რამხელა შეცდომა დაუშვა: **„თავდაპირველად ისინი** (ნაცისტები. — ზ.ჯ.) **გასანადგურებლად კომუნისტებს მიადგნენ, მაგრამ მე ხმა არ ამოვიღე, რადგან კომუნისტი არ ვიყავი. შემდეგ პროფკავშირებს მიადგნენ, მაგრამ არც მაშინ ამოვიღე ხმა, რადგან პროფკავშირელი არ ვიყავი. მერე ებრაელებზე გადავიდნენ, მაგრამ არც მაშინ ვიყვირე, რადგან ებრაელი არ ვიყავი. შემდეგ მომადგნენ მე, მაგრამ უკვე აღარავინ იყო დარჩენილი რომ ხმა ამოეღო“.**

დღეს სახეზეა სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელიც უგულებელყოფს ეკლესიის მესვეურთა თხოვნას, ატერორებს საზოგადოებას, აპატიმრებს უდანაშაულო ფოტორეპორტიორებს და ფეხქვეშ თელავს უზენაეს კანონს — კონსტიტუციას, რათა კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს „ნაციონალური“ ავტორიტარიზმი. ასეთ დროს **ჩვენ, ქართული საზოგადოებრიობა, გავსუსულვართ, როგორც ფუღუროში შემძვრალი ციყვი და ჩვენი გარინდული მდგომარეობით გზას ვუთავისუფლებთ სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს უფრო ამაზრზენი მოქმედებებისკენ. ახლა არის მომენტი, როცა დუმილი დანაშაულის ტოლფასია!**

**ზურაბ ჯამბურია**

**ყველაზე შემაშფოთებელი მაინც საზოგადოების რეაქციაა, უფრო სწორად — ურეაქციობა, რადგან ხვალ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდეს**

პროტესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი მიზანია მათი გათავისუფლება. უკვე ხელმოწერები შევაგროვეთ და თავდებში ვუდგებით გია აბდალაძეს, რომ არ დაემალება გამოძიებას. მაგრამ ახლა ეს ყველაფერი დამოკიდებულია სააკაშვილის ახირებაზე. მას უნდოდა დარბევის ამსახველი ფოტოების თვალიერებით პირადი სიამოვნება მიეღო, მაგრამ მას ეს სიამოვნება ჩამწარდა, რადგან ფოტოები უცხოეთშიც გავრცელდა. მან ეს ვერ გათვალა და ამიტომ ისჯებიან ეს ბიჭები".

**ფოტორეპორტიორების — გიორგი აბდალაძის, ზურაბ ქურციკიძისა და ირაკლი გედენიძის დაპატიმრება, ჟურნალისტების უმრავლესობამ ხელისუფლების მხრიდან მედიაზე ზეწოლის მორიგ მცდელობად აღიქვა, რაც ხელისუფლების წარმომადგენლების ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებმა კიდევ უფრო გაამყარა. მასმედიის წარმომადგენლები დაპატიმრებულების მიმართ სოლიდარობას პერმანენტული აქციებით გამოხატავენ, თუმცა ჟურნალისტებს შორის უკვე აქტუალური გახდა კითხვა: ვინ იქნება შემდეგი?.. „საქართველო და მსოფლიოს" საკუთარ მოსაზრებებს „ალია ჰოლდინგის" პასუხისმგებელი რედაქტორი დიმიტრი ტიკარაძე და ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე უზიარებენ.**






## დიმიტრი ტიკარაძე, „ალია ჰოლდინგის" პასუხისმგებელი რედაქტორი:



# ვაპირებთ ვიდეორგოლების დამზადებას, რომლის ძირითადი „მესიჯი" იქნება შემდეგი: მე ვარ ჟურნალისტი, ესე იგი, მე ვარ ჯაშუში. ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს „დანაშაულს", ჩვენ ვაღიარებთ ჯაშუშობას. თუ მხოლოდ და მხოლოდ აღიარება არის მტკიცებულება, მოვიდნენ და ყველანი დაგვიჭირონ

**— „ალია ჰოლდინგმა" დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების გასათავისუფლებლად აქტიური კამპანია დაიწყო. კონკრეტულად რა მოთხოვნები გაქვთ?**

— ჩვენ ვითხოვთ საქმეზე „გრიფით საიდუმლოს" მოხსნას და დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების თავდებით გათავისუფლებას. მიუხედავად იმისა, ვინ აღიარა და ვინ არა დანაშაული, სოლიდარობის აქციებსა და დაკავებულების მხარდაჭერას ვაგრძელებთ. რადგან ყველამ კარგად იცის, დღეს ჩვენს საპატიმროებში „აღიარება" როგორც ხდება. ვხედავთ, რა ზეწოლის პირობებში არიან დაპატიმრებულები, ამიტომაცაა სწორედ ჩვენი სოლიდარობის აქციის ერთ-ერთი მიზანი, მათ ჩვენი მხარდაჭერა დავანახოთ.

ვაპირებთ ვიდეორგოლების დამზადებას, რომელთა ძირითადი ,,მესიჯი" იქნება შემდეგი: მე ვარ ჟურნალისტი, ესე იგი, მე ვარ ჯაშუში. ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს „დანაშაულს", ჩვენ ვაღიარებთ ჯაშუშობას. თუ მხოლოდ და მხოლოდ ეს აღიარება არის მტკიცებულება, მოვიდნენ და ყველანი დაგვიჭირონ, ვინც ამ კლიპში მივიღებთ მონაწილეობას.

**— აქციებზე გაჩნდა კითხვა: „ვინ იქნება შემდეგი?". არსებობს თუ არა დღეს რეალური ასეთი საფრთხე? ხელისუფლება ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ დაპატიმრებულები საჯარო მოხელეები არიან და თავისუფალ მედიას საფრთხე არ ემუქრება.**

— მართალია, ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ დაპატიმრებულები საჯარო მოხელეები იყვნენ, თითოეული ჩვენგანი კარგად იცნობს ირაკლი გედენიძეს, ზურა ქურციკიძესა და გია აბდალაძეს და ყველამ იცის, რომ ისინი ფოტორეპორტიორები არიან. შეიძლება საზოგადოება მოატყუონ, თითქოს დაპატიმრებულები ჩინოვნიკები არიან და მედიასთან საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით სიმართლე!

შეიძლება ითქვას, — ეს არის მესიჯი ჟურნალისტების წინააღმდეგ. ხვალ და ზეგ ჩვენც მოგვადგებიან და ვერაფერს გავხდებით. ხვალ მე, ჟურნალისტი დიმიტრი ტიკარაძე, რომ დამიჭირონ, ესეც გაუვათ. ამ ხელისუფლებას სჩვევია ასეთი რაღაცები, რამეს ისეთს გააკეთებს, საზოგადოების რეაქციას დააკვირდება და, როცა ბრძოლას მოიგებს, თავისას აგრძელებს.

**— რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტები შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს შეხვდნენ, მაგრამ შეხვედრის შედეგით ბევრი ჟურნალისტი უკმაყოფილო დარჩა.**

— შეიძლება პირდაპირ ამ სიტყვებით ითქვას, ვანო მერაბიშვილი „გვეკაიფა". მე პირადად ამ შეხვედრიდან შედეგს არც ველოდებოდი, უბრალოდ, ჩემთვის, ინფორმაციის თვალსაზრისით, იყო ეს შეხვედრა საინტერესო და გავიგეთ, რომ თურმე მერაბიშვილსა და შს თანამშრომლებს ტელევიზორისთვისაც არ უყურებიათ და ისიც არ იცოდნენ, რომ საქმეს „გრიფით საიდუმლო" ადევს.

**— რატომ იყო დახურული შეხვედრა, რომელსაც მხოლოდ შსს-ს მიერ შერჩეული ჟურნალისტები ესწრებოდნენ?**

— ვფიქრობ, შს მინისტრთან შეხვედრა უნდა ყოფილიყო საჯარო. მას უნდა დასწრებოდნენ ჟურნალისტები და ვანო მერაბიშვილი ვერ გაბედავდა იმის თქმას, რაც გაბედა დახურულ შეხვედრაზე.

**— რამდენად არიან ჟურნალისტები სოლიდარულები ერთმანეთის მიმართ?**

— სოლიდარულები რომ არ ვიყოთ, ამდენიც არ შევიკრიბებოდით, თუმცა გაცილებით მეტი სოლიდარობა გვჭირდება.

**— საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართეთ, მათი მხრიდან თუ მოჰყვა გამოხმაურება?**

— საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ გამოდიან და ხმამაღლა არ ლაპარაკობენ ამის შესახებ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ისინი სერიოზულად არიან ამ საქმით დაინტერესებულნი. სხვადასხვა დიპლომატიური წრის წარმომადგენლისგან ჩვენ გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომ ხელისუფლებაზე სერიოზული ზეწოლა მიმდინარეობს.

## დიტო ჩუბინიძე, „ალია ჰოლდინგის" ჟურნალისტი:



# ვანო მერაბიშვილთან შეხვედრაზე ისეთი ხალხი მივიდა, პირადად მე, დიტო ჩუბინიძე, არც ერთ მათგანს პატივს არ ვცემ. ამ ჟურნალისტების მოტივია გრანტების მოზიდვა და ფულის შოვნა

**— როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა ხელისუფლებას ფოტორეპორტიორების დაპატიმრება?**

— ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ძველი ქართული ანდაზის ჭეშმარიტებას, რომ „მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა — მამაცობასა". კაი ყმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს მთელი ჯაშუშომანია მიხეილ სააკაშვილის მანიაკალურ ვნებებთან რომ არის დაკავშირებული, ცხადია. სამივე ფოტორეპორტიორზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას გია აბდალაძეზე გავამახვილებ, რადგან ჩემი მეგობარი და „ალია ჰოლდინგის" რეპორტიორია. ეს არის უწესიერი და ვაჟკაცური პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცხელ წერტილებში მუშაობდა და სააკაშვილმა პირად შეურაცხყოფად მიიღო, რომ 26 მაისის სასაკლაო, როცა ქუჩაში ეყარა ათობით დასახიჩრებული და დასისხლიანებული ადამიანი, მათ შორის რამდენიმე მიცვალებული, ამ ფოტორეპორტიორებმა გადაიღეს და ეს ყველაფერი მათი წყალობით საერთაშორისო საზოგადოებამ იხილა. სააკაშვილმა შური იძია ამის გამო. გედენიძე მისი პირადი ფოტოგრაფი იყო და მარტო მისი დაჭერა ხელს არ აძლევდა, ეს ყველაფერი რომ შეეფუთათ, ისე აჩვენეს, თითქოს რაღაც აგენტურული ჯგუფი მოქმედებდა.

ჩვენი მიზანია მათი გათავისუფლება. უკვე ხელმოწერები შევაგროვეთ და თავდებში ვუდგებით გია აბდალაძეს, რომ არ დაემალება გამოძიებას. მაგრამ ახლა ეს ყველაფერი დამოკიდებულია სააკაშვილის ახირებაზე. მას უნდოდა დარბევის ამსახველი ფოტოების თვალიერებით პირადი სიამოვნება მიეღო, მაგრამ მას ეს სიამოვნება ჩამწარდა, რადგან ფოტოები უცხოეთშიც გავრცელდა. მან ეს ვერ გათვალა და ამიტომ ისჯებიან ეს ბიჭები. რა გეგმაზე საუბრობენ, ვის რაში აინტერესებს სააკაშვილის „დრაკულას ციხესიმაგრის" გეგმა?

**— ჟურნალისტები შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს შეხვდნენ. შედეგმა კი ჟურნალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

— სია შეადგინა ვანო მერაბიშვილმა და ის ჟურნალისტები შეარჩია, ვინც მას სურდა. ჩვენ არავის დავუპატიჟებივართ შეხვედრაზე. რა შედეგი უნდა მიგვეღო? ისეთი ხალხი მივიდა ვანო მერაბიშვილთან, პირადად მე, დიტო ჩუბინიძე, არც ერთ მათგანს პატივს არ ვცემ, შორენა შავერდაშვილსა და ზვიად ქორიძეს პატივს არ ვცემ.

**— მაგრამ მათი შს მინისტრთან შეხვედრის მოტივი ხომ დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების გათავისუფლება იყო?**

— ამ ჟურნალისტების მოტივია გრანტების მოზიდვა და ფულის შოვნა. ესენი იმ კატეგორიის ხალხია, „არც მწვადს რომ წვავენ და არც — შამფურს"; ხან ვანოს „ეკოკეტებიან" და ხან — თავისუფალ მედიას. აირჩიონ ბოლოს და ბოლოს — ვის „კარში თამაშობენ" და ვის მხარეს არიან.

**— თქვენ გქონდათ ვანო მერაბიშვილთან შეხვედრის სურვილი? იმ ჟურნალისტებისგან განსხვავებით, როგორ მოიქცეოდით, რას ეტყოდით მინისტრს?**

— რომ გითხრათ, მერაბიშვილთან შეხვედრის დიდი სურვილი მქონდა-თქო, ტყუილი იქნება. მას რა უნდა ველაპარაკო? მერაბიშვილის გადასაწყვეტი არ არის ეს საქმე. მას არ დაუჭერია ეს ხალხი. ისინი სააკაშვილმა დაიჭირა. მერაბიშვილი არ წყვეტს ამას, ვინ ეკითხება მას ფოტორეპორტიორების გათავისუფლებას? კაცმა თქვა, არ ვიცი, თუ ჯაშუშები იყვნენ, ახლა გავიგეო.

მაგრამ, ვანო მერაბიშვილს რომ შევხვედროდი, ვეტყოდი, თუ კაცობის ნატამალი შეგრჩენია, გამოუშვი, ხომ იცი, ეს ბიჭები უდანაშაულოები არიან, უპირველესად კი — გია აბდალაძე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სრულიად უდანაშაულოა-თქო.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამივე დაპატიმრებულმა ბრალი აღიარა. ამ შემთხვევაში მაინც გაგრძელდება აქციები?**

— 1937 წელს ყველა დაპატიმრებული საუკეთესო ქართველი აძლევდა აღიარებით ჩვენებებს ბერიას სასამართლოს, გამოძიებისა და პროკურატურის თანამშრომლებს, ეს მხოლოდ ზეწოლის შედეგია. დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მათგანზე ზეწოლა განხორციელდა. მეუღლე იყო დაპატიმრებული და, მოგეხსენებათ, ცოლის ციხეში ყოფნა კაცისთვის რას ნიშნავს. დანარჩენებსაც რაიმე მიზეზს გამოუნახავდნენ.

ჩვენება, რომელიც აბდალაძემ მისცა, მიღებულია უმძიმესი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის შედეგად. ვვარაუდობ, რომ როგორც მას, ასევე მის ოჯახს ყოვლად ამაზრზენი ფორმებით დაემუქრნენ. ვაჟკაცი კაცისთვის კი, მოგეხსენებათ ეს ცოცხლად დამარხვის ტოლფასია და ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, თუ კაცი ხარ, ნებისმიერ დანაშაულს „აღიარებ".

აღსანიშნავია, რომ ეს, ამ ხელისუფლებისთვის, ჩვენების მიღების ერთ-ერთი ჩვეული მეთოდია.

**— რა ფორმით გაგრძელდება ჟურნალისტების ბრძოლა?**

— მშვიდობიან ბრძოლას გავაგრძელებთ. როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება.

მოამზადა
**შორენა ცივქარაშვილმა**

# 451 გრადუსი ფარენგეიტით

„მონანიებაში“ არის ერთი საგულისხმო ეპიზოდიც, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში ნაციონალური არხები ეთერში არ უშვებდნენ. ციხის კარზე მისული ბარათელის ცოლ-შვილი რიგში დგას. ამ დროს კადრში სწრაფად შემოდის ბავშვიანი ქალი: „გამატარეთ, ბავშვიანისთვის ურიგოა!“ და უკვე სარკმელთან მისული ციხის თანამშრომელს პატიმრის გვარს ეუბნება: „სააკაშვილი, მიხეილი“!

პროტესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ათიოდე წლის წინათ ბრიტანულ „ტაიმში“ დაიბეჭდა 80 წლის ტრაუდლ იუნგის ინტერვიუ. ამ იმპოზანტურ ქალბატონთან საუბარი, ალბათ, არავის დააინტერესებდა, რომ არა მისი შრომითი ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი: იგი 1942 წლიდან ჰიტლერის პირადი მდივანი იყო. ფრაუ იუნგი დეტალურად აღწერდა „სხვა ჰიტლერს“, თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც მისი ინტერვიუს დასასრულია:

**„მე მგონი, მივხვდი, როგორ შეძლო ჰიტლერმა ამდენი ადამიანის აყოლიება. ის ამბობდა: „აკეთეთ, რასაც გეუბნებით, პასუხს მე ვაგებ“. ასეთმა პოზიციამ ბევრი მოხიბლა“.**



## აკეთეთ, რასაც გეუბნებით, პასუხს მე ვაგებ!

**„თუ დაინახავთ, რომ ოდნავ მაინც საფრთხე ექმნება მოქალაქის, მით უმეტეს, პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ხელი არ აგიკანკალდეთ და გამოიყენეთ იარაღი და მე ქედს ვიხრი იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც თავისი სიცოცხლის ფასად ჩაატარეს ოპერაციები და მოკლეს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, მოკლეს კრიმინალები, რადგანაც, რომ არ მოეკლათ კრიმინალი, კიდევ უფრო მეტი დანაშაული მოხდებოდა,“** — ეს კი ვანო მერაბიშვილმა განაცხადა საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას 2005 წლის 10 ნოემბერს.

მანამდე იყო სააკაშვილის **„ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში“!**

11 ივლისს კნოლევში კიდევ ერთი ბავშვი დაობლდა. მაღაზიაში შესულ 25 წლის ახალგაზრდა ქალს კარებში გავლილი ტყვია საფეთქელში მოხვდა. გაუბედურებული დედა, რომელსაც გულში ჰყავდა ჩაკრული სულთმობრძავი შვილი, მოატყუეს. **„გამწარებული დედა ვიყავი, სისხლიანი ფეხშიშველი დავრბოდი, სულ დავთხუპნე ჰოსპიტლის კედლები. მცველებს ვეხვეწებოდი, შემიშვით, ჩემი შვილი დამანახეთ-მეთქი. იმედს არავინ მაძლევდა. შემდეგ ერთმა მითხრა: „ნუ გეშინია, გული ამუშავდა, 8-საათიანი ოპერაცია იქნება, აპარატზეა შეერთებულიო“. დაახლოებით ორი-სამი საათის შემდეგ მითხრეს — „იქითა მხარეს გადაიყვანეს, კომპიუტერზე შეაერთებენ და გადაიღებენ, რა ხდებაო“. შემდეგ გარეთ გამომიტყუეს და მითხრეს — „თბილისიდან რეანიმობილი ჩამოვა და თბილისში გადავიყვანთ, იქ აპარატურა მეტიაო“. თბილისში რომ შემოვედით და დიდი დიღმისკენ გადმოუხვიეს, იქ, სადაც ნინოს ქმრის ოჯახია, მაშინ მივხვდი, რომ დაღუპული ვიყავი“.**

მეორე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მეგობრობაში შემჩნეულმა presa.ge-მ ამ ტრაგედიის ამსახველი ინფორმაცია ისე დაიწყო, თითქოს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ქალი კი არ მოეკლათ, არამედ მთავარი ახალი ამბავი მოსახლეობისთვის გადაადგილების შეზღუდვა ყოფილიყო! **„ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარი კვლავ საშიშ ზონად რჩება. საზღვარზე განლაგებული ოკუპანტები საქართველოს მოქალაქეებს საკუთარ ტერიტორიაზე გადაადგილებაში ხელს უშლიან. ხშირ შემთხვევაში კი მოქალაქეები საკუთარი ახლობლების მოსანახულებლად საზღვრის გადაკვეთას ვერ ახერხებენ იმის გამო, რომ ოკუპანტების მიერ „დადგენილ“ წესს ვერ აკმაყოფილებენ“.**

presa.ge-ს შევახსენებთ, რომ ფატი კობერიძე საკუთარ ქალიშვილს ველარასოდეს მოინახულებს და „ოკუპანტების მიერ დადგენილი წესი“ აქ არაფერ შუაშია. მას შვილი მოუკლეს მაღაზიაში და არა საზღვრის გადაკვეთისას. თუმცა presa.ge ვერც მეორე აბზაცში იცლის დაღუპულისთვის და კვლავ საქმის „კერვას“ აგრძელებს: **„ოკუპანტებს რუსეთის ხელისუფლების მიერ მითითებული აქვთ, საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ მოექცნენ ქვეყნის მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით. რუსი ოკუპანტების ქმედებები აგრესიულია მაშინაც კი, როდესაც საზღვართან ახლოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლები იმყოფებიან. ერთი მსგავსი ინციდენტი გუშინ მოხდა“.**

რაც მოხდა, იმას „ინციდენტს“ რომ უწოდებ და თან პირდაპირ სხვისკენ გაიშვერ ხელს, ამას ჟურნალისტიკასთან რა აქვს საერთო? სხვათა შორის იმავე „საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებმა“ სულ სხვაგვარად შეაფასეს მომხდარი: **„მიუხედავად იმისა, რომ მომხდარის დეტალები გაურკვეველია და საქართველოს პოლიციის შემდგომი გამოძიების საგანს წარმოადგენს, საქართველოს შსს-მ მისიას ინფორმაცია მიაწოდა, რომ ეს იყო „შემთხვევითი სროლა“. მათი თქმით, სროლა ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან არ განხორციელებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, მომხდარი იარაღის შემთხვევითი გავარდნის შედეგი იყო“.**

presa.ge კი ამ ინფორმაციას ასე „თარგმნის“: **„სადამკვირვებლო მისია ვერ აკონკრეტებს, თუ ვინ იყო შეიარაღებული პირი — მოქალაქე თუ რუსი ჯარისკაცი. საზღვარზე მხოლოდ რუსი სამხედროები იმყოფებიან და იქ მათი მეთვალყურეობის გარეშე შეიარაღებული ადამიანები ვერ გადაადგილდებიან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ქალბატონის სიცოცხლე სწორედ მათ შეიწირეს“.**

ერთი სიტყვით, მკვლელი (თუნდაც გაუფრთხილებლობით!) ან მოქალაქეა, ან რუსი ჯარისკაცი. იმაზეც მადლობა, რომ ნინო კობერიძეს ტროტილი და ავტომატი არ დაუდეს, რომ მისი მოკვლა ამით გაემართლებინათ, როგორც ეს ვაზაგაშვილისა და რობაქიძის მკვლელობის შემთხვევაში იკადრეს!

თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ გასროლა ქართული პოლიციის პოსტიდან მოხდა. არსებობს ეჭვმიტანილიც. იგი არც სამოქალაქო პირია და არც რუსი ჯარისკაცი. საზოგადოება აღარ ტყუვდება ამგვარი დეზინფორმაციებით. **სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები იმდენად მომრავლდა, რომ, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მათი მიჩქმალვა ველარ ხერხდება. სულ ახლახან კუდ-ის მთვრალმა თანამშრომელმა ორი ახალგაზრდა მოკლა წინანდლის პარკში. ამჯერად დამნაშავეთა დასჯას სამხატვრო აკადემიის რექტორი, ლოიალობით განთქმული გია ბუღაძეც ითხოვს, რადგან ერთ-ერთი გარდაცვლილი მისი სტუდენტი იყო.**

ვერსიის, რომ 26 მაისს, დარბევის შემდეგ ხელებშებორკილი ადამიანები მაღაზიის სახურავზე ავიდნენ და იქ დენმა დაარტყათ, თვით შსს-შიც აღარავის სჯერა, ისევე, როგორც შარშან ზუგდიდში პოლიციელის მიერ მოკლული 60 წლის ნუგზარ მანიას გარდაცვალების ოფიციალური ვერსიისა. პოლიციელები ამტკიცებდნენ, რომ ისინი მეზობელ მამაშვილს აშველებდნენ, მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, პოლიციის თანამშრომელმა გაისროლა და მანიას გარდაცვალება სწორედ ამას მოჰყვა.

თვითმხილველები კი აცხადებენ: **„2 პოლიციელი ბიჭს სცემდა, ის კი ეხვეწებოდა, — თავი დამანებეთ, ისედაც პირობითი სასჯელი მაქვს და ზედმეტი პრობლემები არ მინდაო. ამ დროს სახლისკენ ნუგზარ მანია მოდიოდა. ამ ამბავს ისიც შეესწრო და ბიჭს გამოექომაგა: — რას შვრებით, მხეცები ხომ არა ხართ, რატომ ურტყამთო! — შენს საქმეს მიხედეო, — უკმეხად უპასუხეს და ხელი ჰკრეს. ამასობაში ნუგზარის შვილი მოვარდა და პოლიციელებს წესრიგისკენ მიუთითა. პოლიციელმა ნუგზარს ხელი სახეში გაარტყა, მერე იარაღი ამოიღო, მიუშვირა და პირდაპირ უთხრა, — მოგკლავო. შემდეგ მართლა დაუმიზნა. ნუგზარი ჩაეჭიდა და ჩხუბი დაიწყეს. ამ დროს შელიამ ისროლა და ეს კაცი ჩაიკეცა. ტყვია მუცელში მოხვდა. ამის შემდეგ პოლიციელები უცებ ჩასხდნენ მანქანაში და სწრაფად მოსწყდნენ აქაურობას. ეს კაცი მიწაზე დაჭრილი ეგდო. პოლიციელებს ვიღაც გამვლელმა მიაძახა: — კაცი მოკალით და ახლა საავადმყოფოში წაყვანაც არ გინდათო? შემოაბრუნეს მანქანა და ნუგზარი მანქანაში ჩაასვენეს. მომეჩვენა, რომ პოლიციელი ნასვამი იყო“.**

ამ ერთ ეპიზოდში სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება, მაგრამ პოლიციელებს ხომ უფროსობამ უთხრა: **„ხელი არ აგიკანკალდეთ და გამოიყენეთ იარაღიო“!** ყველაფერი კი 2003 წლის 22 ნოემბერს დაიწყო, როცა „ვარდოვანმა“ რევოლუციონერებმა „უსისხლო რევოლუციის“ მითის დასამკვიდრებლად საგულდაგულოდ მიჩქმალეს დავით საყვარელიძისა და ეთერ წულიაშვილის მკვლელობა. მათ რევოლუციურ ეიფორიაში მყოფი პირები ჯავშანტრანსპორტიორით დაეჯახნენ.

**2004 წელს** ჩატარებულ ხმაურიან სპეცოპერაციებს შეეწირნენ **ოთარ გველუკაშვილი, ანტონ კუკულავა, დიკო ბარქაია, ზაზა ფანცქელაძე, ევგენი და ომეხ აფრასიძეები, ხვიჩა კვირიკაშვილი, ალექსანდრე გომაშვილი, ბუტა რობაქიძე, მურთაზ ქარდავა, თემურ ხუბუნია, სულხან ლომიძე.** 2005 წელს მოკლულთა სია ასეთია: **აკაკი კორკოტაშვილი, ავთო გუმაშვილი, ვახო გუმაშვილი, ვახტანგ მარგოშვილი, ვარლამ ნემსიწვერიძე, ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა, თემურ ცეკვავა, თამაზ კურკუმული, ალექსანდრე თაბაგარი, ხვიჩა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი, გიორგი მანჯავიძე, ლევან გულუა, რეზო სარჯველაძე, ვლადიმერ ხოშტარია.** 2006 წელი: **მურად გორგაძე, რომან სურმანიძე, მარად ართმელაძე, სანდრო გირგვლიანი, გია თელია, ჯემალ ჩაფიძე, ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზი კიზირია, ვალერი ბენდელიანი, ზურაბ ვაზაგაშვილი, საშა ხუბულოვი, მიხეილ ბერძენიშვილი, გელა ცინდელიანი, ხვიჩა კოკაია, ჯაბა ჯაბანიშვილი, ვალერი ფხაკაძე.** 2007 წელი: **მიხეილ კირაკოსიანი, გიგა ჭარბაძე, ალექსანდრე ხოსიტაშვილი, ოლეგ მესხიძე.** 2008 წელი:

თენგიზ გოგია, როლანდ მახარაძე, გიორგი გამცემლიძე, როინ შავაძე, ნატა ჯიჭონაია, ალექსანდრე კვეზერელი, ზურაბ მათნაძე. 2009 წელი: **გია კრიალაშვილი, ჯიმი მეგრელიძე.**

არ კმარა?!

ამ სიიდან ერთ ნაწილს ისე მოუსწრაფეს სიცოცხლე, რომ შვილები არ დარჩენია, მეორე ნაწილის ობლები კი „მონანიების“ გმირის, ქეთევან ბარათელის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელიც მკვდარსაც კი ვერ აპატიებს მამის მოკვლას. თუმცა „მონანიებაში“ არის ერთი საგულისხმო ეპიზოდიც, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში ნაციონალური არხები ეთერში არ უშვებდნენ. **ციხის კარზე მისული ბარათელის ცოლ-შვილი რიგში დგას. ამ დროს კადრში სწრაფად შემოდის ბავშვიანი ქალი: „გამატარეთ, ბავშვიანისთვის ურიგოა!“**

და უკვე სარკმელთან მისული ციხის თანამშრომელს პატიმრის გვარს ეუბნება: **„სააკაშვილი, მიხეილი“!**

ჰიტლერის პირადი მდივანი ციხისა და ბანაკების გამოვლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე: **„მე მგონი, მივხვდი, როგორ შეძლო ჰიტლერმა ამდენი ადამიანის აყოლიება. ის ამბობდა: „აკეთეთ, რასაც გეუბნებით. პასუხს მე ვაგებ“.**

ასეთმა პოზიციამ ბევრი მოხიბლა“.

სულ ახლახან სირიაში მასობრივი უწესრიგობისას ბრბომ 120 პოლიციელი მოკლა. ამ ფაქტს „მასობრივი ჟლეტის“ კვალიფიკაცია მიეცა.

**პოლიციელებო! გაითვალისწინეთ, არც სააკაშვილს და არც მერაბიშვილს არ უთქვამთ, რომ პასუხს აგებენ!**

**ნანა დევდარიანი**

## პოლიციელებო! გაითვალისწინეთ, არც სააკაშვილს და არც მერაბიშვილს არ უთქვამთ, რომ პასუხს აგებენ!

## გარბიან პატიმრებიც და მცველებიც

**მექსიკის ქალაქ ნუევო-ლადროს ციხიდან 59 მსჯავრდებულთან ერთად 5 მცველიც გაიქცა.** უცხოური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გაქცევის დროს ციხის თანამშრომლებმა 3 პატიმარი მოკლეს. გაქცეულ პატიმართა შორის 35 მსჯავრდებული სასჯელს ნარკოტიკების გასაღებასა და შეიარაღებული ბანდფორმირების წევრობისთვის იხდიდა. აღნიშნული ციხე აშშ-ის საზღვართან მდებარეობს და იქ სასჯელს სულ 1200 პატიმარი იხდის. შარშან იქიდან 159 პატიმარმა მოახერხა გაქცევა.



## საელჩოს თანამშრომელმა უკრაინელი ფოტორეპორტიორი სცემა

**უკრაინის ფემინისტური ორგანიზაცია „ფემენის“ წევრებმა ქართველი ფოტორეპორტიორების დაკავება კიევში, საქართველოს საელჩოსთან გააპროტესტეს.** აქციის მონაწილეებს საელჩოს თანამშრომელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა; ასევე ფიზიკურად გაუსწორდა ერთ-ერთ ფოტოკორესპონდენტსაც, რომელიც აქციას აშუქებდა. მომხდარის გამო საელჩომ ბოდიში მოუხადა აქციის მონაწილეებს, ჟურნალისტებსა და უკრაინის საზოგადოებას. ინციდენტში დამნაშავე საელჩოს თანამშრომელი კი სამსახურიდან დაითხოვეს.

**ხსოვნა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეროვნული გამოთაყვანება, კაი ხანია, გვჭირს უკვე. და, საერთოდ, ყველაზე დამღუპველი, რაც ამ ერს, ჭირს, არის ის, რაც ილია ჭავჭავაძემ, რომელსაც არაფერი ესწავლებოდა, „ბედნიერ ერში“ ჩამოგვიყალიბა. ყოველ კედელზე უნდა გავუკრათ ჩვენს ხალხს ეს ლექსი“.**

# კაცი, რომელსაც ძალიან სტკიოდა სამშობლო

**დიდი მწერალი დაკარგა საქართველომ, სიტყვის დიდოსტატი და დიდი პიროვნება — ამქვეყნიდან წავიდა ბატონი ოტია იოსელიანი. სახელგანთქმული შემოქმედი და მართალი კაცი. წავიდა გულნატკენი, რაც, უთუოდ დამეთანხმება ჩვენი ერთგული მკითხველი, იყო საბრალდებო დასკვნა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოტანილი.**



წყალტუბო. 2011 წლის 17 მარტი. ავტორის ფოტო

**«არ მირჩევნია შენი ქება-დიდება, კაი ხასიათი, და — შენც კაი გუნებაზე და მეც კაი გუნებაზე? მაგრამ საქმეა დაქცეული და ქვეყანა არ გვაძლევს ამის უფლებას და საშუალებას, ხომ? ჰოდა, შენ აგიგდია თავი და, საერთოდ, არ აპარტყუნებ ყურს!»**

მკითხველს მივმართავ იმიტომ, რომ მას უთუოდ უნდა ახსოვდეს დიდი მწერლის გულისტკივილი, რომელიც მან, სამშობლოსათვის გულანთებულმა და თავგადადებულმა კაცმა, ჩვეული პირდაპირობით გაგვიზიარა „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომელიც (ახლა ვხვდებით) მისი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიციის ერთგვარი ანგარიშიც იყო და ვაი, რომ — ანდერძიც, ბრძენი ადამიანის დანაბარები მწარე (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №№10-11-12): **„ეროვნული გამოთაყვანება, კაი ხანია, გვჭირს უკვე. და, საერთოდ, ყველაზე დამღუპველი, რაც ამ ერს, ჭირს, არის ის, რაც ილია ჭავჭავაძემ, რომელსაც არაფერი ესწავლებოდა, „ბედნიერ ერში“ ჩამოგვიყალიბა. ყოველ კედელზე უნდა გავუკრათ ჩვენს ხალხს ეს ლექსი“.**

რჩევაც იყო მამაშვილური — პირდაპირი, ჭკუას არიგებდა ადამიანებს, რომელთაც ქვეყნის მართვის პრეტენზია ჰქონდათ, ამბიცია ერის გაძღოლის:

**„სად მიგყავთ ჩვენი ქვეყანა?... კაცო, რას სჩადიხართ? არ გინდათ ხელოვნება, არ გინდათ კულტურა, არ გინდათ ცოდნა, არ გინდათ განათლება, არ გინდათ აზროვნება, არ გინდათ საქმე. აბა, ენას რას ატლიკინებთ?! თქვენ უკან აბრუნებთ ჩვენს ქვეყანას, უკან მიგყავთ, გამოქვაბულში.**

**არა, ბატონო ოტიაო, ჩვენ უკან არა, წინა გამოქვაბულში მივდივართო.**

**— გეშაირებოდათ?**

**— მისი სიტყვებია, არაფერს ვუმატებ! უკანაში ეგენი არიან...“**

ვინ უგდო ყური, ვინ შეისმინა?

**„გითხარი, გითხარი, გითხარი. თუ არ მოგწონს ჩემი ნათქვამი, მაშინ შენ შენი მითხარი და გამოვძებნოთ რაღაცა საშუალო... შენ გეუბნები, შენ! არ მაგდებ არაფრად, სულა? ძაღლი ვარ? ძაღლის ყეფასაც ვაქცევთ ჩვენ ყურადღებას.**

**იქნება, რაცხა დავაშავე? ასე რატომ აგიგდია თავი, შვილო? ამაზე რატომ გელაპარაკები მე შენ — ჩემი სიამოვნებისთვის? ვინც უსიამოვნოს გელაპარაკება შენ, თვითონაც უსიამოვნებას გრძნობს. არ მირჩევნია შენი ქება-დიდება, კაი ხასიათი, და — შენც კაი გუნებაზე და მეც კაი გუნებაზე? მაგრამ საქმეა დაქცეული და ქვეყანა არ გვაძლევს ამის უფლებას და საშუალებას, ხომ? ჰოდა, შენ აგიგდია თავი და, საერთოდ, არ აპარტყუნებ ყურს!“.**

ძალიან უნდა გტკიოდეს საქართველო, ასე რომ ილაპარაკო, საქვეყნო გაჭირვება შენად უნდა მიგაჩნდეს, შეკითხვას — **„ხომ კარგად ხართ, ბატონო ოტია?“,** ასე რომ უპასუხო:

**„— კარგად ვინაა ამ ქვეყანაში? თუ ვინმემ თქვა, კარგად ვარო, ცოტა შორს დაიკავეთ თავი, რამე არ მოგწიოთ“.**

ბატონმა ოტიამ სწორედ ასე დაიწყო თავისი ინტერვიუ, წლევანდელი წლის არცთუ შორეულ მარტში, ადრე გაზაფხულზე, როცა ფურისულას პასტელის ფერების სითბო ეგებებოდა იოსელიანის საბრძანებელს მიახლოებულ სტუმარს.

**ხელისუფლების არც ერთ დიდჩინოსანს არ გადაუბიჯებია ამ სახლის ზღურბლისთვის, სინდისიერების ამ რუბიკონისთვის...**

სმენის დაქვეითება შეეყარა ხელისუფლებას, დიდი სიყრუე, თორემ რა არნახული ძალისხმევა დასჭირდებოდათ, ყურად ეღოთ ქუთაისის მამებს და შეეჩერებინათ 15 წლის წინათ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ბატონ ოტიას ხელით და მისი ინიციატივით გაშენებული ხეივნის გაჩეხვა და ამოძირკვა! რომელიც თურმე ხელს უშლიდა საველოსიპედო სავალი გზის გაყვანის ტუტუცური იდეის განხორციელებას.

პალმებით დამშვენებული გზა — კაპიტალიზმის ნათელი მწვერვალებისკენ...

ამ უგვანობის გამო ინტერვიუში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ 2011 წლის 11 მაისს გამოქვეყნდა და რომელიც, სამწუხაროდ, ბატონ ოტია იოსელიანის უკანასკნელი პუბლიკაცია აღმოჩნდა, ადამიანმა, ვისი დღეებიც თურმე დათვლილი იყო, გულდაწყვეტით თქვა:

**„— ჩვენში სიცოცხლე არაფერი ჰგონიათ... არაფერი არ უნდა არსებობდეს? გავაშენე და ახლა ჭრიან! იყოს ხე გახარებული, ვის უშლის?!“.**

ამათ უშლის, ბატონო ოტია.

ეტყობა, ძალიან უშლიდა ხელს, რადგან ორიოდ დღეში, ისე სწრაფად, როგორც რელიგიებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის ხელმოწერის დაფიქსირება, ქუთაისელმა „ბიჭებმა“ წარმატებით დაასრულეს სამშობლოს საკეთილდღეო შეტევა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გაშენებული ხეივნის წინააღმდეგ.

თბილისში ქიმიოთერაპიის პროცედურაზე მიმავალმა ბატონმა ოტიამ იმ ქუჩის ბოლოს რაღაც სასწაულით გადარჩენილი, მისი ხელით დარგული, ერთადერთი ხისთვის თვალის შევლება მოისურვა: ეგებ ის მაინც დატოვონო სიმბოლოდ თუნდაც, გასახსენებლად.

მეტი არაა თქვენი მტერი — ისიც მოეჭრათ და გაექროთ...

ის პალმებიც რომ ხმება?

**— ვერ ამიხსნიაო, — უთქვამს მაშინ გულდაწყვეტილს, — ამქვეყნად კაცის მოსვლა რა არის, თუ იმას არ დაგიფასებენ, რაც კარგი გაგიკეთებიაო...**

გაიხსენა ეს ფაქტი **ბატონი ოტია იოსელიანის რეფერენტმა თამარ გელოვანმა,** რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ იმ უბედურ დღეს დაუკავშირდა.

თავს ძალა დაატანა და მოგვიყვა დიდი მწერლის უკანასკნელი დღეების ამბავს, ქვითინით, პაუზებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

დღიურიდან ამოხეული ფურცლები დაუმთავრებელი ჩანაწერებით.

**— 28 ივლისს ქიმიოთერაპიის ჩასატარებლად თბილისში რომ მოვდიოდით, თავისი ფეხით ჩამოვიდა კიბეებზე, ვენახს სიყვარულით ხელი შეავლო, კარ-მიდამოს თვალი გადაავლო, თითქოს ემშვიდობებოდა, და ჩაჯდა მანქანაში. გზაში გვითხრა — ეზოში ფაცურა კი შემომეგებაო (ფაცურა მისი საყვარელი ფინია ძაღლია), მაგრამ მაგაზე წინ სხვები შემხვდნენ და რაღაცა, მგონი, კარგ ფეხზე არ მივდივარო.**

**თბილისში რომ შევედით, გონი დაკარგა. შეგვეშინდა, რამე არ მოსვლოდა და სასწრაფოდ მივიყვანეთ ქალიშვილთან — იმიტომ, რომ იქ კიბე არ იყო ასასვლელი, და ხელში აყვანილი შევიყვანეთ.**

**შემდეგ მოვიდა გონზე. ოცდაათში ონკოლოგიურში წავიყვანეთ, თავისით გადმოვიდა მანქანიდან, „ავერსის“ კლინიკაში რომ მივედით, მაგრამ იქ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ რეანიმაციის განყოფილებაშიც არ მიიღეს და გადაგვამისამართეს პალიატიურში.**

**რა ვიცოდი, რას ნიშნავდა პალიატიური.**

**ონკოლოგიურ ცენტრში ამიხსნეს: აქ ვუმსუბუქებთო...**

**აქ როგორ დავატოვებინო, ვიფიქრე, თავისი სული?!**

**იყო იქაც სამი დღე უგონოდ... როგორც კი მოიხედა, ვიძალეთ, წამოვიყვანეთ კატასტროფის ბრიგადით... დიდი თანხა იყო გადასახდელი... რა თქმა უნდა, არ გადაგვახდევინეს... გონზე იყო, უკვე გონზე იყო. სულ გონზე იყო ბოლო წუთამდე. მერე ტკივილები დაეწყო. ბოლო სამი დღე საშინლად გაწამდა, ძალიან გაწამდა, ძალიან...**

**უკანასკნელ დღეს ერთი ის თქვა — აღარ უნდა დამთავრდეს, კაცო, რატომ არა ვკვდებიო...**

**13 ივლისს დაბადების დღე იყო ჩემი, ეს ტრაგედია 14-ში მოხდა... და მეკითხება, ხომ არ შემეშალაო, გუშინ ხომ არ იყო შენი დაბადების დღეო? არა-მეთქი, ბატონო ოტია, დღეს არის. მოვატყუე, რომ არ ეჯავრა. ამ საღამოს თამადა უნდა იყო-მეთქი...**

**მერე... ნახევარი საათის მერე, არაფერი არ უთქვამს, არც ამოუკვნესია, მუშტები მიიჭირა ნიკაპთან. ჩავძახე: — ოტოია, ოტოია! ამომხედა ერთი და თავი გაიქნია... ალბათ — ნუღარ მაწვალებთ, აღარაფერი მეშველებაო... დახუჭა თვალები და წავიდა ასე უთქმელად.**

უსიტყვოდ წავიდა სიტყვის პატრიარქი...

დაუბარებია, ჩემი სახლის ეზოში დამასაფლავეთო, წყალტუბოში. არაერთხელ უთქვამს, რომ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ჩვეულებრივ სასაფლაოდ იქცაო.

ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეს გარდაიცვალა ოტია იოსელიანი.

იმავე დღეს დაურეკიათ: ამერიკიდან პეტრე ხვედელიძეს, მოსკოვიდან — საშა ებანოიძეს, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარ რედაქტორს... ოთარმაც დარეკაო, იოსელიანმა პარიზიდან.

თბილისიდან — არავის.

დარეკავენ, ჩავლენ, პატივს მიაგებენ, რადგან, როგორც ბატონი ოტია იოსელიანი ამბობდა თავის უკანასკნელ ინტერვიუში, **„სიყვარული ყველაფერს გადაარჩენს, რომ გვქონდეს. მაგრამ სიყვარული სახადივით კი არ დაგემართება. სიყვარული არის ნიჭის, ცოდნის, ერთგულების, განათლების, კულტურის, ზნეობის — ყველაფერ ამის ერთობლიობა“.**

ამ სიყვარულით დაემშვიდობა საქართველო დიდ მწერალსა და მამულიშვილს ოტია იოსელიანს.

**არმაზ სანებლიძე**

**სმენის დაქვეითება შეეყარა ხელისუფლებას, დიდი სიყრუე, თორემ რა არნახული ძალისხმევა დასჭირდებოდათ, ყურად ეღოთ ქუთაისის მამებს და შეეჩერებინათ 15 წლის წინათ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ბატონ ოტიას ხელით და მისი ინიციატივით გაშენებული ხეივნის გაჩეხვა და ამოძირკვა!**

**P.S.** ქალბატონმა თამარ გელოვანმა გვითხრა: ვერც წარმოიდგენთ, როგორი სიხარულით ელოდებოდა ბატონი ოტია ოთხშაბათ დღეს, როცა „საქართველო და მსოფლიო“ და ჯანსუღ ჩარკვიანის „ქართული სიტყვა“ უნდა მიეტანათო მისთვის. ბოლო ორი ნომერი დღესაც მის სამუშაო მაგიდაზე დევსო.

ერთგული მკითხველი დაკარგა ჩვენმა გაზეთმა, ყველაფერთან ერთად.

„ფაქტია, რომ რამდენიმე დღის წინათ, 50 ათასი ადამიანი რომ გამოვიდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად, ხელისუფლებამ გადადო ანგარიშსწორება ეკლესიასთან. კი არ დაივიწყა, გადადო.
თუ პროტესტი არის გონივრულად გათვლილი, თანმიმდევრული და ხალხი არ დაიღლება, რაღაც შედეგი ყოველთვის დადგება, რადგან არ არსებობს ხელისუფლება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ანგარიში არ გაუწიოს ხალხის მასას“.

მეცნიერება

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო არის ტერიტორია, რომელიც დასახლებულია ხელისუფლების მომსახურე, მორჩილი ადამიანებით...

**გასული კვირის მღელვარე მოვლენების ფონზე, რამაც ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, ხელისუფლებამ ერთი მავნე და ანტიეროვნული „საქმე“ ისე ჩუმად და ქურდულად გააპარა, რომ თითქმის ვერავინ შეამჩნია, დაინტერესებული ადამიანების გარდა: ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ არაპრიორიტეტულობის მოტივით დაფინანსება შეუწყვიტა ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და კიდევ რამდენიმე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მორიგი დარტყმა მიაყენეს ქართულ მეცნიერებას. „საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარისთვის მიმართა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, უნივერსიტეტის სრულ პროფესორს გუგული მაღრაძეს.**



— ეს ძალიან მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ ვიცით ამ ხელისუფლების დამოკიდებულება ისეთი მეცნიერების მიმართ, რომლებიც არ სჭირდება საკუთარი პიარისთვის და თავის გამოსაჩენად. არადა, ფსიქოლოგია არის მეცნიერების ის დარგი, რომელიც სწორედაც რომ კარგად წარმოაჩენს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ასე მოსწონს ჩვენს ხელისუფალს.

**— მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, ყოველ შემთხვევაში, დილეტანტის გაგებით, რომ ფსიქოლოგია ისეთი ფაქიზი მეცნიერებაა, რომელიც არ არის ჩართული ისეთ უხეშ სუბსტანციასთან უშუალო ბრძოლაში, როგორიც ძალაუფლებრივი სტრუქტურა, ანუ ხელისუფლებაა?**

— პირიქით, კარგი ფსიქოლოგიური წვრთნა ავითარებს ადამიანის გონებას, ცნობიერებას, რაც უნდა სჭირდებოდეს პროგრესით დაინტერესებულ ხელისუფლებას. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მისთვის ნაკლებად საჭიროა გონებაგანვითარებული, მოაზროვნე ადამიანები. ხელისუფლება დაინტერესებულია, ჰყავდეს მორჩილი, კონფორმისტი საზოგადოებრიობა. ფსიქოლოგებს კი იმის კვლევაც შეუძლიათ, თუ რატომ არ არის ხელსაყრელი კონფორმიზმი, კონფორმისტული საზოგადოება, რადგან იგი, როგორც წესი, ვერ აღწევს წარმატებებს, ინოვაციებისთვის დახურულია.

ასე შეიძლება აიხსნას ხელისუფლების ცნობიერი თუ არაცნობიერი დამოკიდებულება მეცნიერების ზოგადად და კერძოდ ფსიქოლოგიის მიმართ. ფინანსები არაფერ შუაშია, რადგან ის კაპიკები, რაც ფსიქოლოგიისა და სხვა ინსტიტუტებისთვის მთელი წლის განმავლობაში იყო გათვალისწინებული, ამათ მიერ მოწყობილი ერთი კონცერტის ნახევარსაც არ უდრის.

**ამისკენ მიდიოდა წლების განმავლობაში ეს ხელისუფლება, შეინარჩუნა, არ მიწყინოს აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კონფორმისტი პრეზიდიუმი, რომელიც, ძირითადად, მას კვერს უკრავს, ხოლო ის, რასაც ეს პრეზიდიუმი უნდა ხელმძღვანელობდეს, ანუ ინსტიტუტები აღარ არსებობს. პრეზიდიუმს ის მოვალეობაღა დარჩა, რომ გუნდრუკი უკმიოს ამ ხელისუფლებას, რომელსაც იგი იმიტომ სჭირდება, რომ ზოგჯერ ხელი გაიშვიროს მისკენ, აი ეს მეცნიერები ჩემ გვერდით დგანანო.**

ისიც სათქმელია, რომ მეცნიერებს ნაკლებად ეხერხებათ თავიანთი უფლებების დაცვა საერთოდ და, განსაკუთრებით, — საქართველოში. ჩვენთან მეცნიერები კი არა, პოლიტიკოსები ვერ იცავენ თავიანთ უფლებებს. ასე არის ამ კერძო შემთხვევაშიც. თანაც ეს ამბავი სხვა, ასე ვთქვათ, სახალხო ტიპის მღელვარებამ გადაფარა, უწინარესად, რელიგიური კონფესიებისთვის საჯარო სამართლის სუბიექტების სტატუსის მინიჭების თემამ.

ეს მზაკვრული ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, განხორციელდება, მაგრამ საქართველოში მაინც არიან ფსიქოლოგები, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტების ფარგლებში რაღაცას მაინც გააკეთებენ.

**— შეიძლებოდა ამ სიტუაციის თავიდან აცილება?**

— შეიძლებოდა, რომ ფსიქოლოგებს, მათ შორის მეც, როგორც კი რყევები დაიწყო, ენთუზიასტების ჯგუფს იმთავითვე დაგვეფუძნებინა შესაბამისი საზოგადოება. ამ საზოგადოების მიერ ჩატარებული კვლევები შეიძლება არ ყოფილიყო იმ დონის, როგორიც სახელმწიფო დაფინანსების პირობებში განხორციელდებოდა, მაგრამ მაინც რაღაც ბირთვის შენარჩუნებას წაადგებოდა. იმედს არ ვკარგავ, რომ დიმიტრი უზნაძის სახელს მაინც შევინარჩუნებთ, საუნივერსიტეტო სივრცეებში გავაგრძელებთ განწყობის თეორიის სწავლებას და არ დავკარგავთ იმ მიღწევებს, რომლებიც ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას აქვს ამ მომენტში.

თავის დროზე, როცა პარლამენტში განათლების კომიტეტში ვიყავი, წინადადება შევთავაზეთ მეცნიერებათა აკადემიას, რათა გადაეჯგუფებინა ინსტიტუტები, დარგები, დისციპლინები, მიმართულებები იმის მიხედვით, თუ რაში ვიყავით ძლიერები, სად გვქონდა კარგი რესურსი, რომელთაც ეფექტიანად განვავითარებდით, და ყველაფრის ცოტ-ცოტა განვითარებაზე არ დავრჩებოდით ორიენტირებულები.

სამწუხაროდ, ასე არ გაკეთდა, და დასჯერდნენ იმ გროშებს, რომლებიც ორი წლის განმავლობაში ინსტიტუტებს გადმოუგდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. არადა, მაშინვე უნდა განგვესაზღვრა, რომ ასე დამთავრდებოდა ყველაფერი.

**— საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებაზე უარის თქმას აქეთ არ მივყავდით?**

— საბჭოთა კავშირის სივრცეში საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარება შედარებით უფრო ადვილი იყო, რადგან არსებობდა სახელმწიფო დაფინანსება. მაგრამ, როცა დამოუკიდებელი ხდება ქვეყანა, მას წარმოექმნება უამრავი პრობლემა, მათ შორის, მეცნიერების ახალი სტრუქტურიზაციის საკითხი, ისევე, როგორც სახალხო მეურნეობის დარგების.

1995-1996 წლებში ამერიკიდან ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის ცნობილი მკვლევარი, რომელმაც ძალიან სერიოზულად შეისწავლა ამ სფეროში შექმნილი მდგომარეობა. ამ კვლევის შედეგად მან დადო დოკუმენტი, რომლის თანახმად ჩვენს სოფლის მეურნეობაში რამდენიმე მიმართულება უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უნდა შეერთებოდა ერთმანეთს და ა.შ. მაშინ ჯერ კიდევ იყო ამ დარგში მატერიალური ბაზა, ადამიანური რესურსი. მაგრამ ეს დოკუმენტი ამოდეს მაუდქვეშ, რადგან არც ერთი ინსტიტუტის დირექტორს არ სურდა „დამოუკიდებლობის დაკარგვა“ და მოახერხეს კიდეც „თავის გადარჩენა“. მათდა სამწუხაროდ, — მხოლოდ დროებით. მაშინ ჩვენ ვერ განვჭვრიტეთ, რომ საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც შეძლებდა მეცნიერებათა ყველა დარგის ისე განვითარებას, როგორც საბჭოთა სინამდვილეში ხდებოდა.

მას შემდეგ მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც სულ სხვა ორიენტაცია აქვს, კი აცხადებს, რომ საქართველოს სჭირდება მეცნიერება, მაგრამ რეალურად არ აქვს ამის განცდა. ცუდი გაგებით ლიბერტარიანელები არიან, ანუ, როგორც ამერიკაში უწოდებენ, „საბაზრო ლიბერალიზმის“ ცრუ მიმდევრები.

**— იმ ლიბერალიზმის, რომელმაც დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა? დღეს ლიბერალებად იწოდებიან ადამიანები, რომლებიც ბაზრის თავისუფლების შეზღუდვისკენ ილტვიან და მხარს უჭერენ გადამეტებული უფლებებით აღჭურვილ სახელმწიფო აპარატს.**

— ეს მთელი ფილოსოფიური მიმდინარეობაა და მასზე მსჯელობა მთავარ თემას დაგვაცილებს.

სასურსათო კრიზისის პირობებში ჩვენი ხელისუფალნი თითქოს მიხვდნენ, რომ ადგილზეც შეგვიძლია რაღაცის წარმოება და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა ცარიელ ლოზუნგად გადმოაგდეს, თორემ სისტემურ მიდგომაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უკეთეს შემთხვევაში, ეს არის პიარზე ორიენტირებული, უარეს შემთხვევაში კი, ისეთი მიმართულებით სვლა, რომელიც საქართველოს იმ ქვეყნების დანამატად აქცევს, რომელთაც ეს ქვეყანა საამისოდ სჭირდება. ამით, ეტყობა, ჩვენი ქვეყნის ხელისუფალი უფრო დიდ მოგებას ნახულობს, თანაც — მოკლე დროში. სერიოზულ განვითარებას კი ხანგრძლივი პერსპექტივა სჭირდება.

კარნეგის ფონდის ექსპერტის — თომას დე ვაალის მიერ შემოთავაზებულ „საქართველოს არჩევანში“ მითითებულია, ევროპას რომ დავუახლოვდეთ, გვჭირდება ხანგრძლივ დროზე გათვლილი, სერიოზული ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფო მშენებლობა და არა — სინგაპურიზაცია, რადგან **არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყო ევროპული ორიენტაციის ქვეყანა და თან აცხადებდე, რომ სინგაპური გაქვს მისაბაძ მაგალითად. ასეთი აბსურდული აღრევები მიზნად ისახავს რაღაც ამწუთიერი მიზნების მიღწევას, უმეტესად ისეთების, რომლებიც ხელისუფალს სჭირდება და ქვეყნისა და ხალხისთვის უსარგებლოა.**

შედეგებს თანდათან ვიმკით და პერსპექტივაში უარესს უნდა ველოდოთ. იმის გამო, რომ, რბილად ვიტყვი, საქართველოში არ არსებობს ორიენტაცია ჭეშმარიტ განვითარებაზე.

**— ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის იმ ინსტიტუტების დაქვემდებარება, რომელთაც რექტორატმა დაფინანსება შეუწყვიტა, ხომ არ ნიშნავდა, რომ ისინი იმთავითვე დასახურად იყო განწირული და ამ არაპოპულარული გადაწყვეტილების გამო პასუხისმგებლობას ხელისუფლება თავიდან აიცილებდა?**

— ცხადია. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ სად უფრო ადვილად შეძლებდა სახელმწიფო თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებას. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო რამდენიმე მიერთებული ინსტიტუტის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება. ილიას უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (მისი ერთი-ორი თანამშრომელიც) რაღაც თანამდებობას კი იშოვის, დანარჩენებმა, როგორც უნდათ, ისე მოუარონ თავს. იმავეს თქმა შეიძლება დანარჩენი ინსტიტუტების შესახებაც.

ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, იქ არსებული მდგომარეობის გამო, იქ უფრო ადვილი გახდა ამ „გენერალური ხაზის“ პრაქტიკულად განხორციელება. ძალიან გამჭვირვალედ ჩანს ეს ყველაფერი.

**რაც მთავარია, ასეთია სახელმწიფოს პოლიტიკა, რომლის ხელმძღვანელ პირებს ვერ წარმოუდგენიათ მეცნიერულ კვლევებზე ორიენტირებული, სამეცნიერო პოტენციალის მქონე ჩვენი სახელმწიფო. მათთვის საქართველო არის ქვეყანა, ტერიტორია, რომელიც დასახლებულია ხელისუფლების მომსახურე, მორჩილი ადამიანებით, რომელთაც თავიანთ გემოზე მართავენ. ოღონდ თვითონ კარგად იგრძნონ თავი და იყოს საქართველო, როგორც ტერიტორიული ერთეული, როგორც „ბანანის რესპუბლიკა“, სადაც 5 პროცენტია მდიდარი, 10-15 პროცენტი — მომსახურე პერსონალი, დანარჩენი კი — ღარიბი მოსახლეობა.**

**— ამ ხელისუფლების ხელში გამოსწორდება მდგომარეობა?**

— თუ ასე, თავის ნებაზე მივუშვით, ცხადია, არ გამოსწორდება. ძნელი კია, რომ სავლე პავლედ გარდაიქმნას, მაგრამ იდეალურ ვარიანტში, თუ ტვინი გაუსხივდებათ, გამორიცხული არ არის. უფრო რეალურია, თუ ხალხის პროტესტი აიძულებს. საზოგადოების კრიტიკული მასის დამოკიდებულება უნდა იყოს საპროტესტო!

**ფაქტია, რომ რამდენიმე დღის წინათ, 50 ათასი ადამიანი რომ გამოვიდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად, ხელისუფლებამ გადადო ანგარიშსწორება ეკლესიასთან. კი არ დაივიწყა, გადადო.**

**თუ პროტესტი არის გონივრულად გათვლილი, თანმიმდევრული და ხალხი არ დაიღლება, რაღაც შედეგი ყოველთვის დადგება, რადგან არ არსებობს ხელისუფლება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ანგარიში არ გაუწიოს ხალხის მასას.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოზიცია

**„სომხეთს თუ არ აქვს პრეტენზია, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენც ანალოგიურ მდგომარეობაში ვიყოთ. რა თქმა უნდა, დიპლომატიურ დონეზე აქაც უნდა ეცადოს ხელისუფლება, წართმეული ტაძრების დაბრუნება მოხერხდეს, მაგრამ, თუ ის არ დაგვიბრუნებს, იმას არ ნიშნავს, რომ არც ჩვენ უნდა დავუბრუნოთ. ამ შემთხვევაში, ჩვენ სომხების წინაშე კი არ ვასრულებთ პირობებს, არამედ იმ ჩვენი დასავლელი და ევროპელი პარტნიორების წინაშე, რომლებიც ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ საკუთარ მოთხოვნებს გვიყენებენ“.**

# თეა თუთბერიძე: მართლმადიდებლობას არანაირი პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს... კონკორდატი სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს

**რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამ ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საზოგადოებისა და საპატრიარქოს უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი ეკლესიასთან შეუთანხმებლად, ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება გახდა. ხელისუფლება, როგორც წესი, ღიად არ გამოხატავს პრეტენზიებს საპატრიარქოსადმი და ნეგატიურ გადაწყვეტილებებსაც, როგორც წესი, ეკლესიისადმი კეთილგანწყობით, ან სულაც დემოკრატიის საერთაშორისო პრინციპებისადმი ერთგულებით ნიღბავს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას, მის იდეოლოგიას მეტწილად თავისუფლების ინსტიტუტი „აშალაშინებს“, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „ვამბობთ „თავისუფლების ინსტიტუტს“, ვგულისხმობთ სააკაშვილს“. თანაც ამ ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი არ იცავს „კონსპირაციის კანონებს“ და ხშირად პირდაპირ საუბრობს იმაზე, თუ რის გაკეთებას გეგმავს ხელისუფლება საპატრიარქოს ზურგს უკან. ვინაიდან საპატრიარქოსთან დაკავშირებით ხელისუფლების დაფარული გეგმები საზოგადოებისთვის საინტერესოა, ამჯერად რესპონდენტად „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერი თეა თუთბერიძე მოვიწვიეთ.**



**«ვერ გეტყვით, სოსო თოფურიძეს მისცეს თუ არა სინოდის სხდომაზე დასწრების უფლება ან — თუნდაც სანაპიროზე წამოწოლის. მე რატომ უნდა მაინტერესებდეს, ის სად დაჯდება და წამოწვება»**

**მას მიაჩნია, რომ სახელმწიფომ გადაწყვეტილების მიღება დააგვიანა, საკითხი საპატრიარქოსთან შეთანხმებული არ უნდა ყოფილიყო. მეტიც, აცხადებს, რომ საპატრიარქოსთან გაფორმებული კონკორდატიც გასაუქმებელია, რადგან ის დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება და მართლმადიდებლობას პრივილეგირებულ მდგომარეობას ანიჭებსო.**

თეა თუთბერიძესთან საუბარს კუპიურების გარეშე გთავაზობთ; თავად გადაწყვიტეთ, ნაჩქარევად მიღებული კანონი, აგრეთვე, სინოდის მოულოდნელი გადაწყვეტილება შეიცავს თუ არა საფრთხეს მართლმადიდებლობისთვის და თავადვე დაასკვენით, რა იქნება ხელისუფლების მორიგი ნაბიჯი.

— ვფიქრობ, რომ საკითხი არათუ ნაჩქარევად გადაწყდა, — აღნიშნული კანონის მიღება დაგვიანებულიც იყო. ვერ ვხვდები, რა შუაშია აქ საპატრიარქო და რატომ უნდა ყოფილიყო საკითხი მასთან შეთანხმებული? **ისევე, როგორც კათოლიკეებს არ უნდა უთანხმებდეს ხელისუფლება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სხვა რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით, ასევე, არ უნდა უთანხმებდეს მართლმადიდებლებს.**

**— თუმცა კათოლიციზმისგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, ამას გარდა, მართლმადიდებლობას ქვეყნის ისტორიაში დიდი წვლილი მიუძღვის. თუნდაც მხოლოდ ამის გათვალისწინებით პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს მართლმადიდებლობას?**

— მართლმადიდებლობას არანაირი პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს, რადგან, თუ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და გვაქვს პრეტენზია, ნატოს წევრი სახელმწიფო გავხდეთ, ქვეყანაში კანონის უზენაესობა დაცული უნდა იყოს. არ შეიძლება განსხვავებული პრივილეგიებით სარგებლობდეს მხოლოდ ერთი რელიგიური მიმდინარეობა. სახელმწიფომ ერთი მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ არის მეორე პრობლემა — კონკორდატი, რომელიც, როგორც იურისტი, მივიჩნევ, რომ არაკონსტიტუციურია, რადგან კონსტიტუციაში წერია, რომ ქვეყანაში ყველა რელიგიური მიმდინარეობა თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყოს, კონკორდატი კი მხოლოდ ერთთან არის გაფორმებული. ასე რომ, კონკორდატი სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს. **მართლმადიდებლობის ისტორიულ როლს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. ამერიკაში ან რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რომ ცხოვრობდეთ და რწმენის გამო გზღუდავდნენ და გჩაგრავდნენ, მოგეწონებოდათ?**

**— თქვენ მიგაჩნიათ, რომ საქართველოში რელიგიური ნიშნით ვინმე იჩაგრება?**

— რა თქმა უნდა, იჩაგრება. თუ ვიღაც სარგებლობს პრივილეგიებით, რითაც მე ვერ ვსარგებლობ, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის მჩაგრავს.

**— სოსო თოფურიძისა და სხვა მაღალჩინოსნების ყოფნა საპატრიარქოში სწორედ იმ დღეს, როცა სინოდს გადაწყვეტილება უნდა მიეღო, არ გაეჭვებთ?**

— **ვერ გეტყვით, სოსო თოფურიძეს მისცეს თუ არა სინოდის სხდომაზე დასწრების უფლება ან — თუნდაც სანაპიროზე წამოწოლის. მე რატომ უნდა მაინტერესებდეს, ის სად დაჯდება და წამოწვება,** თუ ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ყოველ შემთხვევაში, იმის პრეტენზია გვაქვს, რომ დავიცვათ ძირითადი დემოკრატიული პრინციპები. ჩემთვის მთავარია, რას გადაწყვეტს ხელისუფლება და ნაკლებად მაინტერესებს, ვის მიიწვევს სხდომაზე სინოდი ან ვინ მოახდენს მასზე ზეგავლენას.

**— თუ აღნიშნული ცვლილება ასეთი მნიშვნელოვანი იყო, რატომ არ დაუჭირა მას მხარი 13-მა „ნაციონალმა“ დეპუტატმა?**

— ვერ გეტყვით მათ მოტივაციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი პარლამენტარები გვყავს, ბევრმა მათგანმა ისიც არ იცის, თუ როგორ მოხვდა იქ. ასეთების ადგილი პარლამენტში არაა, რეალურად ძალიან ცოტა თუ აკეთებს საქმეს.

**— ეს ყველაფერი დაიწყო სომეხთა პატრიარქის, გარეგინ მეორეს საქართველოში ვიზიტის შემდეგ, რომელსაც, თავის მხრივ, ჩვენმა პატრიარქმაც წაუყენა მოთხოვნები, რაც არ შესრულებულა. როგორ ფიქრობთ, ეს მოთხოვნები მხოლოდ ქართულმა მხარემ უნდა შეასრულოს?**

— ერთმა პატრიარქმა მეორეს რა მოთხოვნები წაუყენა, მათი საქმეა. ამ ყველაფერს ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებ.

**— თქვენ ცოტა ხნის წინათ განაცხადეთ, რომ საქართველომ სხვა რელიგიურ გაერთიანებებს ეკლესიები უნდა დაუბრუნოს. ქართული ეკლესიაც ბევრია მეზობელი ქვეყნების — სომხეთის, აზერბაიჯანისა თუ თურქეთის ტერიტორიებზე, რატომ არ სთხოვთ ხელისუფლებას, წამოჭრას ჩვენი ეკლესიების დაბრუნების საკითხი?**

— ჩემთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რა მოხდება ჩემს სახელმწიფოში, ჩემს ქვეყანაში რამდენად იქნება დემოკრატიული ღირებულებები დაცული. თუ რომელიმე სხვა ქვეყანას, რომელსაც ჩვენი ეკლესიები აქვს მიტაცებული, არ სურს, იყოს დემოკრატიული სახელმწიფო, ეს არაა ჩემი პრობლემა.

**— ანუ გამოდის, რომ საქართველომ მხოლოდ ცალმხრივად უნდა შეასრულოს ვალდებულებები?**

— სომხეთს თუ არ აქვს პრეტენზია, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენც ანალოგიურ მდგომარეობაში ვიყოთ. რა თქმა უნდა, დიპლომატიურ დონეზე აქაც უნდა ეცადოს ხელისუფლება, წართმეული ტაძრების დაბრუნება მოხერხდეს, მაგრამ, თუ ის არ დაგვიბრუნებს, იმას არ ნიშნავს, რომ არც ჩვენ უნდა დავუბრუნოთ. ამ შემთხვევაში, ჩვენ სომხების წინაშე კი არ ვასრულებთ პირობებს, არამედ იმ ჩვენი დასავლელი და ევროპელი პარტნიორების წინაშე, რომლებიც ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ საკუთარ მოთხოვნებს გვიყენებენ. **თუ სომხური მხარე პირობებს არ ასრულებს, არ ნიშნავს, რომ ქართულმა მხარემაც არ უნდა შეასრულოს, თუნდაც ცალმხრივად მოგვიწიოს პირობების შესრულება.**

**— თქვენ მუდმივად აკრიტიკებთ პატრიარქს. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ამით ყურადღების მიპყრობას ცდილობთ. ბევრიც მკაცრად გაკრიტიკებთ. რის მიღწევა გინდათ, მართლა ფიქრობთ, რომ ყველა პრობლემის სათავე საპატრიარქოშია? რას ითხოვთ პატრიარქოსგან?**

— ვინ მაკრიტიკებს, ხომ აქვს მნიშვნელობა? **პატრიარქის მიმართ ჩემი შეფასებები იმიტომ იწვევს ასეთ გაღიზია-** ▶

**«ისევე, როგორც კათოლიკეებს არ უნდა უთანხმებდეს ხელისუფლება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სხვა რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით, ასევე, არ უნდა უთანხმებდეს მართლმადიდებლებს»**

მოკლედ

## ნატო ლიბიას რამადანის დროსაც დაბომბავს

**ნატო ლიბიის დაბომბვებს აგვისტოში მუსულმანების წმინდა დღესასწაულის რამადანის დროსაც გააგრძელებს. ეს განცხადება საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისრმა ალან ჟიუპემ გააკეთა.** „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სამხედრო ზეწოლა აგვისტოშიც გავაგრძელოთ, ვინაიდან სხვა და სხვა არაბული ქვეყნების წარმომადგენელთა განცხადებით, რელიგიური წესები ჩვენს სამხედრო შეჭრას არ ეწინააღმდეგება“, — განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ სამხედრო ოპერაციის პარალელურად აუცილებელია პოლიტიკური დიალოგის წარმოება, რომელიც კადაფის გადადგომის შემთხვევაში ეროვნული შერიგებით დასრულდება.



## უგო ჩავესი სამკურნალოდ ბრაზილიაში მიდის

**ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი სიმსივნითაა დაავადებული და სამკურნალოდ ბრაზილიაში გამგზავრებას გეგმავს.** მოსალოდნელია, რომ მის მკურნალობას სან-პაულოში მდებარე ერთ-ერთ კერძო კლინიკაში დაიწყებენ. თავად კლინიკაში ამ ინფორმაციაზე კომენტარს არ აკეთენ, ჩავესმა კი მიმდინარე კვირას განაცხადა, რომ მას შესაძლოა ქიმიოთერაპია დასჭირდეს.

„რატომ არც ერთხელ არ გააპროტესტა „მხედრიონის“ და სხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ სამოქალაქო ომის პერიოდში მოსახლეობის ძარცვა? ამ ფონზე რატომ გამოხატავდა მხარდაჭერას სამხედრო საბჭოსა და, მათ შორის, ჯაბა იოსელიანის მიმართ და მათთან ერთად ქეიფობდა? რატომ ეწევა საეკლესიო პრესა ქსენოფობიურ, ანტისემიტურ, ანტისომხურ, ანტილიბერალურ, ანტიდასავლურ და პრორუსულ პროპაგანდას?“

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ნებას, რომ ეს ადამიანები ქრისტეზე მაღლა პატრიარქს აყენებენ. მე ვაკრიტიკებ იმას, რაც ხდება საპატრიარქოში და რაზეც პასუხისმგებელი, პირველ რიგში, პატრიარქია. ისინი მართლმადიდებლები კი არა, ილია მეორეს სექტის წევრები არიან.**

ყველა პრობლემის სათავე არ არის საპატრიარქოში, ნაწილის — ხელისუფლებაშია და ზოგისაც — ოპოზიციაში, მაგრამ, სამწუხაროდ, საპატრიარქოში, **ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, ძალიან ბევრი უღირსი ადამიანია თავმოყრილი, რომლებიც მართლმადიდებლობასა და ქრისტეს სახელს საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებენ.**

**სასულიერო პირები არ იხდიან გადასახადებს, მაგრამ სანთლის, ხატების, ჯვრისწერის, ნათლობის ბიზნესით დაწყებული, მიცვალებულისთვის წესის აგებით დასრულებული — ყველაფერში ფულს იღებენ. ეს გზა აბსოლუტურად განსხვავდება ქრისტეს გზისგან. სავაჭრო ცენტრებად და ფულის საჭრელ მანქანებად გადააქციეს ეკლესიები.**

**— სასულიერო პირების უმრავლესობას მრავალშვილიანი ოჯახები ჰყავს, მათ ხომ სჭირდებათ არსებობა?**

— მხოლოდ 2009 წელს საპატრიარქოს 25 მილიონი ლარი გადაერიცხა და მას შემდეგ ეს თანხა კიდევ უფრო გაიზარდა. ამის მიუხედავად, ყოველდღიურად ვხედავთ ტელეეთერით რეკლამებს, სადაც ითხოვენ, ეკლესიის მშენებლობისთვის ერთი ლარით შევეწიოთ. როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს? ხალხს რაც შეეხება, ბევრი არაა გათვითცნობიერებული, რა არის მართლმადიდებლობა. მათთვის რომელიღაც გაუნათლებელი მღვდლის სიტყვას მეტი ფასი აქვს, ვიდრე კანონიკურ სამართალს. მაქვს პრეტენზია იმ უმსგავსობაზე, რაც ეკლესიაში ხდება. **არ მესმის, რატომ აძლევს პატრიარქი პოლიტიკოსებს უფლებას, ეკლესია წინასაარჩევნოდ, მხოლოდ პიარისთვის გამოიყენონ. სანთლების დანთება და ლოცვაც კი გადაიღონ და შემდეგ ეს საარჩევნო სარეკლამო რგოლებში გამოიყენონ.**

ჩვენ გავუგზავნეთ კითხვები როგორც საპატრიარქოს, ასევე ხელისუფლებას და პასუხი დღემდე არ მიგვიღია. საპატრიარქოში განაცხადეს, რომ წერილზე ხელმომწერ 235 ადამიანს საზოგადოების წევრებადაც არ ვცნობთ. პატრიარქს შეეძლო პასუხი გაეცა ჩვენთვის.

ვეკითხები პატრიარქს: იყვნენ თუ არა საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირთა და მაღალ იერარქთა შორის საბჭოთა სუკის აგენტები? რა აკავშირებდა საპატრიარქოს სუკის პოლკოვნიკებთან: გუნიავასთან და რატი ტატიშვილთან? დღემდე რომ იძახის, სტალინი სიზმარში დამესიზმრა და ბოდიში მომიხადაო, ფიქრობს თუ არა პატრიარქი, რომ სტალინი იყო ბოროტმოქმედი და დამნაშავე კაცობრიობის წინაშე?

**1989 წელს, გაზაფხულზე, რატომ არ დარჩა განსაცდელში მყოფი სამწყსოს გვერდით? ის თინეიჯერები, რომლებიც დღეს ფანატიზმში არიან გადავარდნილნი და პატრიარქს იცავენ, არ იციან ეს ფაქტები და არ იციან, რა არის მართლმადიდებლობა, მაგრამ ხალხს ახსოვს სიმართლე.**

**რატომ არც ერთხელ არ გააპროტესტა „მხედრიონის“ და სხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ სამოქალაქო ომის პერიოდში მოსახლეობის ძარცვა? ამ ფონზე რატომ გამოხატავდა მხარდაჭერას სამხედრო საბჭოსა და, მათ შორის, ჯაბა იოსელიანის მიმართ და მათთან ერთად ქეიფობდა? რატომ ეწევა საეკლესიო პრესა ქსენოფობიურ, ანტისემიტურ, ანტისომხურ, ანტილიბერალურ, ანტიდასავლურ და პრორუსულ პროპაგანდას?**

როგორია მისი პოზიცია, სასულიერო პირების კორუფციული საქმიანობის მიმართ? ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, გამართლებულად მიაჩნია ქართველი ეპისკოპოსების მიერ ძვირადღირებული ავტომანქანების (ჯიპების, პიკაპების) და სხვა საჩუქრების მიღება? რა დამსახურებისთვის დააჯილდოვა სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი როლანდ ახალაია წმინდა გიორგის საეკლესიო ორდენით?

**როგორც 1995 წლის საშობაო ეპისტოლეში აღნიშნა, „დასავლეთი არის სამყარო, სადაც ყველაფერი ნებადართულია და სადაც ძალმომრეობა ბატონობს“, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პატრიარქი ეწინააღმდეგება საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას და მის ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებას?**



**«მე ნაკლებად მაინტერესებს, რაზე შეთანხმდნენ სინოდის წევრები და რაზე — ვერა. ჩემთვის საინტერესო არც ისაა, რა საკითხებზე აქვთ მათ ერთნაირი ან განსხვავებული პოზიცია»**

**— რა მტკიცებულებები გაქვთ ასეთ განცხადებებს რომ აკეთებთ?**

**— მაქვს და მათი დიდი ნაწილი უშუალოდ საპატრიარქოდან მოგვაწოდეს, ოღონდ მათ დასახელებას ნუ მომთხოვთ. იქაც არიან ღირსეული ადამიანები.**

**— ღირსეულები, რომლებიც თქვენთან თანამშრომლობენ?**

— თანამშრომლობა რას ნიშნავს? არიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ საპატრიარქოში მიმდინარე პროცესები და მიაჩნიათ, რომ ეს არ უნდა ხდებოდეს.

არც სახელმწიფო და არც ეკლესია ერთმანეთის საქმეში არ უნდა ერეოდეს, არადა, დღეს პირიქით ხდება.

**— რაში გამოიხატება ეს ჩარევა?**

— როდესაც თბილისი-გორის ავტობანის გახსნისას პრეზიდენტი ჯვარს იღებს და ამბობს, რომ ეს ჯვარი აფხაზეთს დაგვიბრუნებსო, ეს არის გაუგებარი. პრეზიდენტი ჯვარს კი არ უნდა მიჩვენებდეს, კონკრეტული გეგმა უნდა წარმოადგინოს, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი. ისე გამოდის, ქადაგებებს პრეზიდენტისგან ვისმენთ, პოლიტიკურ განცხადებებს კი — პატრიარქისგან. პატრიარქი როცა ამბობს, რომ 2008 წლის აგვისტოში თურმე შეცდომა დავუშვით, როცა ქართული ჯარი შევიყვანეთ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეების დასაცავად, ეს უკვე პოლიტიკური განცხადებაა.

**— „თავისუფლების ინსტიტუტი“ არსით ლიბერალური, არაპარტიული ორგანიზაციაა, თუმცა საქართველოში მას საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვს. იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი კრიტიკა ხშირ შემთხვევაში ცალმხრივია? თქვენ უფრო მეტად ლოიალურად ხართ განწყობილი ხელისუფლების მიმართ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბევრი იდეოლოგი და დამფუძნებელი დღეს ხელისუფლებაშია?**

— ჩვენ არ ვართ პოლიტიკური პარტია და ჩვენთვის რეიტინგი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ამისთვის პოპულისტური განცხადებებით გამოვდიოდეთ. მერე რა, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელები ხელისუფლებაში არიან?! ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ყველა ქმედებას მივესალმებით, მაგრამ, ოპოზიციისგან განსხვავებით, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიზანი არ არის, — ყოველთვის და ყველაფერი აკრიტიკოს. უამრავი რეფორმაა გასატარებელი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ხელისუფლება მარტივ, პოპულისტურ გზას ირჩევს ხოლმე, ვინაიდან არჩევნები აქვს მოსაგები.

**— შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის შეთანხმება შედგა, თუმცა გავრცელდა ვერსია, თითქოს სინოდის გადაწყვეტილებას მხოლოდ ოცმა წევრმა დაუჭირა მხარი. ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი, რომ ხელისუფლებასთან დაკავშირებით სინოდის წევრებს შორის ერთიანობა არ არის?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მათ არამარტო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, არც სხვა საკითხებში აქვთ ერთიანობა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, **მე ნაკლებად მაინტერესებს, რაზე შეთანხმდნენ სინოდის წევრები და რაზე — ვერა. ჩემთვის საინტერესო არც ისაა, რა საკითხებზე აქვთ მათ ერთნაირი ან განსხვავებული პოზიცია.** სინოდის დამოკიდებულება არ უნდა ახდენდეს გავლენას სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე.

**— თქვენ აკრიტიკებთ პატრიარქს, თითქოს ის არ სჯის უღირს მღვდლებს, თუმცა, სინოდის გადაწყვეტილებით, სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია შეიქმნება...**

— თუ საპატრიარქო მიიჩნევს, რომ ძალიან ბევრი უღირსი სასულიერი პირია მათ რიგებში და შექმნიან ერთგვარ მაკონტროლებელ შიდა რგოლს, რომელიც სასულიერო პირებს გააკონტროლებს, ძალიან კარგი იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, ვინ იქნებიან კომისიის წევრები, რომლებსაც სხვების ზნეობის შეფასება დაევალებათ.

**— სასულიერო პირები ახალი, ჩიპებიანი პირადობის მოწმობების გაცემას აპროტესტებენ. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია მათი პროტესტი?**

— ეს პროტესტი გამოწვეულია მხოლოდ მათი გაუნათლებლობით, მეტი არაფრით...

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# «ისინი მართლმადიდებლები კი არა, ილია მეორეს სექტის წევრები არიან»

## მსოფლიოში ყველაზე დაცული

**ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ოთხდონიანი ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის შექმნის გეგმა, რომელიც უახლოეს დღეებში ქვეყნის ხელისუფლებას განსახილველად გადაეცემა.** ეს ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემა „საგანგებო სიტუაციებში რეაგირების ნაციონალური გეგმის“ ნაწილია და ის ისრაელს, ნებისმიერი სარაკეტო თავდასხმის შემთხვევაში, მსოფლიოში ყველაზე დაცულ ქვეყნად აქცევს. გეგმის რეალიზაცია, რაც 2015 წლისთვის იგეგმება, ისრაელს 2-2,5 მილიარდი დოლარი დაუჯდება. ქვეყნის თავდაცვით უწყებაში ვარაუდობენ, რომ 2015 წელს ირანს ბირთვული იარაღი და ბალისტიკური რაკეტები ექნება.



## აშშ-მა რადარისთვის ადგილი ვერ იპოვა

**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია, სამხრეთ ევროპის რომელ ქვეყანაში განათავსოს ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის რადარი.** თურქეთში რადარის განთავსების წინააღმდეგ რამდენიმე რესპუბლიკელი სენატორი, მათ შორის ჯონ კაილი და მარკ კირკი გამოდიან. კლინტონისთვის გაგზავნილ წერილში მათ აღნიშნეს, რომ ანკარის მიერ წამოყენებული პირობები არ მოსწონთ, კონკრეტულად კი — ის მოთხოვნა, რომ ამ რადართან დაკავშირებული მონაცემები ისრაელს არ უნდა გადაეცეს.

საქართველო და მსოფლიო
რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიხეილ სააკაშვილი ქართველი ნერონია, ქეიფებსა და ორგიებს გადაყოლილი და სახელმწიფოს ბედი არ აინტერესებს. ხვალ რომ თბილისი გადაწვას და მართლმადიდებლებს დაგვაბრალოს, ნუ გაგიკვირდებათ. თუ ეკლესია მასწავლის, რომ ნერონი ცუდი კაცი იყო, რადგან ქრისტიანებს დევნიდა და ჩაგრავდა, იგივე ეკლესია ჩვენი თანამედროვე ნერონის ქმედებას ტაშით რატომ ხვდება? მრევლი სად წავიდეს, როგორ მოიქცეს? მრევლი ხომ ჩვილ ბავშვს ჰგავს და დედაეკლესიის იმედი აქვს?“**

# მამა ელიზბარი: სახელმწიფოს მართავს ბიჭი, ჩვენს ეკლესიას მართავს შიში!

## «მიხეილ სააკაშვილი ქართველი ნერონია»

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე წმინდა სამების საკათედრო ტაძრის დიაკონი, ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „წმინდა გიორგის სადროშოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა ელიზბარი (დიაკონიძე) გვესაუბრება.**

**— რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამ როგორც საზოგადოების დიდი ნაწილის, ასევე საპატრიარქოს აღშფოთება გამოიწვია. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს კანონი, ეკლესიისა და ქვეყნის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება, ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება რელიგიურ კონფესიებს ქონების გადაცემის უფლებას არ აძლევს. რატომ არის ასეთი საშიში აღნიშნული კანონი?**

— ქართულ, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან სხვა რელიგიური კონფესიების სტატუსით გათანაბრება ქონებრივი უფლებების მინიჭებასაც გულისხმობს. რა თქმა უნდა, კანონში არ ჩაუწერიათ, რადგან სხვა რელიგიური კონფესიები სტატუსით გაუთანაბრდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მათ ახლავე ქონებაც გადავცეთო, მაგრამ დაიმახსოვრეთ, დროთა განმავლობაში ასეც მოხდება. **მარტო სომხურ ეკლესიას 635 ტაძარზე აქვს პრეტენზია. ამას გარდა, როდესაც სხვა რელიგიური კონფესიები რანგითა და სტატუსით მართლმადიდებლობას გაუთანაბრდებიან, ისინი სხვა პრივილეგიებსაც აუცილებლად მოითხოვენ და ეს ხელისუფლებაც, 70 სულგაყიდული ადამიანი რომ გვყავს პარლამენტში, ტაშისკვრითა და სიხარულით მიანიჭებს მათ პრივილეგიებს.**

აღნიშნული კანონი ძალიან ცუდია, პირველი რიგში კი მათთვის, ვინც იგი დაამტკიცა. ჩემი ქვეყნისთვის, იცით, რა არის ცუდი? 70 უგუნური ჭკუისდამრიგებელი რომ ჰყავს, რადგან უჭკუობა იყო ამ კანონზე ხელის მოწერა. **ახლა რომ იძახის რუსუდან კერვალიშვილი, შერისხულთა სიაში ვართო, რისთვის გაიხადეს თავი შესარისხად? რა აკლდათ იმის ფასი, რომ სული გაყიდეს? სხვა რელიგიური კონფესიები ვერასდროს გაუთანაბრდება მართლმადიდებლობას, ის უპირატესია, რადგან მართლმადიდებლობა ჩვენი ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია.**

**— შეიძლება ითქვას, რომ საპატრიარქომ და ხელისუფლებამ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს და ვითარება განეიტრალდა. ვინ დათმო, ხელისუფლებამ თუ საპატრიარქომ?**

**— საპატრიარქომ დათმო და თან ძალიან ცუდად დათმო, შიშით დათმო. ამიტომ ვამბობ ასეთ ფრაზას: სახელმწიფოს მართავს ბიჭი, ჩვენს ეკლესიას მართავს შიში. ძალიან სამწუხაროა, რომ ამის თქმა მიწევს, მერჩივნა, არ მეთქვა, მაგრამ ეს სიმართლეა და არ შემიძლია, არ ვთქვა.**

**13 ივლისს გვსურდა, ყველა ტაძარში ზარები დაგვერეკა და ამით გამოგვეხატა, რომ ყველანი მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდით ვდგავართ. ამას გარდა, გვსურდა, მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ ყოველთვის მზად ვართ დედაეკლესიის დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი საპატრიარქოდან დაიბლოკა. მოძღვრებმა არ დარეკეს ზარი, საპატრიარქოდან კურთხევა არ გვაქვსო.**

ჩინით დაბალი ვარ თუ მაღალი, ამას არ აქვს მნიშვნელობა. ჩინი არ განსაზღვრავს ჩემს ღირსებას. ღირსებას განსაზღვრავს მამულისა და ეკლესიის სიყვარული და თავდადება. ამდენად ზოგიერთ მაღალ იერარქს ნუ ეგონება, რომ მე რადგან დაბალი ჩინის წარმომადგენელი ვარ, ლოცვის უფლება მხოლოდ მათი კურთხევით მეძლევა. ამასთან, ყველამ იცოდეს, მე შეიძლება გავაკრიტიკო, რამე ვთქვა ჩემს ოჯახზე — ეკლესიაზე (რადგან ეკლესია ჩემი ოჯახია), მაგრამ სხვა თუ იტყვის აუგს, აუცილებლად მოვთხოვ პასუხს.

გასულ კვირას, როცა ხალხი სინოდის სხდომამდე ეკლესიის მხარდასაჭერად შეიკრიბა, გამობრძანდა ერთ-ერთი მაღალი იერარქი, მეუფე დანიელი და ბრძანა, უმრავლესობას უნდა დავემორჩილოთო. მესამე დღეს მიიღეს გადაწყვეტილება, უმრავლესობას დამორჩილებოდნენ.

**მინდა ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავავრცელო მასმედიის საშუალებით: რამდენიმე მაღალ იერარქზე „სერიოზული საქმე“ მზადდება, თითქოს ისინი საქართველოს მტრები და აგენტები არიან და მათ დაპატიმრებას აპირებენ. ხმამაღლა ვამბობ: შევაკვდები და მათ თავს არავის დავაჩაგვრინებ.**

**— მამა ელიზბარ, შიში ახსენეთ, ვისი ეშინია საპატრიარქოს?**

— გამოჩნდა, რომ ეშინია. ეს შიში უნდა აღმოიფხვრას, რომელიც ყველა მართლმადიდებელშია დღეს ჩაბუდებული. ჰგონიათ, რომ სწორად მოიქცნენ და ხალხის სისხლი არ დაღვარეს. რა თავში ვიხლი იმ სისხლს, რომელიც სატანის მონობაში უნდა დავხარჯო? სიკვდილის თუ გვეშინია, რა ნამუსით ვამბობთ მაშინ „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი?“ როდესაც ერიდები სისხლის დაღვრას, მაშინ განსაზღვრულიც უნდა გქონდეს, რა დროს არის საჭირო ამ ნაბიჯის გადადგმა. ახლა ზუსტად ეს დროა... როდესაც ანაფორას ვიცვამდი, ვიცოდი რამხელა პასუხისმგებლობა მელოდა წინ. ვის ვემონებით?

**მოვუწოდებ ყველა სასულიერო პირს: გაყიდეთ ეს ჯიპები! ამაზრზენია ამაზე საუბარიც კი. რა გახდა ეს ჯიპი ასეთი, თუ რამე გაქვთ ხელისუფლებისგან მიღებული, გადაყარეთ. დაიბანეთ ხელები. ოღონდ პილატესავით კი ნუ დაიბანთ. გავსუფთავდეთ ყველანი და ხელახლა დავიწყოთ ერის აღზრდა. ქონებას ნუ მისტირიან. ერის გადასარჩენად ეროვნული მოძრაობაა ახლიდან დასაწყები. როცა ერს წმინდა ამბროსი ხელაია, კირიონ საძაგლიშვილი, ილია მართალი გვყავს, ვისი გვეშინია?**

ერთხელ სტალინთან მივიდა ერთ-ერთი მიტროპოლიტი ტიხონი, რომელიც სტალინმა რუსული ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებით დაიბარა და, როდესაც ის სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული გამოცხადდა და არა ანაფორით, სტალინმა უთხრა, როგორც ჩანს, ჩემი უფრო გშინებია ვიდრე ღმერთისო...

**მიხეილ სააკაშვილი ქართველი ნერონია, ქეიფებსა და ორგიებს გადაყოლილი და სახელმწიფოს ბედი არ აინტერესებს. ხვალ რომ თბილისი გადაწვას და მართლმადიდებლებს დაგვაბრალოს, ნუ გაგიკვირდებათ. თუ ეკლესია მასწავლის, რომ ნერონი ცუდი კაცი იყო, რადგან ქრისტიანებს დევნიდა და ჩაგრავდა, იგივე ეკლესია ჩვენი თანამედროვე ნერონის ქმედებას ტაშით რატომ ხვდება? მრევლი სად წავიდეს, როგორ მოიქცეს? მრევლი ხომ ჩვილ ბავშვს ჰგავს და დედაეკლესიის იმედი აქვს?**

ან რას ნიშნავს ეს დადგმული სპექტაკლები? ეკლესიაც ჩაითრია ხელისუფლებამ უკვე ამ თამაშებში! 13 ივლისს სვეტიცხოვლის ტაძარში, სამწუხაროდ, 100 კაცი ძლივს მოგროვდა. არადა, ახლა, როგორც არასდროს, ისე უჭირს დედაეკლესიას. დედა ავად არის. **განაწყენებული ვარ შენზე, პატრიარქო, და ამიტომ შენს ლოცვას არ დავესწრებიო, ასეთი ქმედება მრევლის მხრიდან დიდი სიბრიყვე იყო. ამან ისევ „ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი“. რვა ავტობუსი ხალხი ჩაიყვანა მიხეილ სააკაშვილმა, აჩვენა პატრიარქს, აი, მოგახმარე ხალხი, ჩემზე გახდი დამოკიდებულიო. ისინიც „მიშა-მიშას“ სკანდირებდნენ. არ მახსოვს, ეკლესიის ეზოში ოდესმე „მიშა“ ეყვიროთ, რადგან იქ მლოცველი ხალხი იკრიბება.**

**— გავრცელებული ინფორმაციით, სინოდის 36 წევრიდან, შეთანხმების პირობებს მხოლოდ ნაწილმა დაუჭირა მხარი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, სასულიერო პირებს შორის ერთიანობა არ არის?**

— ამ შემთხვევაში 20 ხმა იყო 17-ის წინააღმდეგ. 20-მა ეპისკოპოსმა მიიღო სავალალო გადაწყვეტილება. ეს არის შიში, როდესაც ვინმეზე დამოკიდებული ხდები, მერე უკვე ნაკლებად გაძლევს ნამუსი საშუალებას, მის შეკვეთას აღარ დაემორჩილო. ასეთი გამოთქმა არსებობს: ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს...

**— წმინდა სინოდის ოქმის მიხედვით, სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია შეიქმნება. რატომ გახდა საჭირო კომისიის ამოქმედება, არსებობს დღეს საპატრიარქოში ამის საჭიროება?**

— წმინდა მამათა შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება დასჭირდა ამ ზნეობრივი ნორმების დადგენას და საინტერესოა, დღეს საპატრიარქოში ან სადმე არის ამ ▶



მოკლედ

### პირველად ისტორიაში — ჩინელი მოადგილე

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე ამ ორგანიზაციის ისტორიაში პირველად ჩინეთის წარმომადგენელს — ჩუ მინს წარადგენენ.** მის კანდიდატურას ფონდის ახალმა ხელმძღვანელმა კრისტინ ლაგარდმა დაუჭირა მხარი. თანამდებობა, რომელსაც ჩუ მინი დაიკავებს, ახალია. ამჟამად მინი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორის სპეციალური მრჩეველია. ადრე ის ჩინეთის სახალხო ბანკში მუშაობდა. ჩუ მინის კანდიდატურას საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭო დაამტკიცებს.

### საქართველოსა და რუსეთს შორის შეთანხმება „შესრულებადია“

**12 ივლისს ვაშინგტონში თბილისსა და მოსკოვს შორის შვეიცარიის შუამავლობით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების კომენტირებისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან რუსეთის საზღვრის გასწვრივ ვაჭრობის გამჭირვალობა შეიძლება იმგვარად იყოს უზრუნველყოფილი, რომ ის ყველასთვის მისაღები გახდეს.** „თუ ჩვენ მსო-ს წესებზე მოვახდენთ კონცენტრირებას და არ გავცდებით ამ წესებს პოლიტიკის მიმართულებით, დიახ, ეს ძალიანაც შესაძლებელია,“ — აღნიშნა მან.

„სომეხ ერთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, მაგრამ დაიმახსოვრონ: მე უპირატესი ვარ, რადგან ქართველი და მართლმადიდებელი ვარ. თუმცა ეს უპირატესობა, რა თქმა უნდა, არ მაძლევს მისი დაჩაგვრის უფლებას. არავითარ შემთხვევაში. მე უნდა ვუპატრონო და მოვეფერო, რადგან მისი უფროსი ძმა ვარ, მაგრამ იმასაც უნდა მიხვდეს, თუ ამ მოფერებაში სამსალას მირევს, დროზე აღმოვფხვრა“.

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «13 ივლისს გვსურდა, ყველა ტაძარში ზარები დაგვერეკა და ამით გამოგვეხატა, რომ ყველანი მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდით ვდგავართ. ამას გარდა, გვსურდა, მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ ყოველთვის მზად ვართ დედაეკლესიის დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი საპატრიარქოდან დაიბლოკა. მოძღვრებმა არ დარეკეს ზარები, საპატრიარქოდან კურთხევა არ გვაქვსო»

**მოვუწოდებ ყველა სასულიერო პირს: გაყიდეთ ეს ჯიპები! ამაზრზენია ამაზე საუბარიც კი. რა გახდა ეს ჯიპი ასეთი, თუ რამე გაქვთ ხელისუფლებისგან მიღებული, გადაყარეთ**

ზნეობრივი ნორმების შემკრები კომისია? ზნეობრივი ნორმებიდან გადახრა როცა დაფიქსირდება, ვინ უნდა დაადგინოს ზღვარი? საინტერესოა, რა ნორმებს გულისხმობს მავანი, როდესაც ამ კომისიას ადგენს? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ვიღაცას კრიტიკა აეკრძალება? და რადგან ყოველთვის დაუფარავად ვიცავ მართლმადიდებლობას და ჩემს ქვეყანას, გამოჩნდება, რომ ამით თურმე ზნეობრივ ნორმებს ვარღვევ? ვფიქრობ, კომისია შესაძლოა ზოგიერთი სასულიერო პირის თავიდან მოსაშორებლად გამოიყენონ.

მე წამოვჭერი ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის იდეა და საინტერესოა, ამის გამოძახილი ხომ არ იყო აღნიშნული კომისიის შექმნა?

**— ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში, მამა პეტრემაც წამოჭრა საკითხი საეკლესიო კრების, ახალი რუის-ურბნისის მოწვევის შესახებ, რომელიც სასულიერო პირებს გააერთიანებს სჯულის კანონის ირგვლივ და მიაღწევს იმ მდგომარეობას, როცა პატრიარქს შეეძლება თამამად უთხრას ქვეყნის მმართველს — „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტეი — ზეცისა, ქუეყანისა და ქუესკნელთაი“...**

— მამა პეტრემაც წამოჭრა ეს იდეა და უკვე ბევრი მეუფე ფიქრობს ამ საკითხზე, მაგრამ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ზნეობრივი ნორმების დამცველმა თუ დამდგენმა კომისიამ კი არ უნდა მოაწყოს, არამედ — ხალხმა. კრება ერის ინციატივით უნდა გაიმართოს.

**სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია მაგონებს სააკაშვილის მიერ მოწყობილ რუის-ურბნისს და მას არაფერი აქვს საერთო დავით აღმაშენებლის რუის-ურბნისთან. ჩვენ გვყავდა წმინდა დავით მეფე აღმაშენებელი, ახლა კი გვყავს დაღმაშენებელი.**

**— რატომ იმყოფებოდნენ საპატრიარქოში ხელისუფლების მაღალჩინოსნები სწორედ იმ დღეს, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად წმინდა სინოდის შეკრება მიმდინარეობდა?**

— ქართული ხასიათიდან და ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, საპატრიარქო სტუმართმოყვარე ადგილია და მის უწმინდესობასთან და მეუფეებთან საამო საუბარს არაფერი სჯობს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მათი საუბრისა და შეგონებების მოსასმენად კი არ დადიან იქ, არამედ იმისთვის, რომ სასულიერო პირები მათზე დამოკიდებულნი გახადონ და აი შედეგიც მოვიმკეთ.

**— მამა ელიზბარ, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები სასულიერო პირებს ხშირად ადანაშაულებენ არმენოფობიასა თუ ანტიდასავლურ კამპანიაში მონაწილეობაში. ახლახან, სხვა სასულიერო თუ საერო პირებთან ერთად, სომხური სათვისტომოს დამფუძნებელმა არნოლდ სტეფანიანმა თქვენც დაგადანაშაულათ და, როგორც ის აცხადებს, საჩივრის შეტანას აპირებს.**

**— მართლა მეცოდება და ჩემი მხრიდან ულირსობა იქნება, მას ვეკამათო. იმ საცოდავ სტეფანიანს, იცით, რას ვეტყოდი? სომეხ ერთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, მაგრამ დაიმახსოვრონ: მე უპირატესი ვარ, რადგან ქართველი და მართლმადიდებელი ვარ. თუმცა ეს უპირატესობა, რა თქმა უნდა, არ მაძლევს მისი დაჩაგვრის უფლებას. არავითარ შემთხვევაში. მე უნდა ვუპატრონო და მოვეფერო, რადგან მისი უფროსი ძმა ვარ, მაგრამ იმასაც უნდა მიხვდე, თუ ამ მოფერებაში სამსალას მირევს, დროზე აღმოვფხვრა.**

სომხებს გაცილებით შორს მიმავალი გეგმები აქვთ. მიადევნონ თვალი სომხურ ვებგვერდებს, სადაც ჩვენზე წერენ. წიგნებს უშვებენ, სადაც წერია, რომ ჩვენ მიტაცებული გვაქვს მათი მიწები. მათ ზღვაზე გასასვლელი სჭირდებათ და მალე განხორციელდება „დიდი სომხეთის გეგმა“. ნახავთ, მომავალში აფხაზეთში სომხური მოსახლეობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე — აფხაზი და ზღვაზე გასასვლელსაც მოიპოვებენ.

**შეიტანოს საჩივარი სტეფანიანმა, თუ ვინმე ვაჟკაცურად დაუხვდა იმ სასამართლოში და თავზე გადაახია ეს სარჩელი, ხომ კარგი. ვის უჩივი? ადამიანს, ვინც გამხილა? მითხარით, „შე სომეხო“, რომ მიმართო კაცს, ეს შეურაცხყოფაა? ქართველს რომ უთხრა იგივე, „შე ქართველოო“, შეურაცხყოფად ხომ არ მიიღებს და ის რატომ იღებს?**

მინდა სწორად გამიგოთ, არავისზე ბოლმით არ ვლაპარაკობ, ყოველთვის ჯერ საკუთარ თავს ვამხელ და მერე — სხვებს... თუ ვინმეზე რაიმეს ვამბობ, მხოლოდ სიყვარულით ვამხელ.

**— „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში თეა თუთბერიძემ განაცხადა, რომ მართლმადიდებლობას ქვეყანაში არანაირი პრივილეგია არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც: კონკორდატიც უნდა გაუქმდეს.**

— ქალბატონი თეა ხომ გახდა თავად დედა? მისი შვილისთვის თავად თეა თუთბერიძე და მეზობლის ქალი ერთი სტატუსით სარგებლობენ? არ არის დედასა და მეზობლის ქალს შორის განსხვავება? ასევეა ჩვენთვის მართლმადიდებლობა. მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი დედაეკლესიაა.

**— მან ასევე განაცხადა, რომ პატრიარქის მხარდამჭერები ილია მეორეს სექტის წევრები არიან...**

— სექტაზე იქით არ მიდის მისი აზროვნება. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეა. მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, თეა თუთბერიძეს დავარქმევთ, დავით პაიჭაძეს, ეკა კვესიტაძეს თუ ვის — ყველანი ერთნი არიან... „ხელის ბიჭებზე“ საუბარი არ გვინდა.

**— 25 მაისს განვითარებულ მოვლენებზე, საზოგადოების ნაწილი საპატრიარქოს მხრიდან უფრო მძაფრ რეაქციას ელოდა...**

**— ზემოთაც ვახსენე, საქართველოს ეკლესიას დღეს შიში მართავს. ეკლესიას ბოლო წლების განმავლობაში საჯაროდ არც ერთი ფაქტი არ დაუგმია. რამდენიმე ხნის წინ ფერიას მთაზე რომ ეკლესია დაანგრიეს, მხოლოდ მაშინ ითქვა, რომ ვთხოვთ ხელისუფლებას, ეკლესიას დაანებოს თავიო. ხელისუფლებას კი არ უნდა სთხოვო, უნდა მოსთხოვო. ის შენს თხოვნას ყურად არ იღებს.**

**— „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოითხოვეს, რას ფიქრობთ მათ ინიციატივაზე?**

— მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება დამღუპველი იქნება. ეს არ უნდა მოხდეს. თუ პარლამენტში ვინმე ეკლესიის გულშემატკივარია და მინდა, იმ 70 სულგაყიდულსაც მოვუწოდო, დაანებონ თავი ზღვაზე ტკბობასა და მზეზე გარუჯვას, სასწრაფოდ მოიწვიონ პარლამენტის სხდომა და მართლმადიდებლურ ეკლესიას დედაეკლესიის სტატუსი მიანიჭონ.

**— რატომ აპროტესტებენ ზოგიერთი სასულიერო პირები ჩიპებიან პირადობის მოწმობებს, რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ეს?**

**— ვიცი, ვინც აპროტესტებს, ე.წ. ანჩისხატის მომლოცველთა ჯგუფი, რომელშიც გადასარევი გულანთებული გოგო-ბიჭები არიან გაერთიანებული, მაგრამ მათ ლიდერთა გამონათქვამები, რომ ჩიპს არ გავიკეთებთო, ჰგავს ასაცრელად მიყვანილი, შეშინებული ბავშვის ტირილს, ჩხვლეტის რომ ეშინია. ჩიპიანი პირადობის მოწმობების გასაპროტესტებლად კი არ უნდა გამოხვიდე ქუჩაში, ერის სულიერი გარყვნა რომ მიმდინარეობს, ამის წინააღმდეგ უნდა იბრძოლო. ერის მომზადებაა საჭირო მისი სულიერების აღსადგენად. სულიერად გაძლიერება გვჭირდება.**

— როგორ უნდა გაძლიერდეს ერი სულიერად?

**— მეუფე იობს დავესესხები, რომელმაც მისთვის ჩვეული სიბრძნით კერძო საუბარში ეკლესია წყაროს წყალს შეადარა, რომელიც ხალხს საარსებო წყალს აწვდის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სათავე დაბინძურებულია და ხალხს ჭუჭყიან წყალს ვასმევთ. სათავე უნდა გავასუფთავოთ, რის ფასადაც არ უნდა დაგვიჯდეს.**

ჩვენ გვაქვს გეგმა, თუ რის გაკეთებასაც აპირებს „წმინდა გიორგის სადროშო“ უახლოეს მომავალში. ამ დღეებში პატრიარქს მივაწვდით წერილს ჩვენი გეგმების შესახებ. ჯერჯერობით წამოვჭერით ორი საკითხი: პირველი. **ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებლობის დასაცავად უნდა გავაათასკეცოთ შრომა და გარჯა, გვაქვს წინადადება, ეკლესიებში ყოველი წირვა-ლოცვა დასრულდეს მახლობელ უბნებში ჯვარ-ხატებით საზეიმო მსვლელობით, კმევითა და ნაკურთხი წყლის პკურებით ქუჩებში, რათა, არათუ ჩვენი გულებიდან, ქუჩებიდანაც გავყაროთ ბოროტი ძალები. ამის შემდეგ აღვავლინოთ ტაძარში პარაკლისი ერისა და მართლმადიდებლობის გადასარჩენად. თუ ზარების რეკვა არ სურთ, ამით მაინც დავანახოთ მტერს, რომ ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და რწმენასა და სამშობლოს არ დავთმობთ.**

მეორე. მაქვს იდეა, მთელი საქართველოს მასშტაბით, მოეწყოს საბავშვო ბანაკები, სადაც ქართველი და არაქართველო ბავშვები დაისვენებენ, ილოცებენ, იშრომებენ და დაეუფლებიან ქართული კულტურისა და ხელოვნების საფუძვლებს. ამ ორი იდეით შევდივართ საპატრიარქოში და ვნახოთ, რა პასუხს მივიღებთ.

**ჩვენი შემდგომი ნაბიჯი იქნება თავისუფლების მოედნიდან ყოვლად უსახური და უგვანი, უღირსი ძეგლის აღება. შემინდოს წმინდა გიორგის მადლმა, მაგრამ მას წმინდა გიორგის ძეგლს ვერ ვუწოდებ, მითუმეტეს, საიდანაც არ უნდა შეხედო, არ ჩანს წმინდა გიორგი — ან ცხენი ჩანს, ან — გველეშაპი. არანაირ კანონიკურ ნორმებში ეს ძეგლი არ ჯდება. ეს არის წმინდანის უპატივცემულობა. როგორც ვიცი, 7კილოგრამი ოქრო დაიხარჯა მის მოსაპირკეთებლად. მაქვს წინადადება, მოვხსნათ ოქრო და ამით ქაშუეთის ტაძრის სახურავი მოვაოქროვოთ.** თავისუფლების მოედანზე თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირების ქანდაკება უნდა იდგეს და არა — წმინდა გიორგის უსახური ძეგლი.

საერთოდ კი, მეფე დავით აღმაშენებლის ან ვახტანგ გორგასლის ძეგლის დადგმა არ ნიშნავს მათთვის პატივის მიგებას. მათი საქმის გაგრძელება უფრო დიდი პატივია წმინდანისთვის, ვიდრე მისი სახიერების გამოხატვა.

**— მამა ელიზბარ, გავრცელდა მოსაზრება, რომ ანტონ კათოლიკოსის ხსენების დღე წმინდა სინოდმა მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს დაამთხვია.**

— ნამდვილად არ ყოფილა ასე. ყოველი დღე რომელიმე წმინდანის ხსენების დღეა და ესეც უბრალო დამთხვევაა, მეტი არაფერი.

**— დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე საეკლესიო გვარდიისა და სადროშოების შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რათა ეკლესიამ საკუთარი ლეგიტიმური უფლებების დაცვა შეძლოს. თქვენ რას ფიქრობთ აღნიშნული იდეის შესახებ?**

**— დიდ პატივს ვცემ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, პატიოსანი კაცია, მაგრამ ბოდიშს მოვუხდი კადნიერებისთვის და შევუსწორებ: სადროშოების შექმნის დრო არ არის ახლა, ეს იგივე იქნება, რაც ჯაბა იოსელიანის „მხედრიონის“ დროს შექმნილი საძმოები. შექმნილია უკვე „წმინდა გიორგის სადროშო“, რომელიც მთელ საქართველოში მოქმედებს. მეუფე იობმა, როდესაც ჩვენი ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეიტყო, დაგვლოცა, გვაკურთხა და გვითხრა, რომ წმინდა გიორგის დროშის ქვეშ უნდა გაერთიანდეს ყოველი ქართველიო და, თუ სურვილი აქვთ, შემოუერთდნენ. თუ ვინმე ღირსეული გამოჩნდება, სიამოვნებით დავუთმობ მედროშეობას. კერძო ორგანიზაცია კი არ გვაქვს, რომელშიც არავის ვუშვებთ. ჩვენი სადროშოს წესდების მუხლები მთლიანად ეყრდნობა მისი უწმინდესობის ქადაგებებსა თუ ეპისტოლეებს. არის უკვე ორგანიზაცია და ახლის ძიება აღარ არის საჭირო.**

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

მოკლედ

## პოლიტიზირებული დემონსტრაცია — გაეროს გენასამბლეაზე

**გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთიდან დევნილების შესახებ მორიგი ქართული პროექტის გამოტანა და კენჭისყრა ამ ქვეყნების უშუალო მონაწილეობის გარეშე ხდება, რაც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა ჰუმანიტარული ჯგუფის მუშაობას ართულებს.** აღნიშნული შეფასება დაფიქსირდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — გრიგორი კარასინისა და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარეების შეხვედრის შედეგად გაკეთდა.

## საპატიო მესამე ადგილი რუსეთის მტრების ნუსხაში

**ფონდ „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, საქართველო იმ ქვეყანათა სამეულში შევიდა, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეები მტრული ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნებენ.** ნომერ პირველ მტრად რუსეთის მოქალაქეები კვლავინდებურად აშშ-ს მიიჩნევენ. გამოკითხულთა 26% თვლის, რომ ვაშინგტონი მოსკოვის მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეა. აშშ-ის შემდეგ რუსეთის მოქალაქეებს ყველაზე მეტად ჩინეთის ეშინიათ. მესამე ადგილზეა საქართველო (5%).

მედია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ გავითვალისწინებთ მედიასივრცეში არსებულ აქტუალურ პრობლემებს მედიისა და ჟურნალისტების თავისუფლების, მისი ობიექტურობის და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისთვის, აუცილებელი ხდება მედიის მხარდამჭერი საზოგადოებრივი-წარმომადგენლობითი ფონდის შექმნა, სადაც საზოგადოების, ბიზნესის, პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლობისა და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა იგულისხმება“.

# ჟურნალისტი მანიფესტაციაში მონაწილისგან კანონით გაიმიჯნა

**როგორც ცნობილია, ამასწინათ პარლამენტმა „მანიფესტაციებისა და შეკრებების კანონში“ ცვლილებები მესამე მოსმენით დაამტკიცა. კანონით განისაზღვრა, რომ „შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, ხელი არ შეუშალონ მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში, რომლებიც აშუქებენ შეკრებას ან მანიფესტაციას“. პასუხისმგებლობა ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნულთან დაკავშირებით, „ჯეონიუსი“ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარეს ჰამლეტ ბებიას ესაუბრა.**



**— როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ საკითხებთან დაკავშირებით, არაერთი სერიოზული განცხადება გამოქვეყნდა, მნიშვნელოვანი იყო თქვენი შეფასება, რომელიც 2009 წელს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შემდეგ გაკეთდა (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ №18, ). ფაქტია, რომ თქვენი ინიციატივა საკანონმდებლო დონეზე 3 წლის შემდეგ დამტკიცდა.**

— გარდა ორი მუხლისა, სასამართლო პროცესზე ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის წყაროს არდასახელებისა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი მუხლისა, ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლის შესახებ, რომელიც 2003 წლის შემდეგ იქნა მიღებული, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის შემდეგ პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოს პარლამენტმა ჟურნალისტთა მხარდამჭერი მუხლი მიიღო. ამ კანონის მიღების შემდეგ აუცილებელი ხდება ჟურნალისტის პროფესიის იურიდიული განსაზღვრა, თუ ვინ არის ჟურნალისტი. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დგება ჟურნალისტების შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობის დაზღვევის საკითხი. **თუ გავითვალისწინებთ მედიასივრცეში არსებულ აქტუალურ პრობლემებს მედიისა და ჟურნალისტების თავისუფლების, მისი ობიექტურობის და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისთვის, აუცილებელი ხდება მედიის მხარდამჭერი საზოგადოებრივი-წარმომადგენლობითი ფონდის შექმნა, სადაც საზოგადოების, ბიზნესის, პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლობისა და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა იგულისხმება.** თუ პარტიები ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, რაც სამართლიანად გაიზარდა კიდეც, რატომ არ უნდა ზრუნავდეს ხელისუფლება დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მედიავექტორზე — მის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე. უმნიშვნელოვანესია დამოუკიდებელი მედიაფონდების შექმნა რეგიონებში.

**სასურველია მედიის თვითრეგულირების საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით, მომავალში მედიასაბჭომ შეიმუშაოს ერთიანი, სტანდარტული მაიდენტიფიცირებელი მოწმობა**

**— მიღებული კანონპროექტის მიხედვით, აქციის მონაწილეებისგან ჟურნალისტები სპეციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნით გაიმიჯნებიან. უფრო კონკრეტულად რას გულისხმობს აღნიშნული?**

— პარლამენტმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა, როდესაც კანონის საფუძველზე აქციებში საერთოდ გაიმიჯნა ჟურნალისტი მანიფესტაციაში მონაწილეებისგან. სამართალდამცავ ორგანოებს, აქციის მონაწილესა და რიგით მოქალაქეებს, იმედია, აღარ აერევათ, მოქალაქე-ჟურნალისტთან აქვთ საქმე თუ პროფესიული მოვალეობის შემსრულებელ ჟურნალისტთან. აღსანიშნავია, რომ მედია საშუალებებისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტების შემოსავალი მწირია და უჭირთ საკუთარი თავის დაფინანსება. დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია მათი ფინანსური დამოუკიდებლობა, რაც, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მოსახლეობის მყიდველუნარიანობის გამო სრულყოფილი არ არის.

**— რამდენად შეეხება აღნიშნული ცვლილება ე.წ კონტროლირებადი მედიასაშუალებების ჟურნალისტებს?**

— კანონმდებლობა, სახელმწიფო და საზოგადოება ხელს უნდა უწყობდეს ჟურნალისტების ობიექტურობას, პროფესიონალიზმსა და მოსახლეობის თვალში მათი ავტორიტეტის ამაღლებას. აუცილებელია სამი ვექტორისა და ჟურნალისტების აქტიური მონაწილეობა, რათა შეიქმნას ქმედითი მექანიზმები დემოკრატიული მედიაველის გასაუმჯობესებლად.

**— აღნიშნულიდან გამომდინარე მედიის თვითრეგულირების საკითხი საკმაოდ აქტუალურია... ამასთან, ჟურნალისტების მაიდენტიფიცირებელი ნიშანი გარკვეულ კითხვებს ბადებს, მით უფრო ყალბი — უკანონო პრესის მოწმობის დამზადება დღეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს...**

— სავსებით გეთანხმებით, მსგავსი შეუსაბამოებები რომ არ წარმოიშვას, **სასურველია მედიის თვითრეგულირების საფუძველზე ურთიერთშეთანხმებით, მომავალში მედიასაბჭომ შეიმუშაოს ერთიანი, სტანდარტული მაიდენტიფიცირებელი მოწმობა, სადაც ყველა მედიასაშუალების კონკრეტული წარმომადგენლობა აისახება და სასურველი გახდება, რომ ერთიანი სტანდარტული ფორმა წარდგენილი იყოს, როგორც სახელმწიფო უწყებებში, ასევე ცნობადი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის.** აღნიშნული მაიდენტიფიცირებელი ნიშანი გაზრდის ჟურნალისტების უსაფრთხოებას, მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას და ნაკლებად შესაძლებელი იქნება მისი გაყალბება.

თქვენი მედიასაშუალების მეშვეობით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ დეპუტატს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქართული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას — ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის დაცულობას და უსაფრთხოებას.

ესაუბრა
**დავით ჯაბაშვილი**



**აუცილებელია სამი ვექტორისა და ჟურნალისტების აქტიური მონაწილეობა, რათა შეიქმნას ქმედითი მექანიზმები დემოკრატიული მედიაველის გასაუმჯობესებლად**

## რატომ უნდა გარიყოს პარტიებმა საზოგადოება და აქციოს მხოლოდ საარჩევნო ხმად...

**დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტალური საფუძველი თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებია, რომელსაც განაპირობებს შესაბამისი კანონები, ამომრჩეველთა კულტურა, გარემო და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პროფესიონალიზმი. საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება. თუ ნებისმიერი პარტია არ გამოხატავს და არ ასახავს გარკვეული ფენის, სოციალური ჯგუფის საქმიანობის ფართო ინტერესებს, სრულფასოვან პარტიად ვერ აღიქმება. შეუძლებელია, რომელიმე პარტია მთლიანობაში ყველას ინტერესებს გამოხატავდეს, ასეთი პარტია ბუნებაში არ არსებობს.**

პარტიებს უნდა აყალიბებდნენ არა კონკრეტული პიროვნებები თავიანთი სურვილების მიხედვით, არამედ მოსახლეობის ფართო ფენების, დიდი სოციალური ჯგუფების ინტერესები. პარტიული სუბიექტების მიმართ საზოგადოების უნდობლობამ იმატა, რაც საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის არ არის კარგი. ყოველივე ამას ხელს უწყობს პარტიების არაკომპეტენტურობა, მცდელობა — საზოგადოებაში დაამკვიდრონ პარტიების „დიქტატურა“, შიგნით კი — ლიდერომანია, რაც დამატებით ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს ამომრჩეველში. პარტია, რომელიც მოსწყდება საკუთარი ამომრჩევლის ინტერესებს და დაუსაბუთებელი დაპირებებითა და დემოკრატიული ლოზუნგებით იწყებს ხელისუფლებაში მოსვლაზე ფიქრს, მოსახლეობის პატივისცემას არ იმსახურებს. როგორ შეიძლება ეგრეთ წოდებულმა კვალიფიციურმა პარტიებმა ხელისუფლებასთან ერთად საზოგადოებისა და ამომრჩევლების გარეშე იმსჯელონ და თანაც გადაწყვიტონ, თუ რა სჭირდება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას.

როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, საქართველოში მოღვაწე პარტიების დიდი ნაწილი, ხელისუფლებაში მოსვლის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს მოირგოს ამომრჩეველთა ხმა, რაც ყოვლად მიუღებელია და როგორც ყოველთვის კრახით მთავრდება. დაუშვებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში პარტიული დიქტატი, სახელისუფლო იქნება თუ ოპოზიციური. გაუგებარია, რა დააშავა ქართულმა საზოგადოებამ ისეთი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საეთერო და საგაზეთო სივრცის უდიდესი ნაწილი პარტიულ რიტორიკასა და საზოგადოებისთვის არაფრისმთქმელ შეგონებებს ეთმობა.

საქართველოს სერიოზული პრობლემაა საზოგადოების, მოქალაქეების უსაზღვრო პოლიტიზირება და ყოველივე ეს იმიტომ, რომ ნებით თუ უნებლიეთ ისეთი გარემო შევქმენით, სადაც პოლიტიკოსობა მიმზიდველი, მომგებიანი, სარფიანი პროფესიაა, თუ დიდი ფულის შოვნა გინდა ან დიდი ხელფასი გქონდეს, „კვალიფიციური პოლიტიკოსი“ უნდა იყო და მნიშვნელობა არა აქვს, რომელ მხარეს იქნები.

**სირცხვილია და არ შეიძლება დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიტიკური ნარცისიზმის დანერგვა, არც ერთ პარტიას არ აქვს ჩვენი მოსახლეობის წინაშე საკეკლუცოდ საქმე. მედია ხელს უნდა უწყობდეს ახალი აზრის, ახალი იდეების, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების გაშუქებას, გადაწყვეტას და არა ერთი და იგივე პარტიული კუთვნილების თვითკმაყოფილი სახეების ტირაჟირებას. ყოველივე ეს საზოგადოებაში ალერგიასა და გაღიზიანებას იწვევს, რაც სახეზეა და რაც მედიაიმიჯზეც აისახება.** არ შეიძლება მედია სივრცის მონოპოლიზაცია, თუნდაც პარტიული ნაირფეროვნებისა და კუთვნილების ნიშნით. პოლიტიკოსების იმ ნაწილმა, ვისაც ხიბლავს ხშირი სატელევიზიო გამოჩენები, ანგარიში უნდა გაუწიოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, თავისი კონსტრუქციულობით, საქმიანი წინადადებებით, უბრალოებით იმედი მისცეს და შეუმსუბუქოს ყოფა.

**ჰამლეტ ბებია,**
ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარე

„ცივილიზებული ევროპის“ მხრიდან რეაქციის დაგვიანებამ გაათამამა პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი რევანშისტი, ბასესკუ ასე პროვოკაციულად რომ მოქცეულიყო. ასეთი პროვოკაციები, რომელთა გამო XX საუკუნის 40-იან წლებში მსჯავრდებულთა სკამზე შეიძლება აღმოჩენილიყვნენ, დღეს გახშირდა, განსაკუთრებით, ევროკავშირის ახალწევეულთა მხრიდან. მოწოდებებიც და ქმედებაც.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფაშიზმის აპოლოგია

**საბჭოთა კავშირის სამამულო ომის 70 წლის იუბილემ, რომელიც 2011 წლის 22 ივნისს აღინიშნა, ჩრდილოატლანტიკური ორიენტაციის ძალებს ისეთი გამოსვლებისკენ უბიძგა, რომლებიც ეწინააღმდეგება არა მარტო თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების მიერ ნაციზმისა და ქსენოფობიის ყველა ფორმის მიუღებლობას, არამედ სამართლებრივ ნორმებსაც, რომლებიც ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა დაამტკიცა.**



ტრაიან ბასესკუ

რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბასესკუმ ახლახან განაცხადა, რომ მთლიანად მხარს უჭერს მარშალ ანტონესკუს 1941 წლის 22 ივნისს გაცემულ ბრძანებას მდინარე პრუტზე სსრკ-რუმინეთის საზღვრის გადალახვის შესახებ: **„მე რომ იმ ისტორიულ მომენტში ვყოფილიყავი, ასეთსავე ბრძანებას გავცემდი იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდა მოკავშირე და უნდა დაგვებრუნებინა ტერიტორია“.**

გასაგები მიზეზების გამო ბასესკუმ არჩია, არ გაეხსენებინა, რომ მეფის რუმინეთის მოკავშირე იყო ნაცისტური გერმანია, ხოლო ანტონესკუს რეჟიმი იმის დაბრუნებას ლამობდა, რაც იმთავითვე მას არ ეკუთვნოდა და ბუქარესტის მიერ 1917 წლის დეკემბერში იყო ანექსირებული. ლაპარაკია ბესარაბიაზე, რომელიც საბჭოთა კავშირმა 1940 წლის 28 ივნისს დაიბრუნა. ტრაიან ბასესკუს არ სურს იმის გაგება, რომ პროფაშისტურმა დიქტატორმა (კონდუკეტორმა) იონ ანტონესკუმ თავისი თანამემამულეები მძარცველური ლაშქრობისთვის დაძრა, რომ იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა მესამე რაიხის პირველ პირებთან, რომლებიც ნიუნბერგში გაასამართლეს, მათ შორის, — ხსენებული მარშალიც, რომელიც ტრიბუნალმა სამხედრო დამნაშავედ მიიჩნია და დახვრიტეს.

გერმანიის სატელიტ ქვეყნებს შორის რუმინეთმა ყველაზე დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა ჩააყენა ფაშისტური ბლოკის რიგებში — 340 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. **ნიურნბერგის პროცესის მასალებში დაფიქსირებულია ანტონესკუს განცხადება, რომელმაც ერთ-ერთ გერმანელ გენერალთან საუბრისას გაიჟღერა. კერძოდ, თქვა, რომ მისმა ქვეყანამ იმაზე გაცილებით მეტი დივიზია გამოიყვანა, რასაც მისგან გერმანიის სარდლობა მოითხოვდა.**

საბჭოთა კავშირი ომის დაწყების შემდეგაც რუმინელ ხელმძღვანელებს გონზე მოსვლის შესაძლებლობას აძლევდა და მოუწოდებდა გამოსულიყო აგრესორთა ბანაკიდან. **სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის №2 დირექტივა, რომელიც 1941 წლის 22 ივნისის 7 საათსა 15 წუთზე გაიცა, შეიცავდა განსაკუთრებულ პუნქტს: „ფინეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ მითითებამდე საჰაერო თავდასხმა არ განხორციელდეს“. 24 ივნისს კი ვიაჩესლავ მოლოტოვმა მიიწვია რუმინეთის დესპანი გაფენკუ და განუცხადა, რომ არავითარი აზრი არ ჰქონდა რუმინეთის მიერთებას გერმანელ ბანდიტებთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. ამასთან, გააფრთხილა, რომ მისი მთავრობა პასუხს აგებს ამ აგრესიის შედეგებზე.**

მაგრამ თავდაპირველი წარმატებების ფონზე აღმოსავლეთის მიმართულებით მოსკოვის გაფრთხილება რუმინელმა მმართველებმა არად ჩააგდეს. მხოლოდ 1944 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად მეფე მიხაიმ ხელისუფლებას მოაცილა ანტონესკუ და გუშინდელ მოკავშირეს — გერმანიას ომი გამოუცხადა. 1941 წლის ივნისის დღეებში კი მადლობას უხდიდა ფრონტზე მყოფ კონდუკეტორს („წარსული დიდების სიხარულის მინიჭებისთვის“. „ყოფილი დიდება“ დიქტატორმა გაამდიდრა საბჭოთა მოქალაქეების მასობრივი დახოცვით. **„მოსახლეობის მხრიდან უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში — ადგილზევე დაიხვრიტონ. დახვრეტილთა გვარები გამოქვეყნდეს... ბესარაბიის მოსახლეობა შემოწმდეს, საეჭვოები და ისინი, ვინც ჩვენ წინააღმდეგ გამოდის, უნდა განადგურდნენ... არც ერთი ებრაელი არ უნდა დარჩეს სოფლად და ქალაქად, ისინი ბანაკებში უნდა იქნენ ინტერნირებული...“** ასეთი მითითება მისცა ანტონესკუმ საოკუპაციო ადმინისტრაციას. **სხვადასხვა მონაცემებით, რუმინეთის მიერ ოკუპირებული მოლდოვის, დნესტრისპირეთისა და უკრაინის ტერიტორიებზე 1941-1944 წლებში 380-დან 600 ათასამდე ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს. მასობრივად გაანადგურეს რუსები, მოლდოველები, ბოშები, სხვა ეროვნების მშვიდობიანი მოსახლეობა.**

სამხედრო დამნაშავის გამართლებას რუმინეთში ადრეც ცდილობდნენ. მაგალითად, ანტონესკუს შვილიშვილის სარჩელის საფუძველზე ბუქარესტის სააპელაციო სასამართლომ ფაშისტი დიქტატორის რეაბილიტაცია მოახდინა. მასთან ერთად გაამართლა ტრანსნისტრიის გუბერნატორი, ანტონესკუს ვაჟი გეორგე ალექსიანუ და მარიონეტული მთავრობის 22 მინისტრი. მაგრამ **რუმინეთის უმაღლესმა საკასაციო პალატამ 2008 წლის გადაწყვეტილებით იონ ანტონესკუს და მისი მთავრობის წევრების რეაბილიტაცია გაუქმდა — ისინი მიჩნეულ იქნენ დამნაშავეებად, რადგან „შეგნებულად ჩაიდინეს სამხედრო დანაშაულობანი სსრ კავშირის ხალხთა წინააღმდეგ“.**

ბასესკუმ აღიარა, რომ ფაშისტი დიქტატორის იდეური მემკვიდრეა, როცა მიზანშეწონილად მიიჩნია მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზია, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის დაფიქსირებული.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში ამასთან დაკავშირებით ნაქვამია: **„სავსებით ნათელია, რომ ასეთი უსირცხვილო თავხედობა, რითაც ამართლებენ ფაშისტურ აგრესიას და შებღალავენ ნაციზმის მილიონობით მსხვერპლის ხსოვნას, სრულიად დაუშვებელია და ადეკვატურად უნდა შეფასდეს ცივილიზებული ევროპის მიერ“.**

თავიანთი პრეზიდენტი რუმინეთის პრესამაც გაამათრახა. დღეს წარმოუდგენელია, რომ პასუხისმგებლობით აღსავსე ევროპის რომელიმე ლიდერმა მშვიდად განაცხადა ის, რაც ტრაიან ბასესკუმ იკადრა, — იმ დროს რომ ეცოცხლა, ჰიტლერს გაჰყვებოდა, — წერს გაზეთი Adevarul. **„როცა შენ დღეს ლაპარაკობ, რომ ჰიტლერს გაჰყვებოდი, უნდა გესმოდეს, როგორ იფეთქებს ეს განცხადება ადამიანების შეგნებაში იერუსალიმში, მოსკოვსა და სხვა დედაქალაქებში“.**

მაგრამ „ცივილიზებული ევროპის“ მხრიდან რეაქციის დაგვიანებამ გაათამამა პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი რევანშისტი, ასე პროვოკაციულად რომ მოქცეულიყო.

ასეთი პროვოკაციები, რომელთა გამო XX საუკუნის 40-იან წლებში მსჯავრდებულთა სკამზე შეიძლება აღმოჩენილიყვნენ, დღეს გახშირდა, განსაკუთრებით, ევროკავშირის ახალწევეულთა მხრიდან. მოწოდებებიც და ქმედებაც.

**წლევანდელ 1 ივლისს რიგაში ნეონაცისტური მსვლელობა გაიმართა, ფაშისტურ, სვასტიკიან ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს რასისტული შინაარსის პლაკატები მოჰქონდათ. ამის საწინააღმდეგო განცხადებებს ლატვიის ხელისუფლება არც გამოხმაურებია. 2011 წლის გაზაფხულზე ოფიციალურმა რიგამ კვლავ განაცხადა, რომ SS-ის ლატვიელი ლეგიონერები უდანაშაულოები არიან.**

„ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები“, ისეთები, როგორიც ეუთოა, დღეს დაკავებულები არიან იმით, რომ მოსახლეობას ჩაუნერგონ სტალინიზმისა და ჰიტლერიზმის იდენტურობა, საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის თანაბარი ბრალეულობა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო. ამგვარი ქიმერების გასავრცელებლად რევანშისტები და ნეონაცისტები „ახალგაზრდა ევროპის დემოკრატიებიდან“ შესანიშნავი იარაღია.

# კალიფორნიაში გეებისა და ლესბოსელების ისტორიას სკოლებში შეასწავლიან

**გიხაროდენ! გეიფრენდების, გეიფების, გეი ალლუმების დრო დგება! თუ დადგა უკვე? რეზო ამაშუკელის მიხედვით — ასეა, რადგან ჯერ კიდევ 2001 წლის 8 თებერვალს წერდა:**

**მიტომაც მინდა დანარჩენ**
**სიცოცხლეს ვუთხრა უარი,**
**ადვილად ველარ გაარჩევ,**
**ხვადი არი თუ ძუ არი...**
**აწ განმკითხავი ვინ არი,**
**ან მე რაისთვის ვირჯები?**
**მალე დადგება მდინარე**
**პომადიანი ბიჭების.**

*(„მწარე ლექსი“)*

დადგა და წალეკვით გვემუქრება ოცდამეერთე — პედერასტების საუკუნე!

ჯერ სექსიზმით გაგვაბრუა, ახლა გეიზმით გვათაყვანებს ჩვენი სათაყვანებელი ამერიკა, და ჩვენც დასავლეთიდან ამოწვერილ ნოუჰაუებს შევტრფით და შევფოფინებთ ველური აღმოსავლეთის თრთოლვითა და თხაწვერა ბლანჟეებიანების ქიცინ-კიკინით.

ქიციც ვიცითო!..

ხოლო ქიცმაცურით დაშტამპული გეისტები უკვე ბავშვების გარყვნას იწყებენ სექსუალურ უმცირესობათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საგნის სასკოლო პროგრამებში შეტანით.

ისწავლეთ, გენაცვაო!

**აშშ კალიფორნიის გუბერნატორმა ჯერი ბრაუნმა გასულ ხუთშაბათს, 14 ივლისს, განაცხადა, რომ ხელი მოაწერა კანონს, რომლის თანახმად შტატის სახელმწიფო სკოლების სასწავლო პროგრამებში, როგორც აუცილებელს, ჩართავენ კურსს აშშ-ის ისტორიაში სექსუალურ უმცირესობათა როლის შესახებ.** ამას იტყობინება სააგენტო Associated Press-ი.

„ჯერ არნახული და ჯერ არგაგონილი“ რეფორმა 2013 წელს დაიწყება — როგორც ჩვენი ხელისუფლების დანაპირები დიადი გარდატეხა, ზუსტად იმ დროს.

**როგორც ყველა სიბილწემ, ამანაც თავისი განვითარების გზა განვლო. მას შემდეგ, რაც კალიფორნიის კონგრესის ქვედა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომლითაც სახელმწიფო სკოლებს მიეთითებოდა, სასწავლო პროგრამაში ჰომოსექსუალისტების მიღწევათა კურსის ჩართვა, შტატის სენატმაც მოწონების ბეჭედი დაუსვა.**

კანონპროექტს 49 კაცმა მისცა ხმა, 25 წინააღმდეგი იყო. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა დაგმეს ეს პროექტი. მათმა წარმომადგენელმა დონალდ ვაგნერმა მიიჩნია, რომ **ასეთი სასწავლო კურსი გარკვეული სექსუალური პლატფორმის დანერგვას შეუწყობს ხელს და არამც და არამც — ისტორიული ფაქტების შესწავლას.**

დოკუმენტის მხარდამჭერები — დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარი გაკვეთილებით მოზარდებს გამოუმუშავდებათ თავიანთი თანატოლების — გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსექსუალების მიმართ შემწყნარებლობის გრძნობა, რომელთა წინააღმდეგ როგორც Associated Press-ი წერს, მოსწავლეები და სტუდენტები არც თუ იშვიათად მტრულ განწყობილებას ამჟღავნებენ.

ესენი კი ამჟღავნებენ, მაგრამ ნიუ იორკის სენატმა ამასობაში ერთსექსიანი ქორწინება დააკანონა.

ლეგალიზებული პედერასტობა.

და ეს ყველაფერი კეთდება ელექტორატის მოსაზიდად. რას არ მისცემ, რათა აგირჩიონ!

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ კიდევ კარგა ხანი გავა, სანამ ეს კანონი ამოქმედდება. განათლების ამ ნათელ გზაზე სავსებით შესაძლებელია დიდ დაბრკოლებად აღიმართოს ფინანსური კრიზისი: შტატში არსებული პრობლემების გამო ახალი სახელმძღვანელოები 2015 წელზე ადრე ვერ დაიბეჭდება.

დიდება რეცესიას, რომელიც თავისთავად გაუკუღმართებული ფინანსური და ეკონომიკური პროცესებია, მოკლედ — კრიზისია. დამატებითი დასტური იმისა, რომ ცუდ საქმესაც ახლავს სიკეთე.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** შესახსენებლად: პავლე მოციქულის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ მამათმავლობა უწმინდურ და სამარცხვინო ენებად მოიხსენიება.

ვინაიდან ადამიანებმა ღვთის ჭეშმარიტება შეცვალეს სიცრუით — „ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი შეცვალეს ბუნების საწინააღმდეგოთი.

ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი ხმარება და გახურდნენ ავხორცობით ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისთვის.

და რაკი არ ცდილობდნენ, ცოდნით ჰყოლოდათ ღმერთი, ღმერთმა ისინი გადასცა უკუღმართ გონებას დაუწესებლის საკეთებლად“ (რომ. 1,26-28).

ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენო (რომ. 1, 32), ხაზგასმით ამბობს „პავლე, იესო ქრისტეს მონა, მოწოდებული მოციქული, ამორჩეული ღვთის სახარებისთვის“ (რომ. 1,1).

ამერიკის სკოლებში კი გადაწყვიტეს, ღვთისგან შერისხულთა „ღირსებისა“ და „დამსახურების“ ისტორია ასწავლონ ბავშვებს.

ცოდვილთა დამსახურება?!

ლევან ღვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ენის პალატის“ ლიკვიდაცია ბატონი ოტიასთვის (ისევე, როგორც „პალატის“ სხვა თანამშრომელთათვის) იმითაც იყო გულდასაწყვეტი და მთავრობის მხრიდან გადადგმული ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯი, რომ ამით თვალნათლივ გამოჩნდა ახალმოსული ხელისუფლების დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი, რის შესახებაც ბატონი ოტია დაუფარავად და მისთვის ჩვეული პირდაპირობით აღნიშნავდა საჯარო გამოსვლებში, ინტერვიუებში, ბეჭდურ პრესასა თუ ელექტრონულ მედიაში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, შემსმენელი არავინ იყო და დიდი მწერლის „მკვახე შეძახილი“ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.**

# «ენა უდრის ერს» — ამბობს ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი



ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის მშობლიური ენის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება თითქმის შეუძლებელია. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა როგორც ჩვენში, ასევე — უცხოეთში, მაგრამ გამოსაკვლევი და მისაგნები კვლავაც ბევრია. შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობისა და სხვა ცნობილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამების გახსენება რად ღირს! მშობლიური ენის, როგორც ფენომენის, ამა თუ იმ კუთხით დახასიათებისას ჩვენი წინაპრები მას მოიხსენიებენ როგორც: „ღმერთების ენას“, „ღვთაებრივ საუნჯეს“, „ერის მეობის ნიშანს“, „ეროვნების ბურჯს“... „ერის მეობას, პირველ ყოვლისა, ენა არკვევს და შემდეგ — ხალხური სიმღერა, ხალხის განცდათა მესაიდუმლეო,“ — წერდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა დიდი ილიასადმი მიძღვნილ ერთ თავის წერილში (1978 წ.).

ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის ფორმირებისა და დახვეწა-განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვაკაზმულ მწერლობას.

ჩვენი მშობლიური ენა ამ მხრივაც ქუდბედიანი გამოდგა: იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდელობამდე ქართული სალიტერატურო ენა გენიალურ მოღვაწეთა შემოქმედებით ქურაში გამოიწრთო და ქართველი ერის ისტორიის ხელთუქმნელ ძეგლად გამოქანდაკდა. რაოდენ დასანანია, რომ ამ უნიკალური ენის ბედი (მიუხედავად იმისა, რომ ქართულს ჩვენს სინამდვილეში „სახელმწიფო ენის“ სტატუსი აქვს მინიჭებული) ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, ფაქტობრივად, ღვთის ანაბარაა მიტოვებული. ქართული ენა ასე დამცირებული და უფლებააყრილი მაშინაც კი არ ყოფილა, როცა ჩვენი სამშობლო უზარმაზარი საბჭოური იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და რუსული ენის ტოტალურ ზემოქმედებას განიცდიდა.

გასული საუკუნის მიწურულს (1997 წ.) საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად მიიჩნია ისეთი სამთავრობო სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც თვალყურს მიადევნებდა სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვასა და დადგენილ სალიტერატურო ნორმათა დამკვიდრებას, აგრეთვე, ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივი პრობლემების მოწესრიგებისთვის ხელის შეწყობას არსებული კანონმდებლობის ფარგლებში. ასე შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — „საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა“, რომელმაც იარსება 2004 წლამდე, ვიდრე „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ არ გააუქმა იგი, როგორც (მათი აზრით!) არასაჭირო, უსარგებლო, ზედმეტი სახელმწიფო რგოლი. ყველაფერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი მკითხველისთვის ასე თუ ისე ცნობილია, მაგრამ შესაძლოა ბევრმა არც იცოდეს (ან კი საიდან ეცოდინება), რომ „პალატის“ ჩამოყალიბებიდანვე, გარდა პროფესიონალი ლინგვისტებისა, მის საქმიანობაში სამსახურებრივად ჩაებნენ ცნობილი ქართველი მწერლები, რომელთა უმეტესობა ბოლომდე მხარში გვედგა და ხმალშემართული გვამხნევებდა ჩვენი ენის პატივისა და ღირსების დასაცავად მოწადინებულებს. ეს იყო (თუ გადაჭარბებულ პათეტიკად არ ჩამეთვლება) სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარ ენათმეცნიერთა და მწერალთა გაერთიანებული ლაშქარი (250-მდე მოხელე), რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო. სამწუხაროა, რომ ენის სახელმწიფო პალატის ყოფილ თანამშრომელ მწერალთაგან რამდენიმე ამქვეყნად უკვე აღარ არის და ამ დღეებში აღესრულა კიდევ ერთი — გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი და ერისკაცი, ბატონი ოტია იოსელიანი. ჩვენ დიდ პატივად მიგვაჩნდა მისი თანადგომა და მხარდაჭერა იმ დიდად მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმის საკეთებლად, რისთვისაც შეიქმნა „ენის სახელმწიფო პალატა“, რომლის ქ. წყალტუბოს სამმართველოსაც თავკაცობდა ბატონი ოტია.

მე მქონდა შესაძლებლობა, არაერთგზის დამემოწმებინა ბატონი ოტიას ფრთიანი გამონათქვამი, რითაც იგი თითქოს ეპაექრებოდა ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ გამონათქვამთა ავტორებს და ამბობდა: „ენა უდრის ერს და მათ შორის ტოლობის ნიშანი უნდა დაისვასო“. თუ კარგად დავაკვირდებით, უთუოდ ვირწმუნებთ, რომ ბატონი ოტიას ეს გამონათქვამი ზედმიწევნით ზუსტად და ხატოვნად ასახავს რეალურ ვითარებას. დიახ! მან, დიდმა ქართველმა მწერალმა, სიტყვის დიდოსტატმა და მრავალჭირვარამგადანახადმა ბრძენკაცმა მის მშობელ ერსა და მშობლიურ ენას შორის ტოლობის ნიშანი დასვა.

ამიერიდან ბატონი ოტიასეული ეს ფორმულა („ენა უდრის ერს“) სამარადჟამოდ აღიბეჭდება (და უნდა აღიბეჭდოს!) დღევანდელ თუ მომავალ ქართველთა ცნობიერებაში.

ბატონი ოტიას ყოველი ჩამობრძანება დედაქალაქში ჩვენი ერთობლივი საქმიანობის მთელი შვიდი წლის განმავლობაში და მისი შემობრძანება „პალატის“ ცენტრალურ ოფისში (რუსთაველის 28-ში) ყოველთვის გამამხნევებელი, იმედის გამღვივებელი და სიხარულით აღმავსებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ იმ წლებში ჩვენი სამსახურიც, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა, უკიდურეს ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდიდა. სწორედ მაშინ დამკვიდრდა შემდგომში უკვე ფრთიან გამონათქვამად ქცეული შესიტყვება — „გაყინული ხელფასები“ — 2-3 წლის განმავლობაში გაუცემელი გასამრჯელოს აღსანიშნავად, მაგრამ, ამის მიუხედავად, პალატის არც ერთ თანამშრომელს სხვა სამსახურის ძებნა არ დაუწყია და იქნებ იმიტომაც, რომ ჩვენთან ერთად იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები: ოტია იოსელიანი, ვალერიან საღლიანი, ალექსანდრე დიდებაშვილი, ვლადიმერ ასლამაზიშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, ნოდარ ადეიშვილი და ბევრი მათი შედარებით ახალგაზრდა კოლეგა.

„ენის პალატის“ ლიკვიდაცია ბატონი ოტიასთვის (ისევე, როგორც „პალატის“ სხვა თანამშრომელთათვის) იმითაც იყო გულდასაწყვეტი და მთავრობის მხრიდან გადადგმული ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯი, რომ ამით თვალნათლივ გამოჩნდა ახალმოსული ხელისუფლების დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი, რის შესახებაც ბატონი ოტია დაუფარავად და მისთვის ჩვეული პირდაპირობით აღნიშნავდა საჯარო გამოსვლებში, ინტერვიუებში, ბეჭდურ პრესასა თუ ელექტრონულ მედიაში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, შემსმენელი არავინ იყო და დიდი მწერლის „მკვახე შეძახილი“ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა; თუმცა „ნაცმოძრაობის“ წიაღიდან გამოსულ ხელისუფალთა მხრიდან რაღა უნდა გაგვიკვირდეს მას შემდეგ, რაც მისმა ერთ-ერთმა ტიპობრივმა სახემ, მაშინ განათლების მინისტრმა და აწ უკვე საქართველოს ელჩმა გაეროში — ალ. ლომაიამ ილიასეული „მამული, ენა და სარწმუნოება“ ჩემთან საუბრისას მოიხსენია როგორც ფაშისტური ლოზუნგი. იმ წუთიდან ჩემთვის ნათელი იყო, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე და ბატონი ოტიაც დიდად დამწუხრდა, როცა ამის შესახებ წვრილად მოვუყევი. მინისტრმა ლომაიამ, რომლის თაოსნობითაც განხორციელდა „ენის პალატის“ ბარბაროსული ლიკვიდაცია, არათუ არაფერი იღონა ლიკვიდირებული სამსახურის ყოფილ თანამშრომელთა შემდგომი შრომითი მოწყობისთვის, რაც მას კანონით ევალებოდა კიდეც, არამედ, ყოვლად დაუსაბუთებელი მოტივით, უარი თქვა იმ ორთვიან კომპენსაციაზეც, რომელიც კანონით ეკუთვნის სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომელს. მე, როგორც ენის სახელმწიფო პალატის ყოფილი თავმჯდომარე, მინისტრის ამგვარი თვითნებობით გამოწვეული უსამართლობისთვის ბოდიშს ვუხდი პალატის ყოფილ თანამშრომლებს და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ბატონ ოტიას.

ბატონო ოტია! მე ბოდიშს გიხდით, აგრეთვე, იმ უდიერებისთვისაც, რაც საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის დაცვამ გამოიჩინა თქვენ მიმართ ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემს მშობ- ▶



კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და ოტია იოსელიანი



# რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*გრიგოლ ორბელიანი*

ლევან ლვინჯილიას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ფოლკლორის ფესტივალზე ხობში (ბადრი ვადაჭკორიას ფოტო)



◀ **ლიურ რაიონში — ქ. ხობში** გამართულ ფოლკლორულ ფესტივალზე, როცა თქვენ და მე იძულების წესით დაგვატოვებინეს სტადიონზე სახელდახელოდ მოწყობილ პარტერში დაკავებული ადგილები, სადაც წინა დღესაც ერთად, გვერდიგვერდ ვისხედით და რითაც დიდად ამაყი და გახარებული გახლდით. მე, როგორც მასპინძელი, აღვშფოთდი **„წესრიგის დამცველთა“** სირეგვნით, როცა მითხრეს, რომ ეს ადგილები **„პატრიოტებისთვისაა“** გამოყოფილიო. ვითომ რა უჭირდა, იმ ახალგაზრდა **„პატრიოტებთან“** ჩვენც ვმსხდარიყავით, იქნებ ზოგიერთ მათგანს **მთელი ცხოვრება საკვეხნად ჰქონოდა: ოტია იოსელიანის გვერდით ვიჯექიო,** ამიტომაც შევეცადე, **„დაცვის ბიჭისთვის“** ამეხსნა თქვენი ვინაობა, მან კი ცივად მიპასუხა, ვინც არ უნდა იყოთ, აქ ვერ დასხდებით, ასეთია ბრძანებაო. როცა ჩემმა გახელებამ ლამის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისთვის შეუფერებელი ფორმა მიიღო, თქვენ აქეთ დამამშვიდეთ და ამის შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდით სტადიონის იარუსზე, ლამის ბოლო რიგში. მახსოვს, როგორ იხუმრეთ: **ჩვენ, რაკი ცნობილი ადამიანები ვართ, იქ უნდა ვიყოთ, სადაც ხალხიაო.**

ეს სამახსოვრო ფოტოც სწორედ იმ წუთებში გადაუღია **ცნობილ ფოტოხელოვანს — ბადრი ვადაჭკორიას,** რომელმაც ამ დღეებში ჩემი თხოვნით მოიძია იგი მისი ფოტოსაგანძურის აურაცხელ ექსპონატთა შორის და დიდსულოვნად გადმომცა გამოსაქვეყნებლად, რისთვისაც **ბატონ ბადრის** ულრმეს მადლობას მოვახსენებ. სურათს როგორც კი დავხედე, უმალვე ვიგრძენი, რომ მასზე სწორედ ის წამები და განწყობაა ასახული, რომლის შესახებაც ახლა ვესაუბრებოდი მკითხველს. **ფოტო გადაღებულია 2005 წლის 19 ივნისს;** იმ დღეებში, უფრო ზუსტად კი 16 ივნისს თქვენ მე მობილური ტელეფონით შეგეხმიანეთ და დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო თარიღი მოგილოცეთ. თქვენგან არაერთგზის გულითადი მიწვევის მიუხედავად, აწ უკვე ჩემდა სამწუხაროდ, ერთხელაც ვერ მოვახერხე **წყალტუბოში** სტუმრობა და თქვენი ულამაზესი კარ-მიდამოს მონახულება. ამიტომაც უზომოდ გამიხარდა, როცა თქვენს საიუბილეო დღეებში სამეგრელოში სტუმრად ჩამოსულს შეგხვდით. ზოგი რამ ამ დღის შესახებ უკვე ვთქვი და დანარჩენსაც, ბარემ, აქვე ვიტყვი: დაახლოებით დღის 4 საათი იქნებოდა. ვისხედით თაკარა მზის ქვეშ და ველოდებოდით რაღაცას თუ ვიღაცას, როცა ახალგაზრდების ჩოჩქოლი და ჟივილ-ხივილი ატყდა. **ყულევის** ბანაკიდან ჩამოეყვანათ **„პატრიოტები“** და სულ მალე ნარინჯისფერ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ყმაწვილებით **(„თანამედროვე“ ქართულით „თინეიჯერებს“ რომ ეძახიან)** გაივსო პარტერი, საიდანაც ჩვენ გამოგვისტუმრეს. მთელი პარტერი დაუკრეფავი მანდარინის ბაღივით გადაყვითლდა, მაგრამ სწორედ იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ ჩვენ ვისხედით, 7-8 სკამი ცარიელი იყო და მე მაშინვე მივხვდი, რატომაც! ის-ის იყო, თქვენთვის ამის თქმა დავაპირე, რომ პარტერში ატყდა მქუხარე ტაში და „პატრიოტთა“ ხმაშეწყობილი, რიტმული შეძახილები: **„მიშა! მიშა! მიშა!“, რასაც მოჰყვა მისთვის ჩვეული ნაბიჯებითა და მისალმების ნიშნად ცისკენ აშვერილი ხელების ქნევით პრეზიდენტის შემოსვლა პარტერში. იგი და მისი თანმხლები პირები მათთვის შემონახულ ადგილებზე დასხდნენ და, ალბათ, წუთი-წუთზე კონცერტიც დაიწყება. თქვენ კოლოფიდან ერთი ღერი ფილტრიანი სიგარეტი ამოიღეთ, თითების მსუბუქი მოძრაობით მოარგეთ იგი თქვენს განუყრელ მუნდშტუკს, ცეცხლი მოუკიდეთ და გააბოლეთ. მე ხმას არ ვიღებ; სირცხვილისა და უხერხულობის გრძნობა დამეუფლა. ნუ მიაქცევ ყურადღებასო, მამშვიდებთ თქვენ და იარუსიდან გასასვლელისკენ აპირებთ ჩასვლას. აშკარად ჩანს, რომ ნაწყენი ხართ. კიდევ რაღაცები ვთქვით. მერე მანქანამდე მიგაცილეთ და თქვენ ხობი დატოვეთ.**

ეხ, **ბატონო ოტია!** მას შემდეგ ჩვენ ეს ამბავი არ გაგვიხსენებია. მე ზოგი რამ კი დავწერე იმ ფესტივალის შესახებ, მაგრამ ეს ეპიზოდი არ მომიყოლია, შეგნებულად გამოვტოვე. თქვენ იცით, რომ **მე წარმოშობით ხობელი** ვარ (ახალი ხიბულიდან; ძველი ხიბულა კი ჩემი დედულეთია), **ამიტომ ცოტათი კი მეხამუშებოდა, როცა 2001 წელს, სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად, „ხობის საპატიო მოქალაქის“ ტიტული მომანიჭეს**, მაგრამ ამ წოდებაზე მეტად ის მეამაყებოდა, რომ მაშინ ხობელებმა ეს პატივი მიაგეს ქართველი ერის გამორჩეულ შვილებს: საქართველოს სახალხო არტისტებს — **გიორგი გეგეჭკორსა** და **ზინა კვერენჩხილაძეს,** მხატვარ **რევაზ ადამიას,** დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს **ოტია იოსელიანს.** ვითომ რა ბედენაა ხობის საპატიო მოქალაქეობა, მაგრამ, მეორე მხრივ, იმასაც ხომ გააჩნია, ვის გვერდით, როგორ კონტექსტში მოგიხსენიებენ.

**სამწუხაროდ, „პრეზიდენტის დაცვის ბიჭმა“ არ იცოდა, რომ იმ დღეს ხობის სტადიონის პარტერიდან ამავე ქალაქის ორი საპატიო მოქალაქე გაიყვანა.**

**ბატონო ოტია! გუშინ გელათის ტაძარში, საიდანაც მარადიულ სასუფეველში გაგაცილათ დამწუხრებულმა ქართველმა ერმა, თავი მოიყარა თქვენი ელვარე ტალანტისა და უზადო ლიტერატურული მემკვიდრეობის დამფასებელმა მადლიერმა მკითხველმა — სრულიად საქართველოს ერმა და ბერმა. გელათისკენ იყო მიპყრობილი მათი გულისყურიც, ვინც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ მოახერხა თქვენთან გამომშვიდობება. მე კი სანანებლად დამრჩა, რომ სიცოცხლეშივე ვერ მოგიბოდიშეთ ხობელთა სახელით, როგორც ამ პატარა ქალაქის, მართალია, გულნატკენ, მაგრამ იმავდროულად მისთვის დიდად საამაყო — საპატიო მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, რომ ის ზემოხსენებული გაუგებრობა (მე უფრო „უდიერობას“ დავარქმევდი), ცხადია, მთლად ხობელთა ბრალი არ იყო.**

მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი, იმ დღეს საგანგებოდ მოვისვამდი გვერდით **ოტია იოსელიანს** და **„პატრიოტ“** ყმაწვილებს ამით ხაზგასმით ვაგრძნობინებდი, თუ რაოდენ პატივს მივაგებ ერის გამორჩეულ შვილებს. რომ წარმოვიდგინე, როგორ გაგიზიარეთ ჩემი ეს მოსაზრება, უცებ მომეჩვენა, რომ თვალები ეშმაკურად აგიციმციმდათ და თქვენეული ჩაღიმებით მითხარით: **იმიტომაც არ ხარ პრეზიდენტი, მასე რომ ფიქრობო.**

ჰო, მართლა! თქვენი წასვლის შემდეგ მე ისევ სტადიონზე შევბრუნდი და ნაცნობებთან ერთად კონცერტის მოსმენა დავაპირე; ის-ის იყო **მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებმა** — ჩვენმა ცნობილმა თანამემამულეებმა — **მაყვალა ქასრაშვილმა** და **ზურაბ სოტკილავამ** ერთობლივი გამოსვლა დაასრულეს და სცენაზე **პოლიკარპე ხუბულავას ანსამბლი „ოდოია“** გამოჩნდა, რომ **„პატრიოტებმა“** და ფესტივალზე მყოფმა სხვა ყმაწვილებმა ერთობლივი სკანდირება დაიწყეს: **„ირაკლი! ირაკლი! ირაკლი!“.** ისინი მოსკოვიდან საგანგებოდ ამ ფესტივალზე ჩამოყვანილი **ირაკლი ფირცხალავას** გამოსვლას ითხოვდნენ, ამ დროს კი სცენაზე იდგა ათი თეთრჩოხიანი მამაკაცი ჩონგურებით ხელში და მღეროდა **პოლიკარპესეულ „ჭიჭე ტურას“.** დიახ! ეს იყო **მეგრული ფოლკლორის ფესტივალი, რომლის უპირველესი მიზანი, რა თქმა უნდა, ხალხური შემოქმედების პროპაგანდაა, მაგრამ ჩვენს თანამედროვე „პატრიოტებს“ ეროვნულ ფასეულობათა მიმართ რამდენადმე განსხვავებულ დამოკიდებულებას უყალიბებენ.** ცოტა ხანში ვიღაცამ დაიძახა: **„სალუტები, სალუტებიო!“**, საქმეში ჩახედული კაცის ხმას ჰგავდა. **„ჯერ ადრეაო“,** რომ მოაძახეს, ამან ანიშნა — **„წასვლას აპირებსო“**. და ატყდა, მარა რა ატყდა: აი, ამას ჰქვია მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე. არადა, ცა მართლაც მოწმენდილი იყო. გაგანია ზაფხულის ნაშუადღევს ცაზე თაკარა მზე გიზგიზებდა. გაკაშკაშებული ცის ფონზე, ცხადია, ფოიერვერკის მთელი ხიბლი გაფერმკრთალდა, მაგრამ, აბა, რა ექნათ! **პრეზიდენტს ეჩქარებოდა და ხომ უნდა ენახვებინათ, რომ მისი თვალისა და გულის გასახარად, პიროტექნიკაც ჰქონდათ მომარაგებული. ყოველი ზალპის შემდეგ მაყურებელიც, სახეგაბრწყინებულ დიდ სტუმართან ერთად, ცისკენ იყურებოდა, მაგრამ იქ თითქმის არაფერი ჩანდა. წყალტუბოსკენ** მიმავალი მსუბუქი ავტომობილი კი ამ დროს, ალბათ, **აბაშამდე** თუ იქნებოდა მისული...

ქართულ ენციკლოპედიაში წერია, რომ **ეს სოფელი** წყალტუბოდან სულ რაღაც 4 კმ-ითაა დაშორებული, ოდესღაც იქ ყოფილა ხილის წვენების ქარხანა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ბლოკების ქარხანა, საზეინკლო სახელოსნო, სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტსახლი, ამბულატორია, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება... ეს ყველაფერი იყო 40 წლის წინ. ახლა, არ ვიცი, ამათგან რა დარჩა, მაგრამ ერთში კი დარწმუნებული ვარ, რომ სამომავლოდ, ნებისმიერ გამოცემაში, იქნება ის ენციკლოპედია თუ სხვა ტიპის საცნობარო პუბლიკაცია, **გვიშტიბის** შესახებ გაკეთებულ ჩანაწერთა შორის გაჩნდება ასეთი ინფორმაციაც: ამ სოფელში **1930 წლის 16 ივნისს დაიბადა შემდგომში თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — ოტია შალვას ძე იოსელიანი.** ჩემი სურვილია, **ბატონო ოტია,** რომ ყველა იმ ადამიანმა, ვინც თქვენ შესახებ ამიერიდან რამეს დაწერს, მოგიხსენიოთ როგორც **ოტია შალვას ძე იოსელიანი** — მიუხედავად იმისა, მამის სახელი იქნება დაფიქსირებული პიროვნების აღმნიშვნელ ჩანაწერში თუ — არა! იმიტომ, რომ თქვენ მეტად მტკივნეულად განიცდიდით ქართველთა ოფიციალური საბუთებიდან მამის სახელის ამოღებას და პროტესტის ნიშნად თქვენს **ახლადგამოცემულ ათტომეულს** დააწერეთ **ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი.**

ჩვენ კი, **ბატონო ოტია! თქვენგანვე ნალოლიავები კარ-მიდამოდან, სადაც ჰპოვეთ საუკუნო განსასვენებელი, კიდევ ერთხელ შევუძახებთ ლამის წელში გაწყვეტილი საქართველოს საბედისწერო ხელისუფლებას, რომ „ენა უდრის ერს“** და კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, კარგად გაიაზროს, — ეს რასაც ნიშნავს, **„სანამ ურემი გადაბრუნდება!“**

**ღმერთმა ნათელში გამყოფოთ!**




**მწერალი მეტად მტკივნეულად განიცდიდა ქართველთა ოფიციალური საბუთებიდან მამის სახელის ამოღებას და პროტესტის ნიშნად ახლადგამოცემულ ათტომეულს დააწერა ოტია შალვას ძე, შალვა ფარნაოზის ძე, ფარნაოზ ბიჭიას ძე იოსელიანი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

როცა ხალხი მასობრივად გამოდის რაღაცის წინააღმდეგ, აუცილებლად უნდა ვიყოთ იქ. არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ ვეთანხმებით ყველა გამომსვლელს, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ ხალხმა თავის გვერდზე დაინახოს ისინი, ვინც უყვარს, ვისიც სჯერა და ვისაც აფასებს. და არა მარტო გასამხნევებლად და ტაშის დასაკვრელად, არამედ იმიტომაც, რომ, თუ ხალხს რაღაც შეეშლება, ესეც ვუთხრათ.



# ვახტანგ ტატიშვილი: ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად უნდა იყო განწყობილი

**ბატონი ვახტანგ ტატიშვილი, საქართველოს დამსახურებელი არტისტი, ღირსების ორდენოსანი, ანსამბლ „ივერიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და უხუცესი წევრი და, რაც მთავარია, უპოპულარულესი მსახიობი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, დაგვთანხმდა ინტერვიუს ჩამორთმევაზე.**

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ, თქვენს ანსამბლ „ივერიას“ საქართველოში გიცნობდნენ და გაფასებდნენ არა მარტო როგორც უმაღლესი რანგის შემოქმედებით კოლექტივს, შესანიშნავ მომღერლებსა და მსახიობებს, არამედ, ამასთან ერთად, როგორც გაბედულ ადამიანებს, ვისაც ყოველთვის შეგეძლოთ მართალი, კრიტიკული სიტყვის თქმა. რატომ გაუჩუმდით საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას?**

— სხვა არის, როცა კოლექტივთან ერთად მუშაობ, როცა შევთანხმდებით — ვინ, რა, როგორ გავაკრიტიკოთ. როცა მარტო ხარ, შეიძლება შეგეშალოს, ვერ გაიგებ, ვის — რა უნდა შენიშნო და სწორი ხარ თუ არა.

**ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად უნდა იყო განწყობილი, შენი სიტყვა მიაწვდინო, რათა გაითვალისწინოს, თორემ, ჩვენ ჩანაფიქრს ვერ იგებენ. ხანდახან ისე გამოდის, რომ ვისაც აკრიტიკებ, იმასაც წყინს და იმასაც, ვისი სახელითაც აკრიტიკებ. ხელისუფლებაზეც ვამბობ და ოპოზიციაზეც.**

**ჩვენ შორიდან დამკვირვებლები ვართ, თორემ მოვლენებში ღრმად ჩახედვის პრეტენზია არ გვაქვს, არც არავინ ჩაგვახედებს. ჩვენ ვართ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან ხელოვნებას. თუ რაიმე აშკარა ფაქტს დავინახავთ, რასაკვირველია, გვერდს არ ავუვლით და აღვნიშნავთ ისე, რის საშუალებასაც გვაძლევს ჩვენი პროფესია, ჩვენი შემოქმედების სპეციფიკური ხერხები და საშუალებანი.**

რადიკალური განწყობილება — შენ გადადექი და შენ მოდი — ჩვენთვის დამახასიათებელი არ არის. ამიტომაც არ შევდივარ არც ერთ პარტიაში, რადგან მაშინ იძულებული ვიქნები მაინცდამაინც დავეთანხმო პარტიის გადაწყვეტილებას და გავჩუმდე. იქნებ არ მინდა, ისე ვიაზროვნო, როგორც მთავაზობენ?

პატარ-პატარა შენიშვნები, კბენა არის ზოგჯერ საჭირო და აუცილებელიც, რათა უარესი არ დაგვემართოს.

ჩვენ ვართ ქართველები, ერთი ხალხი და ერთი ერი, ამიტომ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, ერთმანეთის გადაშენება ხომ არ უნდა გვინდოდეს? რადიკალური დამოკიდებულება ჩვენი საქმე არ არის, პოლიტიკოსები არ ვართ. ტყუილად ხომ არ გვქვია არტისტები?!

„ივერია“ აკრიტიკებდა კომუნისტებსაც, უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, არის ამის დამადასტურებელი ჩანაწერები. ვაკრიტიკებდით გამსახურდიას. მერე მოვიდა შევარდნაძე, არც იმისთვის დაგვიკლია ხელი. ახალი მთავრობისთვისაც გაგვიკრავს კბილი.

ყოველთვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდა, სააშკარაოზე გამოგვეტანა პატარ-პატარა ნიუანსები.

**— და როცა დიდი პრობლემები იჩენდა თავს?**

— როცა ხალხი მასობრივად გამოდის რაღაცის წინააღმდეგ, აუცილებლად უნდა ვიყოთ იქ. არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ ვეთანხმებით ყველა გამომსვლელს, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ ხალხმა თავის გვერდზე დაინახოს ისინი, ვინც უყვარს, ვისიც სჯერა და ვისაც აფასებს. და არა მარტო გასამხნევებლად და ტაშის დასაკვრელად, არამედ იმიტომაც, რომ, თუ ხალხს რაღაც შეეშლება, ესეც ვუთხრათ.

ასეთია ჩემი აზრი.

ჩვენი, არტისტების, მთავარი საქმე მაინც ის არის, რომ გავამხიარულოთ ხალხი, კარგ ხასიათზე დავაყენოთ, სასიამოვნო სიმღერები მოვასმენინოთ.

**ხალხთან რომ იყო, უნდა იცოდე, რისთვის ხარ. მაგალითად, სტადიონზე რომ შეიკრიბა დიდი მასა, მეც იქ ვიყავი. დამინახეს, რომ იქა ვარ. მაგრამ რისთვის ვიყავი? იქ ყოფნისას ამის პასუხი ვერ მივიღე.**

**იმ ჯაჭვშიც ვიდექი, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ შეიკრა. ვიდექი როგორც გაბრაზებული კაცი. მაგრამ მერე რა?!**

რუსეთიც გამიკრიტიკებია — ჟირინოვსკიზეც დამიწერია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო მაღალმხატვრული რამ. უფრო ისეთი იყო, საუბრისას რომ იტყვი ან ესტრადაზე წაუმღერებ. რასაც გრძნობ და რასაც ხედავ, იმას, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლი, ოღონდ უნდა გესმოდეს, რა ხდება და ზედმეტი არ დაიბრალო.

**— ვინ იყო იმ ტექსტების ავტორი, რომლებსაც თქვენ ახმოვანებდით?**

— სულ ჩემი ტექსტებია. მაგალითად СНГ-ს გაშიფვრა, СПИД-ზეც მქონდა და ა.შ., იუმორის კუთხით, ცხადია.

**— ხომ არ გაგვიშიფრავთ ათას მეერთედ? როგორ წავიკითხოთ СНГ?**

— Не дай Бог, მოვა ისეთი დიქტატორი, რომელიც იქნება Сталин Наполеонович Гитлер. სპიდი კი ასე იშიფრებოდა: სექსისთვის პრეზერვატივი იქონიე, დებილო. და ასე შემდეგ.

**— ესტრადაზე საიდან მოხვედით?**

— ბავშვობიდან ვმღეროდი და ვმაიმუნობდი, ასე ვთქვათ. სკოლაშიც და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც, რომელიც დავამთავრე ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით. თბილისში რუსულ სკოლაში ვასწავლიდი ფიზიკას. ორი წელიწადი საბჭოთა ჯარში, გროზნოში ვმსახურობდი, იქაც ვმღეროდი. მაგრამ ყველა ჯარისკაცულ საქმეს ვასრულებდი — იარაღის გაწმენდა, სროლები, განწესი, ყარაულში დგომა...

**— გაუპტვახტში ხომ არ მოხვედრილხართ?**

— არა. წესიერი ჯარისკაცი ვიყავი.

**— ჯარისდროინდელი რომელიმე სიმღერის ტექსტი თუ გახსოვთ?**

— ჩვენს ნაწილში, მაგალითად, იყო სამზარეულო — кухня, რომელსაც საშველი არ დაადგა და გაზი ვერ გაიყვანეს, შეშის ცეცხლზე ვამზადებდით ჯარისკაცების სადილ-ვახშამს და მთელი ჩვენი ნაწილი შეშის დაჭრასა და დაპობაზე ცდებოდა. მერე მთელი ეს блок питания მწყობრიდან გამოვიდა. ასეთ ამბებზე ვწერდი „ჩასტუშკებს“...

**— ხომ არ გახსოვთ რომელიმე?**

— კი, ბატონო:

Проведем вам газ
на кухню,
Обещали часто нам,
Взорвалася наша кухня,
Раскололась пополам.

ეს რომ ვიმღერე ნაწილში, ისეთი ტაში ატყდა, რომ თქვენი მოწონებული. ზამპოლიტმა (იყო ასეთი თანამდებობა საბჭოთა არმიაში) მკითხა, ვინ დაგიწერაო. გამოვუტყდი, რომ ავტორი მე ვიყავი. СНГ-ზე კი ხაზანოვმა მკითხა, საავტორო კონცერტზე რომ ვიყავით მოსკოვში, მაშინ, ვინ დაგიწერაო, რა მაგარი რაღაცააო. იმას უწერდნენ, გამორჩეული ავტორები მუშაობდნენ ხაზანოვის დონის მსახიობებზე. ძალიან გაუკვირდა და არ დაიჯერა, რომ ჩემი ნაწვალები იყო.

რას ნიშნავდა ეს აბრევიატურა, უკვე გითხარით. მაგრამ ალექსანდრე ბასილაიას, ჩვენი ხელმძღვანელის, ბუთხუზას კონცერტზე შევცვალე და გაშიფვრის ახალი ვარიანტი წარვადგინე: Саше, настоящему грузину, сверхмощное наше гау... და მთელი დარბაზი ამყვა და ტაშის გრიალში დაამთავრა — მარ-ჯოს!

**— „ივერია“, თქვენ, სხვებთან ერთად ქართული იუმორის მოდის დამდები იყავით. ხომ არ მძლავრობს დღეს საქართველოში პრიმიტიული პროვინციული იუმორი, რომლის უგემოვნებო ნიმუშებს ტელეეკრანიდან გამუდმებით გვთავაზობენ?**

— იუმორი ისეთი ფენომენია, რომელსაც ყოველ დღე ვერ შექმნი. არის იუმორის კარგი მაგალითები — „ღამის შოუ“, „შუა ქალაქში“, „კომედი შოუც“.

ზოგი ძალიან ნიჭიერია, ზოგი, ასე ვთქვათ, „სრედნი“. მაგრამ ერთმანეთს ავსებენ.

მომღერლებიც ასე არიან — ძიებაში. ჩვენც ასე ვიყავით — ჩვენც გვაკრიტიკებდნენ. რაც კარგია, დარჩება. რაც არა — დაივიწყებენ.

**— ვასიკო ოდიშვილს „მაესტროს“ ეთერში თუ უსმენთ?**

— კი, როცა საშუალება მაქვს. ძალიან ნიჭიერად მიჰყავს „ყოველდღიური ამბები“...

ესტრადა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დღევანდელურია, რაც გუშინ მოხდა, შეგიძლია უცებ გამოიტანო სცენაზე. შტრიხებით შემოხაზო სურათი. სკეტჩით, სიმღერით... ჩვენ გვქონდა ასეთი რაღაცეები, მაგალითად „რწყილსა და ჭიანჭველაში“, რომელიც რამდენჯერმე გადავაკეთეთ იმ დროის აქტუალურ საკითხებთან შეფარდებით.

**— ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე სპექტაკლ „ხანუმაში“ ექსპრომტად ისეთ ფრაზებს ჩაურთავდნენ, რომლებიც სწრაფი და გონებამახვილური რეაქცია იყო გუშინდელ ამბავზე, ან პრობლემაზე, რომელიც თბილისში სალაპარაკოდ იყო გამხდარი. იხოცებოდა დარბაზი სიცილით.**

— გენიალურად აკეთებდნენ.

**— თქვენს კოლექტივში ძალიან ნიჭიერი ადამიანები იყვნენ...**

— გეთანხმებით. ჩვენთან სიმღერის, ვოკალის დატვირთვა მოდიოდა თემურ წიკლაურზე, ნუგზარ კვაშალზე, მანანა თოდაძეზე. დანარჩენები — ზოგი ვუკრავდით, ზოგი წავიმღერებდით, ვისაც რისი ნიჭი გვქონდა, იმას ვაკეთებდით. მაგრამ ბუთხუზი ბასილაია რომ არ ყოფილიყო, არაფერს ფასი არ ექნებოდა, შესანიშნავი გემოვნება ჰქონდა, არაჩვეულებრივ მელოდიებს წერდა. ამიტომ არის, რომ მისი ბევრი სიმღერა დღესაც შემორჩა.

სპექტაკლების ლიბრეტოების, პიესების ავტორი ჯემალი იყო, ბაღაშვილი. ლექსებსაც ის წერდა.

ვთანამშრომლობდით გოგი ცაბაძესთან, მორის ფოცხიშვილთან და ა.შ. დავდგით „ჩხიკვთა ქორწილი“, „არგონავტები“, „თოვლის ბებო“ (ორი ჯუჯა მაშინ გამოჩნდა — მე და ნუგზარ კვაშალი). სერიოზული სპექტაკლი იყო „ფიროსმანი“.

ჩემი მთავარი დატვირთვა იუმორი იყო. იმდენად სატირული არა, უფრო — იუმორისტული, თუმცა არც სატირა გვაკლდა. ასე მოვდიოდით.

**— ამ სპექტაკლებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად რომელი მიგაჩნიათ?**

— „ფიროსმანი“, თუმცა ყველას თავისი წილი წარმატება ჰქონდა. განსაკუთრებით, — „ჩხიკვთა ქორწილს“, რომლის მიხედვით ფილმი გადავიღეთ, ხუთი წლის წინათ „ჩხიკვთა ქორწილის“ 100 სპექტაკლი დაიდგა მოსკოვის ცირკში.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ, ახლაც რომ გაგრძელდეს ურთიერთობა რუსეთის შემოქმედებით წრეებთან?**

— რატომაც არა?! **მე მგონი, დღეს ბოდიში გვაქვს მოსახდელი ჩვენც, მარტო რუსეთთან კი არა, საერთოდ: თუ რამე დავაშავეთ, გვაპატიეთ; თუ რამე დაგვიშავეთ, თქვენც მოიხადეთ ბოდიში.** სანამდე უნდა ვუცადოთ რუსეთს, როდის გახდება დემოკრატიული?..

**— დღეს რომ შემოგთავაზონ, რომელ სპექტაკლს აღადგენდით?**

— გავიმეორებდი „არგონავტებს“, რომელიც ცოტა ხანს იყო სცენაზე. ცუდი ამბავი შეგვემთხვა მაშინ — თემურ წიკლაურს გარდაეცვალა შვილი.

**— შეიძლება, რომ „ივერია“ გამეორდეს?**

— შეიძლება.

**— ვითომ?**

ხალხთან რომ იყო, უნდა იცოდე, რისთვის ხარ. მაგალითად, სტადიონზე რომ შეიკრიბა დიდი მასა, მეც იქ ვიყავი. დამინახეს, რომ იქა ვარ. მაგრამ რისთვის ვიყავი? იქ ყოფნისას ამის პასუხი ვერ მივიღე

— ჩვენი ანსამბლი ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა გაიარა. ზოგი ამერიკაშია, ზოგი — რუსეთში: სოსო პავლიაშვილი, ავთო მამაცაშვილი, ზურა ცისკარიძე და ბევრი სხვა.

სულ პირველად კვარტეტი ვიყავით: ბუთხუზ ბასილაია, ჯემალ ბაღაშვილი, გოგი ლეონიძე და მე. ახლა ორნიღა დავრჩით: ჯემალი და მე.

შემდეგ თემური შემოგვემატა, ძმები კვაშალები, ანსამბლი „ნატვრის ხე“ — რომა რცხილაძის ხელმძღვანელობით... და ასე შემდეგ.

**— ფიქრობთ რომელიმე ახალ პროექტზე?**

— არა. არაფერს არ ვდგამთ. ახლა ყველაფერი გაძნელდა. თუ სპონსორი არ გამონახე, ვერაფერს გააკეთებ.

**— სპონსორი კი არ ჩანს...**

— თანაც, რაც მთავარია, ჩვენ ცოტა მოვბერდით, ჩვენი სიტყვა ვთქვით. მოვიდნენ ახლა სხვები — ჰა ბურთი და ჰა მოედანი.

**— ანუ, როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა: „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე“?**

— დიახ.

**— მაშ, თქვით ბატონო ვახტანგ, თქვენი დასკვნითი სიტყვა — რას გვეტყვით მაყურებელს, იმათ, ვინც ყოველთვის სიხარულით მოვდიოდით თქვენს კონცერტებსა და სპექტაკლებზე და ვავსებდით დარბაზებს?**

— დიდი ვასო გოძიაშვილის არ იყოს, „ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ, როგორც მიყვარდით მაშინ“... ჩვენი სიყვარული მაყურებლის მიმართ არ გამქრალა. მინდა, რომ ყველას უყვარდეს ერთმანეთი. მართალია, ეს ძნელი მისაღწევია დღევანდელ დაპირისპირებულ გარემოში, მაინც ოპტიმისტურად უნდა ვიყოთ განწყობილი. ჩემი აზრით, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული გაიმარჯვებს:

**მთავარია სამი რამე**
**დედამიწაზე —**
**სიყვარული, სიკეთე**
**და სილამაზე.**

ტყუილად არ ვმღერით ამას მე და ნუგზარ კვაშალი.

**— ესე იგი, ფარდა არ დაშვებულა?**

— არა. მზად ვართ, დავეხმაროთ ყველას, ვინც მოისურვებს, ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად. ისე, რომ იცოდეთ, წლეულს, ნოემბერში 70 წლისა ვხდები. ბევრი იუბილარი ვგროვდებით: ჯემალ ბაღაშვილი სამოცდაათის გახდება, თემურ წიკლაური 65-ის, ნუგზარ კვაშალს 60 შეუსრულდება — სულ „კრუგლი დატებია“. რა ვიცი, შეიძლება რაღაც კონცერტიც კი დავდგათ... რაღა თქმა უნდა, თუ სპონსორი ვიპოვეთ...

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა გამარჯვებულ, საბრძოლო ორდენებით მკერდდამშვენებულ თაობას თვალებში ნაცარს აყრი, როცა კაბინეტში შეყუჟული ფანჯრიდან ისვრი დამამცირებელი სიტყვების კორიანტელს, გმირობასა და თავგანწირვას არარაობად მიიჩნევ, რა გქვია მაშინ შენ? პატრონისადმი მონობის ელფერი დაჰკრავს ყველა მის წამოძახილს, რითაც შეურაცხყოფს იმ 700 ათას ქართველს, რომელნიც ერთი მიზნით, ერთი სულისკვეთებით კავკასიის მთაგრეხილებიდან ბერლინში ბრძოლით ჩავიდნენ და რაიხსტაგზე ფაშიზმზე გამარჯვების დროშა აღმართეს.**

# მასხარაშვილის უხეში «მასხრობა»

**ისტორიკოსი მასხარაშვილი უხეშად „მასხრობს“, როცა ფაშიზმზე გამარჯვებისთვის ქართველთა დაღვრილი სისხლი, მათი თავგანწირვა მიაჩნია „ქართველი მძევლების გაყრად ფრონტის ხაზზე, ამ ომს ჩვენ არავინ გვეკითხებოდაო“. ღმერთო, გონება გაუნათე იმ ადამიანებს, რომელთაც სახელად ისტორიკოსები ჰქვიათ, ან მოაქვთ თავი და ვერაფერი დაიმახსოვრეს პოლიბიოსის, ბენედეტო კროჩეს, ჯორჯ კოლინგვუდის, თუნდაც ივანე ჯავახიშვილის შეგონებებიდან.**



მასხრობის ხასიათზე მყოფ მასხარაშვილს კარგად მოეხსენება, რომ კაცობრიობის მტრის, ფაშიზმისა და მისი იდეოლოგის, პირსისხლიანი ჰიტლერის დამარცხებაში ქართველთა წვლილი დიდია, იქნებ — გადამწყვეტიც. გასაკვირი ის იქნებოდა, მსოფლიო „სატანის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები განზე რომ გამდგარიყვნენ. საბედნიეროდ და საამაყოდ, ჩვენი ქვეყნის შვილებმა პროცენტულად ყველაზე მეტი სისხლი გაიღეს.

ამ გამარჯვებამ პერსპექტივაში მოგვცა არნახული მაგალითი ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლის კონსოლიდაციის საქმეში.

**როცა მეორე მსოფლიო ომზე ვსაუბრობთ, მიმოვიხილავთ არა მხოლოდ წარსულს, არამედ — სამომავლო პერსპექტივასაც მსოფლიოში, მათ შორის კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილიზაციის დაცვის აუცილებლობაზე.**

თუ ეს იცის მასხარაშვილმა, ალბათ, ისიც მოეხსენება, რომ ქართველთა დიდი ნაწილი ომში მოხალისედ წავიდა, იმ რწმენით, რომ დედასამშობლოს იცავდნენ. გულანთებულთ თან შეხვეული მშობლიური მიწა მიჰქონდათ და უბეში სათუთად ინახავდნენ; სანგარში მოკუნტულნი გათოშილი თითებით ელოლიავებოდნენ ან ნეტარებით ყნოსავდნენ, ქართული მიწის მშობლიური სურნელი რომ შეეგრძნოთ და ახალი ენერგიით დამუხტულიყვნენ. სწორედ ამგვარმა რწმენამ, სხვა ეროვნების წარმომადგენლების მხარდამხარ ბრძოლამ დაამარცხა მსოფლიო საშინელება — ფაშიზმი.

მამაჩემი, თენგიზ დავითაია ომში 1941 წლიდან მონაწილეობდა, იყო სატანკო ასეულის ოფიცერი. ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისას მუხლში დაიჭრა სნაიპერის ტყვიით, ცალი ფეხის ამპუტაციის შემდეგ ხეიბარი დაბრუნდა შინ 45-ში. სამასი ათასი ქართველი კი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მათ შორის ბევრია უსაფლავო ჯარისკაცი. ახლა რომ ცინიკურად „იმასხრო“ მათ დაღვრილ სისხლსა და განწირულ სიცოცხლეზე, რა ქვია ამას?

გულქვაობა? არა, — უფრო მეტი!

**იქნებ ვიღაცის დაკვეთით ცდილობთ თანამედროვე ახალგაზრდების მეხსიერებიდან წარსულის გამარჯვების ამოშლას ან დამახინჯებული წარმოდგენის დამკვიდრებას?!**

**იქნებ უფროსი თაობის დისკრედიტაციით გუნდრუკს უკმევთ დღევანდელ დამარცხებულ ხელისუფლებას?**

**იქნებ იტალიაში თავისუფლებისთვის მებრძოლი და იმ ქვეყნის ეროვნულ გმირად აღიარებული ფორე მოსულიშვილისა და სხვა ქართველთა დაღვრილი სისხლი და გამოჩენილი თავგანწირვაც არაა ბრძოლა და თავდადება, რადგან ისინი ევროპული ქვეყნების განთავისუფლებისთვის ირჯებოდნენ?**

**საბჭოთა ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია მიუღებელი და დასაგმობია, ამაზე არც დავობს დღეს ჭკუათმყოფელი, მაგრამ მსოფლიო საშინელების დამარცხების მონაწილე შენი ჯიშისა და ჯილაგის ღირსების უპატივცემულობა, უმეცრების გამოვლენაზე მეტია.**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა წყაროების დამკვიდრება ევროპის ქვეყნებში მათ სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ეს რეაქცია გასაგები და მისაღებია. დავუშვათ, რომ ფაშიზმი და ჰიტლერი დაპატრონებოდნენ ევროპას (ებრაელთა გაჟუჟვით, მოწინავე ადამიანთა დარბევა-გასახლებითა და სხვ.) უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ევროპელები?

**თქვენ გეკითხებით, მასხარაშვილო, თუ ის თავგანწირვა არ იყო თავგანწირვა და ბრძოლა, ერაყში და ავღანეთში რომ იხოცებიან ქართველები, ამას რა ჰქვია? იქნებ იკადროთ და თქვათ, რომ ეს მართლაც ომია და თავგანწირვა ტერორიზმის წინააღმდეგ, ის ფაშიზმი კი ჩვენ არ გვეხებოდაო?**

ნიჭიერი და ნამდვილი შემოქმედი ადამიანი ხელისუფლების ლაქიად არასდროს ქცეულა და არც უნდა იქცეს. ამის მაგალითს გვაძლევს საუკუნის ნაწარმოების „დათა თუთაშხიას“ ავტორი, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი და ქვეყნისთვის გულანთებული სხვა ადამიანები.

## თქვენი უაზრო, ცარიელი სიტყვები სახელდახელოდ ამოხაპულია «ვარდების რევოლუციონერთა» ჭუჭყიანი კასრიდან

**თქვენი უაზრო, ცარიელი სიტყვები, სახელდახელოდ ამოხაპულია „ვარდების რევოლუციონერთა“ ჭუჭყიანი კასრიდან. ის შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ვერც ჩვენზე, ვისაც მამა-პაპათა დაღვრილი სისხლი და გამოჩენილი გმირობა თავდადების ეპოპეად მიგვაჩნია, და ვერც იმათზე, რომლებიც სტალინის გენიასა და ფაშიზმის დამარცხებაში ქართველთა როლს აუფასურებენ.** ვისაც თანამდებობრივი „არტახები“ აიძულებს, რეალობა გააუფეროს და გადამთიელთა გულის მოსაფხანად, ეროვნულ ღირსებებს ჩირქი მოსცხოს, რადგან ახლა ის ქარი ქრის და ის ბუკი და ნაღარა უკრავს, რომლისადმი მონური მორჩილება მოდაში, ეს მისი პრობლემაა. აბა, ნახეთ, როგორც კი დასცილდებიან ხელისუფლებას, რა ხმაზე ჭიკჭიკებენ? სიმართლე ის სასჯელია, რომელიც დღეს თუ ხვალ ყანყრატოში სწვდება მეძროვეთ. და თქვენც გჯეროდეთ ამის.

ფერისცვალება ხელისუფალთა ბრძოლის მეთოდია და ცხადი საიდუმლო, რომელიც, კარგა ხანია, ყველასთვის თვალხილულია.

სამართალს რკინის კლანჭები აქვს.

ადამიანი იურიდიულად თავისუფალია საკუთარი ნების გამოხატვაში. მას კონსტიტუცია იცავს. ყველას შეუძლია, ვინც უნდა, ის მოსწონდეს და მას გაუგოროს კოჭი, მას შესციცინოს თვალებში და მაამებელი სიტყვებით გული მოულბოს, მაგრამ არსებობს მორალური და რელიგიური ნორმები, რომელთა გაუთვალისწინებლობა ამორალურობად ითვლება. ბოლოსდაბოლოს უნდა დასრულდეს ულირსთა მხრიდან ღირსეულთა განკითხვა.

**„ნაციონალთა“ ნექტრით ნაამები ადამიანები თქვენთვის დათმობილ „კათედრას“ ნუ გამოიყენებთ აუგად; ნუ იტყვით იმას, რაც ენის წვერზე მოგადგებათ. ავი ფანატიკოსიც არ იკადრებს, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლი, ის დიადი ომი და გმირული სულისკვეთება არარაობად შერაცხოს.**

ეროვნული პასუხისმგებლობის დიდი დეფიციტია დღეს საქართველოში. სამართლიანობისთვის სუდარის გადამფარებელთა რაოდენობა გაიზარდა. თუმცა სულ ტყუილი გარჯაა. რადგან ცრუ პოზიციას გრძელი გზა აღარ დარჩენია.

ორიოდე დღის წინათ შევხვდი ომის ვეტერანს, 91 წლის გიორგი გარუჩავას. შეუძლებელია, მის მსგავს ადამიანებს თვალებში ჩახედო, ნაღმის ნამსხვრევებისგან დასერილ სახეს შეხედო და წამოგცდეს: „შენ ტყუილად იბრძოდი!“.

1991 წელს სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში ვმონაწილეობდი. ჩვენ მაშინ ამოცანა ვერ შევასრულეთ, ცნობილი მიზეზების გამო. ეს არის მოუშუშებელი ტკივილი ჩემი და, ღმერთმა ნუ ქნას, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩვენი ძირძველი მიწის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, დაბრუნებას ვერ მოვესწრო.

**როცა გამარჯვებულ, საბრძოლო ორდენებით მკერდდამშვენებულ თაობას თვალებში ნაცარს აყრი, როცა კაბინეტში შეყუჟული ფანჯრიდან ისვრი დამამცირებელი სიტყვების კორიანტელს, გმირობასა და თავგანწირვას არარაობად მიიჩნევ, რა გქვია მაშინ შენ?**

პატრონისადმი მონობის ელფერი დაჰკრავს ყველა მის წამოძახილს, რითაც შეურაცხყოფს იმ 700 ათას ქართველს, რომელნიც ერთი მიზნით, ერთი სულისკვეთებით კავკასიის მთაგრეხილებიდან ბერლინში ბრძოლით ჩავიდნენ და რაიხსტაგზე ფაშიზმზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

**ბორის დავითაია,**
*აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი*
*ქ. სენაკი*

---

**დავით თარხან-მოურავი: „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერი:**



სადაც და რა დროსაც უნდა შევხვდეთ ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს, შეხვედრის მთავარი პათოსი და მიზანი მათი მხილება უნდა იყოს. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვაგრძნობინოთ სააკაშვილს, რომ იგი დამნაშავეა.

*obieqtivi.net*

**გიგი წერეთელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:**



აბდალაძესა და გედენიძეს ჩემთვისაც ბევრი ფოტო აქვთ გადაღებული და, რამდენადაც მათ ვიცნობ, ნამდვილად ვერ ვიფიქრებ, რომ რამით ჯაშუშობასთან არიან დაკავშირებული. მეტი არგუმენტები მჭირდება, რომ მათ დანაშაულში დავრწმუნდე.

*„ვერსია“*

**ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**



ის რომ, სააკაშვილი ამ ყველაფერს რუსეთის სპეცსამსახურებს და რუსულ პოლიტიკას უკავშირებს, ლოგიკურად ჯდება იმ პროპაგანდაში, რომელსაც ის, ოთხი წელია, ეწევა. იგი ამბობს: ვინც ჩემი წინააღმდეგია და არ მეთანხმება, ჩემი მტერია და რუსეთს ეხმარება.

*„კომერსანტი“*

**გუბაზ სანიკიძე, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**



ეკლესიაში ბევრი მომხრე ჰყავთ... ადამიანები მიდიან მათთან, აღსარებას აბარებენ, უფალთან ცოდვებს ინანიებენ და უფლის მაგივრად ამათი ამბავი მიაქვთ „მოდულში“, მიაქვთ ვანოსთან...

*„კვირის ქრონიკა“*

**თემურ შაშიაშვილი, „თეთრების“ ლიდერი:**



ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და, უპირველეს ყოვლისა, მიხეილ სააკაშვილი სინოდის ზოგიერთ წარმომადგენელს აშანტაჟებენ და რალაცით აშინებენ.

*„კვირის ქრონიკა“*

---

## ევროკომისია საქართველოს 50 მილიონს აძლევს



**ევროკომისიამ 13 ივლისს დაამტკიცა 2011 წლის სამოქმედო პროგრამა საქართველოსთვის, რომელიც ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის, კონფლიქტის მოგვარების ძალისხმევისა და დევნილთა მხარდაჭერისთვის 50,73 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს.** დახმარების ნაწილი ასევე მოხმარდება საქართველოს პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერებას. ევროკომისიის დახმარება ასევე მიმართულია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი მოთხოვნების მოგვარებისკენ.

## აშშ-მა კოდი GRZ /GRUZIA/ კოდი GEO /GEORGIA/-თი შეცვალა

**აშშ-მა დააკმაყოფილა საქართველოს თხოვნა და თავის ტერიტორიაზე შესასვლელ ვიზებში საქართველოს მოქალაქეებისათვის ქვეყნის კოდი GRZ / Gruzia/-დან GEO /Georgia/-ზე გადაიყვანა.** ამის შესახებ ინფორმაცია აშშ-ში საქართველოს ელჩმა თემურ იაკობაშვილმა გაავრცელა. ელჩმა დასძინა, რომ აღნიშნული ცვლილება უკვე შევიდა ძალაში და ამიერიდან საქართველოს ყველა მოქალაქე აშშ-ში საკუთარი ქვეყნის ახალი კოდირების ვიზებით შევა.

საქართველო და მსოფლიო
ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვიეტნამში დაიხოცა 58 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, უმეტესად — ახალწვეულები, დაიჭრა — 300 ათასამდე. ათი ათასობით ჯარისკაცმა თავი მოიკლა მომდევნო წლებში ან ფსიქიურად და მორალურად განადგურდა. ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ ვიეტნამის მთავრობამ განაცხადა, რომ მათი მხრიდან დაიღუპა 4 მილიონი სამოქალაქო პირი და 110 ათასი ჯარისკაცი. ვიეტნამის ომის 500 ათასამდე ვეტერანი მკურნალობდა პოსტტრავმატულ სტრესულ მოშლილობას. ამ სამხედრო კამპანიაში მონაწილე ამერიკელების საშუალო ასაკი 19 წელიწადი იყო.

# ინტერვენციის

## ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო დანაშაულის სრული სია

**სხვა ხალხების ექსპლუატაციის უფლების შესანარჩუნებლად ამერიკა რეგულარულად მიმართავს ძალადობის უკიდურეს ფორმებს, უწინარეს ყოვლისა კი, — ომებს.
დღეს ვაგრძელებთ ცნობილი შეიარაღებული ინტერვენციებისა და სხვა დანაშაულობათა სიის პუბლიკაციას. ამ ჩამონათვალს აბსოლუტური სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ უფრო სრული არ არსებობს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №23-25

**1956 წელი** — ამერიკული მხარდაჭერის დაწყება ტიბეტელი მეამბოხეებისთვის, რომლებიც ჩინეთს ებრძოდნენ.

**1957-1958 წლები** — ინდონეზია. სუკარნომ, რომელიც ნასერთან ერთად მესამე სამყაროს ლიდერი იყო, მოახდინა ჰოლანდიელთა საკუთრების ნაციონალიზაცია, უარი თქვა კომპარტიის აკრძალვაზე, რომელიც უსწრაფესად იხვეჭდა პოპულარობას ამომრჩეველთა შორის. მესამე სამყაროში „მცდარი იდეების დიფუზიის წინააღმდეგ“ აშშ-ის სპეცსამსახურმა დიდი ფული ჩადო არჩევნებში, დაიწყო ომი სუკარნოს მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ — უშედეგოდ.

**1958 წელი** — ლიბანი. ქვეყნის ოკუპაცია. ბრძოლა აჯანყებულების წინააღმდეგ.

**1958 წელი** — კონფრონტაცია პანამასთან.

**1958 წელი** — ამერიკელების სამხედრო დახმარება ჩინეთის წინააღმდეგ კუნძულ კუემოიზე აჯანყებულთათვის.

**1958 წელი** — ინდონეზიაში იწყება აჯანყება, რომელსაც ამერიკელები 1957 წლიდან ამზადებდნენ. აშშ ეხმარება აჯანყებულებს დაბომბვებით, სამხედრო კონსულტაციებით. აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ ამერიკელებმა უკან დაიხიეს. აჯანყება ჩაიფუშა.

**1959 წელი** — ამერიკელებს ჯარები შეჰყავთ ლაოსში. იწყება ამერიკული ჯარების შეჭრა ვიეტნამში.

**1959 წელი** — ჰაიტი. პროამერიკული მთავრობის წინააღმდეგ ამბოხის ჩახშობა.

**1960 წელი** — ეკვადორი. პრეზიდენტი ხოსე მარია ველასკო უარს ამბობს ამერიკელების მოთხოვნაზე, შეწყვიტოს ურთიერთობა კუბასთან. ამერიკელები რამდენიმე საომარი ოპერაციით უპასუხებენ. ქვეყანაში ხდება სისხლიანი პროვოკაციები, რომლებიც მთავრობას მიეწერება. ბოლოს **ამერიკელების მიერ ორგანიზებული გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოდის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი კარლოს აროსემანა. ამას მოჰყვება მეორე გადატრიალება. ქვეყანაში სახალხო მღელვარება იწყება, რომელიც ამერიკელების ხელმძღვანელობით ჩაახშეს. ძალაუფლება სამხედრო ხუნტის ხელში გადადის.** იწყება პოლიტიკური ტერორი, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების წინააღმდეგ. ამერიკა კმაყოფილია.

**1960 წელი** — ამერიკის ჯარები შედიან გვატემალაში აშშ-ის მარიონეტის ქვეყნიდან განდევნის თავიდან ასაცილებლად. აჯანყების მცდელობა ჩაიფუშა.

**1960 წელი** — სალვადორში სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა.

**1960-1965 წლები** — კონგო/ზაირი. 1960 წლის ივნისში პატრის ლუმუმბა დამოუკიდებელი კონგოს პირველი პრეზიდენტი გახდა. 1961 წელს იგი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ინიციატორი, მოკლეს. **ხელისუფლების სათავეში დგება მობუტუ, რომელიც აშშ სპეცსამსახურებთან იყო მჭიდრო კავშირში. მისი მმართველობის 30 წლის მანძილზე ქვეყანა ისე გაღატაკდა, რომ ამერიკელი პატრონებიც კი გაკვირვებას ვერ მალავდნენ. მობუტუ კი მულტიმილიარდერი გახდა.**

**1961-1964 წლები** — ბრაზილია. პრეზიდენტმა გულარტმა დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსხვილი მიწათმფლობელი იყო, ამერიკამ მას „კომუნისტებით მთავრობის დანაგვიანება“ დააბრალა და გადატრიალების შედეგად დაამხო. შემდგომი 15 წლის განმავლობაში ქვეყანას სამხედრო დიქტატურა მართავდა. ბრაზილიამ გაწყვიტა ურთიერთობა კუბასთან და აშშ-ის ერთგული პარტნიორი გახდა ლათინურ ამერიკაში.



### აშშ ჯარებმა მასობრივად დახოცეს ინდიელები, რომლებიც პოტენციურ მეამბოხეებად იყვნენ მიჩნეულნი

**1961 წელი** — ამერიკელები კლავენ დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს — რაფაელ ტრუხილიოს, რომელიც ქვეყნის სათავეში თვითონვე მოიყვანეს ოცდაათიან წლებში. დიქტატორი იმიტომ კი არ მოკლეს, რომ ქვეყანას ძარცვავდა (ქვეყნის ყველა შემოსავლის 60 პროცენტი უშუალოდ მის ჯიბეში მიდიოდა), არამედ იმიტომ, რომ მისი მძარცველური პოლიტიკა დიდად აზარალებდა ამერიკულ კომპანიებს.

**1961 წელს** აშშ-მა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან და ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა. აპრილში კი მოაწყვეს კუბელი კონტრრევოლუციონერების თავდასხმა პლაია-ხირონის რაიონში.

**1962 წელს** გვატემალის დიქტატორი მიგელ ფუენტესი ამერიკელების დახმარებით ახშობს სახალხო აჯანყებას. ასობით ადამიანი უგზო-უკვლოდ იკარგება; წამება და მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავი ხდება; ქვეყანას ტერორი მოიცავს.

**1963 წელი** — სალვადორი. ანტიამერიკული შეხედულებების მქონე დისიდენტების განადგურება.

**1963-1966 წლები** — დომინიკის რესპუბლიკა. დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ბოში რეფორმების განხორციელებისკენ მოუწოდებს ხალხს. მის გეგმებს აშშ „სოციალიზმში შეძრომად“ ასაღებს, თვით პრეზიდენტს კი მასმედიის საშუალებით „წითლად“ წარმოადგენს. 1963 წლის სექტემბერში ბოში ამერიკელების თანხმობით მოწყობილი სამხედრო გადატრიალების გზით დაამხეს. როცა 19 თვის შემდეგ ქვეყანაში იფეთქა სახალხო აჯანყებამ და შეიქმნა ხელისუფლებაში ბოშის დაბრუნების პირობები, აშშ-მა 23 ათასი ჯარისკაცი გააგზავნა „ამბოხის“ ჩახშობაში დახმარების აღმოსაჩენად.

**1963 წელი** — ამერიკელები აქტიურად ეხმარებიან ბაასისტების პარტიას ერაყში ყველა კომუნისტის მოსასპობად წამოწყებულ კამპანიაში. **სწორედ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება სადამ ჰუსეინმა და შემდგომ თავდაუზოგავად ებრძოდა ამერიკის საძულველ ირანს.**

**1964 წელი** — სისხლში ჩახშობა პანამის ეროვნული ძალების, რომლებიც პანამის არხის ზონაში ქვეყნის უფლებების აღდგენას მოითხოვდა.

**1964 წელს** ამერიკა მხარს უჭერს სამხედრო გადატრიალებას ბრაზილიაში. სამხედრო ხუნტამ დაამხო კანონიერად არჩეული პრეზიდენტი გულარტი. გენერალ კასტელო ბრანკოს რეჟიმი, რომელიც ქვეყანაში გამეფდა, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიან რეჟიმად მიიჩნევა. **აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ გაწვრთნილი სიკვდილის ბრიგადების ხელით ბრანკო ხოცავდა ყველას, ვინც მის რეჟიმს ეწინააღმდეგებოდა, უწინარეს ყოვლისა — კომუნისტებს.**

**1964 წელი** — კონგო (ზაირი). ამერიკა მხარს უჭერს ხელისუფლებაში დიქტატორ მუბუტუ სესე სეკოს მოსვლას, რომელიც ულარიბეს ქვეყანას მილიარდობით დოლარს მოპარავს.

**1964-1974 წლები** — საბერძნეთი. 1964 წელს დაიწყო აშშ სპეცსამსახურების ინტრიგები ქვეყნის პრემიერ-მინისტრ პაპანდრეუს წინააღმდეგ, ხოლო 1967 წლის აგვისტოს არჩევნებამდე ორი დღით ადრე, პაპანდრეუს პრემიერ-მინისტრად ხელმეორედ მოსვლის აღსაკვეთად მოეწყო სამხედრო გადატრიალება. **ქვეყანას „შავი პოლკოვნიკები“ დაეპატრონენ, შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა, ცენზურა, დაიწყო დაპატიმრებები, წამება, მკვლელობა. პირველსავე თვეში „ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის“ წინააღმდეგ მოწყობილმა კამპანიამ რვა ათასი ადამიანი შეიწირა.**

1965 წელი — ინდონეზია. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებას სათავეში უდგება დიქტატორი, გენერალი სუხარტო. მისმა დიქტატურამ ნახევარი მილიონი ადამიანი შეიწირა. **1975 წელს სუხარტომ ხელთ იგდო აღმოსავლეთ ტიმორი და მოსახლეობის ერთი მესამედი დახოცა. კუნძული გიგანტურ სასაფლაოდ იქცა. „ნიუ იორკ ტაიმსმა“ ამ ტრაგედიას „თანამედროვე პოლიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ველური მასობრივი მკვლელობა“ უწოდა.**

**1965 წელი** — სამხედრო დახმარება ტაილანდისა და პერუს პროამერიკულ მთავრობებს.

**1965-1974 წლები** — სამხედრო აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ, რამაც შეიწირა 250 ათასი ბავშვი, 750 ათასი დაიჭრა და დასახიჩრდა. ამერიკელებმა ჩამოაგდეს 14 მილიონი ტონა ბომბი და ჭურვი, რაც ჰიროსიმაზე აფეთქებული 700 ატომური ბომბის ეკვივალენტური იყო და სამჯერ აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომში აფეთქებული ბომბებისა და ყუმბარების ტონაჟს. **ვიეტნამში დაიხოცა 58 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი, უმეტესად — ახალწვეულები, დაიჭრა — 300 ათასამდე. ათი ათასობით ჯარისკაცმა თავი მოიკლა მომდევნო წლებში ან ფსიქიურად და მორალურად განადგურდა. ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ ვიეტნამის მთავრობამ განაცხადა, რომ მათი მხრიდან დაიღუპა 4 მილიონი სამოქალაქო პირი და 110 ათასი ჯარისკაცი.**

**ვიეტნამის ომის 500 ათასამდე ვეტერანი მკურნალობდა პოსტტრავმატულ სტრესულ მოშლილობას. ამ სამხედრო კამპანიაში მონაწი-** ▶

დაიღუპა 75 ათასი სალვადორელი მოქალაქე. ეს ოპერაცია ამერიკას 6 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ერთი მუჭა მდიდრები კვლავ მართავენ ქვეყანას, ღატაკები უარესად გაღატაკდნენ, ოპოზიციას ახშობს „სიკვდილის ესკადრონები“. ქალებს მათივე თმებით ხეებზე ჰკიდებდნენ და აჭრიდნენ მკერდს, ამოჭრიდნენ შიგნეულობას გენიტალიების რაიონში და თავზე ჩამოამხობდნენ. მამაკაცებს აჭრიდნენ გენიტალიებს და უდებდნენ პირში. ბავშვებს მშობლების თვალწინ მავთულხლართით გლეჯდნენ. ამ საშინელებას ამერიკელი სპეციალისტების დახმარებითა და დემოკრატიის სახელით სჩადიოდნენ.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანატომია



◀ლე ამერიკელების საშუალო ასაკი 19 წელიწადი იყო.

1966 წელი — გვატემალა. ამერიკელები ხელისუფლების სათავეში სვამენ თავიანთ მარიონეტ ჯულიო სეზარ მენდეს მონტენეგროს. **აშშ ჯარებმა მასობრივად დახოცეს ინდიელები, რომლებიც პოტენციურ მეამბოხეებად იყვნენ მიჩნეულნი.**

1966 წელი — ინდონეზია და ფილიპინები, რომელთა მმართველებს აქტიურად ეხმარებიან ამერიკელები. წლების შემდეგ ჯორჯ ბუში უფროსი შეაქებს მარკოსის რეპრესიულ რეჟიმს (60 ათასი კაცი დააპატიმრეს პოლიტიკური სარჩულით, მთავრობასთან ოფიციალურად მუშაობდა წამების 88 სპეციალისტი) „დემოკრატიული პრინციპების ერთგულებისთვის“.

**1968 წელი** — ბოლივია. ჩე გევარას რაზმის წინააღმდეგ წარმოებული ნადირობა. ჩე გევარას მკვლელობა.

**1970 წელი** — ურუგვაი. ამერიკელი წამების სპეციალისტები თავიანთ ხელობას ასწავლიან ადგილობრივებს, ანტიამერიკულ ოპოზიციასთან ბრძოლის პროცესში ამ „დემოკრატიული“ მეთოდის გამოყენების მიზნით.

**1971-1973 წლები** — ლაოსის დაბომბვა. ამ ქვეყანაში იმდენი ბომბი ჩამოყარეს, რამდენიც ფაშისტური გერმანიისთვის არ დაუყრიათ. 1971 წლის თებერვლის დასაწყისში ამერიკელებისა და საიგონის ჯარები (30 ათასი კაცი) აშშ-ის ავიაციის მხარდაჭერით სამხრეთ ვიეტნამიდან შეიჭრნენ სამხრეთ ლაოსში. ლაოსს სათავეში ჩაუყენეს ამერიკელების მარიონეტი ლოლ ნოლი.

**1971 წელი** — ამერიკელებმა სამხედრო დახმარება გაუწიეს ბოლივიელ მეამბოხეებს. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად პრეზიდენტი გახდა დიქტატორი ჰუგო ბანზერი, რომელმაც თავისი 2000 პოლიტიკური ოპონენტი წამებით მოკლა.

**1972 წელი** — ნიკარაგუა. ამერიკის შეიარაღებული ჯარები შედის ქვეყანაში, ვაშინგტონისთვის ხელსაყრელი მთავრობის მხარდასაჭერად.

**1973 წელი** — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას ჩილეში. სოციალისტი პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე შეტაკებისას იღუპება. **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო პირველად და ერთადერთხელ ისტორიაში გადატრიალების მზადების პერიოდში აფინანსებდა კომუნისტებს, რომლებიც ალიენდეს მთავარი კონკურენტები იყვნენ. ხელისუფლების სათავეში ექცევა სამხედრო ხუნტა გენერალ პინოჩეტის ხელმძღვანელობით, რომელმაც სისხლიანი კალო დაატრიალა ქვეყანაში: ციხეებში დაიღუპა 30 ათასი ჩილელი პატრიოტი, 2500 „უგზო-უკვლოდ დაიკარგა“.** 1974 წელს პინოჩეტი პრეზიდენტი გახდა. ქვეყანა გაღატაკდა.

**1973 წელი** — განკითხვის დღის ომი. სირია და ეგვიპტე ებრძვის ისრაელს. აშშ იარაღით ეხმარება ისრაელს.

**1973 წელი** — ურუგვაი. ამერიკელების სამხედრო დახმარება გადატრიალების პროცესში, რასაც მოჰყვა ტოტალური ტერორი მთელ ქვეყანაში.

**1974 წელი** — ზაირი. ამერიკა სამხედრო დახმარებას უწევს მობუტუ სესე სეკოს სისხლიან რეჟიმს. მობუტუ ყვლეფს ქვეყანას.

**1974 წელი** — პორტუგალია. აშშ ფინანსურად ეხმარება პროამერიკულ ძალებს არჩევნებში, რათა არ განხორციელდეს ქვეყნის დეკოლონიზაცია, რომელსაც 48 წლის განმავლობაში მართავდა აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილი ფაშისტური რეჟიმი. პორტუგალიის ნაპირებთან ეწყობა ნატოს ძალების მასშტაბური სწავლება მოწინააღმდეგეთა დაშინების მიზნით.

**1974 წელი** — კვიპროსი. ამერიკელები მხარს უჭერენ სამხედრო გადატრიალებას, რომელსაც ხელისუფლების სათავეში უნდა დაესვა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ნიკოს სამპსონი. გადატრიალება ჩავარდა, არეულობით ისარგებლეს თურქებმა, რომლებიც შეიჭრნენ კუნძულზე და დღემდე იქ რჩებიან.

**1975 წელი** — მაროკო იპყრობს სამხრეთ საჰარას აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერით. ამერიკა სანაცვლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგების ნებართვას იღებს.

**1975 წელი** — ავსტრალია. ამერიკელები ეხმარებიან დემოკრატიულად არჩეული პრემიერ-მინისტრის — ედვარდ ვიტლემის დამხობაში.

**1975 წელი** — ორდღიანი შეტევა კამბოჯაზე, როცა იქაურმა მთავრობამ ამერიკელების ხომალდი დააკავა. ამ „სარეკლამო ომის“ დროს ამერიკელებმა კინაღამ ჩაძირეს „გადასარჩენი“ ხომალდი, რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და რამდენიმე ვერტმფრენი დაკარგეს. კამბოჯის დანაკარგები უცნობია.

**1975-2002 წლები** — ანგოლის პროსაბჭოთა მთავრობას დაუპირისპირდა მოძრაობა „უნიტა“, რომელსაც მხარს უჭერდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და აშშ-ის სპეცსამსახურები. სსრ კავშირმა აღმოუჩინა პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება ანგოლაში კუბის ჯარების ინტერვენციის ორგანიზებას, მოამარაგა ანგოლის არმია მნიშვნელოვანი რაოდენობის თანამედროვე შეიარაღებით და რამდენიმე ასეული სამხედრო მრჩეველიც მიავლინა ამ ქვეყანაში. 1989 წელს კუბის ჯარები გამოიყვანეს ანგოლიდან, მაგრამ სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომი გაგრძელდა 1991 წლამდე. სამხედრო კონფლიქტი კი მხოლოდ 2002 წელს დამთავრდა, მას შემდეგ, რაც დაიღუპა „უნიტას“ უცვლელი ლიდერი ჟონას სავიმბა.

**1975-2003 წლები** — აღმოსავლეთ ტიმორი. 1975 წლის დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი ინდონეზიიდან როგორც კი გამოემგზავრა, **სუხარტოს სამხედრო ძალები აშშ-ის ლოცვა-კურთხევით შეიჭრა კუნძულზე და ამ აგრესიის დროს ამერიკელების ნაბოძები იარაღი გამოიყენა. 1989 წლისთვის ინდონეზიის ჯარებმა, რომელთა მიზანი ტიმორის ანექსია იყო, კუნძულის 600 ათასი მცხოვრებიდან 200 ათასი დახოცეს.**

**1978 წელი** — გვატემალა. სამხედრო და ეკონომიკური დახმარება პროამერიკელ დიქტატორს, ლუკას გარსიას, რომელმაც ქვეყანაში არნახული რეპრესიული რეჟიმი დაამკვიდრა. აშშ-ის ფინანსური დახმარებით დახოცა 20 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე.

**1979-1981 წლები** — სამხედრო გადატრიალებათა სერია სეიშელის კუნძულებზე. გადატრიალებების ორგანიზებასა და დაქირავებულთა შეჭრაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკისა და ამერიკის სპეცსამსახურები.

**1979 წელი** — ცენტრალური აფრიკა. 100-ზე მეტი ბავშვი მოკლეს აქციის დროს, როცა მოსწავლეებმა უარი თქვეს, შეეძინათ სასკოლო ტანსაცმელი მაღაზიებში, რომლებიც პრეზიდენტს ეკუთვნოდა. **პრეზიდენტ ბოკასას მხარში ამოუდგა ამერიკა, რომელმაც არაფრად ჩააგდო ის ფაქტი, რომ ბოკასა პირადად მონაწილეობდა ბავშვების დახოცვაში და შემდეგ ზოგიერთი შეჭამა კიდეც.**

**1979 წელი** — იემენი. ამერიკა სამხედრო დახმარებას უწევს აჯანყებულებს, საუდის არაბეთის გულის მოსაგებად.

**1979-1989 წლები** — საბჭოთა შეიარაღებული ძალების შეჭრა ავღანეთში. ამერიკელები მხარს უჭერენ მოჯაჰედებს, მათ შორის, ბენ ლადენს. ავღანეთი აშშ-ისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების პოლიგონად იქცევა.

**1980-1992 წლები** — სალვადორი. აშშ აძლიერებს თავის გავლენას და ჯერ აგზავნის სამხედრო მრჩევლებს, შემდეგ ერთვება სპეცოპერაციებში პენტაგონისა და ლენგლის სამხედრო-ჯაშუშური პოტენციალის გამოყენებით. 20 ამერიკელი დაიღუპა ან დაიჭრა ვერტმფრენებისა და თვითმფრინავების კატასტროფებში სხვადასხვა მისიების შესრულების დროს. ომი ოფიციალურად 1992 წელს დამთავრდა. **დაიღუპა 75 ათასი სალვადორელი მოქალაქე. ეს ოპერაცია ამერიკას 6 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ერთი მუჭა მდიდრები კვლავ მართავენ ქვეყანას, ღატაკები უარესად გაღატაკდნენ, ოპოზიციას ახშობს „სიკვდილის ესკადრონები“. ქალებს მათივე თმებით ხეებზე ჰკიდებდნენ და აჭრიდნენ მკერდს, ამოჭრიდნენ შიგნეულობას გენიტალიების რაიონში და თავზე ჩამოამხობდნენ. მამაკაცებს აჭრიდნენ გენიტალიებს და უდებდნენ პირში. ბავშვებს მშობლების თვალწინ მავთულხლართით გლეჯდნენ. ამ საშინელებას ამერიკელი სპეციალისტების დახმარებითა და დემოკრატიის სახელით სჩადიოდნენ.** ყოველწლიურად ასე იღუპებოდა რამდენიმე ათასი ადამიანი.

**1980-იან წლებში** ჰონდურასში დათარეშობს სიკვდილის რაზმები, რომლებიც მომზადებულია და დაფინანსებული აშშ-ის მიერ. ათი ათასობით მოკლულია. **სიკვდილის რაზმების ბევრმა ოფიცერმა მომზადება აშშ-ში გაიარა.** ამერიკამ ჰონდურასი სალვადორისა და ნიკარაგუის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად აქცია.

**1980 წელი** — სამხედრო დახმარება ერაყს, ირანის ანტიამერიკული რეჟიმის დესტაბილიზაციის მიზნით. ომი 10 წელიწადს გრძელდება. დაღუპულთა რაოდენობა ერთი მილიონია. ამავე დროს ამერიკა საიდუმლოდ აგზავნის იარაღს ირანში ისრაელის მეშვეობით, იმ იმედით, რომ პროამერიკული გადატრიალება მოაწყოს სპარსეთში.

**1980 წელი** — კამბოჯა. აშშ-ის ზემოქმედებით ორგანიზაციამ World Food Program-მა ტაილანდს მიჰყიდა 12 მილიონის პროდუქტი, რომელიც განკუთვნილი იყო წითელი ქხმერებისთვის, კამბოჯის წინამორბედ მთავრობის ნარჩენებისთვის. მისი მმართველობის 4 წლის განმავლობაში გაიჟლიტა 2,5 მილიონი ადამიანი. **ამერიკა, გფრ და შვედეთი ამარაგებენ პოლ პოტის მომხრეებს იარაღით სინგაპურის მეშვეობით. წითელი ქხმერები, მათი რეჟიმის დამხობის შემდეგაც — 10 წლის განმავლობაში ატერორებდნენ კამბოჯას.**

**1980 წელი** — იტალია. როგორც ოპერაცია „გლადიოს“ შემადგენელ ნაწილს ამერიკა ბოლონიის რკინიგზის სადგურზე აწყობს აფეთქებას, იღუპება 86 ადამიანი. მიზანი — კომუნისტების დისკრიმინაცია არჩევნებისწინა პერიოდი.

**1980 წელი** — სამხრეთ კორეა. ამერიკელების დახმარებით იღუპება ათასობით დემონსტრანტი — კვანგუიში გამართული დემონსტრაციის მონაწილე. პროტესტი მიმართული იყო წამების, მასობრივი დაპატიმრების, ფალსიფიცირებული არჩევნებისა და პირადად ამერიკელების მარიონეტის — ჩუნ დუ ხვანის წინააღმდეგ, რომელსაც წლების შემდეგ რონალდ რეიგანი ეტყვის, რომ მან „ბევრი რამ გააკეთა თავისუფლებისადმი ერთგულების ხუთიათასწლოვანი ტრადიციის მხარდასაჭერად“.

**1981 წელი** — ზამბია. ამერიკას ძალიან არ მოსწონდა ამ ქვეყნის მთავრობა, რადგან იგი მხარს არ უჭერდა ამერიკელების ესოდენ საყვარელ აპარტეიდს სამხრეთ აფრიკაში. ამიტომ შეუდგნენ ამერიკელები სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებას, რომელიც უნდა განეხორციელებინათ ზამბიელ დისიდენტებს სამხრეთ-აფრიკული რაზმების დახმარებით. გადატრიალების მცდელობა ჩაიფუშა.

**1981 წელი** — ამერიკელებმა ჩამოაგდეს ორი ლიბიური თვითმფრინავი. ეს ტერაქტი მიმართული იყო მუამარ კადაფის მთავრობის დესტაბილიზაციისკენ. ამასთან, ლიბიის სანაპიროებთან ტარდებოდა სანიმუშო-საჩვენებელი სამხედრო მანევრები. კადაფი მხარს უჭერდა პალესტინელებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და დაამხო პროამერიკული წინამორბედი მთავრობა.

**1981-1990 წლები** — ნიკარაგუა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხელმძღვანელობს ქვეყანაში აჯანყებულთა შეჭრას და ტერიტორიების დანაღმვას. ამერიკა დაუპირისპირდა ნიკარაგუას, ამ ღარიბთა შორის უღარიბეს ქვეყანას, სადაც მხოლოდ სამი ლიფტი და ერთი ესკალატორი იყო, რომელიც არ მუშაობდა. **8 წლის განმავლობაში ნიკარაგუას თავს ესხმოდნენ კონტრასის რაზმები, რომლებიც ამერიკელებმა შექმნეს და რომელთა მებრძოლები დამხობილ დიქტატორ სომოსასა და მის მომხრეთა გვარდიის ყოფილი წევრები იყვნენ. ეს რეიგანისეული „თავისუფლებისთვის მებრძოლები“ წვავდნენ სკოლებს, კლინიკებს, კლავდნენ და აწამებდნენ ადამიანებს და ა.შ.** რევოლუცია დამარცხდა. ამერიკამ მილიონობით დოლარი დაახარჯა პროამერიკულად განწყობილი პარტიის — Natuonal Opposition Union-ის 1990 წლის არჩევნებში გამარჯვებას. სანდინისტები დამარცხდნენ.

**1982 წელი** — სამხრეთაფრიკული რესპუბლიკა სურინამი სოციალისტური რეფორმების განხორციელებას იწყებს და კუბელ მრჩევლებს იწვევს. 1984 წელს პროსოციალისტური მთავრობა იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო კარგად ორგანიზებული სახალხო მღელვარების გამო.

**1982-1983 წლები** — 800 ამერიკელი საზღვაო ქვეითის ტერაქტი ლიბანის წინააღმდეგ. კვლავ უამრავი მსხვერპლი.

**ნიკარაგუაში რეიგანისეული «თავისუფლებისთვის მებრძოლები» წვავდნენ სკოლებს, კლინიკებს, კლავდნენ და აწამებდნენ ადამიანებს**

**საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი OKO-PLANET.SU-ს მიხედვით**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველებმა და ამერიკელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს რუსეთის ინტერესები ამ რეგიონებში, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილსაც ჯერ კიდევ 2008 წელს უკვე რუსული პასპორტები ჰქონდა, ხოლო ამ რესპუბლიკების მკვიდრნი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიასთან.**

# მივიწყებული კრიზისები: ცივი ომი კავკასიაში

**რუსეთ-საქართველოს ომის დროს 800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ამ ბრძოლებიდან სამი წლის შემდეგ კავკასიაში ხელისუფლების საკითხი გადაწყვეტილი არ არის: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აჯანყებული პროვინციებია თუ დამოუკიდებელი სახელმწიფოები?**




ქვეყანა, რომლის გამოც მსოფლიოს ზესახელმწიფოები დავობენ, საკუთარი პრეზიდენტის ვებ-გვერდიდან ტურისტებს თავდაჯერებული ტონით ეპატიჟება: „ნუ ეძებთ სამოთხეს დედამიწაზე. ის უკვე აფხაზეთშია“.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე აფხაზეთის რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიაც შლეზვინგ-გოლშტეინის ფედერალური მიწის ნახევარია და 220-კილომეტრიან სანაპიროზეა გადაჭიმული, პალმებითა და მთელი წლის განმავლობაში თოვლით დაფარული მთის მწვერვალებით, ყოველწლიურად ასობით ათას, პირველ რიგში, რუს ტურისტს იზიდავს.

**სამი წლის წინათ აქ ბოლო ომი დასრულდა – ხუთდღიანი შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის. სისხლისღვრა მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის აჯანყებული რესპუბლიკის დედაქალაქის ნალმტყორცნებით დაბომბვის ბრძანება გასცა და იქ ჯარისკაცები გაგზავნა. მოკლეს ასევე რუსი მშვიდობისმყოფელებიც, რომელთა დანაყოფიც იქ 1990-იანი წლებიდან, საქართველოს მთავრობის თხოვნით, იმყოფებოდა.**

რუსეთი, მის მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმის შემდეგ, ამ კონფლიქტში სამხრეთ ოსეთს მიემხრო. შეიარაღებული შეტაკებები მოხდა აფხაზეთშიც, რომელიც სამხრეთ ოსეთის მოკავშირე გახდა. რამდენიმე დღეში ორივე მხრიდან 800 ადამიანი დაიღუპა, ათი ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს შეიარაღებული კონფლიქტის ზონის დატოვება მოუხდა. **საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამავლობით მიღწეულმა სამშვიდობო შეთანხმებამ ძალადობა შეაჩერა, მაგრამ კონფლიქტი – ვერა. იმ დღიდან კავკასიაში ცივი ომი მიმდინარეობს.** რუსეთის საპასუხო დარტყმის შემდეგ ქართული პროპაგანდა მტერს ყველაზე საშინელ ფერებში ხატავდა.

**ევროკავშირის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის ანგარიშში (კომისიას შვეიცარელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა), რომელიც 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ სააკაშვილის თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე არ იყო რეაქცია რუსეთის ინტერვენციაზე.**

ადამიანი, რომელსაც ბევრი იმედის თვალით უყურებს, ამ ანგარიშში მატყუარად და ომის გამჩაღებლად არის წარმოჩენილი. ამავე დროს, ბევრს საქართველოშიც და დასავლეთშიც, სჯეროდა, რომ სააკაშვილს წარმატებული კონცეფცია გააჩნდა – ეყრდნობოდა რა შეერთებული შტატების მხარდაჭერას და ცდილობდა ამ ქვეყნის გავლენის გამოყენებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენისთვის.

## ამერიკელებმა ამ რეგიონში რუსეთის ინტერესები სათანადოდ ვერ შეაფასეს

მაგრამ გამოყოფილი რეგიონების საბოლოოდ დაკარგვა კავკასიური რეგიონისთვის უცხო ძალასთან, შეერთებულ შტატებთან, ქართველების კავშირს მოჰყვა. 2008 წელს მოსკოვში ამერიკის ელჩისთვის მოულოდნელადაც კი, რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა დიპლომატიურ დონეზე აღიარა და მათ ტერიტორიაზე 7400 სამხედროს განთავსების შესახებ შეთანხმება გააფორმა.

**ქართველებმა და ამერიკელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს რუსეთის ინტერესები ამ რეგიონებში, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილსაც ჯერ კიდევ 2008 წელს უკვე რუსული პასპორტები ჰქონდა, ხოლო ამ რესპუბლიკების მკვიდრნი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიასთან.**

რუსეთის მაგალითს ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ მიბაძა და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა. ეს ქვეყნებია: ნიკარაგუა, ვენესუელა, ასევე წყნარი ოკეანის კუნძული-სახელმწიფოები — ნაურუ და ვანუატუ. ამის საპირისპიროდ, დასავლური ქვეყნები მხარს უჭერენ საქართველოს პოზიციას, რომლის თანამხადაც მისი სუვერენიტეტი ამ ორივე რეგიონზე ვრცელდება.

**თუმცა საქართველოს არ გააჩნია პოლიტიკური პოტენციალი იმისა, რომ დაკარგული რეგიონები დაიბრუნოს. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მას ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დამოუკიდებლობისთვის დაწყებული ომების დროს გამოეყო. ამ ომების შედეგად 200 ათასმა ქართველმა იძულებით დატოვა აფხაზეთი.**

ორივე რეგიონი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სამხრეთ ოსეთში, სადაც 40 ათას ადამიანზე მეტი არ ცხოვრობს, პოლიტიკური ელიტა ვერ ჩამოყალიბდა და ზოგიერთი სამთავრობო ჩინოვნიკი რუსეთიდან არის დაქირავებული. კრიმინალურ ჯგუფებს აქ სერიოზული გავლენა აქვთ და რუსეთის მიერ რეაბილიტაციაზე გამოყოფილ სახსრებს იპარავენ. მთავრობის ოპონენტებს აშინებენ. სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის პრობლემური ბავშვია.

## მოსკოვისთვის აფხაზეთი მხოლოდ პროტექტორატია

**მაგრამ აფხაზეთში სხვა სიტუაციაა. საქართველოს მთავრობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს „ოკუპირებულ რეგიონებს“, ადგილობრივ მთავრობებს“ კი „მარიონეტულ რეჟიმებს“ უწოდებს და მათთან მოლაპარაკებაზე უარს ამბობს. ამ მოსაზრებას ღიად უჭერს მხარს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. ამავე დროს, ქართველი პოლიტიკოსები და მათი ამერიკელი კურატორები ვერ ამჩნევენ იმას, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი და პარლამენტი თავისუფალ არჩევნებში აირჩიეს, ისინი 200 ათას მოქალაქეს წარმოადგენენ და არჩევნებიც გაცილებით თავისუფალი იყო, ვიდრე რუსეთში.**

მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი გაზეთები და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება დისკუსიებში მონაწილეობს, მათ შორის, — კერძო ტელეკომპანიების ეთერშიც. აფხაზი ისტორიკოსები ცხარედ კამათობენ რუს კოლეგებთან და პარლამენტარებთან რუსეთის ისტორიულ როლზე კავკასიაში. აფხაზეთის ისტორიის წიგნებსა და სკოლის სახელმძღვანელოებში ეს როლი უფრო კრიტიკულად ფასდება, ვიდრე მოსკოვში. ამავე დროს, საუბარია აქტუალურ პოლიტიკაზეც: მეფეთა ტრადიციების მიმდევარი მოსკოვის მბრძანებლური ელიტისთვის აფხაზეთი მხოლოდ პროტექტორატია და მეტი არაფერი. ამის საპირისპიროდ, აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კლასს, ასევე ქალაქ სოხუმის (დედაქალაქი) უნივერსიტეტის დაახლოებით 3000 სტუდენტს ევროპასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების იმედი აქვს. **აფხაზები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მათ რუსეთზე ცალსახა დამოკიდებულების შემცირება უნდათ. აფხაზეთი მოსკოვის „მარიონეტული რეჟიმი“ არ არის და ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა რუსეთთან საზღვრის დაფიქსირებასთან დაკავშირებულ საკითხებში დამოუკიდებლად მოქმედებს და საკუთარ მოთხოვნებს აყენებს. და ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ დღევანელ დღეს დიდი ჩრდილოელი მეზობელი აფხაზეთის ბიუჯეტის 60%-ზე მეტს აფინანსებს.**

ზოგიერთ გერმანელ დიპლომატსა და კავკასიის საკითხების ექსპერტს უკვე ესმის, რომ ბლოკადის პოლიტიკას, რომელსაც მხარს უჭერს შეერთებული შტატები და რომელიც თითქოს „მარიონეტული რეჟიმის“ წინააღმდეგაა მიმართული, სწორედ ის ძალები იყენებენ მოსკოვში, რომლებსაც აფხაზეთის ბოლომდე განკარგვა სურთ.

## ინტეგრაცია თუ საბოლოო გამარჯვება „მონღოლებზე“?

**საქართველოს მთავრობას აქვს „ინტეგრაციის სამინისტრო“, ძალიან მჭევრმეტყველი მინისტრი ქალბატონით, რომელიც ისეთ კეთილხმოვან კონცეფციებზე საუბრობს, რომელთა მიხედვითაც, თითქოს ნელ-ნელა აფხაზების ქართველებად გარდაქმნა შეიძლება. თუმცა ყველა ეს გეგმა შეიძლება სანაგვეში გადაიყაროს, რადგან ამ კონცეფციებს ადრესატი არ ჰყავს. არამხოლოდ ეთნიკური აფხაზები, არამედ აფხაზეთში მცხოვრები სომხები, რომლებიც მოსახლეობის მნიშვნელოვან უმცირესობას წარმოადგენენ, ორი ომის შემდეგ საქართველოსთან დაახლოების არანაირ სურვილს არ ავლენენ.**

გარდა ამისა, პეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ქცევა ეჭვს აღძრავს იმ მხრივ, რომ, პირველ რიგში, ვირტუალური „ინტეგრაციული გეგმები“ დასავლელი დონორების დამშვიდებისკენ ხომ არ არის მიმართული, რადგან თავის სამხედროებს ის დასავლელი დიპლომატებისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ენაზე ესაუბრება. ის რუსებს „მონღოლების შთამომავლების აგრესიულ ურდოებს“ უწოდებს და ისევე, როგორც 2008 წლის ომამდე, ის „მტერზე საბოლოო გამარჯვებასა“ და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „საბოლოო გათავისუფლებაზე“ ლაპარაკობს.

**გამოსავალი იმ კონფრონტაციიდან, რომელიც კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებს შორის არსებობს, მხოლოდ მტრული განწყობების თანმიმდევრული აღმოფხვრითაა შესაძლებელი.**

ამას შეიძლება ხელი შეუწყოს ძალის გამოუყენლობის შესახებ შეთანხმებამ საქართველოსა და აფხაზეთს შორის, რომლის ინიციატივაც აფხაზეთის პრეზიდენტს, სერგეი ბაგაფშს ეკუთვნოდა. იგი ამა წლის მაისის ბოლოს გარდაიცვალა. **წარმომადგენლობების გახსნა, აკრედიტირებული კორესპონდენტების გაცვლა, ასევე სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ურთიერთგაგების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს.**

ევროკავშირს, რომელიც დღემდე არ გასცემს ვიზებს აფხაზებზე, შეუძლია აფხაზეთში საინფორმაციო ბიუროს გახსნა, როგორც ეს ადრე გაკეთდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში, რომელსაც მხოლოდ თურქეთი აღიარებს. ევროკავშირის ქვეყნებს შეუძლიათ მისცენ აფხაზებს საკუთარი პასპორტებით მოგზაურობის უფლება, რასაც დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები, დიდი ხანია, აკეთებენ ჩრდილოეთ კვიპროსის მცხოვრებლებთან დაკავშირებით.

## ანკარა მხარს უჭერს თურქულ ინვესტიციებს აფხაზეთში

წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთი ამ რეგიონში ევროკავშირს გაუსწრებს. **თურქეთის მთავრობამ უკვე გააგზავნა თავისი წარმომადგენელი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში. ანკარის საგარეო პოლიტიკა, ძალიან მოქნილად და სტრატეგიული წინდახედულობით მხარს უჭერს თურქ ინვესტორებს აფხაზეთში.** აპრილში თურქეთის ხელმძღვანელობამ აფხაზეთის პრეზიდენტს თურქეთში არაოფიციალური ვიზიტი მოუწყო და დაუგეგმა შეხვედრები ამ ქვეყნის აფხაზურ დიასპორასთან, რომელიც თურქეთში ასი ათაობით ადამიანს აერთიანებს.

**ევროკავშირის მხრიდან მოსკოვის კრიტიკა, რომ აფხაზეთის აღიარებით მან დაარღვია საერთაშორისო სამართალი „ტერიტორიული მთლიანობის“ შესახებ, ბოლო დრომდე დამაჯერებლად ვერ იქცა. საფრანგეთსა და გერმანიას ურთიერთობა აქვთ „გარდამავალ მთავრობასთან“ ბენგაზიში, რომელიც არავის არ აურჩევია. მთავრობას ბენგაზიში, ისევე როგორც აფხაზეთს, არანაირი კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არ აქვს.**

**გერმანელებს შეუძლიათ ქართველებისთვის იმის ახსნა, რომ ძალით შეცვლილი საზღვრების აღიარება შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე პოლიტიკურად არარეალიზებადი სამართლებრივი პოზიციის გამოცხადება.** მათ იმის მოყოლაც შეუძლიათ, რომ მხოლოდ ომის შედეგად წარმოქმნილი პოლონეთის დასავლეთ საზღვრების აღიარებამ შექმნა ყოფილ მტრებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. საუბარია ურთულესი ამოცანების გადაწყვეტისკენ მიმართულ რთულ ნაბიჯებზე. ყველა შემთხვევაში, **დე ფაქტოდ არსებული აფხაზეთის იზოლირების მცდელობა, რესპუბლიკის, რომლის მოსახლეობის ოდენობაც მილიონის მეოთხედია, გონივრულ პოლიტიკას არ ავლენს.**

**უვე კლუსმანი**
**SPIEGEL**

DER SPIEGEL

დაიჯესტი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, დასავლელი ლიდერების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველო ავტორიტარიზმში ეშვება, შეიძლება განმტკიცდეს. შეერთებული შტატებისთვის ნახევრადავტორიტარული, თუნდაც ნაწილობრივ ლიბერალური ქართული სახელმწიფო მიუღებელია.**

# დემოკრატიის სტაგნაცია საქართველოში ხელისუფლების ლეგიტიმურობას ემუქრება

**2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დღიდან საქართველო გულმოდგინედ ცდილობდა განვითარებადი ბაზრისა და საინვესტიციო ადგილის, ასევე სამხრეთ კავკასიაში დასავლური კულტურის ერთადერთი ბასტიონის იმიჯის შექმნას. მაგრამ ქვეყანა ნდობას კარგავს, რადგან ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით აქ არანაირი პოლიტიკური პროგრესი არ არსებობს. იმით, რომ საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას ძვრა არ აქვს, მიხეილ სააკაშვილმა შეიძლება ხელისუფლების ლეგიტიმურობას ავნოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან.**



## საქართველო ერთი ნაბიჯითაც კი არ დაძრულა დემოკრატიისკენ

როდესაც ქართველი ოპოზიციონერი და სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლი ნინო ბურჯანაძე მაისში თავის მხარდამჭერებთან ერთად თბილისის ქუჩებში გამოვიდა, დემონსტრანტთა რიტორიკა სავსე იყო გამონათქვამებით, რასაც არაბულ სამყაროში საზოგადოებრივი პროტესტის ტალღა და რამდენიმე ავტორიტარული მთავრობის დამხობა მოჰყვა.

**მაისის პროტესტი რევოლუციაში არ გადაზრდილა – ის შთამბეჭდავი იყო არა მასშტაბით, არამედ დრამატულობით. 26 მაისს მომიტინგეთა შეუპოვარმა ჯგუფმა უარი თქვა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის დატოვებაზე მას შემდეგაც, რაც მიტინგის ლეგიტიმური ვადა ამოიწურა. ამას შედეგად მოჰყვა პოლიციის მიერ აქციის დარბევა, ათობით ადამიანის დაშავება და ორი დემონსტრანტის სიკვდილი. მაშინ, როდესაც საერთაშორისო წარმომადგენლებმა და საერთაშორისო უფლებადამცველმა ჯგუფებმა დაგმეს პოლიციის ქმედება, დაადანაშაულეს ძალის არაპროპორციულ გამოყენებაში. საქართველოს მთავრობა აქციის მონაწილეებს ებრძოდა და მათ კრემლის მოგზავნილ „მეხუთე კოლონას“ ეძახდა.**

ბურჯანაძის ღიად პრორუსული პოზიციის, ასევე ოპორტუნისტული პოლიტიკური კარიერის გამო შეიძლება ივარაუდო, რომ მთავრობის ბრალდებები მისდამი სულ უსაფუძვლოც არ არის, თუმცა მათ მიერ ოპონენტების საქმიანობის შეზღუდვა აძლიერებს იმ განცდას, რომ საქართველოს მმართველი ელიტა ნამდვილი დემოკრატიული სისტემის აშენებას არ აპირებს.

**მიუხედავად იმისა, რომ წელს საქართველოში დემოკრატიის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, პოლიტიკური თავისუფლების მაჩვენებელი იმაზე მეტად გაუარესდა, ვიდრე ის იყო ყოფილი პრეზიდენტის — ედუარდ შევარდნაძის კლეპტოკრატიული რეჟიმის პირობებში. მაშინ, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში უზარმაზარი სასიკეთო ცვლილებები ადმინისტრირების, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში კარგი საშუალება იყო უსიამოვნო წარსულთან შედარებისას ყურადღების გადასატანად, მუდმივი ორნიშნა ინფლაცია, უმუშევრობის უზარმაზარი მაჩვენებლი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა ამცირებს რეალური ეკონომიკური ზრდის შანსებს, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი დაპირება იყო.** თუმცა ერთი პარტიის საყოველთაო მმართველობის, ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა ძლიერი შეზღუდვისა და ხელისუფლებაში კორუფციის არსებობასთან დაკავშირებული მუდმივი კითხვების მიუხედავად, საეჭვოა, უახლოეს მომავალში საქართველოში ეგვიპტური სცენარი განმეორდეს, მაგრამ თბილისის ავტორიტარულმა ქმედებებმა შეიძლება დასავლეთთან მის ურთიერთობებს ავნოს.

**„სტრატეგიის თვალსაზრისით, საქართველოში დემოკრატიის მშენებლობა კვლავ აშშ-ის დღის წესრიგშია,“** – ამბობს კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის პროფესორი და საქართველოში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი ლინკოლნ მიტჩელი, **„და სწორედ ამიტომ არ გამოდის არაფერი, რადგან საქართველო სხვა შემთხვევაა“.**

**მიტჩელი დარწმუნებულია, რომ საქართველო ერთი ნაბიჯითაც კი არ დაძრულა დემოკრატიისკენ. FREEDOM HOUSE-ის რეიტინგებს თუ დავუჯერებთ, მისი სიტყვები საგულისხმოა.**

„დიდი ხნის განმავლობაში თბილისიდან მომავალი სიგნალი გვაუწყებდა, რომ საქართველო დემოკრატიის ბურჯი იყო,“ — ამბობს მიტჩელი და საუბრობს 2005 წელს თბილისში ვიზიტის დროს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, უმცროსი ჯორჯ ბუშის მხრიდან საქართველოს გადამეტებულ და, ბევრის აზრით, ნაადრევ ქება-დიდებაზე. **„მაგრამ, რაც უფრო ნაკლებად დამაჯერებელი ხდება ეს** (ვერსია), (ყურადღება) **ისეთ თემებზე გადადის, როგორიცაა** (საქართველოს) **სამხედრო წვლილი** (ავღანეთის ომში)“.

საქართველომ ავღანეთში დაახლოებით ათასი სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე და აბსოლუტურად შესაძლებელია, რომ თბილისი კიდევ დამატებით კონტიგენტს გაგზავნის 2012 წელს, რითაც საქართველო ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი გახდება. გარდა ამისა, ავღანეთში ქართველი სამხედროების რაოდენობა უკვე ყველაზე მაღალია ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. **ის, რომ დემოკრატიაზე დისკუსია უსაფრთხოების სფეროში უფრო საგრძნობ თანამშრომლობაზე საუბრებმა შეცვალა, თბილისის უფრო რეალისტურ შეხედულებაზე მოწმობს, მაგრამ ამავე დროს წარსულის დემოკრატიული დღის წესრიგიდან ერთგვარ დაშორებაზე მიუთითებს.**

**ამასთანავე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, დასავლელი ლიდერების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველო ავტორიტარიზმში ეშვება, შეიძლება განმტკიცდეს. შეერთებული შტატებისთვის, რომელმაც საქართველოს განვითარებისთვის უამრავი რესურსი და დიპლომატიური კაპიტალი გაიღო, ნახევრადავტორიტარული, თუნდაც ნაწილობრივ ლიბერალური ქართული სახელმწიფო მიუღებელია.**

**„დასავლეთის მთავრობებს სურთ, დაინახონ პოლიტიკური კონკურენცია, მმართველი პარტიის რეალური ოპონენტებით,“** – მიაჩნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორსა და საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს კორნელი კაკაჩიას.

თუკი ხელშესახები ცვლილებები არ განხორციელდა, საქართველოს პოლიტიკური სტაგნაცია ქვეყნის პრივილეგირებულ პოზიციას რისკის ქვეშ დააყენებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვაშინგტონში კანონმდებლების ახალი თაობა მოდის, და აშშ ავღანეთს ტოვებს, მიაჩნია მიტჩელს. **მართალია, აშშ თბილისს ზედის ანაზარა არ მიატოვებს, თუმცა ურთიერთობა შეიცვლება; „საქართველოს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აღარ იქნება,“** — ამბობს მიტჩელი.

კაკაჩია კიდევ უფრო შორს მიდის: „(საქართველოს) **ხელისუფლების ზოგიერთი ქმედებით იმედგაცრუებულმა დასავლეთმა შეიძლება ახალი და უფრო პასუხისმგებლობით განმსჭვალული ძალების ძებნა დაიწყოს, რომლებსაც ახალი პოლიტიკა ექნებათ, და შეძლებენ ქვეყანაში თავისუფალ ბაზარსა და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული დემოკრატიული რეფორმების გაგრძელებას“.**

მაგრამ, თუკი თბილისს არ ეყოფა იმის პოლიტიკური ნება, რომ მნიშვნელოვანი, გრძელვადიანი პოლიტიკური რეფორმები გაატაროს, შეძლებს კი დასავლეთი დემოკრატიის დანერგვისთვის უფრო წარმატებულ მოქმედებას? საქართველოს ნატოში წევრობა დღეს აღარ განიხილება, თუმცა ოდესღაც ეს ვარიანტიც არსებობდა. ევროპელი წევრების უმრავლესობა ამის წინააღმდეგია, ევროკავშირში გაწევრიანება ასევე ნაკლებსავარაუდოა. რაც შეეხება პარტნიორულ შეთანხმებას ევროკავშირთან, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომს გახდიდა თავისუფალ სავაჭრო ზონას, თბილისში არ იწვევს ისეთსავე ენთუზიაზმს, როგორც ნატოს ან ევროკავშირის წევრობა.

თუმცა დასავლეთს მნიშვნელოვანი გავლენის ბერკეტები აქვს თანამშრომლობასთან დაკავშირებული უამრავი პროგრამის სახით. ცხადია, რომ **არც აშშ და არც ევროპა საქართველოს ბოლომდე არ მიატოვებს. ქართული ეკონომიკის მდგომარეობა და ვალების გადახდასთან დაკავშირებული გარდაუვალი ვალდებულებები უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში დასავლეთს მანევრებისთვის ერთგვარ სივრცეს უტოვებს.**

ასეა თუ ისე, **დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში რაიმე წინსვლა საეჭვოა, თუკი სერიოზული ცვლილებები არ მოხდა.** მაგრამ, თუკი ვაშინგტონი და ევროკავშირი მართლაც არიან დაინტერესებულნი საქართველოში რეფორმების განახლებით, ისინი უნდა შეეცადონ საკუთარი გავლენის გავრცელებას მანამ, სანამ ხელმისაწვდომი არ გახდება ზემოქმედების სხვა, უფრო ძლიერი ევროატლანტიკური გზები.

**მაიკლ ჩეჩირე**
**WORLD POLITICS REVIEW**

---

## გაფრთხილებულნი

**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**



დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა ეკონომიკურ დღის წესრიგთან დაკავშირებით კომპრომისს უნდა მიაგნონ, რათა არმაგედონი მაინც ავიცილოთ თავიდან. თუ დემოკრატები და რესპუბლიკელები შემომთავაზებენ კრიზისიდან გამოსვლის სერიოზულ გეგმას, მზად ვიქნები, დაუყოვნებლივ შევუდგე მის განხორციელებას, თუნდაც ეს ჩემგან მძიმე გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვდეს.

*1tv.ru*

**ვლადიმერ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



ჩვენ ღვთის მადლით ან ჩვენდა საუბედუროდ არ შეგვიძლია დავბეჭდოთ სარეზერვო ვალუტები. ამერიკელები კი რას სჩადიან? — უბრალოდ ხულიგნობენ. ჩართავენ დანადგარს და ისვრიან მთელს მსოფლიოში, აგვარებენ თავიანთ პირველი რიგის ამოცანებს. აშშ იყენებს ფულის ბეჭდვაზე თავის მონოპოლიას სრული პროგრამით.

*top.rbc.ru*

**ჰილარი კლინტონი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**



ევროპაში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტების განთავსებისას აშშ რუსეთის მხრიდან გამოთქმულ კრიტიკას გაითვალისწინებს. ამერიკელები ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს გაითვალისწინებენ. რუსეთს ექნება შესაძლებლობა, აშშ-ისგან ყველა კითხვაზე მიიღოს პასუხი.

*km.ru*

**ალენ ჟიუპე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:**



კადაფი მზადაა, წავიდეს. ლიბიის რეჟიმი ნიადაგს სინჯავს თურქეთში, ნიუ იორკსა და პარიზში. ისინი პოლკოვნიკ კადაფის წასვლის დეტალების განხილვას გვთავაზობენ.

*bbc.co.uk*

**ჯონ ბოლტონი, აშშ-ის ყოფილი ელჩი გაეროში:**



ბარაკ ობამა უდავოდ ყველაზე ანტიისრაელური პრეზიდენტია სახელმწიფოს ისტორიაში. უკანასკნელი ორ-ნახევარი წლის მანძილზე ჩვენ ნაციონალური უშიშროების საკითხები სათანადოდ არ განგვიხილავს. ეს საკითხები ობამასთვის პრიორიტეტული არასდროს ყოფილა.

*mignews.com*

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მილიონ-ნახევარი ვოლფრამის ზოდების დანარჩენი ნაწილიც დაიფარა ოქროთი და საერთაშორისო ბაზარზე გაიყიდა. ამ მყიდველებმა სავაჭრო ოპერაციის ნიუანსებზე, ცხადია, არაფერი იცოდნენ. სამაგიეროდ, ცნობილია საერთო თანხა, რომელიც სხვადასხვა მყიდველმა ერთად გადაიხადა და ის 600 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

# ფორტ-ნოქსის საიდუმლო:

## აშშ-ის საცავებში ოქროს ნაცვლად ვოლფრამი ინახება

**ის, რომ დოლარი არაფრითაა უზრუნველყოფილი, ცნობილი ფაქტია. ახლა კი გამოდის, რომ აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რა რაოდენობის ოქრო ინახება აშშ-ის საცავებში, ამ ოქროს რამდენი პროცენტია ნამდვილი და რა რაოდენობის ყვითელი ფერის ვოლფრამის ზოდები მოედო მსოფლიოს კლინტონის დროიდან მესამე მსოფლიოს ქვეყნების საცავებს მძიმე, მაგრამ ბევრად იაფფასიანი შემცველობით. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ აშშ-ის ფინანსურ სისტემას, შესაბამისად კი მსოფლიო ეკონომიკასაც უფრო ნაკლები დრო რჩება, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ. მასმედიაში ნელ-ნელა უკვე ჟონავს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც აშშ-ის ეკონომიკის გამოჯანმრთელების უკანასკნელი იმედები საბოლოოდ თუ არ იმარხება, დოლარის ჰეგემონიას მაინც მტკივნეული დარტყმები მიადგება. ცალკე ხაზგასმას იმსახურებს იმის აღნიშვნა, რომ ის სენსაციური ინფორმაცია, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ოფიციალურად არავინ უარყო.**



როგორც ცნობილია, დოლარი არ წარმოადგენს ფულად ერთეულს, რომელიც ჩვეულებრივი ქაღალდის ფასზე მეტი ღირებულების რამითაა გამყარებული. როგორც წესი, დაზღვევისა და ფუნდამენტის როლს, რომელზეც ზესახელმწიფოთა ფინანსური ინსტიტუტების სტაბილურობაა დაფუძნებული, სახელმწიფოს ოქროს რეზერვები ასრულებს. ეს წესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაცულია და სრულდება, მაგრამ აშშ ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენს.

XX საუკუნის სამოციანი წლების უკვე მივიწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა უმთავრესი „მემკვიდრეობა“ დატოვა. **1968 წლიდან დოლარი არასაბანკო ცენტრალური დაწესებულებებისთვის ოქროდ, შეუქცევად ფულად ერთეულად იქცა. 1971 წლის აგვისტოდან კი დოლარი არაკონვერტირებად კატეგორიაში გადავიდა ცენტრალური ბანკებისთვისაც კი. სწორედ ამ თარიღიდან უნდა იწყებოდეს აშშ-ის ქაღალდის ფულის არაფრით შეკავებული ემისიის ისტორია.**

გასაგებია, რომ ოქრო ისევე მარტივად არ მოიპოვება, როგორც ფულის საბეჭდი დანადგარი ირთვება. ბევრმა ქვეყანამ, ყველა ნორმის გადაჭარბებით, კეთილსაიმედო შვეიცარიამაც კი, უკვე შეასუსტა მოთხოვნები საკუთარი ვალუტის ძვირფასი მეტალებითა და სხვა ფასეულობებით უზრუნველყოფის სფეროში. მრავალი წლის მანძილზე მოქმედი კონსტიტუციური ნორმა, რომლის თანახმადაც შვეიცარული ფრანკი 40%-ით გადაფარული უნდა ყოფილიყო ოქროთი, რამდენიმე წლის წინ გამარტივდა. მაგრამ **შვეიცარიის საცავებში ოქროს არსებობა, მისი წონა და ხარისხი არავითარ ეჭვს არ ბადებს. როგორც გაირკვა, აშშ-ის ოქროს მარაგი წლობის ამგვარი კრედიტით ვეღარ ისარგებლებს.**

პირველი მერცხალი, ამ შემთხვევაში, პირველი ყვავი ამერიკელი კონგრესმენი რონ პოლი გახლდათ. პოლი მნიშვნელოვანი ჩინოვნიკია, რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა, მანამდე კი აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში ფინანსური მომსახურების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მის ხელთარსებული რაღაც ინფორმაციის საფუძველზე კონგრესმენ პოლს ძალიან უნდოდა, აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსთვის ამერიკის ოქროს მარაგების შესახებ კითხვები დაესვა და აეძულებინა ამ უწყების წარმომადგენლები, ამერიკული ოქროს რეალური სტატუსის შესახებ ჩვენებები მიეცათ.

საქმე ისაა, რომ **აშშ-ის ოქროს საცავების უკანასკნელი აუდიტი უხსოვარ დროში ჩატარდა და აშშ-ის ოქროს მარაგის შესახებ ამჟამად გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია, უზრალოდ, არ მოიპოვება.** პოლმა განსახილველად წარადგინა კანონპროექტი, რომელიც 5 ათას ტონაზე მეტი ოქროს ზოდების დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნას დააყენებდა. **ეს ოქრო, სავარაუდოდ, კენტუკის შტატში, ფორტ-ნოქსის სეიფებში უნდა ინახებოდეს. აუდიტი მოიცავდა ამერიკის სხვა ოქროს რეზერვებსაც, რომლებიც დენვერში, ვესტ-პოინტსა და ნიუ იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში ინახება.**

გარდა ამისა, კონგრესმენი მოითხოვდა ოქროს სისუფთავის დასადგენ ლაბორატორიულ ანალიზსაც და აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კრიტერიუმებთან მისი შესაბამისობის დადასტურებას. მას ასევე აინტერესებდა, ასხვავებენ თუ არა საცავებში მსოფლიო სავალუტო ფონდის კუთვნილ და მეურვეობის ქვეშ არსებულ ოქროს უშუალოდ აშშ-ის კუთვნილი ოქროსგან.

კითხვებიცა და მოთხოვნებიც არასასიამოვნო იყო, ამიტომ კონგრესმენის კანონპროექტი თვალის დახამხამებაში უარყვეს, რამაც, ცხადია, აშშ-ის ოქროს ირგვლივ სიტუაცია არანაირად არ გაარკვია და კიდევ უფრო მეტი ეჭვის საფუძველი გააჩინა. უკვე სულ სხვაგვარად აღიქმება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **ფორექსმა თავის კლიენტებს დაუგზავნა წერილები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ, დოდ-ფრანკის ახალი კანონის თანახმად, 15 ივლისიდან აშშ-ის მოქალაქეებს საერთოდ ეკრძალებათ რაიმე სახის ძვირფასი მეტალებით, მათ შორის ოქროთი და ვერცხლით, ვაჭრობა. ძალაში შესვლიდან 90 დღის შემდეგ კი კანონი მოქალაქეებსაც და კომპანიებსაც უკრძალავს არასაბირჟო ბაზრებზე, მათ შორის სავალუტოზეც, ოპერაციათა უმეტესობის განხორციელებას. ჯერჯერობით მოსახლეობისთვის ოქროს იძულებითი ჩამორთმევის შესახებ არ გამოუცხადებიათ, როგორც ეს დიდი დეპრესიისას მოხდა.**

პრესის ანალიზი სხვა ანალოგების საშუალებასაც იძლევა. მიმდინარე წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც ჩინეთიდან მიიღეს დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამ სახელმწიფოს მსოფლიო სავალუტო ფონდიდან 191 ტონა ოქროს შეძენა სურდა, ოქრო მკვეთრად გაძვირდა. გარიგება კი არ შემდგარა. გავრცელებული ინფორმაციით, მოხდა რაღაც შეფერხება აშშ-ის ტერიტორიაზე მდებარე საცავებიდან ოქროს გადატვირთვასთან დაკავშირებით.

**ამის შემდეგ მსოფლიო სავალუტო ფონდის ექს-პრეზიდენტი სტროს-კანი რაღაც საკითხებზე დაფიქრდა და თავისი ეჭვები ეგვიპტელ ბანკირს, მაჰმუდ აბდელ სალამ ომარს გაუზიარა. და მოხდა საოცარი დამთხვევა — ორივე მათგანის წინააღმდეგ უმალ, ერთსა და იმავე დროს აგორდა სტერეოტიპული და მტკიცებულებათა არქონის გამო ერთი შეხედვითვე შეთხზული ბრალდებები სექსუალურ დანაშაულებებში. 75 წლის მაჰმუდ ომარი, ჭეშმარიტი მუსლიმანი, მის მიმართ წამოყენებული ბრალდებების აბსოლუტური აბსურდულობის გამო, მეორე დღესვე გაათავისუფლეს, მაგრამ სტროს-კანთან დაკავშირებით საქმე გაცილებით რთულად წარიმართა და ჯერაც გაურკვეველია, შეძლებს თუ ვერა ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო სავალუტო ფონდის პრეზიდენტი უკვე აღარ იქნება.**

რაც შეეხება მრავალი ტონა ოქროს ჩატვირთვა-გადატვირთვის საქმეში შეფერხებას, ამის მიზეზი სულ მალე გაირკვა.

როგორც კანადური გაზეთი „Press core“ იტყობინება, **2009 წლის ოქტომბერში აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ საცავიდან, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილ ფორტ-ნოქსში მდებარეობს, ჩინეთში 5600 ცალი ოქროს ზოდი გაგზავნა, თითოეული — 400 უნცია. ეს სახელმწიფოებს შორის ვალის გადახდისა და სავაჭრო ბალანსის აღდგენის მიზნით განხორციელებული მორიგი ოპერაცია იყო.** დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მსოფლიოში ოქროს მარაგების უდიდესი ნაწილი იცვლება და ინახება დეპოზიტარიებში სპეციალური ორგანიზაციის — ლონდონის ძვირფასი მეტალების ბაზრის მონაწილეთა ასოციაცია „LBMA“-ს მეთვალყურეობითა და კონტროლით.

**როდესაც პარტია მიიღო, ჩინეთის ხელისუფლება, რატომღაც სიტყვაზე არ ენდო ექსპერტებს და ოქროს ზოდების სისუფთავისა და წონის დასადგენად სპეციალური გამოკვლევის ჩატარების განკარგულება გასცა. სინამდვილეში ეს კანონზომიერი წინდახედულება იყო, ჩინეთი ხომ ამერიკის ხაზინის ფასიანი ქაღალდების უმსხვილესი მფლობელია მსოფლიოში. და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ჩინელი ჩინოვნიკები უსაფუძვლოდ არ ღელავდნენ.**

გაირკვა, რომ წონასთან დაკავშირებით ზოდები „არ იტყუებოდნენ“, მაგრამ, რაც შეეხება მათ ქიმიურ შემადგენლობას, აქ საქმე სულ სხვაგვარად აღმოჩნდა. **პარტია ნამდვილი ოქროს თხელი ფენით დაფარული ვოლფრამის ზოდებისგან შედგებოდა. ჩინელების მიერ შემოწმებული ზოდები აშშ-შია დამზადებული და ფორტ-ნოქსში მრავალი წლის მანძილზე ინახებოდა. ჩინეთის ხელისუფლებამ უმალ დაიწყო გამოძიება და განაცხადა ამერიკის ხელისუფლების მაქინაციებზე.**

ნებისმიერი ქვეყნის საცავში ნებისმიერ ოქროს ზოდს აქვს სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ზოდების აღნიშნული პარტიის სარეგისტრაციო ნომრები იმაზე მიუთითებ- ▶




**ახალი კანონის თანახმად, 15 ივლისიდან აშშ-ის მოქალაქეებს საერთოდ ეკრძალებათ რაიმე სახის ძვირფასი მეტალებით, მათ შორის ოქროთი და ვერცხლით, ვაჭრობა**

პლანეტის სახელმწიფო ვალების საერთო რაოდენობის მესამედზე მეტი აშშ-ზე მოდის. თუ სახელმწიფო ვალს ყველა ოჯახზე თანაბრად გადავანაწილებთ, თითოეულ ამერიკულ ოჯახს 125 ათასზე მეტი ვალი ექნება. 2007-დან 2010 წლამდე აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტი მხოლოდ 4,26%-ით გაიზარდა, აშშ-ის სახელმწიფო ვალი კი — 61%-ით.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და, რომ ყალბი ოქრო ჯერ კიდევ კლინტონის ადმინისტრაციის დროს ფედერალური სარეზერვო სისტემიდან იყო მიღებული. **ფედერალური სარეზერვო სისტემის დაკვეთით დამზადდა დაახლოებით მილიონ-ნახევარი 400-უნციიანი ვოლფრამის ზოდი. მათგან 640 ათასი ცალი ოქროს ფენით დაიფარა და ფორტ-ნოკსში გაიგზავნა შესანახად.**

**ჩინელების მიერ ჩატარებული გამოძიების მონაცემების თანახმად, ამ მილიონ-ნახევარი ვოლფრამის ზოდების დანარჩენი ნაწილიც დაიფარა ოქროთი და საერთაშორისო ბაზარზე გაიყიდა. ამ მყიდველებმა სავაჭრო ოპერაციის ნიუანსებზე, ცხადია, არაფერი იცოდნენ. სამაგიეროდ, ცნობილია საერთო თანხა, რომელიც სხვადასხვა მყიდველმა ერთად გადაიხადა და ის 600 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

მას შემდეგ, რაც ამგვარი პიკანტური გარემოებები გამოაშკარავდა, „New York Post“-ის მიერ 2004 წლის 2 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიაც გაიხსენეს. სტატიის სათაური იყო „საოლქო პროკურორი ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟის ხელმძღვანელის ქმედებებს იძიებს“. მასში ეწერა, რომ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟის რომელიღაც მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ გამოძიება წარმოებდა. ბირჟასთან დაახლოებული წყაროები კი იტყობინებოდნენ, რომ ოპერაციების უფროსი, ვიცე-პრეზიდენტი სტიუარტ სმიტი საოლქო პროკურატურის მხრიდან ჩხრეკის ობიექტი გახდა. გამოძიების დეტალები არ გახმაურებულა.

სწორედ ოპერაციების განხრით უფროსი ვიცე-პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის „ფიზიკურად“ ოდესმე ბაზრებზე მოხვედრილი ოქროს ყოველი ზოდის სტატისტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ, ყველა ალქიმიური სტერეოტიპის შესაბამისად, ოქროსთან ყველაზე ახლოს ტყვია დგას, ვოლფრამზე არჩევანის შეჩერების მიზეზს ქიმიის ნებისმიერი მცოდნე მიხვდება. **ვოლფრამი ოქროზე ბევრად იაფია და იმდენად ჰგავს ოქროს, რომ, მისი ოქროს ფენით დაფარვის შემთხვევაში, ჩინელი მყიდველების მხრიდან ნაკლები ეჭვის გამოთქმის პირობებში ეს ზოდები განუსაზღვრელი დროით შეასრულებდა ოქროს ფუნქციას.** იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ზოდს აქვს სარეგისტრაციო ნომერი და თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტაცია, აშშ-ის ხელისუფლების მიმართ ეჭვი არ ქრება, თუმცა, ყოველთვის რჩება იმის შესაძლებლობა, რომ ვილაც უცნობმა თაღლითებმა ფორტ-ნოკსის მიმღები კომისია მოატყუეს.

**ჩინეთში ზღვით გაიგზავნა 5600 ზოდი, ეს კი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ 640 ათასი ზოდისა, რომლებიც ფორტ-ნოკსში მოხვდა. სად წავიდა დანარჩენი „სიმდიდრე“ და ვის საცავში ინახება ახლა, სპეციალური ძიების გარეშე ვერ დადგინდება.**

WIN.RU

# შემაშფოთებელი ფაქტები აშშ-ის სახელმწიფო ვალის შესახებ

**ძნელია სიტყვების შერჩევა იმ აუწერელი უბედურების დასახასიათებლად, რომელსაც აშშ-ის ნაციონალური ვალი ქვია. ამერიკულმა სახელმწიფომ ისტორიაში ყველაზე ხელგაშლილი „წვეულება“ გამართა და ამ წვეულების ანაზღაურების მოახლოებული დღე იმდენად მტკივნეული იქნება, მთელ ქვეყანას ძირის ძირობამდე შეძრავს. ჩვენ, ამერიკელები, იმდენად დიდხანს ვცხოვრობდით არარსებული სახსრებით, რომ უკვე ყველას დაავიწყდა, რას ნიშნავს „ნორმალურობა“. მაგრამ, მრავალწლიანი „წვეულება“ დასასრულს უახლოვდება და ანგარიშების გასწორების დრო დგება. ერთხელ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა ბრძანა, რომ „დეფიციტს მნიშვნელობა არ აქვს“. სცადეთ და ახლა ეს ბერძნებს უთხარით, მაგრამ საშინელება, რომელიც ახლა ბერძნებს სჭირთ, მხოლოდ ფერმკრთალი ანარეკლია იმისა, რაც ჩვენ დაგვემართება, იმიტომ, რომ, როდესაც ამერიკა ფსკერისკენ წავა, თან გაიყოლებს მსოფლიოს მთელ ფინანსურ სისტემას.**



ის, რაც ჩვენ გავუკეთეთ მომავალ თაობას, უბრალოდ, საზიზღრობაა. წინაპრებმა ისტორიაში უდიდესი ეკონომიკა გვანდეს, ჩვენ კი მთლიანად დავანგრიეთ ის. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს 14 ტრილიონ დოლარს ვუტოვებთ ვალად.

**ახლა ვაშინგტონში ბევრს ლაყბობენ ვალის ზედა ზღვარზე, მაგრამ რა გადაწყვეტილებამდეც არ უნდა მივიდნენ პოლიტიკოსები, ეს ჩვენს პრობლემას არ უშველის. თუ ზედა ზღვარს არ გაზრდიან, ჩვენ ფინანსურ ტკივილს ახლავე ვიგრძნობთ, თუ გაზრდიან — ცოტა მოგვიანებით. ფინანსური ბაზრები ნებისმიერ შემთხვევაში დაინგრევა, უბრალოდ, მეორე ვარიანტში საბოლოო კოშმარი უარესი იქნება.**

ახლა აშშ-ს შეუძლია უზარმაზარი თანხები სუპერ დაბალ ფასად ისესხოს, მაგრამ, როდესაც ყველაფერი შეიცვლება, პანდორას ყუთი გაიხსნება.

არსებობს უამრავი სტატისტიკური ფაქტი, რომელთაგან შეიძლება ადამიანი შეიშალოს. ამ ფაქტების მიხედვით, აშშ-ის ნაციონალური ვალი 20 ივნისს 14,34 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. 30 წლის წინათ იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 14-ჯერ ნაკლები იყო. პირველი ტრილიონი დოლარის სასესხებლად აშშ-ის ხელისუფლებას ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობიდან რონალდ რეიგანის პრეზიდენტობამდე პერიოდი დასჭირდა, მას შემდეგ კი კიდევ 13 ტრილიონი ვისესხეთ.

**პლანეტის სახელმწიფო ვალების საერთო რაოდენობის მესამედზე მეტი აშშ-ზე მოდის. თუ სახელმწიფო ვალს ყველა ოჯახზე თანაბრად გადავანაწილებთ, თითოეულ ამერიკულ ოჯახს 125 ათასზე მეტი ვალი ექნება.**

ფედერალური ხელისუფლების აუცილებელმა დანახარჯებმა შესაძლოა პირველად გადააჭარბოს ფისკალური წლის მთელ ფედერალურ შემოსავალს. 50 წლის წინათ ასეთ რამეს ვერც კი წარმოიდგენდნენ.

2007-დან 2010 წლამდე აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტი მხოლოდ 4,26%-ით გაიზარდა, აშშ-ის სახელმწიფო ვალი კი — 61%-ით. **ბარაკ ობამას ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი წლის მანძილზე აშშ-მა უფრო მეტი ისესხა, ვიდრე ამერიკის პირველმა 100-მა კონგრესმა ერთად.** ყოველ წუთს ამერიკა 2 მილიონ დოლარზე მეტს სესხულობს, ყოველ საათში — დაახლოებით 168 მილიონს. სამი უმსხვილესი იპოთეკური კომპანიის საერთო ვალი 2011 წელს 3,2 ტრილიონიდან 6,4 ტრილიონამდე გაიზარდა. ჯორჯ ბუშის, ბარაკ ობამასა და აშშ-ის კონგრესის დამსახურებით, ამერიკელმა გადასახადების გადამხდელებმა ამ ვალის გარანტირება „დაივალეს“. ეს ვალი ნაციონალური ვალის 14,3 ტრილიონში არ შედის. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, **აშშ-ის სამთავრობო ორგანოების მიერ არაუზრუნველყოფილი საპენსიო და ჯანდაცვის პროგრამების ღირებულება 60 ტრილიონს უტოლდება, სხვები ირწმუნებიან, რომ თანხა 100 ტრილიონს აჭარბებს. ორივე შემთხვევაში ყველა თანხმდება, რომ აშშ-ს არ ხელეწიფება, ამ ვალდებულებების შესრულებას ეცადოს.**

დღეისათვის აშშ იძულებულია, ყოველ დახარჯულ დოლარზე 41 ცენტი ისესხოს. იმ კომპენსაციის საერთო თანხა, რომელიც ფედერალური ხელისუფლების თანამშრომლებმა მიიღეს, დაახლოებით 447 მილიარდი დოლარია. არასამრეწველო ხარჯების დონე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მაგალითად, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტრომ ახლახან დაიწყო 500-მილიონიანი პროგრამა. ეს პროგრამა მოაგვარებს იმ 5 წლის ბავშვების „პრობლემას“, რომელთაც არ შეუძლიათ საბავშვო ბაღში კარგად მოიქცნენ.

**ლიბიის დაბომბვის ღირებულებამ პირველი კვირის განმავლობაში 600 მილიონი დოლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბიის ოპოზიციის ლიდერებმა მათ რიგებში „ალ ქაიდას“ მებრძოლების ყოფნა აღიარა. ეს მებრძოლები ერაყში ამერიკელებს ებრძოდნენ, ახლა ამერიკელები იბრძვიან, რომ „ალ ქაიდას“ ლიბიაში ხელისუფლების მოპოვებაში დაეხმარნონ. ავღანეთის ომის მხოლოდ ერთი დღე გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მთლიანი პენტაგონის ხელახლა აშენება.**

ამერიკელთა 59% ამა თუ იმ სახით იღებს ფულს ფედერალური ხელისუფლებისგან. 1965 წელს 50 ამერიკელიდან ერთი სარგებლობდა უმწეოთათვის სამედიცინო დახმარების პროგრამით, ახლა ამ პროგრამაში ჩართულია ყოველი მეექვსე ამერიკელი.

1950 წელს ყოველ პენსიონერს 16 მომუშავე ინახავდა, ახლა ყოველ პენსიონერს მხოლოდ 3,3 მომუშავე ინახავს. ამერიკული ოჯახები ახლა სახელმწიფოსგან უფრო მეტ ფულს იღებენ, ვიდრე გადასახადებს იხდიან. 1950 წელს კორპორაციების გადასახადები სახელმწიფო შემოსავლების 30%-ს შეადგენდა, 2009 წელს კი — მხოლოდ 6,6%-ს.

**აშშ-ის სახელმწიფო ვალი, უკვე 54-ე წელია, განუწყვეტლივ იზრდება. აშშ რომ საბუღალტრო აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს იყენებდეს, ბიუჯეტის დეფიციტი წელიწადში 4-5 ტრილიონი დოლარი იქნებოდა. შოკისმომგვრელი სამთავრობო მოხსენების თანახმად, ნაციონალური ვალის პროცენტისა და აუცილებელი დანახარჯებისთვის გადასახადი 2019 წელს სახელმწიფო შემოსავლის ყოველი დოლარიდან 92 ცენტს მოიცავს.** საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ახლახან გამოქვეყნებული მოხსენების „ფინანსური და მზარდი დისბალანსების ანალიზი: ვინ და როგორ გადაიხდის?“ თანახმად, 2050 წლამდე აშშ-ის სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 400%-ს შეადგენს. 2010 ფისკალური წლის განმავლობაში აშშ-ის დანახარჯებმა ნაციონალური ვალის პროცენტის გადასახადზე 413 მილიარდი დოლარი შეადგინა. ვალად აღებული ყოველი ოთხი დოლარიდან ერთი ამავე ვალებისთვის პროცენტის გადახდას ხმარდება.

**პროგნოზების თანახმად, 2021 წლისთვის სახელმწიფო ვალის მომსახურებისთვის პროცენტები 1,1 ტრილიონ დოლარს შეადგენს. თუ აშშ-ის სახელმწიფო ვალს 5-დოლარიანი კუპიურებით სიმაღლეზე დაალაგებთ, დედამიწიდან მთვარემდე მანძილის სამი მეოთხედი დაიფარება. 1 ტრილიონი 10-დოლარიანი კუპიურებით შედგენილი არშია დედამიწას 380-ჯერ შემოევლება ირგვლივ, მაგრამ ეს ფული აშშ-ის სახელმწიფო ვალის დასაფარად საკმარისი მაინც არაა. ბილ გეიტსმა მთელი თავისი ქონება რომ აშშ-ის მთავრობას გადასცეს, ის მხოლოდ 15 დღის დეფიციტს დაფარავს. იესო ქრისტეს დაბადებიდან ამ დრომდე ყოველდღე მილიონი დოლარი რომ დაგეხარჯათ, ტრილიონს მაინც ვერ დახარჯავდით, აშშ კი მხოლოდ წელს აიღებს ტრილიონზე მეტს ვალად. ყოველ წამს 1 დოლარი რომ დახარჯოთ, ტრილიონის დასახარჯად 31 ათასი წელი დაგჭირდებათ. აშშ-მა კი ახლავე რომ დაიწყოს ვალების გადახდა წამში ერთი დოლარის სისწრაფით, მას მთლიანი ვალის დასაფარად 440 ათასი წელი დასჭირდება.**




ნაციონალური ვალების გარდა, არის სხვა ვალდებულებებიც, რომლებიც შემდეგნაირად გამოიყურება:

**მედიქერი**: 24,8 ტრილიონი დოლარი. ეს ქვეყნის ყველაზე რთული ფინანსური პრობლემაა, რადგან ბები-ბუმერების პირველი თაობის 77 მილიონი წელს მიაღწევს 65 წლის ასაკს და მედიქერზე უფლებას მოიპოვებს.

**სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა:** 21,4 ტრილიონი დოლარი. მოსახლეობის სწრაფად დაბერებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის წყალობით ეს სისტემა ურთულესი პრობლემების წინაშე დგას. საპენსიო ფონდის გრძელვადიანი დეფიციტი ყოველწლიურად 1,2 ტრილიონით იზრდება. შეინიშნება დასაქმებულთა და ბენეფიციარებს შორის რაოდენობრივი დისბალანსი. ციფრი 21,4 ტრილიონი წარმოადგენს სხვაობას სისტემის მონაწილე ყველა პენსიონერის, დასაქმებულის მიერ გადახდილ გადასახადსა და სიცოცხლის მანძილზე მიღებულ პენსიას შორის.

**ფედერალური მთავრობის ვალი 9,4 ტრილიონი დოლარია და იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ყოველ ოჯახზე გადანაწილებით ეს ვალი ახლა 79 ათას 900 დოლარს შეადგენს და 3500 დოლარით მეტია, ვიდრე წლის დასაწყისში იყო.**

**სამხედრო პენსიებისა და შრომისუუნაროთა შემწეობების დავალიანება 3,6 ტრილიონს შეადგენს, შტატებისა და მუნიციპალიტეტების ვალდებულებები კი 5,2 ტრილიონს უტოლდება.**

ST.ELITETRADER.RU

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პურის ფასს ახლა კაზინოების ახალი მფლობელები არეგულირებენ. ამ სქემაში აღარაა ადგილი მათთვის, ვინც მარცვლეულის სფეროში რეალური მდგომარეობა იცის — არც ფერმერისთვის, არც გადამამუშავებლისთვის და არც მსხვილი საბოლოო მომხმარებლისთვის.**

# ქართული სოფლის მეურნეობის განადგურების ხუთი ფორმულა

**სურსათი იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის გარეშეც სიცოცხლე, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაჭირდება. ყველა ჩვენგანისთვის თავისთავად იგულისხმება, რომ ადგილობრივი მაღაზია მუდამ სავსე იქნება პროდუქტით, რომელიც შეიძლება მოგვინდეს, მაგრამ სურსათის ნაკლებობის პირობებში ცხოვრება ის მზარდი პერსპექტივაა, რომელიც მალე ასობით მილიონი ან სულაც მილიარდი ადამიანის წინაშე დადგება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს წმინდა წყლის პარადოქსია, ჩვენს პლანეტაზე ხომ ყველაფერია იმისათვის, რომ დედამიწის მთელი მოსახლეობა მრავალჯერ გამოიკვებოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორღაც მოხდა ისე, რომ უახლოესი ათწლეულების მანძილზე მსოფლიო გლობალური შიმშილის ზღვარზე დგას. ამის კონკრეტული მიზეზი კი იმ დაინტერესებულ ძალებსა და ჯგუფებშია, რომლებმაც გადაწყვიტეს, ხელოვნურად შექმნან სურსათის დეფიციტი. ამ პრობლემას რამდენიმე მნიშვნელოვანი განზომილება აქვს.**



## უახლოესი ათწლეულების მანძილზე მსოფლიო გლობალური შიმშილის ზღვარზე დგას

### საგანგებო რეზერვების ლიკვიდაცია

მთელ მსოფლიოში ფასებით თვითნებური მანიპულირების შესაძლებლობა ცოტა ხნის წინანდელი და ჯერაც ბოლომდე გაუაზრებელი ფენომენია. 1970-იანი წლების ხორბლის კრიზისამდე მასზე არავითარი „მსოფლიო ფასი“ არ არსებობდა. ამ ფასს ათასობით ბაზარზე ადგენდნენ გამყიდველი და მყიდველი ერთმანეთთან უშუალო შეხვედრისას. **ეკონომიკური გლობალიზაციის დაწყებით მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, თანაც უარესობისკენ — საერთაშორისო ბაზრებზე სავაჭრო ხორბლეულის მცირე პროცენტი მთელ პლანეტაზე მოყვანილი მოსავლის ფასს ადგენს.**

შუმერული ცივილიზაციის მიერ დატოვებული უძველესი კვალიდან ჩვენს დრომდე, ყველა კულტურას ახასიათებდა ხორბლის სარეზერვო მარაგის შენახვა. შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში ხორბალი შვიდ წელიწადს ძლებს.

**ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების 1993 წლის ვერსიით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა პირველად შეწყვიტეს მსოფლიოს სავაჭრო ზესახელმწიფოებისთვის პრიორიტეტი, რაც, მსუბუქად რომ ვთქვათ, საბედისწერო გადაწყვეტილება იყო.**

ამ მომენტიდან ხორბლის მარაგებს „თავისუფალი ბაზარი“, ანუ ის კერძო კომპანიები მართავდნენ, რომელთაგან უდიდესნი აშშ-ის ხორბლის კარტელის გიგანტებს წარმოადგენდნენ. ხორბლის კომპანიები ირწმუნებიან, რომ ისინი უფრო ეფექტურად მოაგვარებენ სურსათის პრობლემებს ნებისმიერი საგანგებო მდგომარეობის პირობებში და სახელმწიფოს სახსრებიც დაიზოგება. ამ გადაწყვეტილებამ ხორბლის ბაზარზე უპრეცენდენტო მაქინაციებსა და მანიპულაციებს ფართოდ გაუღო კარი.

**Archer Daniels Midland-ი, Continental Grain-ი, Bunge და, რაც მთავარია, Cargill-ი სავაჭრო აგრობიზნესში ხორბლის კერძო უმსხვილესი კომპანიებია, რომლებმაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნის პროცესში უდიდესი ფული იშოვნეს. სოფლის მეურნეობის ამ რეფორმის არქიტექტორები კი როკფელერების ჯგუფი და მისი გონებრივი ცენტრი გახლდათ.**

ძირითად, მწარმოებელ ქვეყნებში ხორბლის რეზერვების ლიკვიდაციის პროცესს დრო დასჭირდა, მაგრამ 1996 წელს, როდესაც მიიღეს ფერმერული აქტი, აშშ-მა ფაქტობრივად გაანადგურა თავისი ხორბლის მარაგი. მალე მას ევროკავშირმაც მიბაძა. დღეისათვის ძირითად აგრარულ მწარმოებელ ქვეყნებს შორის მხოლოდ ჩინეთი და ინდოეთი ინარჩუნებენ სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიულ პოლიტიკას და ხორბლის ნაციონალურ რეზერვებს ინახავენ.

### უოლ-სტრიტს სისხლის სუნი ასდის

**აშშ-ის, ევროკავშირისა და სხვა მსხვილი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ ხორბლის მარაგების განადგურებამ მოამზადა ნიადაგი მომდევნო ნაბიჯისთვის — სოფლის მეურნეობის სასაქონლე დერივატივების რეგულირების ლიკვიდაციისთვის, რამაც ყოველგავრი წინააღმდეგობის გარეშე სპეკულაციურ მანიპულაციებს მისცა გასაქანი.**

1999 წელს უოლ-სტრიტის მსხვილი ბანკების Goldman Sachs, JP Morgan, Chase Manhattan და Citibank დაჟინებით კლინტონის ადმინისტრაციამ მოამზადა კანონი, რომელიც საფუძვლიანად შეცვლის ხორბლით ვაჭრობის ისტორიას. კანონს „სავაჭრო ფიუჩერსესების მოდერნიზების შესახებ“ ეწოდა და 2000 წელს იქნა მიღებული. ამ კანონის ორი მთავარი არქიტექტორი „Goldman Sachs“-ის ყოფილი კონსულტანტი და კლინტონის ფინანსთა მინისტრი ლარი სამერსი და მისი ასისტენტი ფინანსთა სამინისტროში, ობამას ფინანსთა მინისტრი ტიმ გაიტნერი გახლდნენ. ამავდროულად სასწრაფო საბირჟო ვაჭრობის კომისიამ (CFTC) წარმოადგინა ზომები მსხვილ ბანკებსა თუ ფინანსურ დაწესებულებებს შორის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დერეგულირების შესახებ, მათ შორის იგულისხმებოდა დერივატივები ხორბალსა და სხვა სასოფლო სამეურნეო საქონელზე.

ამ ისტორიულმა და უპრეცედენტო დერეგულირებამ წარმოშვა უზარმაზარი უფსკრული სურსათის წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის მხრივ და ეს ხვრელი საბოლოოდ ხელს უწყობდა აღნიშნულ ბაზარზე იმგვარ თამაშებს, რომლებმაც 2007 წლის კრახი განაპირობა. იგივე უფსკრული დგას ბოლო პერიოდში მარცვლოვნებზე ფასის კატასტროფული ზრდის უკან.

**1991 წელს Goldman Sachs-მა საკუთარი სავაჭრო „ინდექსის“ პრეზენტაცია მოაწყო. მომავალში ის ყველა საქონლის, მათ შორის სურსათისა და ნავთობის დერივატივებით ვაჭრობის ეტალონად იქცა. GSCI, ახალი სამრეწველო ფინანსური ინსტრუმენტი, ყველა პროდუქტზე აკონტროლებდა ფასებს. უოლ-სტრიტის მიხედვით, ეს გენიალური იდეა იყო. მან სპეკულიანტებს საშუალება მისცა, ნედლეულის მთელ სპექტრზე სპეკულაციები ერთი მოძრაობით განეხორციელებინათ.**

ნედლეულით ვაჭრობის დარეგულირების შემდეგ 1999 წელს Goldman Sachs-მა თავისი ინდექსის ფინანსური ნაყოფის მიღება გადაწყვიტა. ახლა ბანკირებს, ჰეჯ-ფონდებსა და სხვა მსხვილ სპეკულანტებს შეეძლოთ უზარმაზარი ფსონები დაედოთ მარცვლეულის მომავალ ფასზე, ისე, რომ ხორბლის ან სიმინდის რეალურ მიწოდებაზე ოპერაციის დასასრულს საქმე არ ჰქონოდათ. **პურის ფასს ახლა კაზინოების ახალი მფლობელები არეგულირებენ. ამ სქემაში აღარაა ადგილი მათთვის, ვინც მარცვლეულის სფეროში რეალური მდგომარეობა იცის — არც ფერმერისთვის, არც გადამამუშავებლისთვის და არც მსხვილი საბოლოო მომხმარებლისთვის.**

მარცვლეული სპეკულანტებისთვის ახალ სამოქმედო არეალად იქცა. ისინი მზად არიან, გარისკონ საინვესტიციო კაპიტალით. ხორბალი, ისევე, როგორც აქამდე ნავთობი, უკვე მთლიანად განცალკევებულია ხანმოკლე პერსპექტივის შეთავაზებებისგან. ფასის მართვა ახლა ჭორებზე და არა ფაქტებზე დაყრდნობით ხდება.

იყო სხვა მომენტიც: Goldman Sachs GSCI ისე იქნა სტრუქტურირებული, რომ ინვესტორებს მხოლოდ კონტრაქტების ყიდვა შეეძლოთ. ეს ამ ინდუსტრიაში ე. წ. მომატებაზე თამაში იყო. ამ კონტრაქტების მიხედვით, მარცვლეულის ფასის ვარდნაზე ვერავინ ითამაშებდა, მოგება მხოლოდ ხორბლის ფასის მუდმივი ზრდით მოდიოდა. ეს ხაფანგი კლიენტებს ბანკში დიდი ხნით ატოვებინებდა ფულს და ბანკირებს საშუალებას აძლევდა, ეთამაშათ სხვათა კაპიტალით საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ, ნებისმიერი დანაკარგები კი კლიენტების მხრებზე გადადიოდა.

ფატალური შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ GSCI არ იძლეოდა „მოკლე გაყიდვების“ უფლებას, რაც, ბაზარზე ჭარბი ხორბლის არსებობის შემთხვევაში, ფასების დაწევას განაპირობებდა. საბოლოოდ ოლივიე დე შუტერმა, სურსათის თემაზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, დაადგინა, რომ „ფასების ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი სასურსათო პროდუქტებზე მხოლოდ სპეკულაციური ბუშტის გაბერვით აიხსნება“.

**2000 წლიდან დოლარების მთლიანი ოდენობა, რაც ინვესტირებული იყო სხვადასხვა სასაქონლე საფონდო ინდექსებში, 2003 წლის 13 მილიარდიდან 2008 წლის ნავთობისა და მარცვლეულის ბუშტის პერიოდში გამაოგნებელ 317 მილიარდამდე გაიზარდა.** ეს Lehman Brothers-ის კვლევაში იმაზე ცოტა ხნით ადრე დაფიქსირდა, ვიდრე ფინანსთა მინისტრი ჰენრი პოლსონი ამ კომპანიას თავისი უოლსტრიტელი მეგობრების გადასარჩენად განტევების ვაცად აქცევდა.

**2005-დან 2008 წლამდე სურსათზე ფასები 80%-ით გაიზარდა და კვლავაც განაგრძობს ზრდას. 2010 წლის მაისიდან 2011 წლის მაისამდე ხორბლის ფასი დაახლოებით 85%-ით გაიზარდა.**

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია აცხადებს, რომ **2004 წლიდან სურსათზე მსოფლიო ფასი უპრეცედენტოდ — 240%-ით გაიზარდა. თვალნათელ შედეგად იქცა შიმშილობისა და დაუნაყრებლობის უსწრაფესი ზრდა მთელ მსოფლიოში.**

გაეროს ორგანიზაციამ გათვალა, რომ სასურ- ▶

ამერიკა

## ბუშზე უარესი

**დამოუკიდებელი ამერიკულ-არაბული ინსტიტუტის მონაცემებით, არაბულ ქვეყნებში აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას რეიტინგი იმაზე დაბალია, ვიდრე თავის დროზე ჯორჯ ბუშისა და მისი გუნდის რეიტინგი იყო.**

ინსტიტუტმა გამოკითხვა ჩაატარა. გამოიკითხა ეგვიპტის, იორდანეს, ლიბანის, მაროკოს, საუდის არაბეთისა და არაბეთის გაერთიანებული საემიროების 4 ათასი მკვიდრი. გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ბარაკ ობამამ მათი იმედები არ გაამართლა და დანაპირები არ შეასრულა. ყველაზე მეტად ობამას პოლიტიკით გაწბილებულნი არიან ლიბანში. აშშ-ის პოლიტიკა ყველაზე მეტად არ მოსწონთ ეგვიპტეში — გამოკითხულთა მხოლოდ 5 %-ია აშშ-ისადმი დადებითად განწყობილი. შედარებისთვის: 2008 წელს, როდესაც ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ვადა სრულდებოდა, ეს მაჩვენებელი 10% იყო.



მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როკფელერის „მწვანე რევოლუცია“ მისსავე ორბიტაზე ნაწარმოები ამერიკული პროდუქტის გაყიდვას უზრუნველყოფდა, რამაც მილიონობით ადამიანი აიძულა, მიეტოვებინა თავისი მიწები და წასულიყო ქალაქში, სადაც მათ მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის იაფი მუშახელის ოკეანე შექმნეს.**

სათო დეფიციტის მქონე ქვეყნები იძულებული იქნებიან, სურსათის იმპორტზე 30%-ით მეტი, ანუ 1,3 ტრილიონი დახარჯონ. 30 წლის წინათ ეს ბაზარი ერთი ციცქნა იყო, დღეს კი ამერიკის აგრობიზნესის გიგანტების პატარა ჯგუფის ხელშია. აგრობიზნესი, ისევე, როგორც სამხედრო ექსპორტი, ამერიკის ძირითადი სტრატეგიული სექტორია, რომელსაც, დიდი ხანია, ვაშინგტონი უმაგრებს ზურგს. ეს არის ნაწილი იმ კერძო დღის წესრიგისა, რომელიც რამდენიმე ათწლეულის წინათ როკფელერის, ფორდ ფაუნდეიშენისა და ევგენიკის ადვოკატების ეგიდით ჩამოყალიბდა.

სურსათის იმპორტი დღეს უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი. იაფი გლობალიზებული პროდუქცია ხშირად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლით ინერგება განვითარებად ქვეყნებში, ხშირად ისეთებშიც, რომელთაც სურსათის ნაკლებობა არასდროს აწუხებდათ, ახლა კი იმპორტულ სურსათზე არიან დამოკიდებულნი. **სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება ხელოვნურადაა შექმნილი იმ უზარმაზარი ტრანსნაციონალური კონგლომერატების მიერ, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ფიქრობენ ინდუსტრიალური კვების პროდუქტების მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე.**

გარდა ამისა, **იაფფასიანი ექსპორტი ადგილობრივად მოყვანილ კულტურებზე ფასს აგდებს და მილიონობით ადამიანს აიძულებს, გადავიდნენ სოფლიდან ქალაქში და სასოწარკვეთით ეძებონ სამუშაო ადგილები.**

2008 წელს, მარცვლეულზე მართვადი ფასების სპეკულაციის აფეთქების შედეგად, მეოთხედ მილიარდზე მეტმა ადამიანმა, რომლებიც თავიანთი შემოსავლის ნახევარს სურსათზე ხარჯავენ, დაკარგა ის, რასაც გაერო „სასურსათო უსაფრთხოებას“ უწოდებს, ანუ საერთო ჯამში მილიარდი ადამიანი ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რაც ახალი რეკორდია.

ეს ყოველივე არასდროს მოხდებოდა, რომ არა ამერიკის ხელისუფლების მიერ ხორბლეულის სპეკულაციების რეგულირების შეწყვეტა. 2008 წლის დასაწყისში ბუშის ადმინისტრაციის ახალი სტიმულის წყალობით, ამერიკის მთელი ხორბლის სათესი მიწის 35% დაითესა კულტურებით, რომლებიც ბიოსაწვავად იქნება გამოყენებული. 2011 წელს ამგვარი მიწების ფართობი 4%-მდე გაიზარდა.

## აგრობიზნესი, როგორც გრძელვადიანი სტრატეგია

**უკანასკნელ წლებში ხორბალსა და კვების პროდუქტებზე ფასების რეკორდული ზრდა მხოლოდ უოლ-სტრიტის მომგებიანი ფანდი არაა. თუმცა ამის წყალობით წარმოუდგენელ ფულს შოულობენ. უფრო მეტად ეს იმ გრძელვადიანი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, რომლის ფესვებიც ომისშემდგომ წლებში მიდის.** მაშინ ნელსონ როკფელერი და ძმანი მისნი გლობალური კვებითი ჯაჭვის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ იმავე მონოპოლიური სქემით, რომელსაც ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე უკვე იყენებდნენ. ამ სტრატეგიის მიხედვით, სურსათი უნდა გამხდარიყო კიდევ ერთი პროდუქტი, როგორც ნავთობი, ოქრო ან ვერცხლი, რომელთა დეფიციტი და რომლებზე ფასებიც, საბოლოო ჯამში, რამდენიმე გავლენიანი სავაჭრო ინსაიდერის კონტროლს დაექვემდებარებოდა.

მაშინ ძმებმა როკფელერებმა ნავთობის ბაზარი სოფლის მეურნეობის ბაზრის ხარჯზე გაიფართოეს განვითარებად ქვეყნებში თავიანთი „მწვანე რევოლუციის“ ტექნოლოგიით და დაიწყეს ჰარვარდის უნივერსიტეტის იმ შეუმჩნეველი გეგმის დაფინანსება, რომლის თანახმადაც საკვები პროდუქტების წარმოება მთელ მსოფლიოში რამდენიმე კერძო კორპორაციის კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა.

**სქემას „აგრობიზნესი“ დაარქვეს. როკფელერის „მწვანე რევოლუცია“ მისსავე ორბიტაზე ნაწარმოები ამერიკული პროდუქტის გაყიდვას უზრუნველყოფდა, რამაც მილიონობით ადამიანი აიძულა, მიეტოვებინა თავისი მიწები და წასულიყო ქალაქში, სადაც მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის იაფი მუშახელის ოკეანე შექმნეს.**

**აგრობიზნესი და „მწვანე რევოლუცია“ იმ გრანდიოზული სტრატეგიის ნაწილები იყო, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ როკფელერის ფონდის მიერ დაფინანსებული მცენარეთა მოდიფიცირების კვლევებიც შეითავსა.**

ცენტრალური იდეა, რომელიც აგრობიზნესის პროექტს ასულდგმულებდა, ამერიკულ სასურსათო წარმოებაში „ვერტიკალური ინტეგრაციის“ სქემის დაბრუნებას გულისხმობდა. ამერიკელთა უმეტესობას უკვე აღარ ახსოვდა, რა მწარე ბრძოლები გადაიტანეს 1920-იან წლებში, რათა კონგრესში გიგანტური კონგლომერატებისთვის ვერტიკალური ინტეგრაციის ამკრძალავი კანონები გაეტანათ.

ასე იყო მანამ, ვიდრე დევიდ როკფელერი ჯიმი კარტერის ადმინისტრაციის კულისებში იდგა, 1970-იანი წლებიდან კი ამერიკულმა ტრანსნაციონალურმა ბიზნესმა დაიწყო აშშ-ის ხელისუფლების მიერ მრავალი წლის მანძილზე გულდაგულ ნაგები წესების ნგრევა ჯანდაცვის, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა დაცვის სფეროებში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის ვერტიკალური ინტეგრაციისთვის კარი გაიღო. მისი შემადგენელი პროცესები რიგით მოკვდავებს „ეკონომიკური ეფექტურობისა“ და „მასშტაბის ეფექტის“ ლოზუნგებით მიჰყიდეს.



**2007 წლის დასასრულს სასურსათო დერივატივებით ვაჭრობას ვაშინგტონი აღარ აკონტროლებდა, ამერიკის ხორბლის მარაგი აღარ არსებობდა, სურსათზე ფასის მატებისთვის გზა ხსნილი იყო. მაგრამ მნიშვნელოვან და გრძელვადიან სასურსათო ინფლაციას კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი ბიძგი სჭირდებოდა მთელი ძალით ასამუშავებლად. მან ეს ბიძგი ჯორჯ ბუშისგან მიიღო.**

**მთავარი მოთამაშეები, რომლებიც აშშ-ისა და ევროკავშირის სასურსათო და ენერგეტიკული პოლიტიკის უკან დგანან, BP-ი, Shell-ი, ExxonMobil-ი, Chevron-ი, ADM-ი, Cargill-ი და სხვები არიან**

## ბრითიშ პეტროლიუმი, ბიოეტალონი და გენოციდი

**2007 წელს, როდესაც იპოთეკურმა კრიზისმა აშშ-ში უოლ-სტრიტიდან პირველი დამანგრეველი ტალღები წარმოშვა, ბუშის ადმინისტრაციამ კი საზოგადოებასთან დამოკიდებულების სფეროში დიდი ნაბიჯი გადადგა, რათა მსოფლიო დაერწმუნებიდა, რომ „აშშ გარემოს საუკეთესო მმართველად“ იქცა. ამ ტყუილს ძალზე ბევრი წამოეგო.**

ბუშის გეგმის ცენტრალური პუნქტი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა 2007 წლის იანვარში კონგრესისადმი მიმართვაში გაახმოვანა, ამერიკული ბენზინის მოხმარების 20%-ით შემცირება იყო, ცხადია, ექსპორტზე დამოკიდებულებისა და სასათბურე გაზების შემცირების კეთილშობილური მოტივებით. სინამდვილეში ბუშის გეგმის ამოსავალი წერტილი გადასახადების გადამხდელთა ფულიდან უზარმაზარი სუბსიდირებით ბიოეთანოლის სატრანსპორტო საწვავად გამოყენება გახდა. თავდაპირველად, გეგმის მიხედვით, 2017 წლისთვის წელიწადში 133 მილიარდი ლიტრი ეთანოლი უნდა ეწარმოებინათ. 2005 წლის ენერგეტიკული პოლიტიკის შესახებ კანონში კონგრესმა უკვე მოიწონა ეთანოლიანი მარცვლეულის წარმოების ზრდა.

ამგვარი ზრდის უზრუნველსაყოფად ფერმერებმა და აგრობიზნესის გიგანტებმა დიდი სუბსიდიები მიიღეს გადასახადების გადამხდელთა ფულიდან, რათა სიმინდი საწვავისთვის გაეზარდათ და არა — საკვებად. **დევიდ როკფელერის კორპორატიული ფერმები აშშ-ის ხელისუფლებიდან სოფლის მეურნეობის სუბსიდირების უმსხვილეს მიმღებად იქცნენ.** დღეს ეთანოლის მწარმოებლები აშშ-ში ერთ გალონ ეთანოლზე 51 ცენტს იღებენ. სუბსიდია გადაეცემათ ნავთობკომპანიებს, რომლებიც ეთანოლს გასაყიდ ბენზინში ურევენ. 2011 წელს მთელი სახნავ-სათესი მიწების 40% აშშ-ში ბიოსაწვავის ნედლეულის მოსაყვანად გაიცა.

**ახლა შტატებში ეთანოლის მწარმოებელი უფრო მეტი ქარხანა შენდება, ვიდრე უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა აშენდა. 2-3 წელიწადში, როდესაც მათი მშენებლობა დასრულდება, სიმინდსა და ეთანოლის საწარმოებელ სხვა მარცვლეულზე მოთხოვნილება გაორმაგდება.**

ევროკავშირის ბიუროკრატებმა დაადგინეს, რომ 2020 წლისთვის მოხმარებადი მთელი საწვავის 10% ბიოსაწვავი უნდა იყოს. საზიზღრობა ისაა, რომ მათ ეს ევროკავშირის კომისიის იმ მოხსენების მიუხედავად გააკეთეს, რომელიც ამ სუბსიდირებული ბიოსაწვავის მასობრივი გამოყენების დამანგრეველ გავლენაზე მიუთითებდა. ეს წარმოება სწრაფად ხდება სიკვდილის ინდუსტრია მილიონობით უდანაშაულო ადამიანისთვის, რომლებიც საკუთარ თავსა და ოჯახებს ადეკვატური საკვებით ვერ უზრუნველყოფენ.

**შეჯიბრში, თუ ვინ უფრო მეტ სურსათს გაანადგურებს ტოქსიკურ ბიოსაწვავად მისი გამოყენებით, ცხადია, აშშ ლიდერობს. 2010 წელს მან მთელი მსოფლიოს ეთანოლის 60%, ანუ 13 მილიარდი გალონი აწარმოა.**

**ბიოსაწვავის აფერის ყველაზე საგანგაშო ასპექტი ისაა, რომ 2008 წელს ხორბალზე ფასის გაზრდის სამწლიან პერიოდში არც აშშ-ის კონგრესს, არც ევროკავშირსა და არც ვინმე სხვას არ მიუღიათ არავითარი ზომები საიმისოდ, რომ ეს შეშლილი პოლიტიკა შეეჩერებინათ. ეს გამაოგნებელი უმოქმედობა კი ბიოსაწვავის ლობის პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მიანიშნებს.**

მთავარი მოთამაშეები, რომლებიც აშშ-ისა და ევროკავშირის სასურსათო და ენერგეტიკული პოლიტიკის უკან დგანან, BP-ი, Shell-ი, ExxonMobil-ი, Chevron-ი, ADM-ი, Cargill-ი და სხვები არიან.

იანვარში გარემოსთან დაკავშირებული ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში წერია, რომ 2020 წლამდე ენერგიის საბოლოო მოხმარებაში ბიოენერგიის წილი ორჯერ და მეტად გაიზრდება და 5,4%-დან 12%-ს მიაღწევს. ბიოენერგია კვაზიდომინირებულ როლს შეასრულებს გასათბობ და გამაგრილებელ სექტორებში და 80%-ს გადააჭარბებს, სატრანსპორტო სექტორში კი თითქმის 90%-ს მიაღწევს. იმავე ორგანომ დაიანგარიშა იმ მიწის ფართობი, რომელიც ამ ზრდისთვის საკმარისი ნედლეულის მოყვანას დასჭირდება, და დაადგინა, რომ ევროპაში 4,1-დან 6,9-მდე მილიონი ჰექტარი დამატებითი მიწა იქნება საჭირო ბიოსაწვავის წარმოებისთვის.

გარდა ამისა, **ევროკავშირის მტკიცება, რომ ბიოსაწვავი CO2-ის გამოყოფას ამცირებს, მითია. სინამდვილეში ის ევროპის გზებზე 26 მილიონი მანქანის დამატების ექვივალენტურად გაიზრდება.** ბიოსაწვავი უკიდურესად არასასურველია უთვალავი მიზეზის გამო და, რაც მთავარია, შეუძლებელია იმ რაოდენობით სიმინდის წარმოება, რომელიც საჭირო იქნება ამ საწვავის სიცოცხლისუნარიანი კონკურენციისათვის ნავთობთან.

## ახალი გლობალური მტვრის ქარბუქები

**ის, რასაც ბიოსაწვავმა და მისმა პრომოუტერებმა (BP-დან — აგრობიზნესამდე) მიაღწიეს, მთელ მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების მოსპობაა.**

ჰელიოფიზიკოსები ამბობენ, რომ დედამიწა ახლა მზის დაქვეითებული აქტივობის ათწლიანი ან კიდევ უფრო ხანგრძლივი პერიოდის საწყის ეტაპს გადის. ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ზღვების აორთქლებაზე და წვიმების რაოდენობაზე, რაც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობაში წყლის ნაკლებობას განაპირობებს. შედეგად, მცენარეების ზრდა შეფერხდება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სერიოზულ ეროზიას განიცდის და შედეგად სურსათზე ფასები ათწლეულის განმავლობაში მოიმატებს. თუ ფიზიკოსები მართალი აღმოჩნდნენ, მალე იმ მასშტაბის სასურსათო კრიზისის წინაშე დავდგებით, ამ დრომდე ჩვენს პლანეტას რომ არ უნახავს.

**ფრედერიკ უილიამ ენგდალი,**
**warandpeace.ru**



**ფრედერიკ უილიამ ენგდალი — ამერიკელი ეკონომისტი, პოლიტოლოგი და მწერალი, ავტორი მთელი რიგი ცნობილი კვლევებისა და წიგნებისა, მათ შორის „ფულის ღმერთები: უოლ-სტრიტი და ამერიკული საუკუნის აღსასრული“, „ომის ასწლედი: ანგლო-ამერიკული ნავთობპოლიტიკა და ახალი მსოფლიო წესრიგი“, „დომინირების სრული სპექტრი: ტოტალური დემოკრატია ახალ მსოფლიო წესრიგში“.**

მოკლედ

## სირიაში 28 დემონსტრანტი მოკლეს

**უცხოური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სირიის ქალაქებში საპროტესტო აქციების დაშლისას 28 დემონსტრანტი დაიღუპა, მათ შორის მცირეწლოვანიცაა.** საპროტესტო აქციაში 1 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, აქციები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში იმართება. საპროტესტო აქციების მონაწილეები პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ.



## იულია ტიმოშენკოს 187 მილიონს ედავებიან

**უკრაინულმა კომპანია „ნავთოგაზმა“ უკრაინის ყოფილ პრმიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს წინააღმდეგ სამოქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა — კომპანია ტიმოშენკოს 187 მილიონ დოლარს ედავება.** როგორც კომპანიის წარმომადგენელი იგორ კოსტი აცხადებს, „ნავთოგაზი“ სწორედ ამ თანხად აფასებს იმ ზარალს, რომელიც მათ იულია ტიმოშენკომ 2009 წელს გაზის მიწოდების შესახებ რუსეთთან კონტრაქტების გაფორმებით მიაყენა.

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები არ ხერხდებოდა, რის გამოც თურქული არმია ამიერკავკასიის სიღრმეში მიიწევდა. დაეცა ყარსი; მოგვიანებით, მცირე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, დაეცა მიუვალი ციხესიმაგრე ბათუმი. დაიკავეს რა ახალციხის მაზრა (მაშინ იგი ტფილისის გუბერნიაში შედიოდა), მოწინააღმდეგის საჯარისო ნაწილები გაერთიანებული ძალით ალექსანდროპოლს და ტფილისს მიადგნენ.

# გერმანიის პროტექტორატი და გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება კავკასიაში

„საქართველოს რესპუბლიკა მაისში დაიბადა. მისი ბებია გერმანია იყო. ოდესმე ისტორია იტყვის, რა ძნელი იყო ამ გერმანიისთვის სოციალიზმით ორსული ქართული მუცლიდან იმ ბავშვის გამოღება, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ერქვაო," — წერდა შალვა ამირეჯიბი. ისარგებლეს რა რევოლუციური ანარქიით, 1917 წელს კავკასიას თურქი და გერმანელი აგენტები მოაწყდნენ. მაშინ მიხვდნენ კავკასიის პოლიტიკოსები, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობდა და ამიტომ, თვითგადარჩენის მიზნით, დამოუკიდებლობაზე ფიქრი დაიწყეს.

1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტულ ხელშეკრულებას გერმანიასთან. მისი პუნქტების მიხედვით, მთელი ამიერკავკასია გერმანია-თურქეთის ოკუპაციას ექვემდებარებოდა, ხოლო რეგიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ყარსი, არდაღანი, ბათუმი — თურქეთის მიერ იქნა ანექსირებული. არც ერთ ხელისუფლებას, ბოლშევიკების გარდა, ეს სეპარატისტული ხელშეკრულება არ უღიარებია. ასეთ ვითარებაში საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის ბედი გერმანიას მიანდო, რომელიც თავისი მოკავშირე თურქეთის გვერდის ავლით ცდილობდა, ერთპიროვნულად გაეკონტროლებინა ეს ტერიტორია. თავის მხრივ, საკუთარი ინტერესების დათმობას არ აპირებდა თურქული მხარეც, რომელმაც, მიუხედავად გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობაზე აღებული პასუხისმგებლობისა, აიძულა ამიერკავკასიის რესპუბლიკები, ხელი მოეწერათ „მშვიდობისა და მეგობრობის" ხელშეკრულებაზე, რომლითაც ოსმალეთმა მიითვისა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალქალაქის, ახალციხისა და სურამ-ლინის მაზრები, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მიდამოები და ა.შ.

**ამავე პერიოდში საქართველოს პოზიციას აშკარად ასუსტებდა სომხეთის არალეგიტიმური მოთხოვნებისადმი ინგლისის მხარდაჭერა. სწორედ ამის გამოძახილი იყო, რომ საქართველოს ნების გარეშე, ანტანტის პროექტით ბათუმს პორტო-ფრანკოს სტატუსი მიენიჭა. ჟორდანიას მთავრობა კი მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ თავაზიან ნოტას გზავნიდა საერთაშორისო კონფერენციაზე. სხვათა შორის, ამ ნოტაში ლაპარაკია „ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის" დაარსების სახიფათო პერსპექტივაზე, რომელიც ხშირად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ხოლმე სპეციალისტთა შორის.** აი, რას ვკითხულობთ ხსენებულ ნოტაში: „ბათუმის ოლქის დაყოფა და რომელიმე მისი ნაწილის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანა გამოიწვევს უღრმეს უთანხმოებას და გაამწვავებს ურთიერთობას ამიერკავკასიის მეზობელ ხალხთა შორის. პორტო-ფრანკოს შექმნა და ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება სასოწარკვეთას მოჰგვრის ქართველ ხალხს, რომელსაც ჩამოართმევენ მისი საუკეთესო ნავსადგურის მფლობელობას"...

ამაო აღმოჩნდა გარეშე ძალას მინდობილი „დამოუკიდებელი და დემოკრატიული" მთავრობის მცდელობა. რუსეთში ანარქიის მოწყობით გერმანელებმა ხელთ იგდეს მთელი კავკასია, მაგრამ, როდესაც ანალოგიური პრობლემები მათსავე ქვეყანაში წამოიჭრა, გერმანელები განზე გადგნენ და ასპარეზი გამარჯვებულ ბრიტანულ იმპერიას დაუთმეს. ახლა უკვე „მეგობრად" და „მფარველად" ინგლისელები მოევლინენ ახალფეხადგმულ საქართველოს, ის ინგლისელები, რომლებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს ერთა ლიგის წევრად საქართველოს მიღებაზე და ამით სასწორზე შეაგდეს საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მომავალი.

* * *

1918 წლის 28 მაისს, საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების შედეგად, გერმანიას უფლება ეძლეოდა, ამიერკავკასიის ნედლეულზე (ნავთობი, მანგანუმი) კონტროლი დაეწესებინა რკინიგზასა და საზღვაო პორტებში. სამიათასიანი საექსპედიციო კორპუსი ფრიდრიხ კრეს ფონ კრეხენშტაინის მეთაურობით ყირიმიდან საქართველოში გადმოისროლეს. კორპუსის ნაწილები საქართველოს პორტებში — ფოთსა და ოჩამჩირეში გადაანაწილეს. გერმანიის სამხედრო დახმარებით, აფხაზეთში შესაძლებელი გახდა ბოლშევიკების მხრიდან განხორციელებული მუქარის აღკვეთა. გერმანელები მონაწილეობდნენ ქართული შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და მომავალი შეტევისათვის მათ მომზადებაში. 1918 წლის ზაფხულის მანძილზე გაერთიანებული გერმანულ-ქართული გარნიზონები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყვნენ დისლოცირებულნი. მათ შემადგენლობაში შედიოდა უკრაინიდან და სირიიდან გადმოყვანილი ჯარები, ასევე, გერმანელთა მიერ განთავისუფლებული სამხედრო ტყვეებიც.

1918 წლის იანვარში საბოლოოდ განადგურდა კავკასიის ფრონტი და თურქულმა ჯარებმა, რომლებიც აქამდე შევიწროებულნი იყვნენ, დაიწყეს კონტრშეტევები. 1918 წლის მაისისათვის **თურქებმა** არა მარტო დაიბრუნეს რუსული ჯარების მიერ **დაკავებული აღმოსავლეთ ანატოლიის ყველა ვილაიეთი**, არამედ **მოახდინეს ამიერკავკასიის რუსული ნაწილის ოკუპაციაც**. ეს იყო **ყარსისა** და **ბათუმის მხარეები, ერევნისა და თბილისის გუბერნიის ნაწილი**.

სანამ პეტროგრადში დროებითი მთავრობა არსებობდა და შემდეგაც კი, როცა 1917 წლის 25 ოქტომბერს ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ, არც ერთი ცნობილი კავკასიელი პოლიტიკოსი არ ფიქრობდა თავისი ხალხის რუსეთისგან გამოყოფას.

ისარგებლეს რა რევოლუციური ანარქიით, 1917 წელს კავკასიას თურქი და გერმანელი აგენტები მოაწყდნენ. მაშინ მიხვდნენ კავკასიის პოლიტიკოსები, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობდა, ხოლო პეტროგრადსა და მოსკოვში დასკუპული ბოლშევიკები თავიანთი ყაჩაღური ხელისუფლების შესანარჩუნებლად მზად იყვნენ, ნახევარი სამეფო მიეცათ ავსტრიელების, გერმანელებისა და თურქებისათვის, ამიტომ, თვითგადარჩენის მიზნით, დაიწყეს რუსეთისაგან გამოყოფაზე ფიქრი.

**1918 წლის 3 მარტს ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტულ ხელშეკრულებას გერმანიასთან.** მისი პუნქტების მიხედვით, მთელი ამიერკავკასია გერმანო-თურქულ ოკუპაციას ექვემდებარებოდა, ხოლო რეგიონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ყარსი, არდაღანი, ბათუმი — თურქეთის მიერ იქნა ანექსირებული. **არც ერთ ხელისუფლებას, ბოლშევიკების გარდა, რომელიც მაშინ არსებობდა რუსეთში, ეს სეპარატისტული ხელშეკრულება არ უღიარებია.** ამასთან, ბოლშევიკებმა ძალითა და მკვლელობებით გარეკეს ახლადარჩეული დამფუძნებელი კრება, მათი მთავრობა სრულიად უკანონოდ გამოცხადდა.

ბოლშევიკებისაგან თავისუფალ სივრცეში რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში იქმნებოდა დროებითი მთავრობები და საკანონმდებლო კრებები. ამიერკავკასიაში ამგვარ სახელისუფლებო ორგანოს ამიერკავკასიის კომისარიატი წარმოადგენდა, რომლის კანონმდებელი ორგანო იყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც 10 აპრილს **ამიერკავკასიის რესპუბლიკა გამოაცხადა**, როგორც დროებითი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რაც რუსეთში ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაკავებამ განაპირობა.

**თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები არ ხერხდებოდა, რის გამოც თურქული არმია ამიერკავკასიის სიღრმეში მიიწევდა. დაეცა ყარსი; მოგვიანებით, მცირე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, დაეცა მიუვალი ციხესიმაგრე ბათუმი. დაიკავეს რა ახალციხის მაზრა (მაშინ იგი ტფილისის გუბერნიაში შედიოდა), მოწინააღმდეგის საჯარისო ნაწილები გაერთიანებული ძალით ალექსანდროპოლს და ტფილისს მიადგნენ.**

თურქები მოითხოვდნენ თანხმობას ბრესტის ხელშეკრულების პუნქტებზე, მაგრამ კულუარულ საუბრებში მიანიშნებდნენ, რომ, თუ ამიერკავკასიის ხალხები გამოიყენებდნენ თვითგამორკვევის უფლებას და გამოეყოფოდნენ რუსეთს, გამოაცხადებდნენ თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, მაშინ ბრესტის ხელშეკრულება მათთვის ძალას დაკარგავდა. **სინამდვილეში თურქები და მათი ფაქტიური მოკავშირეები სეიმში, კავკასიელი თათრები ეშმაკობდნენ. ოსმალეთის იმპერიის გეგმაში შედიოდა, კავკასიაში რაც შეიძლება მეტ მიწებს დაპატრონებოდა, რათა იქ თავისი მოსახლეობა ჩაესახლებინა საყოველთაო სამშვიდობო ხელშეკრულების მიღებამდე, რაც სამთა კავშირს სამომავლოდ კარგს არაფერს ჰპირდებოდა.**

**კავკასიელი თათრები, უფრო ზუსტად, მათი მეთაურები ბოლშევიკური გადატრიალებისა და, ფაქტობრივად, რუსეთის დამხობის შემდეგ მზად იყვნენ საამისოდ. სომხებთან ყველაფრის ისე დამთავრებას აპირებდნენ, როგორც ეს 1915-1916 წლებში გაკეთდა ანატოლიაში; რაც შეეხება საქართველოს, მას წინასწარ წაართმევდნენ მუსლიმანებით დასახლებულ მიწებს, დაადგენდნენ პროტექტორატს, XVIII საუკუნის ოსმანთა პროტექტორატის მსგავსს.**

**ეს იყო XVI-XVII საუკუნეების გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან დაბრუნება. რუსეთი განზე დარჩა, ხოლო სუსტ სპარსეთს არ შეეძლო კავკასიის ამგვარი გარდაქმნისთვის ხელის შეშლა. ინგლისელები, იბრძოდნენ რა მესოპოტამიაში, შორს იყვნენ და, ამდენად, თურქი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, განემტკიცებინათ თავიანთი მონაპოვარი. ცხადია, თავიანთ გეგმებს თურქები ქართველებს არ აცნობდნენ და ქართველი პოლიტიკოსებიც მათ ხაფანგში გაებნენ.**

1918 წლის 20 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, რასაც მოჰყვა აზერბაიჯანის ასეთივე გადაწყვეტილება (სომხებმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტეს ამ ნაბიჯის გადადგმა და დამოუკიდებლობა 1919 წლის 15 მაისს გამოაცხადეს), გაამძლიერა კავკასიის სამხრეთის გეოპოლიტიკური ორიენტაცია. სამთა კავშირმა კავკასიის რესპუბლიკების ეს დამოუკიდებლობა მაშინვე სცნო.

**ზესახელმწიფოებმა, ცხადია, იგნორირება გაუკეთეს ამ საკითხს. თურქებმა გაცილებით უფრო მძიმე პირობები წამოუყენეს საქართველოს შეთანხმების მისაღწევად. ისინი მოითხოვდნენ, მათ სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში გადასულიყო უმეტესად მუსლიმანებითა და სომხებით დასახლებული ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რითაც თურქეთის მიერ უკვე ანექსირებულ აჭარასა და აზერბაიჯანს შორის კორიდორის შექმნის საშუალება ექნებოდათ, იმავე დროს ჩამოაშორებდა რა სომხეთს საქართველოს. ქართველებმა დახმარება გერმანიას სთხოვეს. პასუხად გერმანელებმა თბილისში რამდენიმე საჯარისო ნაწილი გადაისროლეს, მოახდინეს ქვეყნის ოკუპაცია და ცდილობდნენ, თავიანთი თავაწყვეტილი მოკავშირე მოერჯულებინათ.**

თურქები სიტყვიერად სხვას ამბობდნენ, საქმით კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ — აგრძელებდნენ თავდასხმებს და აცხადებდნენ, რომ ამას ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა სჩადიოდა (და არა თურქი სამხედროები), რომელსაც თვითგამორკვევა და საქართველოსგან გამოყოფა სურდა. ადგილობრივი მუსლიმანები (ჩვენთვის ცნობილი „თურქი მესხების" სახელით) ნამდვილად თავიანთი თანამემამულეების მხარეზე იყვნენ — ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს, კლავდნენ ქრისტიანებს, ბილწავდნენ ქრისტიანულ ეკლესიებს... სწორედ მაშინ გაჩანაგდა სამეფო სასახლე აბასთუმანში. იმ დროიდან მოყოლებული თურქ მესხებსა და ქართველებს შორის დამოკიდებულება დღესაც მტრულია. გერმანელთა ჩარევის შემდეგ თურქთა ჯარები და პარტიზანული რაზმები მდინარე ხრამთან შეჩერდნენ, მდინარეზე ორი გადასასვლელის მოშორებით თბილისიდან.

**შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ კავკასიის ხალხებმა, ისარგებლეს რა სრულიად რუსეთის ხელისუფლების დაცემითა და დასუსტებით, თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ოცნების განხორციელება გადაწყვიტეს — გამოყოფოდნენ რუსეთს, რასაც ამჟამად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ოფიციოზი ამტკიცებს.**

**ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდნენ, კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობისათვის მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად არ გაჩენილა. ისინი თურქეთის პოლიტიკური ინტრიგისა და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დაშლის შედეგად აღმოცენდნენ.**

**„ქართველი ნაციონალების მცირე ჯგუფის შეუპოვრობის მიუხედავად, დამოუკიდებლობა ნამდვილად არ წარმოადგენდა საქართველოს მთავარ პოლიტიკურ მიზანს. მეტიც, ფიზიკურმა და პოლიტიკურმა მოწყვეტამ პოლიტიკური რუსეთისაგან (როგორც სამოქალაქო ომის შედეგი) და თურქთა დარბევის გამუდმებულმა მუქარამ მიიყვანა საქართველო (ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი) იქამდე, რომ ოფიციალურად გაეწყვიტა კავშირი რუსეთთან",** — მიუთითებდა დასავლელი ისტორიკოსი რ. გ. სანი.

საქართველომ რომ რუსეთისგან თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანიას მიენდო, ამის შესახებ აი, რას წერდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი (ხოლო შემდეგ საქართველოსი), გენერალი კვინიტაძე:

**„1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა... რაც ვეხიბ-ფაშას დაჟინებული მოთხოვნით გაკეთდა. ჩვენს დელეგაციას გადმოეცა მისი ულტიმატუმი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობის თაობაზე. მეორე დღესვე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის შემდეგაც საქართველო აღარ იყო ვალდებული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები დაეცვა".**

**ცხადია, მაშინვე გამოჩნდნენ ქართველები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ, გამხდარიყვნენ მინისტრები, ქალაქისთავები, მთავარსარდლები. სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის გულმხურვალე მომხრეები, კავკასიელი არისტოკრატები და ინტელექტუალები, ახლა არაჩვეულებრივი მონდომებით მოითხოვდნენ თავიანთი უფლებების დაცვასა და რუსეთის გინებას.**

კავკასიის სეიმში იძულებულნი ვიყავით თათართა წარმომადგენლების გამოსვლები მოგვესმინა, რომლებიც რუსეთისადმი სიძულვილით სუნთქავდნენ და არაორაზროვნად მიანიშნებდნენ ამიერკავკასიელი თათრების თურქებთან მომავალ კავშირზე, რომელთანაც 1918 წელს აზერბაიჯანი, ასრულებდა რა გერმანიის ბრძანებებს, საბოლოოდ აპირებდა შეერთებას (გამოეყო რა რუსეთს).

**მაგრამ პოლიტიკური ელიტის ამ დამოკიდებულებას სრულიად არ იზიარებდა ხალხი, რომელმაც ძალიან მალე გაიგო, რომ ეს დამოუკიდებლობა მას არც მორალურ, არც კულტურულ და არც მატერიალურ სარგებელს მოუტანდა, არამედ მეზობელთა გათელვისა და ძარცვის** ▶

**მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული ბათუმის ოლქის — მთელი სამუსლიმანო საქართველოს — მცხოვრებთა ყრილობა, რომელმაც მოითხოვა საქართველოსთან შეერთება; ფაქტობრივად, რეფერენდუმის მნიშვნელობის მქონე ამ წარმომადგენლობითი ყრილობის რეზოლუციით არა მხოლოდ აჭარა, არამედ მთელი სამუსლიმანო საქართველო (ართვინ-შავშეთ-არტანუჯ-ოლთის-ადგაღანის ჩათვლით) შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკას.**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀უფლებას (რომლებთანაც რუსული ხელისუფლების დროს, ასე თუ ისე, ასი წელი მშვიდობიანად იცხოვრა) მისცემდა.**

თუკი კანონიერი და ძლიერი რუსული ხელისუფლება 1918-1919 წლებში კავკასიაში დაბრუნდებოდა, ალბათ, ძნელად თუ წააწყდებოდა წინააღმდეგობას, მაგრამ ასეთი ხელისუფლება რუსეთში იმ დროს არ არსებობდა. „თეთრები“ — ადმირალ კოლჩაკისა და გენერალ დენიკინის ხელისუფლება — აგრძელებდნენ ძველი კანონის ტრადიციულ დაცვას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო სამოქალაქო ომების პირობებში, მაგრამ ისინი სუსტები იყვნენ და გამარჯვების პერსპექტივა ნაკლებად ჰქონდათ. ამასთან, კავკასიის ქედის სამხრეთში არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდათ; რუსეთის ცენტრში ბოლშევიკები ბატონობდნენ — ისეთ დანაშაულებს ჩადიოდნენ, რომელთან შედარებითაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული ხელისუფლებების უხამსობანი ბავშვურ კაპრიზებს ჰგავდა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა ანტანტამ არ ცნო. ზუსტად ასე ესმოდა კავკასიის სახელმწიფოებრივი სიტუაცია რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც ადმირალი ა. ვ. კოლჩაკი ედგა სათავეში. რუსეთის სამხრეთში თეთრგვარდიელთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ა. ი. დენიკინმა შემდეგი საიდუმლო ინსტრუქციები მისცა ტფილისში ამიერკავკასიის მოხალისეთა არმიის მთავარ წარმომადგენელს, გენერალ ბარათოვს:

**„მთელი ამიერკავკასია 1914 წლის ომამდე არსებული საზღვრების ფარგლებში უნდა იქნას განხილული, როგორც რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი... უნდა მომზადდეს საფუძველი ამ მხარეთა უმტკივნეულოდ ერთ მთლიანობად გადასაქცევად, სრულიად რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ქვეშ მოსაქცევად. ამავე დროს, საერთო სახელმწიფოებრივი რუსული ხელისუფლების დამყარებამდე ნებადართულია ამ მხარეთა დამოუკიდებელი მმართველობა, რომელიც ჩამოყალიბებულია და არსებობს“.**

ამასთან, ხელმძღვანელობდა რა ზოგიერთი საიდუმლო დირექტივით, ანტანტის სახელმწიფოები არ ჩქარობდნენ კანონიერი რუსული ადმინისტრაციის აღდგენას ამიერკავკასიაში. კავკასიის ოკუპაცია გრძელდებოდა „თეთრი არმიისათვის“ „ზურგის გამაგრების“ საბაბით. მოკავშირეებმა დე ფაქტოდ აღიარეს კავკასიაში არსებული საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნული ხელისუფლებები.

**ამასთან, ამიერკავკასიის ეს ნაციონალური ხელისუფლებები თავიანთ ანტირუსულ და არაკეთილ პოზიციას იმაზე უფრო თამამად ავლენდნენ, ვიდრე ეს გერმანო-თურქული ოკუპაციის დროს ხდებოდა. ამგვარად, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ იყო რუსი სოციალ-დემოკრატი და გულმხურვალე მომხრე კულტურულ-ნაციონალური (და არა ტერიტორიული, როგორც ჩხენკელი) ავტონომიისა რუსეთის შემადგენლობაში, 1919 წლის 11 იანვარს ტფილისის პარლამენტში საჯაროდ გამოაცხადა, რომ „საქართველოს საზღვრებში არ გამოვიდოდა არც ერთი გაზეთი, იქნებოდა ის რუსული, სომხური თუ სხვა, რომლის საფუძველშიც საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქნებოდა ჩადებული და მისი საქმიანობაც ამ პრინციპზე არ იქნებოდა აგებული“.**

**ამასთანავე, ევროპელი „მოკავშირეების“ მითითებებისამებრ, საქართველოს მთავრობა აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდა ისლამისტ ექსტრემისტებს ჩრდილოეთ კავკასიაში. აჰმედ ნალიკოვის (ჩეჩენთა ბელადი) შტაბი ტფილისში მდებარეობდა, ხოლო ქართველი გენერალი კერესელიძე მის არმიას მეთაურობდა. ტფილისიდან ხდებოდა, ასევე, ამ ჯარების მომარაგება საჭირო იარაღით.**

მთავრობის მეთაური სამხრეთ რუსეთში გენერალი ა.ი. დენიკინი წერდა:

**„თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ინგლისმა უარი თქვა თავისი ჯარების ბოლშევიკების წინააღმდეგ დაძვრაზე, ხოლო ამიერკავკასიის ტერიტორია უკვე თავისუფალი იყო თურქებისა და გერმანელებისაგან, გადაწყვეტილება მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციის შესახებ მოკლებული იყო ყოველგვარ სტრატეგიულ საფუძველს. ის მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკური მოტივებით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი (საქართველოს მარგანეცი, აზერბაიჯანის ნავთობი და გაზსადენი: ბაქო-ტფილისი-ბათუმი თავისთავად განსაზღვრავდა ინგლისურ**


ძველი ბათუმი

**პოლიტიკას). ამას გარდა, ცდილობდა რა, დაემყარებინა პროტექტორატი სპარსეთზე, ინგლისს სურდა, რეალური დაბრკოლება შეექმნა რუსეთისთვის იმ ტერიტორიაზე, რომლითაც შავ ზღვაში ბათუმის მიმართულებით სანაოსნო გზა გადიოდა“.**

ამასთან, ამიერკავკასიის პოლიტიკური რუკა ფრიად მოზაიკურად გამოიყურებოდა. თურქთა წასვლის შემდეგ, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გარდა, შეიქმნა ბათუმის ოლქი, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა (ყარსის ოლქი, ართვინის მხარე — ბათუმის ოლქში და ახალციხის მაზრა — ტფილისის გუბერნიაში).

**კავკასიის დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდი ეროვნებათაშორისი კონფლიქტებით აღინიშნა. საქართველო ყველაზე განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო იყო კავკასიაში და დასავლეთს წარუდგა როგორც სოციალისტურ-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც აღმოსავლეთში არნახული ექსპერიმენტი მოაწყო დემოკრატიული და სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.**

1919 წლის აპრილში გენერალ კვინიტაძის მეთაურობით ქართულმა ჯარებმა დაიკავეს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილი არდაღანამდე. რელიგიურ-ეთნიკური ომი აჭარაში, სადაც ქართული ჯარები შევიდნენ ინგლისელთა ევაკუაციის შემდეგ, 1920 წლის ივლისში, გრძელდებოდა მხარეში 1921 წელსაც, წითელი არმიის შემოსვლამდე.

**მე-20 საუკუნის 10-იან წლებიდან ევროპასა და წინა აზიაში გამოკვეთილად არსებობს ორი გეოპოლიტიკური ველი: 1904-07 წლებში შექმნილ ანტანტას (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი; პირველი მსოფლიო ომის [1914-1918] დროს ბლოკს დაემატნენ აშშ და იაპონია) უპირისპირდება გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, ბულგარეთისა და თურქეთის კოალიცია.**

პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ ეტაპზე გერმანია ახერხებს რუსეთის ბლოკირებას და გადაბირებას: გერმანიის მხარდაჭერით რუსეთში განხორციელდა სამხედრო გადატრიალება (ჩამოაგდეს მეფე); ხელისუფლებაში მოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და ბოლშევიკები, რომელთაც, მადლიერების ნიშნად, 1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან დადეს ზავი, გამოაცხადეს რუსეთის გამოსვლა ომიდან (შესაბამისად, ანტანტიდანაც).

რუსეთის მიერ მითვისებული გეოპოლიტიკური არეალი მაშინვე გადაინაწილეს ყოფილმა მოკავშირეებმა.

1917 წლის 23 დეკემბრის საიდუმლო მოლაპარაკებით ინგლისმა და საფრანგეთმა წითელი რუსეთის იგნორირებითა და ამერიკა-იაპონიის გარეშე გაიყვეს გეოპოლიტიკური გავლენის ზონები: ინგლისის ველში მოაზრებულ იქნა კავკასია და კაზაკების ტერიტორია დონი-ყუბანის აუზებში; საფრანგეთს კი დარჩა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმი.

პარალელურად, 1918 წლის 3 მარტს ბრესტის სამშვიდობო ხელშეკრულებით (მე-4 პუნქტი) ყარსის, არდაღანის და ბათუმის (იმერხევ-აჭარის) ოლქები დატოვა რუსეთის ჯარმა; ამ ოლქებს მიეცათ თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოებრივი მოწყობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ოსმალეთთან შეთანხმებით.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის (და არა — გამოცხადების!) შემდეგ კავკასიის რეგიონში ისევ ჩნდება დამხვდური ქვეყანა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. **მიუხედავად ქართველთა სახელმწიფოს აღორძინებისა, მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშეები ისევ ქართველი ხალხის ნების გარეშე ინაწილებენ ქართველთა მიწა-წყალს;** არც ეს ხელშეკრულება შესულა ძალაში.

ამ პერიოდიდან ყველა ცდილობს, სათავისოდ მომართოს სამხრეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ბათუმელთა ნება; შესაბამისად, აქტიურდება პლებისციტებისა და მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობების თემა: **იწყება ამიერკავკასიის დემოგრაფიული სიტუაციის, როგორც გეოპოლიტიკური სიმძლავრის განმსაზღვრელი ფაქტორის, მართვის ახალი ეტაპი.**

**1918 წლის ივლისში ოსმალები აცხადებენ, რომ აჭარაში ჩაატარეს პლებისციტი; მათი მიზანი იყო, სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეებისთვის დაემტკიცებინათ, რომ აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას ოსმალეთთან შეერთება სურს.**

ოსმალეთის მიერ პლებისციტად წოდებული აქცია ბერლინში მიმდინარე ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოთა კონფერენციაზე აჭარის მოსახლეობის სახელით დაგმეს ზიარ-ბეგ აბაშიძემ და ყადირ შერვაშიძემ. 1918 წლის 1 აგვისტოს ამ ე.წ. პლებისციტის შედეგები დარღვევების ჩვენებით გააპროტესტა საქართველოს ხელისუფლებამ.

**პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა მუდროსის საზავო ხელშეკრულებით (30.10.1918) დათმო კავკასია. ვერსალის სამშვიდობო კონფერენციამ და ხელშეკრულებამ (10. 06. 1919) კი კავკასიაში საბოლოოდ დაადასტურა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია:**

**„ოსმალეთის ჯარების წასვლის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებში ინგლისის ჯარები შემოვიდნენ და მათ ხელში გადავიდა კასპიისა და შავ ზღვებს შორის მდებარე ტერიტორია. 1919 წლის იანვარში ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი და ბათუმის ოლქი. ინგლისის ხელშეწყობით ბათუმში გაძლიერდა რუსული პოლიტიკაც“.**

**მესხეთის სივრცეზე თავი მოიყარა და ერთმანეთს დაეჯახა ქართული, სომხური, ოსმალური, ინგლისური და რუსული ინტერესები; ბათუმის დაკავებას ესწრაფოდნენ შეერთებული შტატებიც და იტალიაც.**

ამ დროს უკვე საქართველოც „გამოფხიზლდა“: მენშევიკურმა მთავრობამ საკუთარი ჯარი სამუსლიმანო საქართველოს (სამხრეთ საქართველოს) ძირითად პუნქტებში განალაგა.

1918 წლის 25 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა და მთავრობამ სამუსლიმანო საქართველო (და არა მხოლოდ აჭარა!) საკუთარი სახელმწიფოს ნაწილად გამოაცხადა ავტონომიის უფლებით. ამავე დროს, 1919 წლის 18 იანვარს პარიზში დაწყებულ ანტანტის ქვეყნების სამშვიდობო კონფერენციას საქართველოს მთავრობამ კარლო ჩხეიძის ხელით წარუდგინა მემორანდუმი, რომლითაც დასაბუთებულად ითხოვდა თავის ისტორიულ მიწებს: ისპირს (სპერს), არტაანს, ოლთისს, ჭანეთს.

**ამ ფონზე მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული ბათუმის ოლქის – მთელი სამუსლიმანო საქართველოს – მცხოვრებთა ყრილობა, რომელმაც მოითხოვა საქართველოსთან შეერთება; ფაქტობრივად, რეფერენდუმის მნიშვნელობის მქონე ამ წარმომადგენლობითი ყრილობის რეზოლუციით არა მხოლოდ აჭარა, არამედ მთელი სამუსლიმანო საქართველო (ართვინ-შავშეთ-არტანუჯ-ოლთის-ადგაღანის ჩათვლით) შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკას.**

სამწუხაროდ, ამ დროს საქართველო სუსტი გეოპოლიტიკური მოთამაშეა; მას ანგარიშს არ უწევენ. სომხეთისგან განსხვავებით, ზოგჯერ საქართველო საერთაშორისო კონფერენციებზეც კი არ არის წარმოდგენილი; მეტიც, მაგ., 1920 წლის 16 მარტს ჟორდანიას მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ მოტივირებულ საპროტესტო ნოტას ანტანტის უმაღლესი საბჭო სრული იგნორირებით შეხვდა: საქართველოს ნების გარეშე, ანტანტის პროექტით ბათუმს პორტო-ფრანკოს სტატუსი მიენიჭა. იმედგაცრუებული ჟორდანიას მთავრობა საბჭოთა რუსეთთან თუ თურქეთთან დათმობებით შეეცადა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

**„ჟამი ხსნისა“, ნაწილი მეათე**



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეცხრამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვენუსტი თუ მიქელანჯელო?

**ოქსფორდში აღორძინების ხანის ოსტატის, მიქელანჯელო ბუონაროტის ტილო აღმოაჩინეს. ადრე ტილოს შეცდომით იტალიელი ფერმწერის, მარჩელო ვენუსტის ნამუშევრად მიიჩნევდნენ.** „ჯვარცმა, ღვთისმშობელი, წმ. იოანე და ორი მგლოვიარე ანგელოზი“ ოქსფორდის უნივერსიტეტის იეზუიტთა კოლეჯის მისაღების კედელზე იყო ჩამოკიდებული. იტალიელმა რესტავრატორმა ანტონიო ფორჩელინომ ტილოს ინფრაწითელი ანალიზი ჩაუტარა. რესტავრატორს ეჭვი ეპარებოდა, რომ ნახატი ვენუსტს ეკუთვნოდა. ფორჩელინოს თქმით, ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ნახატი მიქელანჯელოს ეკუთვნის. ამ ფაქტის გაგებისთანავე ტილო კედლიდან ჩამოხსნეს. „ეს, რასაკვირველია, არაჩვეულებრივი ნამუშევარია, მაგრამ ძალიან ღირებულია იმისთვის, რომ ის კოლეჯის კედელზე ეკიდოს“, — განაცხადეს ოქსფორდში და ტილო შესანახად ეშმოლენის ხელოვნების და არქეოლოგიის მუზეუმში გადაიტანეს.



# მსოფლიოს ყველაზე უჩვეულო სადგურები



სადგური ქალაქის კარიბჭეა, რითაც ჩამოსულ სტუმრებს პირველი შთაბეჭდილება ექმნებათ კონკრეტულ ქალაქზე. ზოგიერთ ქალაქს კი ძალზე უცნაური კარიბჭე აქვს, რაც პირველივე წუთიდან აოცებს მნახველს.





## ჰონკონგის წყლის კარიბჭე

ჰონგკონგის ახალი საზღვაო სადგური (პორტი) იმ ადგილას ააშენეს, სადაც სულ რაღაც 10 წლის წინათ აეროპორტი იყო. ეს სადგური დიდ ტურისტულ ლაინერებს ემსახურება. ამ ულამაზესი შენობის არქიტექტორი სერ ნორმან ფოსტერია.



## მწვანე პლატფორმა

ოკლენდის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მათ არ სჭირდებათ სკვერი სახურავზე. სამაგიეროდ გააშენეს „მდელო“ პირდაპირ სადგურში. ამისათვის მათ 1250 კვადრატული მეტრი ბალახი დასჭირდათ.



## კოსმოსადგური ამერიკაში

ამერიკაში, უკვე ორი წელია, კოსმოსადგური შენდება. ის კერძო სუბორბიტალური გაფრენებისთვის იქნება განკუთვნილი.



## ჰონკონგის სახმელეთო კარიბჭე

მალე მსურველებს შეეძლებათ ჰონკონგში ახალი ხიდით მოხვდნენ, რომელიც, თავის მხრივ, წარმოდგენილი იქნება როგორც აეროპორტი, რკინიგზის სადგური და ავტოსადგომი.



## რკინიგზის ჯუნგლები

მადრიდის სარკინიგზო სადგურ Atocha Station-ში მიიჩნევენ, რომ „მდელო“ უკვე ძველმოდური გადმონაშთია. აქ პირდაპირ ტროპიკული მცენარეები გააშენეს, რომლებიც ნაყოფსაც ისხამს.



## ხიდი-სადგური

რკინიგზა ყოფს უელსის ქალაქ ნიუ პორტს ორ თითქმის ტოლ ნაწილად. მათი დამაკავშირებელი ხიდები კი არც თუ ისე ბევრია. პრობლემას აწყდებოდნენ სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებისას. მაგრამ ეს პრობლემა ახალმა სადგურმა გადაწყვიტა. ის ორ ფუნქციას ასრულებს — სადგურისა და ხიდის, რომელიც აერთებს ქალაქის ორ ნაწილს.





## გარეთ — სკვერი, შიგნით — სადგური

სან-ფრანცისკოში რკინიგზის სადგური ქალაქის ცენტრში მდებარეობს. ეს ძალიან მოხერხებულია სატრანსპორტო კუთხით, მაგრამ ის დიდ ადგილს იკავებს. 2014 წელს იგეგმება ყველაფრის შეცვლა. სადგური თავის ადგილზე დარჩება, მაგრამ ის გადაიქცევა მრავალფუნქციონალურ კომპლექსად, რომლის თავზეც ულამაზესი სკვერი გაშენდება.



## რკინიგზის სადგური ლიონის აეროპორტთან

ეს უნიკალური რკინიგზის შენობა ლიონის აეროპორტში გასაფრენად გამზადებულ დიდ ჩიტს ჰგავს.




## ცივი სადგური

ესპანეთის საზღვაო ქალაქი უელვა არის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საზღვაო კურორტი. ამიტომ მადრიდთან ჩქაროსნული რკინიგზა დააკავშირებს, რომლის განსაკუთრებული ფორმა შექმნილია იმისათვის, რომ „დაიჭიროს“ ზღვის ჭავლი და ამით შექმნას სუფთა ჰაერით ბუნებრი კონდიცირება.



## ყველაზე ციცაბო «ამერიკული მთები»

**იაპონიაში მსოფლიოში ყველაზე ციცაბო „ამერიკული მთები“ გაიხსნა. ატრაქციონის სიგრძე 1 კილომეტრს შედგენს, მის შემადგენლობაში 43-მეტრიანი 121-გრადუსიანი კუთხის დაღმართია და ეს ყველაზე ციცაბო ხელოვნური დაღმართია მთელ მსოფლიოში.** ატრაქციონის მშენებლობა 3 მილიარდი იენი დაჯდა. ის იამანაშის პრეფექტურაში მდებარე Fuji-Q Highland-ის პარკში აიგო. პროექტის ავტორებმა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები მიიწვიეს, რათა მათ ატრაქციონი კონსტრუქტორული თვალსაზრისით შეეფასებინათ. ამ პარკისთვის ეს უკვე მეთოთხმეტე მსოფლიო რეკორდია.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 7 ყველაზე უცნაური ფენომენი

დედამიწა ბოლომდე შესწავლილი ჯერაც არაა და ნებისმიერ წამს შეიძლება რაიმე უცნაურს გადაეყაროთ. ზოგიერთმა ამგვარმა უცნაურობამ უკვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება.



## კატატუმბოს ელვა

**კატატუმბოს ელვა აბსოლუტურად უხმო ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც დედამიწიდან დაახლოებით ხუთი კილომეტრის სიმაღლეზე წარმოიქმნება.** გაელვებები წელიწადში 140-160 ღამეს ხდება, თითეულ ჯერზე დაახლოებით ათ საათს გრძელდება და საათში საშუალოდ 280-ჯერ ელავს. წელიწადში სულ 1,2 მილიონამდე გაიელვებს. ამ საოცარ მოვლენას სამხრეთ ამერიკის მდინარე კატატუმბოს სანაპიროზე აკვირდებიან. იმ ადგილას, სადაც მდინარე მარაკაიბოს ტბაში ვარდება.

მარაკაიბოს ტბა სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდი ტბაა. მისი ფართობი 13 210 კმ-ს აღწევს. ტბის ნაპირზე ვენესუელის მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს. ამავე ტბაშია ნავთობის დიდი მარაგი. მიიჩნევა, რომ კატატუმბოს ელვა დედამიწაზე ოზონის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გენერატორია.



## მაროკოს თხები

**მაროკო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც თხები, ბალახის სიმცირის გამო, თხილის ხეებზე ჯოგებად ადიან და ისე იკვებებიან.** ასეთ სანახაობას სხვაგან ვერსად ნახავთ. ფაქტობრივად, მწყემსები თხებს ერთი ხიდან მეორეზე გადასვლისას მწყემსავენ. როდესაც ხეს ტოვებენ, ხის ძირში თხილი ყრია, მაგრამ თხები მას არ ჭამენ, რადგან მათ კუჭს თხილის გადამუშავება არ შეუძლია.



## ბრაზილიის ყველაზე გრძელი ტალღა

**წელიწადში ორჯერ, თებერვლიდან მარტამდე დროის მონაკვეთში, ატლანტის ოკეანის წყლები ამაზონის ზედა მოქცევას ბრაზილიის ტერიტორიაზე უერთდება და დედამიწაზე ყველაზე გრძელ ტალღას წარმოქმნის.** ამ მოქცევის ტალღამ შესაძლოა სიმაღლეში ოთხ მეტრს მიაღწიოს და ნახევარ საათზე მეტ ხანს გაძლოს. ამ დროის მანძილზე ის ამაზონის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით 25 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილდება. ამ მოვლენას პოროროკას ეძახიან და მის ხმას დანახვამდე ნახევარი საათით ადრეც გაიგონებთ. ის იმდენად მძლავრია, რომ თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს — ძირფესვიანად გლეჯს ხეებს და თან მიაქვს ადგილობრივ მცხოვრებთა სახლები.



## თევზის წვიმები

**ცხოველების წვიმა საკმაოდ იშვიათი მეტეროლოგიური ფენომენია, თუმცა, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ასეთი შემთხვევები ბევრ ქვეყანაში დაფიქსირდა.** ზოგან ეს ერთადერთხელ ხდება და აღარასდროს მეორდება, ჰონდურასისთვის კი თევზების წვიმა რეგულარული მოვლენაა. ყოველ წელს, მაისსა და ივლისს შორის პერიოდში, ცაზე ჩნდება მუქი ღუბელი, ელავს, ქუხს, უბერავს ძლიერი ქარი და 2-3 საათის განმავლობაში კოკისპირული წვიმა მოდის. როგორც კი წვიმა წყდება, ხალხს მიწაზე ასობით ცოცხალი თევზი ხვდება.

ხალხი თევზს „სოკოსავით კრეფს“ და სახლში მიაქვს. 1998 წლიდან ქალაქ იოროში თევზების წვიმის ფესტივალიც კი დაწესდა. ამ უცნაური ფენომენის წარმოშობის ერთ-ერთი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ ქარს თევზი რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე ჰაერში ააქვს, შემდეგ კი წვიმასთან ერთად აბრუნებს დედამიწაზე. მიუხედავად ამ ვერსიისა, დანამდვილებით არავინ იცის, როგორ ხდება ეს ყველაფერი.



## დანიის შავი მზე

**გაზაფხულზე დანიაში საოცარი რამ ხდება. მილიონზე მეტი ევროპული შოშია დანიაში ყველა მეზობელი ქვეყნიდან მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე მოფრინავს.** ადგილობრივები ამას შავ მზეს უწოდებენ და გაზაფხულის დასაწყისში, მარტიდან აპრილის შუა რიცხვებამდე, დასავლეთ დანიის ტბებზე ათვალიერებენ. შოშიები სამხრეთიდან მიგრირებენ და ერთ დღეს ატარებენ მდელოებზე, აგროვებენ საკვებს, ხოლო საღამოს, მას მერე, რაც ცაში კოლექტიურ ვარიაციებს შეასრულებენ, ლერწმის ხეებზე ბინავდებიან.



## კერალის წითელი წვიმები

**2001 წელს 25 ივნისიდან 25 სექტემბრამდე ინდოეთში, კერალის ტერიტორიაზე, პერიოდულად წითელი წვიმა მოდიოდა.**

თავიდან ვარაუდობდნენ, რომ წვიმის ფერი მეტეორიტის აფეთქების შედეგი იყო, მაგრამ შემდეგ, როდესაც 2006 წლის 4 მარტს ისტორია განმეორდა და შესაძლებელი გახდა წვიმის წყლის ნიმუშების მოპოვება, მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ წყალი „Rhodophyceae“-თი – გოდფრი ლუის (კერალი) წითელი წყალმცენარეებით იყო შეღებილი.



## ცეცხლის ცისარტყელა — აიდაჰოში

**ეს ცისარტყელა ერთ-ერთია ყველაზე იშვიათ ატმოსფერულ ფენომენებს შორის.** მეცნიერულად ამას „ჰორიზონტ-გარშემო რკალი“ დაარქვეს. წარმოიქმნება მზის სხივების მსუბუქ, ყველაზე მაღლა მყოფ ღრუბლებს შორის გავლის შემდეგ. ამ დროს მზე აუცილებლად ყველაზე მაღლაა – 20 ათასი ფუტის სიმაღლეზე და ჰორიზონტის 58 გრადუსზე მაღლა.



## სტრიპტიზი — დაკრძალვაზე

**ტაივანში მიცვალებულებს მტირალა სტრიპტიზის მოცეკვავეები აცილებენ.**

უჩვეულო დაკრძალვის ტრადიციას საფუძველი ოცდაათი წლის წინ ჩაეყარა. მაშინ მუშათა კლასის წარმომადგენლებმა დაკრძალვის ცერემონიებზე მომღერალი და მოცეკვავე ქალების მიწვევა დაიწყეს. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ტრადიციას თავისი საფუძველი აქვს: ტაივანელებს მიაჩნიათ, რომ მხიარული და ხმამაღალი მუსიკა გარდაცვლილთა სულებს იმქვეყნიურ ყოფასთან ადაპტაციაში ეხმარება. მათ სწამთ, რომ გარდაცვლილი სულები საიქიოში ახლობლებს წვეულებით ეგებებიან.

## გიგანტური მერლინ მონრო

**ჩიკაგოს ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მერლინ მონროს 7-მეტრიანი სკულპტურა დადგეს. ვარსკვლავს თავისი ცნობილი თეთრი ფრიალა კაბა აცვია.**

თავიდან ჩიკაგოს სასამართლოს შენობასთან ჯერ სკულპტურის ქვედა ნაწილი დაამონტაჟეს, შემდეგ კი ზედა ტანიც დაადგეს, თავი კი ბოლოსთვის შემოინახეს. ჰოლივუდის ვარსკვლავის ძეგლი ჩიკაგოს ცენტრში 2012 წლის გაზაფხულამდე იდგება. მისი ავტორი ამერიკელი მხატვარი სტიუარდ ჯონსონია, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ალფრედ ეიზენშტეინის ლეგედარული ფოტოს — „კოცნის“ სკულპტურა შექმნა.



# ასე ინწრთობოდა შიში

**პოლიტიკურ ველზე მიხეილ სააკაშვილის გამოჩენა ყოველთვის ბადებდა შეკითხვებს. რამდენიმე დოკუმენტურმა ფილმმა და მრავალრიცხოვანმა სტატიებმა არა თუ ვერ წარმოგვიდგინა ამ, „კოლოფიდან ამომხტარი ეშმაკის", მოვლინების სრული სურათი, არამედ კიდევ უფრო გააბუნდოვნა ვითარება კონსპიროლოგიური ვერსიებით. ამიტომაა, დღემდე რომ უკვირთ, ეს ადამიანი, რომელიც პოლიტიკისადმი განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდა, ჯერ ედუარდ შევარდნაძის თანამებრძოლი გახდა, შემდეგ — გამორჩეული ოპოზიციონერი, დაბოლოს, სახელმწიფოს ლიდერი, მეზობელი სახელმწიფოების თავის ტკივილი. და როგორც აპოთეოზი — დამნაშავე, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი ბოროტმოქმედი.**





მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთი 2004 წელზე გაცილებით ადრე გაიცნო. პირველად სააკაშვილი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა შორეული 1992 წლის მაისში. მაშინ იგი საქართველოს დელეგაციას ჩამოჰყვა ცხინვალში. ერთი დღით ადრე, 1992 წლის 20 მაისს დახოცეს ოსი ლტოლვილები, რომლებიც ალყაში მოქცეულ ქალაქს ზარის შემოვლითი გზით ტოვებდნენ. ამ დანაშაულმა მთელ მსოფლიოში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. და ამ სისხლიანი მოვლენის გამო საზოგადოებრივი რეზონანსის შესარბილებლად **საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთში თავისი წარმომადგენელი, საქართველოს გორის რაიონის ხელმძღვანელი ალექსანდრე კავსაძე მოავლინა. დელეგაციის სოლიდურობის გასაძლიერებლად მის შემადგენლობაში საერთაშორისო წარმომადგენლებიც ჩართეს. დელეგაციის თარჯიმანი უკრაინის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი იყო.**

ქართული დელეგაცია ჯერ ვერტმფრენების პოლკის განლაგებაში მივიდა, ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთ მისადგომთან. ამ ნაწილის დისლოკაციის თავისებურება იყო ის, რომ, თუ ერთი ჭიშკრით ქართულ სოფელ ნიქოზიდან შეხვიდოდით, მეორეთი ქალაქის რაიონ „შანხაიში" გამოხვიდოდით. ამ სატრანზიტო გზით, ჩვეულებრივ, სარგებლობდა საქართველოს ყველა წარმომადგენელი, ვინც რესპუბლიკის დედაქალაქში მოლაპარაკებაზე ჩამოდიოდა. მაგრამ ასე უბრალოდ ქალაქში შესვლა არ გამოდიოდა — ქართველ და უცხოელ წარმომადგენლებს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ხვდებოდნენ ხოლმე ქალაქის მხრიდან. ამჯერადაც დახვდნენ ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვადიმ გაბარაევი და საინფორმაციო კომიტეტის წარმომადგენელი სტანისლავ კოჩიევი, რომლებმაც საქართველოს წარმომადგენლებს აუხსნეს, რომ მათი გამოჩენა ქალაქში, რომელიც ზარის დახვრეტის გამო მღელვარებითაა მოცული, შეიძლება არასასურველი შედეგით დასრულებულიყო. მაგრამ **დელეგაციის მეთაური ა. კავსაძე დაჟინებით მოითხოვდა ცხინვალის მცხოვრებთა წინაშე გამოსვლას მათი მხარდამჭერი და მკვლელების დამგმობი სიტყვით. ა. კავსაძემ ისიც კი განაცხადა, რომ შესაძლო ინციდენტის გამო ოსეთის მხარეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, იგი თავისი მანქანით ქალაქში დელეგაციისგან განცალკევებით შევიდოდა.** ოსეთის წარმომადგენლებმა, ბუნებრივია, არ მოიწონეს ასეთი ინიციატივა და გორის ხელმძღვანელს სთხოვეს, დაეოკებინა თეატრალური სიმკვირცხლე. ცხინვალში გაემგზავრნენ მხოლოდ უცხოეთის დელეგაციის წევრები, რომლებიც სამხედრო ქალაქიდან ავტობუსმა გაიყვანა.

უცხოეთის წარმომადგენლები ცხინვალში რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ ტორეზ კულუმბეგოვი, გერასიმ ხუგაევი, სტანისლავ კოჩიევი, პარლამენტის დეპუტატები. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ აქვე იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი, მაშინ ჯერ კიდევ პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. ამრიგად, იმ დღეს გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს მომავალი ლიდერები, რომლებიც მაშინ ვერც კი წარმოიდგენდნენ, როგორ შეიცვლებოდა მათი ბედი.

**მიშამ, ის-ის იყო უცხოელი სტუმრის მორიგი წინადადების თარგმნა დაიწყო, რომ უცებ თითი პირში ჩაიდო და... წუწნა დაუწყო**

რთული საუბრის შემდეგ უცხოელი სტუმრები ეწვივნენ რესპუბლიკურ საავადმყოფოს, სადაც დაჭრილებს ესაუბრნენ. საუბარი გაგრძელდა ვერტმფრენების პოლკის განლაგებაში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით. **სწორედ აქ მიიპყრო ყურადღება მიხეილ სააკაშვილმა. ეტყობა, სტრესს განიცდიდა ალყაშემორტყმული ცხინვალის ნახვის შემდეგ და აღგზნებული იყო. იგი არა მარტო თარგმნიდა საუბარს, არამედ საკუთარ კომენტარსაც ურთავდა, ჟესტიკულირებდა და ნერვიულად იკრუნჩხებოდა, როცა საუბარი მაღალ ტონალობაში გადადიოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვადიმ გაბარაევმა კიდეც დაუტატანა და ოთახიდან გაძევებით დაემუქრა. საჭირო გახდა, ცხინვალიდან ოსი თარჯიმნის ზალინა გაგლოევას გამოძახება, რომელსაც შიგადაშიგ მ. სააკაშვილის ნათარგმნის შესწორება უხდებოდა.**

ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი დამშვიდდა, თუმცა აღგზნებულ მდგომარეობაში რჩებოდა. რომელიღაც მომენტში ოთახში მსხდომნი სახტად დარჩნენ. მიშამ, ის-ის იყო უცხოელი სტუმრის მორიგი წინადადების თარგმნა დაიწყო, რომ უცებ თითი პირში ჩაიდო და... წუწნა დაუწყო. მაშინ მიხეილ სააკაშვილს ჰალსტუხი არ ეკეთა, ამიტომ მოუწია დაუბანელი თითით დაკმაყოფილება... დროთა განმავლობაში საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ამ რეფლექსს სრულყოფილობამდე დახვეწს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სტუმრები კიდევ კარგახანს ესაუბრებოდნენ ადგილობრივებს, ვერტმფრენების ნაწილის მეთაურებს. **მიშიკო კი იდგა ყველასგან მიტოვებული, უსუფთაო, დაჭმუჭნულ პიჯაკსა და მუხლებგამობერილ შარვალში გამოწყობილი, ცელოფნის პაკეტით ხელში და შიშით უყურებდა ოს მოხალისეებს, რომლებიც იქვე იდგნენ შეიარაღებულები. შესაძლებელია, რომ უკვე მაშინ საქართველოს მომავალი პრეზიდენტის აღგზნებულ ტვინში ჩაისახა შიში ოსების მიმართ, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში შეიარაღებულ შეჭრაში გარდაისახა.**

შორეული 1992 წლის მაისის ეს შეხვედრა ერთი დამთხვევითაც არის საინტერესო. ზუსტად 15 წლის შემდეგ თარჯიმან ზალინა გაგლოევას ბიძაშვილი „ჭკვიანი და ლამაზი" ალანა გაგლოევა საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის პრესმდივანი გახდება. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს უკვე სხვა ისტორიაა.

**რობერტ კულუმბეგოვი,**
**სამხრეთი ოსეთის გაზეთი „რესპუბლიკა"**


**წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო**

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




სახალხო მოძრაობა „სამეგრელო" სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს გიორგი (გუგე) ცანავას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ღირსეული მამულიშვილის გარდაცვალების გამო.

**ალექსანდრე ჭაჭია,**
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" თავმჯდომარე

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტს, მეუფე იობს ძმის

გიორგი აქიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის" თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე და ორგანიზაციის საზოგადოებრივი საბჭოს წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კარგი ქართველი და ღირსეული მამულიშვილი

გიორგი (გუგე) ცანავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი (გუგე) ცანავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.


საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net